პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 12—30

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — პოლონელი მენშევიკების შეიარაღებული თავდასხმა მუშებზე.
- — იერიშები მუშათა კლასის წინააღმდეგ ნორვეგიაში.—გაფიცვების აკრძალვა.
- — შეტაკება კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის ციურიხში (შვეიცარია).
- — უშიშროების კომიტეტის სესია გაიხსნება 27 ივნისს.
- — საბერძნეთის მეთამბაქოეთა გაფიცვა ფართოვდება.
- — კენიგსბერგში გაიხსნა ყრილობა ქუნთრუშასთან ბრძოლის საკითხებზე.
- — ამერიკის რესპუბლიკანური პარტიის ყრილობა.
- — საბჭოთა ყინულისმჭრელი გემები გავიდნენ ნობილეს დასახმარებლად.

ხუთშაბათი 14 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 136 (2179)

ა. წ. 13-ს ივნისისათვის დანიშნული
საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
გადადებულია ა. წ. ივნისის 14-სათვის, საღამოს 7 ს.
საქ. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

საბჭოთა კავშირის სიმტკიცის ერთი საფუძველთაგანი

გუშინ ჩვენ ვწერდით ლევიცკისა და სხვების ანტისაბჭოთა გამოსვლების შესახებ პოლონეთის სეიმში. ისინი კვლავ იმეორებენ ძველ ზღაპარს, თითქო „მოსკოვს“ დამონებული ყავდეს არარუსი ეროვნებანი (კონკრეტულად ლაპარაკი იყო საბჭოთა უკრაინაზე), რომელნიც ვითომდა იბრძვიან თავის განთავისუფლებისათვის; ხელი უნდა შეუწყოთ მათ მოწყვეტას რუსეთისაგან და მათ დამოუკიდებლობის აღდგენასო—აცხადებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეს არამკითხე მზრუნველები.

იმპერიალისტებს და მათ დამქაშებს სურთ დაამახინჯონ საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა ევროპის მასების თვალში და თავისთვის ხელსაყრელი ფსიქოლოგიური ატმოსფერა შექმნან საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრებისათვის. ვითომდა დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების მიზნით. ამავე დროს მათ ჯერ არ დაუკარგავიათ იმედი, რომ შრომის სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის გართულების დროს შესძლებენ ამ „დაჩაგრულ“ ხალხთა აჯანყებას მუშურ - გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ გზით თავის მთავარი ამოცანის — პროლეტარიატის დიქტატურის დამხობის — განხორციელებას.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ იმპერიალისტები, როგორ თვალთმაქცურ ხრიკებსაც არ უნდა მიმართონ მათ, ვერ მოახერხებენ თავის გასაღებას ხალხთა ინტერესების დამცველებად და მათ განმანთავისუფლებლებად. ასეთი როლი ყველაზე ნაკლებად შეეფერებათ პილსუდსკებს თუ ჩემბერლენებს, რომელნიც თავიანთ სამფლობელოებში და ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ, ფეხქვეშ თელავენ სხვადასხვა ეროვნებათა ელემენტარულ უფლებებს.

ამავე დროს ისინი, რამდენი სიცრუეც არ ავრცელონ მათ საბჭოთა კავშირის შესახებ, ვერ შესძლებენ ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გაშავებას. მსოფლიოს ფართო მასებისათვის აშკარაა, რომ საბჭოთა მთავრობამ საუკეთესოდ გადასჭრა ეროვნული საკითხი, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერები სავსებით თავისუფალი და თანასწორი არიან, რომ აქ დამყარებულია სრული სოლიდარობა მათ შორის და რომ ისინი ნებაყოფლობით გაერთიანებულან დიდი კავშირში, საერთო ძალ-ღონით და ერთმანეთის დახმარებით ეწევიან უდიდეს აღმშენებლობით მუშაობას.

ეს თანასწორობა, რა თქმა უნდა, არ არის ასე ვთქვათ, მარტო — პოლიტიკური უფლებრივი ხასიათის. საბჭოთა ხელისუფლების მთელი მუშაობა იქითკენაა მიმართული, რომ წინედ, მეფის თვითმპყრობელობის დროს, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ხალხებს მისცეს უფართოესი შესაძლებლობანი და გასაქანი სამეურნეო - კულტურულ განვითარებისათვის. ეროვნებათა თანასწორი და თავისუფალი არსებობისათვის მტკიცე ეკონომიური ბაზისის შექმნა — ასეთია მუშურ - გლეხურ ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის შინაარსი.

როგორც ვიცით, მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკა არა მარტო იმაში იხატებოდა, რომ არარუსი ეროვნებანი ყოველ გვარ სახელმწიფოებრივ უფლებებს იყვნენ მოწყვეტილი, არამედ ამავე დროს იმაშიც, რომ ეგრედწოდებული განაპირა კუთხეები ეკონომიურად კოლონიას წარმოადგენდნენ რუსეთის ბურჟუაზიის კაპიტალისათვის. მეფის მთავრობა არამც თუ არ ზრუნავდა განაპირა ქვეყნების მრეწველობის განვითარებაზე, არამედ ყოველნაირად აფერხებდა მას.

საბჭოთა ხელისუფლებას ამ მხრივ მეტად მძიმე მემკვიდრეობა დარჩა. საჭირო იყო შავბნელი წარსულის ამ მემკვიდრეობის ლიკვიდაცია და ეკონომიურ - კულტურულ სფეროში ხალხთა შორის არსებულ უთანასწორობის მოსპობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემოდა ნამდვილად რეალური შინაარსი ეროვნებათა განთავისუფლების ლოზუნგს, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ განახორციელა სხვა დიდ ლოზუნგებთან ერთად. და ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა იმთავითვე ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება. კერძოდ თუ ავიღებთ ჩვენ ქვეყანაში წარმოებულ სამეურნეო მშენებლობას, ამის მჭერმეტყველურ დადასტურებას ვიპოვით.

საქართველო საბჭოთა ხელისუფლებას ეკონომიურად სრულიად გაპარტახებული დახვდა. მეფის მთავრობა ხომ ყველაზე ნაკლებ ფიქრობდა ჩვენში მრეწველობის განვითარებაზე. მისმა მოადგილემ, მენშევიკურმა ხელისუფლებამ არამც თუ არაფერი გააკეთა ამ მხრივ, არამედ დაანგრია ისიც, რაც წინედ იყო. საბჭოთა მთავრობა შეუდგა ამ გაჩანაგებულ ქვეყნის აღდგენას. თითქმის ყველაფერი ხელ-ახლად იყო დასაწყები. მიუხედავად ამისა, უდიდესი მიღწევები გვაქვს ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში. ომის წინანდელ მდგომარეობას უკვე გადავაბიჯეთ. ქვეყნის ელექტროფიკაცია, ახალი ფაბრიკა-ქარხნები, სასოფლო-მეურნეობის რეკონსტრუქცია—ამ მიმართულებით მუშაობა გაჩაღებულია და ბევრი რამ უკვე გაკეთებულია. თავის თავად ცხადია, რომ ყველაფერ ამას ჩვენ ვერ შევსძლებდით ადგილობრივი საშუალებებით,—აქ უდიდეს დახმარებას გვიწევს საკავშირო ცენტრი, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია როგორც მთელი კავშირის, ისე მის ცალკე შემადგენელ ნაწილების, კერძოდ წინედ ეკონომიურად ჩამორჩენილ მხარეების ინდუსტრიალიზაციაში, მათ გათანაბრებაში კავშირის სამეურნეო მხრივ უფრო დაწინაურებულ რაიონებთან.

როგორც ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების, ისე მთელი კავშირის სამრეწველო გეგმები ითვალისწინებენ ადგილობრივ ბუნებრივ შესაძლებლობათა სავსებით ამოძრავებას ადგილობრივად სათანადო სამრეწველო დარგების შექმნის და განვითარების გზით. ამ მხრივ მტკიცე დირექტივაა მიცემული. ამას, სხვათა შორის, ნათელყოფს ნაციონალურ ოლქების მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის განხილვა საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოში და ამ გეგმის გამო ხსენებულ საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება, რის შესახებ მასალა გუშინაც იყო გამოქვეყნებული და დღესაც თავსდება ჩვენს გაზეთში.

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც ხალხთა სრულ პოლიტიკურ უფლებებთან ერთად სავსებით უზრუნველყოფს მათ ეკონომიურ განვითარებას და რომელიც ამისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. აქედან გასაგებია საბჭოთა კავშირის, როგორც ხალხთა დიდი კავშირის სიმტკიცე, რომლის შერყევას ამაოდ ცდილობენ იმპერიალისტები. აქედან გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები ფხიზლად დგანან აღნიშნულ მონაპოვართა დაცვის სადარაჯოზე.

„ინდუსტრიალური ზავის“ პრაქტიკული განხორციელება

კომინტერნის აღმასკომის მეცხრე პლენუმმა და დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ცეკამ თავის გადაწყვეტილებებში ეხლანდელი კურსის შესახებ რეფორმიზმის მიმართ დაასაბუთეს იმ ფაქტით, რომ ბრიტანეთის რეფორმიზმის ბელადები აშკარად იჩენენ ტენდენციას დაუმორჩილონ მუშათა ორგანიზაციები ინგლისში დაწყებული კაპიტალისტური რაციონალიზაციის ინტერესებს. ბრიტანეთის რეფორმიზმის პარტიის მიმართ ეს ტენდენცია მოასწავებდა მის გარდაქმნას „კონტინენტალური ტიპის ჩვეულებრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად“. პროფესიონალურ მოძრაობის მიმართ ის მოასწავებდა აპარატის ცენტრალიზაციას მოძრაობის მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ და საერთოდ მოძრაობის შესუსტებას კლასობრივი მტრის წინაშე.

სულ რაღაც რამოდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მოგვცა თავისი პროგნოზი ბრიტანეთის რეფორმიზმის ევოლიუციის მიმართულებისა და ტემპის შესახებ და ჩვენ უკვე ვხედავთ ამ პროგნოზის დადასტურებას ფაქტებით, რომლებიც რამდენადაც მკაფიოა, იმდენად საბედისწეროა ბრიტანეთის მუშათა მოძრაობისათვის მისი განვითარების უახლოეს ეტაპში. „ინდუსტრიალური ზავის“ იდეა პროპაგანდიდან გადადის პრაქტიკულ განხორციელებაში. რაში მდგომარეობს „ინდუსტრიალური ზავის“ პრაქტიკა? წარმოებათა კოოპერატიულ მართვა-გამგეობის“ მოწყობაში, თუ მუშების „წარმოების კონტროლში“ ჩაბმაში, როგორც სწერენ ამას კლასობრივი თანამშრომლობის სქემებში? სრულებითაც არა! „ინდუსტრიალური ზავის“ პრაქტიკა მოასწავებს რეპრესიებს კომუნისტებისა და ყველა იმ მუშების წინააღმდეგ, რომ ლებსაც არ სწამთ კლასობრივი თანამშრომლობა და სურთ დაიცვან თავისი უფლებები ცხოვრების ადამიანურ პირობებზე კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებით. ცხრა დიდი კავშირის (მემაღაროენი, მანქანის მშენებლები, მექვაბეები, რკინის გზის კლერკები და სხვ.) წლიურმა კონფერენციებმა გამოიტანეს რეზოლიუციები, რომელშიაც ისინი „გმობენ კომპარტიის და უმცირესობის მოძრაობის დამარღვეველ მუშაობას“. მაგრამ შეცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ ეს „დაგმობა“ არის მხოლოდ მორალური ზეგავლენა, მხოლოდ საყვედური „ცუდი ყოფაქცევისათვის“, რომელსაც უცხადებენ „ინდუსტრილური ზავის“ წინააღმდეგ მებრძოლ კომუნისტებს. ეს „დაგმობა“ მოასწავებს კომუნისტებისათვის ტრედიუნიონების სხვადასხვა ორგანიზაციებში არჩეულ თანამდებობათა დაკავების უფლების წართმევას. ის მოასწავებს რეფორმისტების მიერ პროფკავშირთა აპარატის „ოკუპაციას“ მისი წევრების უდიდესი უმრავლესობის ნებასურვილის წინააღმდეგ. ის უეჭველად მოასწავებს უახლოეს მომავალში კომუნისტებისა და მემარცხენე მუშების ინდივიდუალურ გამორიცხვას ტრედიუნიონებიდან.

თავის დროზე უკვე მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აძევებდნენ გლაზგოში რეფორმისტები კომუნისტ დელეგატებს პროფკავშირთა საბჭოს სხდომიდან პოლიციის დახმარებით. იყო ცნობა აგრეთვე იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს მემაღაროეთა შოტლანდიის კავშირში, სადაც მუშების მიერ ახლად არჩეულ თანამდებობის პირებს საშუალებას არ აძლევენ დაიკავონ თავიანთი პოსტები.

ამჟამად ამ ბრძოლამ მიაღწია კულმინაციურ წერტილს. შემდეგი ნაბიჯი— დიდი ბრიტანეთის მემაღაროეთა ორგანიზაციის გათიშვა. ბურჟუაზიულმა პრესამ, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კამპანიაში კომუნისტებისა და უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ, ბრიტანეთის პროფმოძრაობაში, ფედერაციის აღმასკომის ის რეზოლიუცია, რომელიც „გმობს კომუნისტებს და უმცირესობის მოძრაობას“, ახსნა, როგორც მანდატი არა მარტო ცალკე პირთა, არამედ მთელი ორგანიზაციების გამორიცხვაზე; სახელდობრ მემაღაროეთა ფაიფშირის კავშირის გამორიცხვაზე.

ბურჟუაზიული პრესის განმარტება სავსებით ეთანხმება ბრიტანეთის რეფორმისტების ნამდვილ ზრახვებს: ისინი ემზადებიან გათიშვის მოსახდენად. და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს გათიშვა იქნება პირველი ნაბიჯი მთელ რიგი გათიშვებიდან დიდი ბრიტანეთის პროფმოძრაობაში. შოტლანდიის ინციდენტი ძლიერ დამახასიათებელია განსაკუთრებით იმიტომ, რომ სწორედ შოტლანდიაში ქვანახშირის მრეწველები უკვე შეუდგნენ რაციონალიზაციის სქემის გატარებას მუშების ხარჯზე; ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებს შოტლანდიაში, თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება ქვანახშირის ერთი რაიონის ფარგლებს. ის, რაც ხდება ამჟამად შოტლანდიაში, ისახება აგრეთვე მთელ რიგ სხვა ადგილებსა და სხვა კავშირებშიაც. ამას მოწმობს საყოველთაო კამპანია კომუნისტებისა და უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც დღითიდღე ძლიერდება. მოვლენები განუწყვეტლად, ერთიერთმანეთის მოყოლებით ვითარდება. გასულ წელში კონსერვატიული მთავრობის მიერ პროფკავშირების წინააღმდეგ მიღებული კანონი წარმოადგენდა ბრიტანეთის ბურჟუაზიის პასუხს 1926 წლის გენერალურ გაფიცვაზე. კონსერვატორებმა იერიში მიიტანეს მთელ მოძრაობაზე, რათა შეესუსტებინათ მისი ძალა და თავიდან აეცილებინათ 1926 წლის ამბების განმეორების შესაძლებლობა. მაკდონალდი, ჯორჯ ხიკსი და სხვები წინააღმდეგობას არ უწევდნენ კონსერვატორების ღონისძიებებს. ეხლა მათ თითონ მიაქვთ იერიში ბრიტანეთის მუშათა კლასის იმ ნაწილზე, რომელიც იყო და რჩება ბრიტანეთის პროლეტარიატის საუკეთესო ტრადიციების, კერძოდ 1926 წლის ტრადიციების მატარებლად. ასეთი სახე აქვს ინდუსტრიალურ ზავს პრაქტიკაში.

ბრიტანეთის პატარა კომპარტიას არაპროპორციულად დიდი ადგილი უჭირავს ინგლისის დიდ ბურჟუაზიულ პრესაში. მას შემდეგ, რაც კომპარტიამ მუშათა პარტიის ხელმძღვანელობა გამოაცხადა მუშათა კლასის მტრების მეორე ბანაკად, მას შემდეგ, რაც კომპარტიამ განაცხადა, რომ ყველა ორგანიზაციულ დასკვნებს გამოიტანს ამ თეზისიდან უახლოეს საპარლამენტო არჩევნებში, რეპრესიების კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ ასჯერ გაძლიერდა, აგრეთვე მუშათა პარტიის ბელადების ირონიული შენიშვნები, თითქოს მათ უხარიათ კომპარტიის „ჩამოშორება“, რაღაც არ შეეფერება იმ გაბოროტებულ ღვარძლიან კამპანიას, რომელსაც აწარმოებენ ისინი კომუნისტების წინააღმდეგ. როგორც სჩანს, ისინი ბევრ სიხარულს არ მოელიან ბრიტანეთის კომუნისტების ახალ კურსთან დაკავშირებით.

კომპარტია ამჟამად ხომ ერთად ერთი მიმზიდველი ცენტრია ყველა პროლეტარებისათვის, რომლებიც არა მარტო იდეით, არამედ თავისი მძიმე გამოცდილების მიხედვით უარჰყოფენ კლასიურ თანამშრომლობას.

ბრიტანეთის მუშათა პარტ. ვიცე პრეზიდენტი მორისონი თავის წერილში კომუნისტების ახალი ტაქტიკის შესახებ გაოცებული ამბობს: „15 წლის წინედ რადიკალური ელემენტები მუშათა პარტიას უსაყვედურებდნენ იმას, რომ ის არ ჰგავს კონტინენტის სოციალ- - დემოკრატიულ პარტიასო, მაგრამ ეხლა გვისაყვედურებენ იმას, რომ ჩვენ ვხდებით ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული პარტია“. ბრიტანეთის რეფორმიზმის ბელადებმა კარგად იციან, თუ როგორი გზა უნდა აირჩიონ. გერმანიის რეფორმიზმმა უკვე ითამაშა დადებითი ფაქტორის როლი კაპიტალისტურ რაციონალიზაციაში. ამავე გზაზე დგება ბრიტანეთის რეფორმიზმიც, რომელსაც ამ ისტორიული გამცემლობის ჩადენა არ ძალუძს უიმისოდ თუ მისი აპარატი არ იქნება ცენტრალიზაციაქმნილი და რევოლიუციონური მუშების წინააღმდეგ მიმართული. მუშათა დემოკრატია და შეხედულებათა თავისუფლება მუშათა მოძრაობის შიგნით არ შეეფერება ბრიტანეთის რეფორმიზმის უახლოეს ამოცანებს, არამედ პირიქით, ეწინააღმდეგება კიდეც.

ბრიტანეთის რეფორმისტებს ტრედიუნიონები მიჰყავთ განხეთქილებისაკენ. ისინი იმის წინაშეც კი არ ჩერდებიან, რომ მუშათა მასებს აძევებენ პროფკავშირებიდან „კაპიტალისტებთან მშვიდობიანობის დამყარების“ მიზნით. „პროგრესი ხომ მხოლოდ მშვიდობიანობის საფუძველზეა შესაძლო“—ასეა ნათქვამი მაკდონალდის წერილში „ნიუ-იორკ ტაიმს“-ში... მაგრამ მაკდონალდმა ვერ გაბედა ბრიტანეთის რეფორმიზმის ეს ერთადერთი აღსარება განემეორებინა ფაიფშირის მემაღაროეთა წინაშე, სადაც იგი შოტლანდიის მემაღაროეთა კავშირის „ოკუპანტებმა“ მიიწვიეს საზეიმო გამოსვლისათვის. მაკდონალდი არ წავიდა ფაიფშირში. რეფორმიზმის ბელადს მუშების შეეშინდა. ამავე დროს რეფორმისტებმა უკვე გადასწყვიტეს ფაიფშირის ბედი: ისინი ამ რაიონში შეკავშირებულ 12.500 მებრძოლ პროლეტარს აშორებენ მუშათა მთლიან ოჯახს. მაგრამ ძალიან ნაჩქარევი ხომ არ არის მათი გადაწყვეტილება? ფაიფშირის მემაღაროენი მარტო არ არიან. მუშები იბრძოლებენ თავისი რევოლიუციონური პოზიციებისათვის პროფკავშირებში. ბრიტანეთის კომპარტია ყოველგვარი საშუალებით სცდილობს, რომ ფაიფშირის და ლანარკის ქვა-ნახშირის მაღაროებისაკენ მიაქციოს არა მარტო პროლეტარიული ინგლისის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღება.

„პრავდა“, 13 ივნისი.

„დიდი კოალიციის“ მთავრობა გერმანიაში

ნანკინის მთავრობამ არ მიიღო ჩან-კაი-შის გადადგომა.--არეულობა ტიან-ძინში

უშიშროების კომიტეტის სესია გაიხსნება ჟენევაში 27 ივნისს

გერმანიის რეიხსტაგის გახსნა

ბერლინი, 13 ივნისი. 13 ივნისს შესდგა ახალ შემადგენლობის რეიხსტაგის პირველი სხდომა. სხდომა მიძღვნილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ხასიათის საკითხებისადმი და მშვიდათ ჩატარდა.

რეიხსტაგის ფორმალურად გახსნის შემდეგ **კომფრაქციამ შეიტანა წინადადება ამნისტიის შესახებ. წინადადება უკამათოთ იქნა შეტანილი რეიხსტაგის ხვალინდელი სხდომის დღის წესრიგში.** დღის წესრიგიში შეტანილია აგრეთვე მოთხოვნილება ამნისტიის შესახებ, რომელიც ნაციონალისტებმა შეიტანეს.

წინააღმდეგ კომუნისტების წინადადებისა ამნისტიის შესახებ, **ნაციონალისტების წინადადება გულისხმობს ამნისტიის გავრცელებას ყველა იმ პირებზე, რომლებსაც ბრალდებათ ფარული მკვლელობანი ე. წ. „შავ რეიხსვერში“. ნაციონალისტების პროექტის მიხედვით ამნისტია არ უნდა გავრცელდეს იმ პირებზე, რომელთაც „სახელმწიფო ღალატი“ ბრალდებათ.**

კომუნისტი დეპუტატები შტეკერი, ევერტი, კენენი და პფაიფერი, რომელთა მიმართ გაცემულია ბრძანება დაპატიმრების შესახებ, ჯერ კიდევ შუადღემდი შევიდნენ რეიხსტაგში, რომ გადარჩენოდნენ დაპატიმრებას. ამიერიდან კი ისინი დეპუტატის ხელშეუხლებლობით სარგებლობენ.

ხვალინდელ სხდომაზე მოხდება რეიხსტაგის პრეზიდიუმის არჩევნები.

კომფრაქცია საკუთარ კანდიდატს — ტელმანს ასახელებს რეიხსტაგის თავმჯდომარის პოსტზე. სოციალ-დემოკრატები კი ასახელებენ **ლებეს.**

იმ შემთხვევაში, თუ სოციალ-დემოკრატები განახორციელებენ თავის განზრახვას და კომუნისტების დამოუკიდებელი კანდიდატის წამოყენების საპასუხოდ „ზეგავლენის ზომის“ სახით თავს შეიკავებენ ხმის მიცემისაგან თავმჯდომარის მესამე ამხანაგის არჩევის დროს, კომუნისტური კანდიდატის ნაცვლად თავმჯდომარის მესამე ამხანაგად არჩეული იქნება სახალხო პარტიის კანდიდატი.

გერმან მიულლერი

გერმანელ მენშევიკების ბელადი, რომელსაც პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა დაავალა ახალი მთავრობის შედგენა

—:—

„დიდი კოალიციის“ მთავრობის შედგენა

ბერლინი, 13 ივნისი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ **გერმან მიულერის მიერ ბურჟუაზიულ პარტიებთან გამართული წინასწარი მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ დემოკრატები, ცენტრი, სახალხო პარტია და ბავარიის სახალხო პარტია პრინციპიალურად თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ მომავალ კოალიციაში.** სამეურნეო პარტიამ უარყოფითი პოზიცია დაიკავა.

გარდა შტრეზემანისა, კურციუსისა და გრენერისა მომავალ მთავრობაში დარჩენის თანხმობა განაცხადა შრომის მინისტრმა ბრაუნსმა.

კომფრაქციის მოთხოვნილება

ბერლინი, 13 ივნისი. **კომფრაქცია მოითხოვს, რომ მას, როგორც მეოთხე პარტიას — დეპუტატების რაოდენობის მიხედვით, თავმჯდომარის მესამე მოადგილის პოსტი დაეთმოს არა მარტო ლანდტაგში, არამედ რეიხსტაგშიც.** სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა ამ მოთხოვნილებას მხოლოდ იმ პირობით დაუჭიროს მხარი, თუ კომფრაქცია მიიღებს რეგლამენტს და მხარს დაუჭერს სხვა პოსტებზე წამოყენებულ კანდიდატებს. თუ კომუნისტები ლებეს წინააღმდეგ წამოაყენებენ საკუთარ კანდიდატს რეიხსტაგის თავმჯდომარის პოსტზე, სოციალ-დემოკრატები თავს შეიკავებენ კენჭის ყრის დროს და ამით დაამარცხებენ კომუნისტების კანდიდატებს.

13 ივნისს, რეიხსტაგის გახსნის დროს, კომფრაქცია მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ იქნეს განხილული მათი წინადადება პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიისა და კომუნისტ დეპუტატ კიპენბერგერის განთავისუფლების შესახებ.

ბერლინის მთელ რიგ წარმოებებში გამართულ მუშათა კრებებზე მიღებულია რეზოლიუციები, რომელთაც საფუძვლად უდევს კომპარტიის მიერ რეიხსტაგის გახსნასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მოწოდების ლოზუნგები. განსაკუთრებით მხურვალე გამოძახილი ჰპოვა პოლიტპატიმართა ამნისტიის ლოზუნგმა. მრავალ წარმოებებში მუშებმა დაადგინეს დელეგაციები გაგზავნონ რეიხსტაგში.

ბრძოლა ჩინეთში

ჩან-კაი-შის გადადგომა უარყოფილია

შანხაი, 12 ივნისი. ნანკინის მთავრობამ უარჰყო ჩან-კაი-შის თხოვნა იმის შესახებ, რომ იგი გაენთავისუფლებიათ არმიის მთავარ სარდალისა და სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. ამის შემდეგ ჩან-კაი-შიმ შეიტანა ახალი განცხადება, რომელშიაც იგი თხოულობს ნანკინის მთავრობის — პოლიტიკურ საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლებას. ფიქრობენ, რომ ნანკინის მთავრობა ამ თხოვნასაც უარყოფს.

ანტი-იაპონური მოძრაობა

შანხაი, 12 ივნისი. შანხაიში გაიმართა ანტი - იაპონური მოძრაობის ხელმძღვანელი კომიტეტის მიერ მოწვეული მიტინგი. მიტინგზე მიღებული რეზოლიუცია ნანკინის მთავრობისაგან მოითხოვს გადააყენებულ იქნან თანამდებობიდან ჩინელი მოსამართლენი, რომლებიც სჯიან იმ პიკეტებს და ინსპექტორებს, რომლებმაც კონფისკაცია უყვეს იაპონურ საქონელს. მიტინგმა დაადგინა გალიებში იქნან დამწყვდეული ის ჩინელი ვაჭრები, რომლებიც განაგრძობენ იაპონური საქონლით ვაჭრობას (ადს)

არეულობა ტიან-ძინში

შანხაი, 12 ივნისი. **ტიან-ძინში მუკდენის ჯარების მიერ დაწყებული ძარცვის გამო პოლიციასა და მუკდენის ჯარებს შორის მოხდა რამოდენიმე სისხლისმღვრელი შეტაკება. ტოხოს კორესპონდენტის სიტყვით, ტიან-ძინში ადგილი აქვს პანიკას.** მოსახლეობა შეშინებულია სროლით, რომელიც ყოველი მხრიდან გაისმის. იაპონელმა ჯარისკაცებმა დაიჭირეს პოლიციელთა პოსტები ქალაქში და ემზადებიან ყოველ შემთხვევისათვის. (ადს)

პეკინი, 12 ივნისი. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ 10 ივნისს ღამით მუკდენის სხვადასხვა ნაწილებში უცნობმა პირებმა გადაისროლეს 6 ყუმბარა, ერთი ყუმბარა აფეთქდა იაპონელ ფუკუდუს სახლთან, მეორე იაპონიის კონცესიის ახლოს. იაპონელთა პოლიციის უფროსმა ხარბინში მოსთხოვა ჩინელების პოლიციის სამმართველოს „უსასტიკესი ზომების მიღება“. (ადს).

ჩინეთის რევოლიუციის დახმარების ორკვირეული

მოსკოვი, 13 ივნისი. პროფინტერნის აღმასბიურომ ყველა თავის ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ 17-დან 31 ივლისამდე იგი აწყობს ჩინეთის მუშათა მოძრაობის დახმარების საერთაშორისო ორკვირეულს. აღმასბიურო მოითხოვს პროფინტერნის მომხრე ყველა ორგანიზაციებისაგან, რათა მათ განავითარონ ფართო კამპანია ჩინეთის პროლეტარიატის დახმარებისათვის და ფართო მასებს მიტინგების, დემონსტრაციების, გაზეთების, სპეციალური ნომრების და სხვ. საშუალებით გააცნონ ჩინეთის ამბები, და აგრეთვე შეაგროვონ ფული, რათა რეალური დახმარება აღმოუჩინოს ჩინეთის პროლეტარიატს. (ადს)

პოლონეთის ბიუჯეტი

პოლონეთის ბიუჯეტის 50 % — სამხედრო ხარჯებისათვის

ვარშავა, 12 ივნისი. სეიმმა მიიღო სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი 760 მილიონი ზლოტის რაოდენობით, რაიც შეადგენს მთელი სახელმწიფო ხარჯების 50 პროც.-ს. (ადს)

ტრომპჩინსკის მხილებანი

ვარშავა, 12 ივნისი. იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს ნაციონალ - დემოკრატმა ტრომპჩინსკიმ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც შეეხო პოლიციის მიერ ჩადენილ ძალადობას. კერძოდ ტრომპჩინსკიმ დაწვრილებით გააცნო სხდომას, თუ როგორ სცემეს ჟურნალისტ მოსტოვიჩს, რომელიც პოლიციამ ქალაქ გარეთ წაიყვანა. ტრომპჩინსკის მხილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მან თავისი სიტყვა ვერ დაამთავრა, ვინაიდან შეაწყვეტინეს. (ადს)

გაფიცვა საბერძნეთში

ვენა, 12 ივნისი. ათინიდან მიღებული ცნობებით, **საბერძნეთის მთელ რიგ ქალაქებში გაფიცვა გამოაცხადა 20 ათასმა მეთამბაქოემ.** მოსალოდნელია, რომ გაფიცვას შეუერთდება **სალონიკის 40 ათასი მეთამბაქოე. კავალაში და პრავიში მოხდა გაფიცულთა დემონსტრაციები, რომლებიც გაფანტა ჟანდარმერიამ. ორი ჟანდარმი და ერთი მუშა დაჭრილია.**

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ათინაში გადაწყდა მიღებულ იქნას ზომები თამბაქოს ფაბრიკების დასაცავად და არავითარი მოლაპარაკება არ გაიმართოს გაფიცულებთან. ჯერ-ჯერობით შეუმოწმებელი ცნობებით **კავალაში და პრავიში თითქოს მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები გაფიცულებსა და პოლიციას შორის. შეტაკებების დროს მოკლულია რამოდენიმე კაცი და დაიჭრა 15.** პოლიციამ დააპატიმრა 50 გაფიცული. (ადს)

პეპესოველები თავს ესხმიან მუშებს

ვარშავა, 12 ივნისი. სეიმის კომფრაქციამ ბრუდნოში (ვარშავის მახლობელი უბანი) მცხოვრები მუშებისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც მუშები იტყობინებიან, რომ 2 ივნისს პეპესოველთა (პოლონეთის სოციალისტური პარტია) რაზმმა, რომელიც 4 საბარგო ავტომობილით მოვიდა, ცემა დაუწყო ბრუდნოს უბნის მუშებს. ამ მუშების ისინი ბრალს სდებენ კომუნისტურ მუშაობაში. რაზმელებმა მუშებს დაუშინეს რევოლვერები და დასჭრეს 16 კაცი. 10 ივნისს რაზმელები კიდევ დაესხნენ თავს ბრუდნოს უბნის მუშებს. (ადს)

გაფიცვის აკრძალვა ნორვეგიაში

შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ

ოსლო, 12 ივნისი. იუწყებიან, რომ **ნორვეგიის მთავრობამ გადასწყვიტა სავსებით გაატაროს ცხოვრებაში ახალი კანონი, რომელიც კრძალავს გაფიცვას და სასჯელს აწესებს გაფიცულთა დახმარების აღმოჩენისათვის.** ამ კანონის მიხედვით ოსლოში დააპატიმრეს ნორვეგიის კომპარტიის ორგანოს „ნორიეს კომუნისტბლად“-ის რედაქტორი ქრისტიანსენი, მთელი რიგი პირები დააჯარიმეს გაფიცულთათვის დახმარების აღმოჩენის გამო. ნორვეგიის ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, **რომ ხელისუფლებას განზრახვა აქვს დააჯარიმოს პროფკავშირების ყველა წევრები, რომლებიც ხელს უწყობენ გაფიცულებს თანხების რეგულიალური მიწოდებით. (ადს)**

უშიშროების კომიტეტის სესია

პარიზი, 12 ივნისი. განიარაღების კონფერენციის უშიშროების კომიტეტის მესამე სესია დაიწყება 27 ივნისს ჟენევაში.

ამერიკის რესპუბლიკანური პარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. გაიხსნა რესპუბლიკანური პარტიის ნაციონალური ყრილობა. რომელიც მოწვეულია კანდიდატის დასანიშნავად პრეზიდენტის პოსტზე. უაღრესად გავლენიანმა პენსილვანიის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს **მელონი,**მხარი და უჭირა **გუვერის** დანიშვნას. გუვერის კანდიდატურის დამტკიცება თითქმის უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს. (ადს)

„მემარცხენეების“ კაპიტულიაცია

სტოკჰოლმი, 12 ივნისი. შვეციის სოციალ - დემოკრატიული პარტიის კონგრესი, რომელიც ამას წინად დამთავრდა, ჩატარდა მემარცხენე ფრთის (რომელსაც მეთაურობს ხეგლუნდი) სრული კაპიტულიაციის ნიშან ქვეშ. მემარცხენე ფრთის ბელადები კომპრომისზე წავიდნენ კონგრესის დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხებში (ადს).

შეტაკება ფაშისტებთან

პარიზი, 12 ივნისი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ციურიხში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და იტალიელ ფაშისტებს შორის. შეტაკების დროს დაიჭრა 8 კაცი. დაპატიმრებულია 22 კაცი. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

1,160.000 უმუშევარი ინგლისში

ლონდონი, 12 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

— „შრომის სამინისტროს ცნობებით უმუშევართა რიცხვი ინგლისში 4 ივნისისათვის შეადგენდა 1.160.000 კაცს, 58.974 კაცით მეტს, ვიდრე გასულ წელში“. (ადს).

რეფორმისტები სდევნიან მემარცხენე მუშებს

ბერლინი, 13 ივნისი. გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირებში უკანასკნელ დროს გახშირდა იმ მუშების გამორიცხვა და თანამდებობიდან მოხსნა, რომლებიც მხარს უჭერენ პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობას. რკინისგზელთა კავშირის ცეკამ დაშალა კენიგსბერგის ორგანიზაცია იმის გამო, რომ უკანასკნელმა გადასწყვიტა ეწარმოებია ბრძოლა ხელფასის გასადიდებლად. მელითონეთა ცეკამ დაადგინა გამორიცხოს ჰალეს განყოფილების თავმჯდომარე ლიუტიხი იმის გამო, რომ მან მხარი დაუჭირა კომუნისტების წინადადებას გაფიცულ მელითონეებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მაგდებურგში მელითონეთა კავშირიდან გამორიცხულია ქალაქის საბჭოს ოთხი კომუნისტი ხმოსანი იმის გამო, რომ მათ შეიტანეს საბჭოში წინადადება გაფიცულ მელითონეებისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ. ხის დამმუშავებელთა კავშირის ბერლინის განყოფილების გამგეობამ დაადგინა წინადადება მისცეს ცეკას გამორიცხოს კავშირიდან გერმანიის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის მდივანი პიკი და პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის სხვა მომხრეები. რეფორმისტულ ლიდერების ტერორის რეჟიმმა ძლიერი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია მუშებში. მთელ რიგ წარმოებებში შესდგა მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებმაც გაილაშქრეს პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის მომხრეთა გამორიცხვის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ დღეებში შესდგა ბერლინ-ოსტენის რაიონის ხის დამუშავებელთა პროფკავშირის ორგანიზაციის სადელეგატო კრება, რომელმაც გაილაშქრა პიკისა და სხვების კავშირიდან გამორიცხვის წინააღმდეგ. (ადს).

ბოგროვის ჯალათების გასამართლება

კიევი, 13 ივნისი. კიევში საოლქო სასამართლო ამ დღეებში გაარჩევს კიევის არსენალის ყოფილი ოსტატების სერგეევის და კუზნეცოვის საქმეს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბოგროვის (სტოლიპინის მკვლელი) სიკვდილით დასჯაში. კუზნეცოვი და სერგეევი 1908 წელში იყვნენ მონარქისტული ორგანიზაციის—„რუსი გოლიათები“-ს წევრები და ნებაყოფლობით დათანხმდნენ ბოგროვის სიკვდილით დასჯაში მონაწილეობაზე. სერგეევი ამბობს, რომ ბოგროვმა ჩამოხრჩობის წინ პირში ჩააფურთხა ჯალათს. ბოგროვის ჩამოხრჩობის შემდეგ სერგეევმა დაანახვა მუშებს თოკი, რომლითაც ჩამოხრჩობილ იქნა ბოგროვი და განაცხადა, რომ ასეთი ბედი ეწვევა ყოველ მუშას, რომელიც უკმაყოფილოა მონარქისტული ხელისუფლებით. (ადს).

ანტისაბჭოთა ორგანიზაცია

ორშა, 13 ივნისი. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოებმა მოსკოვ-ბელორუსია-ბალტიის გზის შეგირდობის სკოლაში აღმოაჩინა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია. სკოლის სათავეში იმყოფებოდა პავლოვსკი და კლიშევიჩი, რომლებიც დათხოვნის მუქარით ახშობდენ მოსწავლეთა ინიციატივას. კლიშევიჩმა კრონშტადტის აჯანყების დროს გაფიცვა მოაწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ვოლგის მხარეში შიმშილობის დროს ის თავის ბინაზე მალავდა საეკლესიო განძეულობას. მოსწავლეთა და აგრეთვე კომკავშირელთა კრებები სკოლაში აკრძალული იყო. სასკოლო საბჭოში კლიშევიჩმა, როცა იგი ლაპარაკობდა მოსწავლეთა ბეჯითობის შესახებ, განაცხადა:

„რამდენადაც ეს მოსწავლენი თავისი სოციალური მდგომარეობით მუშები არიან, ამის გამო ბუნებრივი ნიჭით არ შეუძლიათ რთული მეცნიერების შეთვისება“-ო. სკოლის ორივე ხელმძღვანელი დაპატიმრებულია. (ადს).

ნობილეს დასახმარებლად

„კრასინი“ ემზადება გასვლისათვის

მოსკოვი, 13 ივნისი. დასავლეთის ექსპედიციის უფროსმა პროფესორმა სამოილოვიჩმა თავდაცვა-ავიაქიმის მიერ მოწყობილ დამხმარე კომიტეტს აცნობა, რომ მუშაობა ყინულის მჭრელ გემ „კრასინი“-ს ზღვაში გასასვლელად ენერგიულად სწარმოებს. „კრასინი“ ყოველ-დღიურად ხარჯავს 10 ტონა ქვა-ნახშირს. ვინაიდან ქვა-ნახშირი გემს ასეთი დიდი რაოდენობით ესაჭიროება, ქვა-ნახშირის დატვირთვა, რომელიც სწარმოებს დღისით და ღამით, დიდ დროს მოითხოვს. ექსპედიციის ხელმძღვანელის აზრით, აუცილებელია გემის შეჩერება ბერგენში ან ტრონსგეიმში, რათა იქ მიღებულ იქნას კარდიფის ქვა-ნახშირი, საჭირო ხელსაწყოები და თბილი ტანსაცმელი. მაგრამ ოპერაციის დაჩქარების მიზნით, კომიტეტმა გასცა ბრძანება, რომ გემმა ლენინგრადიდან წაიღოს ყოველივე საჭირო მასალა და პირდაპირ გაემართოს კინგსბეისაკენ, სადაც შესაძლო იქნება მარაგის შევსება. მფრინავი ჩუხნოვსკი იუწყება, რომ მან მიიღო ახალი სამმოტორიანი აეროპლანი. მთელი მზადება ზღვაში გასასვლელად დამთავრდება 14 ივნისს და ყინულის მჭრელი გემი გავა ზღვაში.

„მალიგინი“ ემზადება წასასვლელად

არხანგელსკი, 12 ივნისი. ღამით ყინულის მჭრელი გემი „მალიგინი“ გავიდა შპიცბერგენისკენ. იუნკერსისათვის საჭირო სათბობი მასალა მიღებულია. იუნკერსით გაფრინდებიან ამხ. სერგეევი, ვორობიოვი და მექანიკოსი კვიატკოვსკი. 14 ივნისს დილით „მალიგინი“ მურმანსკში დაუცდის ბაბუშკინს, რომელიც მოსკოვიდან გაემგზავრა ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად (ადს).

„მალიგინი“ გავიდა ზღვაში

მოსკოვი, 13 ივნისი. აღმოსავლეთის ექსპედიცია ყინულის მჭრელ გემ „მალიგინით“ გავიდა ზღვაში (ადს).

იტალიის ელჩის თხოვნა

მოსკოვი, 13 ივნისი. იტალიის ნორვეგიელმა ელჩმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით სთხოვა თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების დამხმარე კომიტეტს გაგზავნოს ყინულის მჭრელი გემი „კრასინი“ ნობილეს დასახმარებლად. კომიტეტმა დააკმაყოფილა თხოვნა და აღნიშნა, რომ მუშაობა გემ „კრასინი“-ს გასაგზავნად ენერგიულად და სწრაფი ტემპით სწარმოებს.

„პერსეი“ გავიდა ზღვაში

მოსკოვი, 13 ივნისი. 12 ივნისს დილის 6 საათზე გემი „პერსეი“ გავიდა ზღვაში. გემზე იმყოფება 25 კაცი, მეზღვაურები, ექსპედიციის პერსონალი (2 კაცი) და 1 რადისტი. „პერსეი“ პირველივე რეისით გაემართება მე-30 მერიდიანისაკენ ყინულებამდე (ადს).

„მალიგინ“-ის რადიოგრამა

მოსკოვი, 13 ივნისი. 13 ივნისს დილით ნობილეს დამხმარე კომიტეტმა მიიღო რადიოგრამა „მალიგინ“-იდან, რომელიც გავიდა არხანგელსკიდან და მიემართება მურმანსკისაკენ. (ადს).

„ჩიტა დი მილანო“-ს ცნობა

მოსკოვი, 13 ივნისი. „ჩიტა დი მილანო“-მ აცნობა ნობილეს დამხმარე კომიტეტს, რომ დირიჟაბლის რაზმი, რომელიც მიელის საბჭოთა ყინულის მჭრელ გემებს და აეროპლანებს, წითელ კარავს მოაწყობს თავის სადგომზე ან ყოველ შემთხვევაში შორს დასანახი სიგნალებით შეეცდება შეამჩნევინოს თავი დამხმარე ექსპედიციებს. იბადება შიში, რომ ნობილეს ექსპედიციის აკუმულიატორების ენერგია უკვე ილევა. ეს გააძნელებს რადიო კავშირის შენარჩუნებას ნობილესთან.

ნაციონალური ოლქების მრეწველობა

ეროვნებათა საბჭოს დადგენილება ა.-კავკასიის უზბეკისტანის და თურქმენისტანის მრეწველობის შესახებ

მოსკოვი, 13 ივნისი. ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ამიერ-კავკასიის, უზბეკისტანის და თურქმენისტანის მრეწველობის შესახებ ნათქვამია:

„ამიერ-კავკასიის მრეწველობის მიმართ ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანური მრეწველობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სუსტად იყო განვითარებული, 1925-26 წლიდან ვითარდება, რასაც ხელს უწყობს მთელ რიგ რაიონულ და ადგილობრივ მნიშვნელობის ჰიდრო-ელსადგურების (ზაჰესი, რიონჰესი, კალაგერანის ელსადგური) აგება, რომლებიც ჰქმნიან ენერგეტიულ ბაზას ამიერ-კავკასიის იმ საწარმოთათვის, რომლებიც ამჟამად შენდება.

შემდეგ პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ა.-კ. მრეწველობისათვის გაღებული საწარმოო კაპიტალური ხარჯები, უმთავრესად, ხმარდებოდა ახალმშენებლობას. ამიერ-კავკასიაში ყველაზე მეტი საფუძველი აქვს ბამბის, აბრეშუმის, მატყლის დამმუშავებელ, სატყეო და სამთო მრეწველობას.

პრეზიდიუმი აღნიშნავს აგრეთვე მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარებას; თვით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანური მრეწველობის ტემპი ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში საერთოდ გათვალისწინებულია სწორად—ქვეყნის ნედლეულის რესურსების აღრიცხვით, მაგრამ ამასთანავე ხუთწლიანი გეგმის შემდგომი გადამუშავების დროს საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს სამთო მრეწველობის (ტყვარჩელისა და დაშქესანის პრობლემა) განვითარებას და განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს გეოლოგიურ გამოკვლევებს, ვინაიდან სამთო მრეწველობა სუსტადაა განვითარებული მიუხედავად იმისა, რომ ა.-კ. მდიდარია სამთა-მადნო სიმდიდრით. პრეზიდიუმი საქართველოსა და აზერბეიჯანის მთავრობების ყურადღებას მიაქცევს საქართველოსა და აზერბეიჯანის ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების მრეწველობის უფრო მეტად განვითარებას, ვინაიდან აღნიშნულ რესპუბლიკებისა და ოლქების მრეწველობა გაცილებით უფრო სუსტადაა განვითარებული, ვიდრე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანური მრეწველობა.

უზბეკისტანის მრეწველობის მიმართ პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საკავშირო ს. მ. ს. საერთოდ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში სწორ პოლიტიკას ატარებდა უზბეკისტანის მრეწველობის განვითარების მიზნით: საკავშირო ს. მ. უ. ს. უზბეკისტანში ჰქმნიდა მრეწველობის სხვადასხვა დარგებს, რომლებიც შეეფერებოდა ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს და მისი სახალხო მეურნეობის ინტერესებს და აფართოვებდა მრეწველობის ძველ დარგებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი არ იყვნენ მოკლებული საღ ეკონომიურ და ტეხნიკურ საფუძვლებს (ნავთი, კონსერვები, ღვინო).

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ უზბეკისტანის მრეწველობის განვითარების ახალი პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მრეწველობისათვის მაქსიმალურად გამოყენებას, რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის უფრო ზედმიწევნით გამოკვლევას ამ სიმდიდრის რაც შეიძლება სწრაფი ექსპლოატაციის მიზნით. აღნიშნავს რა რესპუბლიკის ელექტროფიკაციის გეგმის დაუმუშავებლობას, პრეზიდიუმი ადგენს, რომ ახალ 5-წლიან გეგმაში გადადგმულ იქნეს მტკიცე ნაბიჯი ენერგეტიულ პრობლემის გადასაჭრელად ყირგიზეთის ქვანახშირის ბუდობების აღრიცხვით.

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საკავშირო ს. მ. უ. ს. პოლიტიკა თურქმენისტანის მრეწველობის მიმართ ამ უკანასკნელ წლებში სწორი იყო. ახალი პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს თურქმენისტანის ბუნებრივი სიმდიდრისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გამოყენებას. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს მეოთხე პლენუმი

მოსკოვი, 13 ივნისი. ამხ. ტომსკის თავმჯდომარეობით გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მე-4 პლენუმი. პირველ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების საკავშირო ბიუროს წარმომადგენლის პროფესორ შეინის მოხსენება საინჟინერო-ტეხნიკურ სექციების მუშაობის შედეგებსა და პერსპექტივებზე. თავისი მოხსენების მნიშვნელოვან ნაწილში შეინი აღნიშნავს საინჟინერო-ტეხნიკურ მუშაკების მუშაობის ნაკლს.

საინჟინერო-ტეხნიკური სექციები მეტად სუსტია და ისინი არ არიან დაკავშირებული სპეციალისტების მთელ მასასთან. მეორე მხრით პროფკავშირები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საინჟენ.-ტეხნიკ. მუშაკებს. ხშირად ინჟინერები და ტეხნიკოსები არ იცნობენ თავისი წარმოების საწარმოო გეგმებს. არის შემთხვევები, როცა სამეურნეო მუშაკები სდევნიან სპეციალისტებს საწარმოო თათბირებში მონაწილეობისათვის. ურთიერთობა სპეციალისტებსა და მუშებს შორის ამ უკანასკნელ დროს რამდენათმე გაუარესდა. მთავარ ნაკლს სპეციალისტების მუშაობაში წარმოადგენს ის, რომ ძველ და ახალგაზრდა ინჟინრებს შორის არაა მჭიდრო საწარმოო კავშირი.

თავის მოხსენებას შეინი ამთავრებს მოწოდებით ინჟენერებისადმი—გააძლიერონ საზოგადოებრივი მუშაობა. შეგნებულმა ინჟენრებმა მთლიანად უნდა დაიპყრონ სპეციალისტების ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ეჭვებისა და ცრუმორწმუნეობისაგან. (ადს).

თავდაცვის კვირეული

მოსკოვი, 13 ივნისი, საბჭოთა კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმმა დაადგინა 15-დან 22 ივლისამდე ჩაატაროს თავდაცვის კვირეული. თავდაცვის კვირეულის ჩატარების დროს დაარსდება „თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების მასიური მუშაობის განმტკიცების ფონდი“. ამ დღეებში გაიხსნება ქიმიური თავდაცვის ინსტიტუტი და წითელ არმიას გადაეცემა აეროპლანების მორიგი სერია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენის“ ფონდიდან. (ადს)

სატელეგრაფო ხაზის დაზიანების გამო გუშინ დეპეშები მცირე რაოდენობით იქნა მიღებული. ამავე მიზეზით არ მიგვიღია ინფორმაცია ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან.

შახტის კონტრ-რევოლუციონერების გასამართლება

11 ივნისის საღამოს სხდომა

ინჟ. სუშჩევსკის დაკითხვა

მოსკოვი, 12 ივნისი. საღამოს სხდომაზე სასამართლო შეუდგა ბრალდებულ ინჟ. სუშჩევსკის დაკითხვას.

სუშჩევსკი პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის იყო შჩერბინოვკის მაღაროების სამმართველოს მთავარი ინჟინერიად. მან საზიანო მუშაობა არსებითად დაიწყო შჩერბინოვკაში, მაგრამ სუშჩევსკის უშუალო კავშირი დვორჟანჩიკთან და უკანასკნელის დირექტივების განხორციელება სხვა ინჟინერების დახმარებით სუშჩევსკის ხდის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელად. სუშჩევსკის სახელი დაკავშირებულია დამზიანებელთა ორგანიზაციის ხარკოვის ცენტრალურ შტაბთან.

სუშჩევსკიმ, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს დამნაშავედ სცნო თავი, სასამართლოს თავდაპირველად განუცხადა, რომ დამნაშავედ სცნობს თავს მხოლოდ ნაწილობრივ; ეხლა დაკითხვის დროს კითხვაზე დანაშაულობის შესახებ სუშჩევსკი სხვანაირად უპასუხებს: „მე თავს დამნაშავედ ვსცნობ სავსებით ყველა წამოყენებულ ბრალდებებში და მოგცემთ განმარტებას ზოგიერთ კონკრეტულ მომენტების შესახებ".

იმუშავა რა 11 წლიწადი წარმოებაში, ის ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დააფასებს მას, როგორც ტეხნიკოსს მაინც, და, რომ ის შეიძლება გამოადგეს არსებულ ხელისუფლებას. მას აშინებდა მხოლოდ ერთი რამ—როგორ იმუშავებს ის სხვა კლასის, სხვაგვარ შეხედულებების მქონე ხალხთან.

სხვა კლასის ხალხი, რომელთაც ხელში აიღეს ძალაუფლება, მას და მის სიტყვებს განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდენ. მას მისცეს მუშაობის სრული შესაძლებლობა და ეს შესაძლებლობა მან ჰქონდა რევკომისა და მუშათა გამგეობის დროს, რომელიც დაარსდა შემდეგ და რომლის შემადგენლობაში არჩეულ იქნა ის—ინჟინერი სუშჩევსკი. 1920 წელს მაღაროების გამგედ დანიშნულ იქნა ლაპინი. ლაპინი და მუშები სუშჩევსკის კარგათ ეპყრობოდნენ და მას არავინ ხელს არ უშლიდა მუშაობაში. სუშჩევსკი აღელვებით და ტირილით მოუთხრობს სასამართლოს თავისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ.

1921 წ. ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალურ გამგეობაში სუშჩევსკი შეხვდა ვილაც ბიხოვსკის, რომელიც ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან. წინად სუშჩევსკი არ იცნობდა ბიხოვსკის. ბიხოვსკიმ აცნობა მას, რომ პოლონეთში მან ინახულა დვორჟანჩიკი და, რომ დვორჟანჩიკმა მას სთხოვა გადაეცა სალამი მისი ყოფილ ინჟინერებისათვის და ეკითხა, რა მდგომარეობაშია მაღაროები. ცოტა ხნის შემდეგ ბიხოვსკიმ დააპირა პოლონეთში წასვლა. გამგზავრების წინ ის დიდ ხანს ეხვეწებოდა სუშჩევსკის: „მისწერეთ რამე დვორჟანჩიკს, თორემ ეწყინებაო".

სუშჩევსკი აღიარებს, რომ დაბოლოს დასთანხმდა და მისწერა დვორჟანჩიკს მოკლე წერილი, რომელშიაც აცნობდა მაღაროების საერთო მდგომარეობას და ატყობინებდა, რომ მაღაროები არ არის წყლით ამოვსებული.

დვორჟანჩიკი სალამით არ დაკმაყოფილდა. მალე მან თავის ყოფილ ინჟინერს გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც სწერდა, რომ მოხარულია, რომ სუშჩევსკი დარჩა მაღაროებში, ეხლა ყველაფერი კარგად იქნება და სხ.

ეს იყო დასაწყისი. 1923 წელს, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგებოდა, ინჟინერებს შორის, რომლებსაც სუშჩევსკი ხვდებოდა ქვანახშირის მრეწველობის ცენტრალურ გამგეობაში, დაიწყო ლაპარაკი ყოფილ მეპატრონეების შესახებ. ამბობდენ, რომ შესაძლებელია მათთან კავშირის დაჭერა და მათგან ცოტა რამის მიღება ფულადი ჯილდოს სახით. ამ ინჟინრებს შორის იყო ბახტიაროვი, რომელსაც ის თავის ბოროტ გენიათ სთვლის. ბახტიაროვმა გაზვია ის ამ ისტორიაში. იყვნენ ამ წრეში შადლუნი, პოტიომკინი, რუბანოვიჩი.

1923 წელს ოდროვმა სუშჩევსკის ჩამოუტანა დვორჟანჩიკის წერილი და პაკეტი, რომელშიაც იყო 1.000 მან. წერილში დვორჟანჩიკი ეკითხებოდა მას რა ხდება მაღაროებში და ურჩევდა განიახლებინა ახალი მაღაროს გათხრა, რომელიც შეჩერებულ იქნა 1916 წელს. იმავე წელს შემოდგომის დასაწყისში ჩამოვიდა ბახტიაროვი და ჩამოიტანა ფული დვორჟანჩიკისაგან.

ბახტიაროვმა განუცხადა სუშჩევსკის, რომ საზღვარგარეთ ჩამოყალიბდა ყოფილ მეპატრონეთა ჯგუფი, რომელსაც სურს აღადგინოს კონტაქტი თავის ყოფილ მოსამსახურეებთან.

ეს საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ ყოფილი მეპატრონეები გაცნობილი იყვნენ საქმესთან, არამედ აგრეთვე იმისათვის, რომ მოახდინონ ერთგვარი გავლენა საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაზე. სუშჩევსკი გრძნობდა, რომ ერეოდა მეტად ცუდ საქმეში, მაგრამ უარის თქმა ვეღარ შესძლო.

სუშჩევსკი მოუთხრობს სასამართლოს საზიანო მუშაობის სხვადასხვა მომენტების შესახებ („ფართე" საჯინიბოს აგება, საზიანო მუშაობა ჩრდილოეთ მაღაროებში, ვენტილატორის ამბავი და სხვ.).

ამის შემდეგ სასამართლოს სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა შესდგება 12 ივნისს დილით. (ადს).

12 ივნისის დილის სხდომა

მოსკოვი, 13 ივნისი. 12 ივნისის დილის სხდომაზე გრძელდება ბრალდებულ სუშჩევსკის დაკითხვა.

ამთავრებს რა წინა დღით შეწყვეტილ ახსნა-განმარტებებს, სუშჩევსკი ჩერდება შჩერბინოვკის მაღაროების სამმართველოში წარმოებულ საზიანო მუშაობის ცალკე დეტალებზე.

დაწვრილებით ჩერდება სუშჩევსკი წაყენებულ ბრალდებაზე იმის შესახებ, რომ ის აწარმოებდა წვრილ მაღაროების გათხრას და ექსპლოატაციას მსხვილი მაღაროთა მშენებლობის საზიანოდ. სუშჩევსკი ასახელებს მაღაროებს, რომელშიაც სწარმოებდა მუშაობა უფრო მსხვილი და მდიდარი მაღაროების საზიანოდ, და აღიარებს, რომ ამ მაღაროების გათხრა მიზანშეუწონელი იყო. წვრილი მაღაროების მშენებლობის გაფართოებაში სუშჩევსკი ბრალს სდებს „დონუგოლს". ეს იყო „დონუგოლის" იდეა, მაგრამ ასეთივე იდეა ჰქონდა დვორჟანჩიკსაც და ამგვარად „დონუგოლი" არსებითად მუშაობდა დვორჟანჩიკის გეგმების მიხედვით.

სუშჩევსკი გაურბის პირდაპირ და გარკვევით დასმულ კითხვებს, მაგრამ დაბოლოს იძულებულია აღიაროს, რომ მისი მოქმედება შეთანხმებული იყო იმავე დვორჟანჩიკის დირექტივებთან.

თავის მონაწილეობას წვრილ მაღაროების მშენებლობაში სუშჩევსკი საზიანო მუშაობათ სთვლის.

იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო სუშჩევსკიმ ფულების მიღება დვორჟანჩიკიდან, მან სასამართლოს მოუთხრო თავისი ჩვენებების დასაწყისში. უბრუნდება რა ამ საკითხს, ის უმთავრესად ლაპარაკობს არა თავის თავზე, არამედ თავის „კლიენტურაზე". ბახტიაროვთან პირველი საუბრის დროს სუშჩევსკიმ გამოარკვია ვისთვის და რამდენი უნდა მიეცა მას ფული. ყველამ, ვინც მათგან ღებულობდა ფულს, აუცილებლად იცოდა საიდან იყო ეს ფული.

სუშჩევსკიმ ერთ-ორჯერ ფული მიიღო ბახტიაროვისაგან, შემდეგ ბუდნისაგან. 1925 წელს საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ სუშჩევსკი, მისი სიტყვით, ფულს ღებულობდა მხოლოდ თავისთვის, სხვებისთვის ფულის გადაცემა მას აღარ ევალებოდა.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს მან ბიხოვსკის საშუალებით გადასცა დვორჟანჩიკს, რომ მას არ უნდა მიიღოს უფრო მეტი, ვინემ ღებულობს საერთოდ გამგე.

1926 წელს ფული ჩამოიტანა პაზარინუვმა. ფული განაწილებული იქნა ბახტიაროვის და ბრატანოვსკის თანდასწრებით. შჩერბინოვკას მაშინ მისცეს 1.000 მან.

— მე მაშინ შემექმნა ისეთი შთაბეჭდილება,—ამბობს სუშჩევსკი,—რომ „დონუგოლის" დირექტორატი და ჯგუფური დირექტორატი არსებითად იყვნენ დამზიანებელთა ორგანიზაციის ხელმძღვანელნი. თუ თქვენ მიხვიდოდით დირექტორატში მოხვდებოდით ორგანიზაციაშიც.

„დონუგოლში" თათბირები იმართებოდა ბიბლიოთეკასთან არსებულ ოთახში ან ბოიარჩინის კაბინეტში. ძნელი იყო იმის გამორკვევა ვინ ლაპარაკობდა „დონუგოლის" დირექტორატი თუ დამზიანებელთა ორგანიზაციის დირექტორატი. უმთავრესი, რაშიაც სუშჩევსკი დამნაშავედ სთვლის თავს, ეს არის—დვორჟანჩიკისაგან მიღებულ დირექტივების გადაცემა დამზიანებელთა ორგანიზაციისათვის 1924 წელს.

დვორჟანჩიკის მიერ გამოგზავნილი დირექტივები არსებითად არ ყოფილა მისი დირექტივები. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუქციებიდან იყო მითითება იმაზე, რომ უნდა მოეწყოს ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს ძველ მეპატრონეთა პოლიტიკას—მათთვის ჩამორთმეულ წარმოებების შენარჩუნებას.

ეს ინსტრუქცია სუშჩევსკიმ გადასცა ჯგუფურ დირექტორატს.

ის განხილულ იქნა ბახტიაროვის ბინაზე. ინსტრუქციის განხორციელება მთელი დონბასის მასშტაბით მიენდო მატოვს და ბახტიაროვს.

სასამართლო გადადის სუშჩევსკის დაკითხვაზე. კითხვაზე დანაშაულის შესახებ სუშჩევსკიმ, რომელმაც პირველად ნაწილობრივ იცნო თავი დამნაშავედ, ეხლა, როგორც ვიცით, უპასუხა, რომ მთლიანად დამნაშავედ სცნობს თავს. მისი ახსნა-განმარტებებიდან კი ეს არ გამომდინარეობს. ის სცნობს მთლიანად, მაგრამ მისი ჩვენებიდან გამოდის, რომ დამნაშავეა ნაწილობრივ.

— „ბოლოს და ბოლოს—ეკითხება ვიშინსკი—სცნობთ თუ არა თქვენ, რომ თავისი მუშაობით ზიანი მიაყენეთ საბჭოთა სახელმწიფოს. სცნობთ თუ არა, რომ თქვენი მუშაობა იყო საზიანო?

— ვსცნობ, მე თავიდანვე განვუცხადე სასამართლოს, რომ ვსცნობ—უპასუხებს ბრალდებული, მაგრამ ცდილობს რა კონკრეტულად ჩამოაყალიბოს მის მიერ წარმოებული საზიანო მუშაობა, ის კვლავ გაურბის პირდაპირ პასუხს.

ბრალდებულს მთელ რიგ კითხვებს აძლევს ამხ. კრილენკო. საკითხები დაკავშირებულია სუშჩევსკის მიერ წარმოებულ საზიანო მუშაობის ბუნებასთან, კერძოდ, მის მოქმედებასთან შჩერბინოვის მაღაროების სამმართველოში. აქაც ის კიდევაც სცნობს თავს დამნაშავედ და არც სცნობს. ის არ უარყოფს ფაქტებს, მაგრამ იგონებს სხვადასხვა გარემოებებს. დაბოლოს ის იძულებულია მტკიცედ აღიაროს, რომ ახალი მაღაროების მშენებლობის დარგში ის ასრულებდა დვორჟანჩიკის პირდაპირ დირექტივებს.

შეიძლება თუ არა გამოვიტანოთ დასკვნა—ეკითხება ამხ. როგინსკი, რომ განსაზღვრულ პერიოდში, როცა თქვენ მუშაობდით შჩერბინოვკაში მთავარი ინჟინერის თანამდებობაზე, თქვენ წარმოადგენდით ორგანიზაციის შემაერთებელ რგოლს ხარკოვსა და მაღაროების ცალკე სამმართველოებს შორის საზღვარგარეთ.

ბრალდებული ამბობს, რომ მისი როლის ასეთი დახასიათება დამზიანებელთა ორგანიზაციაში სწორია.

ბად შტიბერის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებულ ბად-შტიბერის დაკითხვაზე. ბრალდებული უჩვენებს, რომ 1926 წელს ის ჩავიდა ვლასოვკაში მანქანის და იმ ფენის დასათვალიერებლად, რომელზედაც ამ მანქანას უნდა ემუშავა. დათვალიერების დროს მან გამოარკვია, რომ მანქანა, იმ სახით, როგორც ის იქნა ჩამოტანილი, სამუშაოდ არ გამოდგება. ამის შესახებ მან განუცხადა ინჟინერ ლევენსონს, რომელმაც დაჰპირდა, რომ ამის შესახებ მოაწყობს თათბირს. ვლასოვკიდან ბადშტიბერი გადავიდა ვოროვსკის სახელობის მაღაროში, სადაც მას შეხვდა გავრიუშენკო და ნიკიშინი. როცა გავრიუშენკოსა და ნიკიშინთან ერთად ბადშტიბერი წავიდა მანქანის დასათვალიერებლად, აღმოჩნდა, რომ მანქანა ძლიერ ცუდი ღირსებისაა. ბადშტიბერის სიტყვით, ნიკიშინი და გავრიუშენკო კარგად ხედავდენ მანქანის ყველა დეფექტებს, მაგრამ შეეცადენ, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაეგზავნათ მანქანა მაღაროში. გაგზავნეს კიდეც მაგარ ფენაზე სამუშაოდ და ცოტა ხნის შემდეგ მანქანა სრულიად გაფუჭდა.

შემდეგ ბადშტიბერი უჩვენებს, რომ ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვიდა ინჟინერი ზეებოლდი. ზეებოლდი გავრიუშენკოსა და ნიკიშინთან ერთად წავიდა ბადშტიბერის ბინაზე, სადაც გამართული იყო სადილი. ბადშტიბერი ამბობს, რომ ზეებოლდი გავრიუშენკოსთან ლაპარაკში აღნიშნავდა, რომ უცხოელები არ არიან ისე სულელები, რომ მისცენ ბოლშევიკებს კარგი მანქანები და დაეხმარონ მათ სამეურნეო მუშაობაში. წასვლის წინ ზეებოლდმა ბადშტიბერს ჩააბარა ორი კონვერტი გავრიუშენკოსა და ნიკიშინისათვის, რათა მათ ხელი არ შეეშალათ მანქანების მიღებისათვის. ბადშტიბერმა გადასცა ფული ნიკიშინს და განუცხადა, რომ ეს ფული გამოგზავნა ფირმამ მანქანების დადგმისათვის.

სხვა დროს ბადშტიბერი გაგზავნილ იქნა ბუტოვკაში, სადაც ჩავიდა აგრეთვე ინჟინერი ზეებოლდი, რათა დაემტკიცებია, რომ კნაპის მანქანები სავსებით გამოსადეგია. ბადშტიბერმა, მისი სიტყვით, ზეებოლდს განუცხადა, რომ ამას არ სურს ამ საქმეში მონაწილეობის მიღება, ხედავს რა მასში პირდაპირ მავნებლობას. ამაზე ზეებოლდმა არაფერი არ უპასუხა და ისე წავიდა. ამის შემდეგ ჩამოვიდა კომისია, რომელმაც შეადგინა ოქმი მანქანების უვარგისობის შესახებ. ბადშტიბერმა ხელი მოაწერა ამ ოქმს. ამის შემდეგ ბადშტიბერი გაიწვიეს სტალინოში ინჟინერ კესტერთან რომელმაც დატუქსა ბადშტიბერი და განაცხადა, რომ მისი საქციელი არალოიალურია გერმანიისა და აგრეთვე ფირმის მიმართ. ამასთანავე კესტერმა დაუმატა, რომ „საჭირო იყო ვინმესთვის რამდენიმე ასი მანეთის ჩადება ხელში და ყველაფერი კარგად იქნებოდა". შემდეგ მან სთქვა „რას იზამ, ისევ ინჟენერ ქუზმას უნდა მივსცე 2.500 მანეთი და ყველაფერი მოგვარებული იქნება".

სასამართლოს სხდომა იხურება საღამომდე.

12 ივნისის საღამოს სხდომა

შახტის პროცესის საღამოს სხდომაზე გრძელდება ბრალდებულ ბადშტიბერის მიერ ჩვენების მიცემა. ის მოუთხრობს სასამართლოს, რომ ერთხელ, როცა ის სტალინოში იყო, შემთხვევით ყური მოჰკრა ლაპარაკს კესტერსა და ზეებოლდს შორის. კესტერი ძლიერ მთვრალი იყო, ის ამბობდა, რომ საჭიროა მანქანების ჩაბარების დაჩქარება, რათა რუსებს ხელი არ შეეშალოთ მათ მიერ წარმოებულ საზიანო მუშაობაში. სტალინოდან ბადშტიბერი გაემგზავრა ბუტოვკაში, სადაც თვალყურს ადევნებდა მანქანის მუშაობას. მალე ბუტოვკაში ჩამოვიდა კომისია. გაეცნო რა ამ კომისიას მანქანის მუშაობა, ბადშტიბერმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია მუშაობა, ვინაიდან აქ არ არის მაღალი შინვის დენი. მიუხედავათ ამისა, კომისიამ სცნო, რომ მანქანას შეუძლია მუშაობა. ბადშტიბერმა გაიმეორა თავის აზრი, მაგრამ კომისიამ მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ, როცა ბადშტიბერი და კესტერი დარჩნენ მარტოთ, კესტერმა სასტიკად დატუქსა ის და განუცხადა, რომ მისი წყალობით კომისიის თავმჯდომარე ქუზმამ წაიღო 2,500 მან. იგივე უთხრა მას ხარკოვში ზეებოლდმა.

მალე ამის შემდეგ ბადშტიბერი დაბრუნდა გერმანიაში, მაგრამ იქ ცოტა ხანს დარჩა. ფირმას არ შეეძლო ეპატიებია მისთვის მისი „შეცდომები" და მას ცუდი თვალით უყურებდენ. რუსეთში ხელმეორედ გამგზავრების წინ ზეებოლდმა დაიბარა ის და გადასცა ორი ამანათი ბოლეცკისათვის. ამანათში იყო „დუხები", ჩულქები და სხვა.

„ოუგოსტალში", რომლის განკარგულებაში ჩამოვიდა ბადშტიბერი, მას აგზავნიდნენ მაღაროდან მაღაროში, იქ გაფუჭებულია ერთი, იქ კიდევ მეორე და სხვ. ის ყველგან აკეთებს რემონტს, მაგრამ ყველგან, სადაც ის იჩენს ერთგვარ ენერგიას და ცდილობს დეფექტების გამოსწორებას, მის მითითებებს სრული გულგრილობით ეპყრობიან. ბადშტიბერი სასამართლოს მოუთხრობს აგრეთვე, თუ როგორ დაიბარეს ის მაღარო „სოფიაში", სადაც თებერვალში მოვიდა საბურღი მანქანების მთელი ტრანსპორტი. როცა ბადშტიბერი მივიდა მაღაროში აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მანქანა უკვე ჩაუშვეს მაღაროში ისე, რომ წინასწარ არ გამოუცდიათ. მანქანა მაღაროში სამუშაოდ არ გამოდგა. ბადშტიბერმა დასვა საკითხი მეორე მანქანის გამოცდის შესახებ. მან ეს მანქანაც დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ ის არაფრად არ ვარგა. ბადშტიბერმა ამის შესახებ მისწერა ზეებოლდს, აცნობა რა მას, რომ ის მომავალში ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან და არ მიიღებს მონაწილეობას მანქანების გამოცდაში.

— ამ მანქანების შესახებ გქონდათ თუ არა თქვენ მოლაპარაკება ზებოლდთან და გადაეცით თუ არა ვისმეს ფული—ეკითხება ამხ. კრილენკო. ბადშტიბერი ადასტურებს ამას და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი პაკეტი, რომელშიაც იყო 800 მანეთი, მან გადასცა გავრიუშენკოს, მეორე კი ნიკიშინს. სასამართლომ გამოიძახა ნიკიშინი, რომელიც ადასტურებს, რომ მან მართლაც მიიღო 400 მანეთი, რომელიც მას ერგებოდა „კნაპის ფირმისაგან ზედმეტ სამუშაოებისათვის".

— როგორ, კნაპის ფირმა დაინტერესებული იყო იმაში, რომ თქვენ ზედმეტ მუშაობისათვის მიგეღოთ გასამრჯელო?

— არა, ის დაინტერესებული იყო მანქანების ჩაბარებაში.

ამით თავდება საღამოს სხდომა. (ადს).

თათბირი დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ

12 ივნისს, საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მდგომარეობის შესახებ საქართველოში. ამ მოხსენებით დამთავრდა ა.-კ. რესპუბლიკის განათლების სახკომების წარმომადგენელთა მოხსენებები ზემოხსენებულ საკითხზე, რის შემდეგაც დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელსაც მთლიანად მოუნდა შემდეგი სხდომაც.

სკოლის ჰასაკამდე აღზრდა საქართველოში

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენებიდან ირკვევა, რომ სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მხრივ საქართველოს რესპუბლიკა წინ უსწრებს თავის მოძმე მეზობელ რესპუბლიკებს, როგორც სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობით, ისე იქ წარმოებულ მუშაობის ხარისხითაც. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მუშაობს სულ 200 სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულება. აქედან მეტი წილი დაწესებულებებისა მოთავსებულია თბილისში და რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში. დაწესებულებაში მოთავსებულ ბავშვთა სოციალურ შემადგენლობის მხრივ ყველაზე მეტად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა თბილისში, სადაც ბავშვთა დიდი ნაწილი, დაახლოებით 50 პროც. წარმოადგენენ მუშების შვილები. პროვინციის ქალაქებში სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მთავარ კონტინგენტს შეადგენენ მოსამსახურეთა შვილები. შედარებით დამაკმაყოფილებელია სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მუშაკთა კადრი, რომელიც საკმარისია ამჟამად არსებულ დაწესებულებათათვის. მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სოციალური აღზრდის სამმართველოს მოუხდა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. ამ მიზნით მოწყობილი იყო მოკლევადიანი კურსები და გამართა სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის მუშაკთა რამოდენიმე კონფერენცია პედაგოგიურ-მეთოდიურ საკითხების შესასწავლად და დასამუშავებლად. სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის ყველა დაწესებულებები იმყოფებიან მთლიანად სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს ბიუჯეტზე. ამ დარგში საქართველოშიც თითქმის სრულიად არ სჩანს საზოგადოებრივი ინიციატივა: არც პროფესიონალურ, არც კოოპერატიულ და არც სამეურნეო ორგანიზაციებს ამ საქმეში თითქმის დღემდე არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ მხრივ საქართველოს წინ უსწრებს, როგორც აზერბეიჯანი, ისე სომხეთი, სადაც პროფესიონალურ-კოოპერატიული ორგანიზაციების მონაწილეობა და საზოგადოებრივი ინიციატივის როლი ამ საქმეში მნიშვნელოვანია. სუსტია აგრეთვე ჯანმრთელობის ორგანოების მონაწილეობა. დღემდე განათლების სახკომისარიატის და ჯანმრთელობის სახკომისარიატს შორის სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საქმეში დამყარებული არ არის საჭირო კონტაქტი. შემდეგ მომხსენებელი ეხება სკოლის ჰასაკამდე აღზრდის ნივთიერი უზრუნველყოფის საქმეს და საჭიროდ სცნობს თანხების გადიდებას, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების მიხედვით, ისე სხვა წყაროებიდანაც. იმის გამო, რომ განათლების სახკომისარიატის ბიუჯეტში სკოლის ჰასაკამდე აღზრდისათვის საჭირო თანხა გარკვეული არ არის, შეუძლებელი ხდება ცოტათ თუ ბევრად გეგმიანი მუშაობის წარმოება. საჭიროა ბიუჯეტში თავიდანვე განისაზღვროს სკოლის ჰასაკამდე აღზრდისათვის საჭირო თანხის რაოდენობა და ამასთანავე ერთად მიღებულ იქნეს ღონისძიებები სხვა წყაროების გამოსანახავად. კერძოდ, მომხსენებელს აუცილებლად მიაჩნია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის იმ ფონდიდან, რომელიც გამოყოფილია კულტურულ საგანმანათლებლო მიზნებისათვის, ნაწილი დაეთმოს სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს. გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სამეურნეო ორგანიზაციების ნივთიერი მონაწილეობა ამ დაწესებულებათა უზრუნველყოფის საქმეში.

კამათი

სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საკითხების გარშემო გამართა გაცხოველებული კამათი. პრინციპიალურ უთანხმოებას მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებსა და ორატორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს შორის თავი არ უჩენია. ორატორები უმთავრესად შეჩერდენ ამ დარგში შემჩნეულ ნაკლოვანებებზე და გამოსთქვეს თავისი შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად.

თითქმის ყველა ორატორები ერთხმად მოითხოვდენ, რომ სკოლის ჰასაკამდე აღზრდამ სახ. განათლების საერთო სისტემაში დაიჭიროს შესაფერი ადგილი, გადიდდეს განათლების ბიუჯეტში თანხები მის ხვედრით წონასთან შეფარდებით. ამავე დროს ორატორები საჭიროდ სცნობენ საზოგადოებრივი ინიციატივის გაძლიერებას, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებულებათა უფრო მეტ აქტიურ მონაწილეობას ამ საქმეში. აზერბეიჯანის დელეგატები უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ განათლების სახკომის სუსტი ხელმძღვანელობის გამო, რასაც ისინი მიაწერენ იმ გარემოებას, რომ ეს საქმე აზერბეიჯანში უმთავრესად ნაკისრები აქვს ქალთა ორგანიზაციებს, რომლებიც წარმატებით უძღვებიან მას. როგორც ორატორების სიტყვებიდან გამოირკვა, აზერბეიჯანის და სომხეთის განსახკომებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ ს. ჰ. აღზრდის მუშაკთა მომზადების საქმეში. გარდა იმისა, რომ მუშაკების დიდ ნაწილს არა აქვთ საკმაოდ სპეციალური ცოდნა, ისინი მოკლებულნი არიან აგრეთვე პოლიტიკურ მომზადებასაც.

განსაკუთრებით მოისუსტებს ს. ჰ. აღზრდა ეროვნულ უმცირესობათა შორის, რასაც ორატორები ხსნიან იმით, რომ საამისოდ მათ არ ყავთ ძალები, არა აქვთ ლიტერატურა და სხ. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საქართველოში, სადაც ეროვნულ უმცირესობათათვის მოწყობილია ს. ჰ. აღზრდის 12 დაწესებულება.

დელეგატების ყურადღება მიიპყრო აგრეთვე შენობების საკითხმა, საბავშო ბაღების და სახლების დიდ ნაწილს არა აქვთ შესაფერი შენობები. ბავშვებს, შენობების სივიწროვის გამო, უხდებათ შეხუთულ ჰაერში და ანტი-სანიტარულ პირობებში ყოფნა, რაც ძალიან ცუდად მოქმედობს მათ ჯანმრთელობაზე. შენობების ნაკლებობა აფერხებს ს. ჰ. აღზრდის ქსელის გაფართოებას.

ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე შეუთანხმებლობას განსახკომისა და ჯანსახკომის მუშაობის შორის ამ დარგში. საქმიო-სანიტარული საქმე საბავშო დაწესებულებებში ძალიან ცუდად არის დაყენებული. ბავშვების ფიზიკურ აღზრდას ნაკლები ყურადღება ექცევა, იშვიათია ისეთი დაწესებულება, რომელსაც ჰყავდეს ექიმი პედაგოგი. დღემდის ჯა ბავშთა ორგანოები ჩამოშორებული არიან საბავშო ბაღებსა და სახლებს. აუცილებლად საჭიროა, რომ დამყარდეს უფრო მეტი კონტაქტი განათლებისა და ჯანმრთელობის ორგანოების შორის ამ დარგში.

თითქმის ყველა ორატორები შეჩერდენ სამუშაო დროის გახანგრძლივების საკითხზე ს. ჰ. აღზრდის დაწესებულებებში. მათი აზრით, ბავშს საშუალება უნდა მიეცეს საბავშო ბაღში დარჩეს იმ დრომდე, ვიდრე მათი მშობლები სამუშაოდან არ განთავისუფლდებიან, ე. ი. 8 საათის განმავლობაში. შემდეგ დელეგატები მოითხოვენ უფრო მეტ მჭიდრო კავშირს საბავშო ბაღებს და მშობელთა შორის, რისთვისაც საჭიროა შეიქმნეს სათანადო პირობები მშობელთა წრეების ჩასაბმელად ს. ჰ. აღზრდის საქმეში. ზოგიერთი ორატორები აღნიშნავენ ს. ჰ. აღზრდის დაწესებულებათა და სკოლის პროგრამების შეუთანხმებლობას, რის გამოც ს. ჰ. აღზრდის დაწესებულებები სკოლებს ვერ აწვდიან მომზადებულ ბავშვებს. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს საქართველო, სადაც ს. ჰ. აღზრდის დაწესებულებებიდან გამოსული ბავშვები მომზადებით წინ უსწრებენ სხვა ბავშვებს.

დელეგატები ეხებიან აგრეთვე ბავშთა საზაფხულო დასვენების საკითხს და მოითხოვენ დასასვენებელი სახლების ქსელის გადიდებას ბავშვებისათვის. დელეგატების ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ბავშვების ინტერნაციონალური აღზრდის საკითხმა. ხშირად საბავშო ბაღებში და სახლებში მოთავსებული არიან სხვადასხვა ეროვნების ბავშვები. ბავშვების უკეთესი აღზრდისათვის, დელეგატების დასკვნით, მისაღებია ბავშვების ჯგუფებად დაყოფა ეროვნების მიხედვით, მაგრამ ამავე დროს საჭიროა მუშაობის გაძლიერება ურთიერთ შორის კავშირის განსამტკიცებლად და ძმური ურთიერთობის შესაქმნელად. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მოვალეობა აწევს ჯგუფების ხელმძღვანელებს, რომლებმაც ერთიმეორესთან შეთანხმებით, გამოცდილების გაზიარებით ხელი უნდა შეუწყონ სკოლის ჰასაკამდე აღზრდის გაუმჯობესებას.

დასასრულ, ორატორები ეხებიან რა სკოლის ჰასაკამდე აღზრდის მორიგ ამოცანებს, ერთხმად მოითხოვენ პედაგოგიური ინსტიტუტის მოწყობას, მუშაკთა არსებული კადრის კვალიფიკაციის ამაღლებას, ს. ჰ. აღზრდის დაწესებულებებისათვის შენობების გამრავლებას, მათი სათანადო მოწყობილობით უზრუნველყოფას და სხვა.

კამათი დამთავრდა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვებით, რომლებიც იზიარებდენ დელეგატების მიერ გამოთქმულ დასკვნებს.

რეზოლიუციის გამოსამუშავებლად ს. ჰ. აღზრდის საკითხების შესახებ არჩეული იქნა კომისია 15 ამხანაგისაგან.

გუშინ საღამოს შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა პროსტიტუციის და მასთან ბრძოლის საკითხები. განსაკუთრებული მოხსენება ამ საკითხზე თათბირს არ მოუსმენია. დელეგატებს წინასწარ დაურიგდა მასალები, რომლის საშუალებით ისინი გაეცვნენ პროსტიტუციის მდგომარეობას და იმ ღონისძიებებს, რომლენიც საბჭოთა ხელისუფლების და საზოგადოებრივობის მიერ ამ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ არის მიღებული.

პროსტიტუცია და მასთან ბრძოლა

შესავალი იტყვა პროსტიტუციასა და მასთან ბრძოლის შესახებ წარმოსთქვა ექ. ლაზარევმა, რომელმაც მოკლეთ დაახასიათა ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა მდგომარეობა პროსტიტუციის გავრცელების მხრივ და შემდეგ თათბირს გაცნო ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა. შემდეგ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლიდანაც გამოირკვა შემდეგი:

როგორც ამიერ-კავკ. ქალაქებში, ისე სოფლებში ვენერიული ავადმყოფობანი მეტად გავრცელებულია. ამ ავადმყოფობათა გავრცელების მთავარი მიზეზი არის ფარული პროსტიტუცია, რომელიც რთულ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს. პროსტიტუციის სათავე—სოციალურ-ეკონომიური პირობებია. ამიერ-კავკ. ქალაქებში ჩატარებული სტატისტიკური აღრიცხვა და აგრეთვე საგანგებო გამოკვლევით მიღებული მასალები ამტკიცებენ, რომ პროსტიტუცია არის ქალთა ნივთიერი გაჭირვების შედეგი.

სწორედ ამიტომ დელეგატთა უმრავლესობა ბრძოლას პროსტიტუციასთან აღიარებს დედობის დაცვის ერთ-ერთ დარგათ. ქალების ნივთიერი უზრუნველყოფა, მათი სამუშაოებზე მოწყობა, ხელფასის გაუმჯობესება—აი ის ღონისძიებები, რომელიც დელეგატთა აზრით,—ხელს შეუწყობს მეძავი ქალების რიცხვის შემცირებას. წარმოებებსა და დაწესებულებებში შტატების შემცირების დროს,—დელეგატთა დასკვნით აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქალთა მდგომარეობა და სამუშაოზე დატოვების დროს უპირატესობა მიეცეს მარტოხელა ქალებს, უპირსუფლო ქალიშვილებს, ბავშვიან ქვრივებს და სხ. უმუშევარ ქალთა რიცხვის შესამცირებლად უნდა მოეწყოს საწარმოო არტელები, კოლექტივები, რომლებიც უნდა მიეპატიონ ყოველგვარი კომუნალური და საგადასახადო შეღავათები. ორატორთა აზრით, ბრძოლა უნდა სწარმოებდეს პროსტიტუტ-ქალებთან, არამედ თვით პროსტიტუციასთან, როგორც სოციალურ ბოროტებასთან.

აზრთა გაცვლა-გამოცვლამ მეტად ცხოველი ხასიათი მიიღო. გამოითქვა მრავალი პრაქტიკული წინადადება, რომლებიც უმთავრესად შეეხებოდნენ ქალთა შორის უმუშევრობის შენელებას, სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებას მეძავთა შორის, პროფილაქტიურ ღონისძიებების გატარება და სხვ.

ამ საკითხზე კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების მიხედვით პროსტიტუციისა და მასთან ბრძოლის, დედობის და ბავშვთა დაცვის, სკოლის ჰასაკამდე აღზრდის და დედათა ურთიერთ დაზღვევის შემოღების შესახებ.

ამით ამოიწურა თათბირის დღის წესრიგი.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის [illegible]

13 ივნისს დილის სხდომა არ შემდგარა. საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ცეკას პრეზიდიუმის ანგარიშის გარშემო. გამოვიდნენ ამხ. იმედაძე, ეჯუქაძე, [illegible], თანოვი, მელაძე, მალაქია, მონტინი და ბერია.

საწარმოო აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანები

ზეპირი, წერილობითი აგიტაცია და პროპაგანდა წარმოების რაციონალიზაციისათვის და მუშათა ფართო მასების ჩაბმა ამ საქმეში, მასიური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე დღემდე არ არის ჯეროვნად მოგვარებული.

თბილისის კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა პრაქტიკულად გააღრმავა ეს საკითხი. წარმოების რაციონალიზაციისათვის აგიტაციისა და პროპაგანდის ჩატარების დროს, პლენუმის დადგენილების თანახმად, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური რაციონალიზაციის შინაარსის ახსნა-განმარტებას მასებისათვის და მუშათა მასების უფრო ფართოდ ჩაბმას წარმოების გაუმჯობესებელ პრაქტიკულ, ყოველდღიურ მუშაობაში.

აგიტაციისა და პროპაგანდის ამოცანას შეადგენს აღზარდოს მშრომელთა ფართო ფენები, შეაგნებინოს მათ შრომის მნიშვნელობა და არსება, თავის, პროლეტარულ სახელმწიფოს ქარხნებში, შეაგნებინოს ის განსხვავება, რომელიც არსებობს შრომის შორის კაპიტალიზმის პირობებში და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, აწარმოოს დაუნდობელი ბრძოლა ძველი საწარმოო „ტრადიციების" წინააღმდეგ, მანქანებისა და ინსტრუმენტების დაუდევრად მოპყრობის, მუშაობის არარაციონალური, ნელი ტემპის წინააღმდეგ; აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალებით უნდა იქნას აგრეთვე მიღწეული ის, რომ „ყოველ მუშას პროლეტარული დიქტატურის პირობებში ახასიათებდეს ერთგვარი საწარმოო სიამაყე და თავმოყვარეობა".

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სამდივნოს რეზოლიუციაში, რომელიც შეეხება საწარმოო უჯრედების მონაწილეობას წარმოების რაციონალიზაციაში და ამ მონაწილეობის შემოწმებას, აღნიშნულია, რომ მუშაობის ამ დარგში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს: საწარმოო უჯრედები უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდებოდნენ საკითხის საერთო სახით დამუშავებით; აგიტაცია და პროპაგანდა არ სწარმოებდა ამა თუ იმ ქარხნის ცხოვრების კონკრეტული პირობებთან შეფარდებით.

მომავალში ეს ნაკლულოვანებანი აღმოფხვრილ უნდა იქნას. კომუჯრედებმა ადგილებზე უნდა გამოაცოცხლონ აგიტაციისა და პროპაგანდის ფორმები; ამასთანავე აგიტაციას უნდა მიეცეს რაც შეიძლება კონკრეტული სახე. უჯრედებმა სისტემატიურად უნდა განიხილონ თავისი წარმოების საკითხები, უნდა დააწესონ საწარმოო თათბირებზე მიღებული დირექტივების შესრულების კონტროლი, იკისრონ სათანადო კუთხეების მოწყობა, კედლის გაზეთებში, საუბრების, კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარება და სხ.

ამავე დროს პროფტეხნიკური ლიტერატურის, საწარმოო ლექციების, გამოფენების, კონკურსების, კითხვა-პასუხის საღამოების, სამხატვრო დადგმების, ექსკურსიების და სხვ. მოწყობის საშუალებით პროფკავშირთა კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაში უნდა იქნას გაძლიერებული საწარმოო პროპაგანდის ელემენტები.

ი. იაკოვლევი.

ბიუროს საარჩევნო კრებაზე

„რ. ლიუქსემბურგის" თამბ. ფაბრიკაში

რ. ლიუქსემბურგის თამბაქოს ფაბრიკის პარტუჯრედის კრებაზე მოსმენილ იქნა უჯრ. მდ. ამხ. კარპენკოს მოხსენება ბიუროს მუშაობის შესახებ.

კამათიდან გამოირკვა, რომ უჯრედის ბიურო სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა საქარხნო კომიტეტს, რაც ხელს უშლიდა პროფმუშაობის გაძლიერებას. ჯგუფორგების ნაწილი ვერ იჩენდა აქტივობას, სუსტი იყო ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედებისადმი. ბიუროს არცერთხელ არ მოუსმენია ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივნის ანგარიში. კამათში გამოსული ორატორები საჭიროდ სცნობენ აგრეთვე მუშების დაწინაურებას ფაბრიკაში, რასაც დღემდე არ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება.

კრებამ აირჩია ახალი ბიურო 11 კაცის შემადგენლობით.

პარტკორი.

ქალთა ჟურნალის შესახებ

„ახალი გზის" 69 ნომერში მოთავსებულია პატარა წერილი სათაურით: „ქალთა საკითხის გამო ჩვენში". წერილის ავტორი, ესალმება რა იმ ღონისძიებებს, რომელიც ტარდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ქალთა კულტურული დონის აწევისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში, თავის მხრივ საჭიროდ სთვლის ქალთა ბეჭდვითი ორგანოს დაარსებას.

ხსენებულ წერილის ავტორის საყურადღებოთ უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისში, ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილება სცემს ყოველთვიურ ჟურნალს „მშრომელი ქალის" სახელწოდებით, რომლის ტირაჟი—5.100 ცალამდე აღწევს. ამ ჟურნალს სხვადასხვა ადგილებში ჰყავს 80-დე კორესპონდენტი ქალი.

ჟურნალის მუშაობაში აღსანიშნავია ერთი გარემოება: „მშრომელი ქალი" მეტ ნაწილად ვრცელდება სოფლად, მისი კორესპონდენტების დიდ უმრავლესობასაც გლეხი ქალები შეადგენენ. ქალაქში კი ჟურნალის გავრცელება ვერ არის კარგად დაყენებული, მუშა-ქალები და მუშების ცოლები სუსტად არიან ჩაბმული ამ ჟურნალის საქმიანობაში.

აქედან უნდა გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ საჭიროა ღონისძიებების მიღება ქალაქის მშრომელ ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად ჟურნალის ცხოვრებაში, მუშა ქალები და მუშების ცოლები უნდა გახდენ ქალთა ბეჭდვითი ორგანოს აქტიური თანამშრომლები და გააშუქონ მის ფურცლებზე თავისი მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების საკითხები.

ს. თალაკვაძე.

თათბირი პიონერ ორგანიზ. მუშაობის შესახებ

(ლენ-რაიონი, თბილისი)

ამ დღეებში ლენრაიკომის ქალთა განყოფილებასთან შესდგა ქალთა ორგანიზატორების და პიონერკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირმა მოისმინა ადგილების (დეპოს, რკ. გზ. სამმართველოს, მე-4 შრომ. სკოლის) მოხსენებები პიონერ-მუშაობის შესახებ.

თანამოხსენებით პიონერ-ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგებზე გამოვიდა ამხ. ჯორჯაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ აღრიცხვის უქონლობის გამო ძნელია პიონერთა ზუსტი რაოდენობის გაგება კოლექტივებში. კოლექტივებს არა აქვთ მუშაობის გეგმა და არ სწარმოებს პიონერების დატვირთვის აღრიცხვა.

პარტუჯრედები უწევენ იდეურ ხელმძღვანელობას პიონერთა კოლექტივებს, უკანასკნელთ აქვთ კავშირი სამხედრო ნაწილებთან.

მოხსენებებისა და თანამოხსენების ირგვლივ კამათში გამოსულმა პიონერებმა მიუთითეს, რომ კოლექტივების ხელმძღვანელები ვერ არიან სათანადოთ მომზადებული, მათ არ იციან თუ როგორ უნდა მიუდგენ მუშაობას, რის გამოც პიონერები თავს ანებებენ კოლექტივს. ვერც მიმაგრებული დელეგატი ქალები ერკვევიან ბავშთა მოძრაობის საკითხებში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა ქალთა განყ. მისცეს მათ შესაფერი ლიტერატურა.

კამათში გამოვიდენ აგრეთვე ამხ. ზელიავსკაია, გეგეჭიძე და სხვ. ორატორები აღნიშნავდენ, რომ პიონერთა მუშაობის გაძლიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისათვის.

დასასრულ, თათბირმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები პიონერ-მუშაობის შემდგომში გაცხოველებისათვის.

ფსოვრელი.

ყურადღება საჭირო

(დუმანისის თემი, ბორჩალოს მაზრა)

დუმანისის თემის პიონერთა ორგანიზაცია ხელმოკლეობას განიცდის, რის გამო მისი მუშაობა ძალზე მოისუსტებს.

ნორჩ პიონერთა კოლექტივებს ჰყავთ ცოტათ თუ ბევრად მომზადებული ხელმძღვანელები, მაგრამ მათ მუშაობას აფერხებს საჭირო თანხის უქონლობა.

კომკავშირის და პარტორგანიზაციის დახმარება პიონერთა ორგანიზაციისადმი გამოიხატება მხოლოდ იდეურ ხელმძღვანელობაში, პროფკავშირი კი სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევს მას.

საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას.

გერონტი.

მასების მეცნიერული შემოქმედებისათვის

შრომის განაწილებამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არაჩვეულებრივად მახინჯი სახე მიიღო, ფიზიკური შრომა წილად ხვდა კაცობრიობის დიდ უმრავლესობას, ხოლო ადამიანთა მცირე ჯგუფმა მეცნიერების ქურუმთა როლი იკისრა; მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ მეცნიერება მიუწვდომელი გახადა მუშებისათვის და ის განსაკუთრებით ექსპლოატატორებისა და ექსპლოატაციის ინტერესებს დაუმორჩილა.

უძველესი დროიდანვე, როდესაც კაცობრიობა ცდილობდა სოციალური სამართლიანობის პრობლემის გადაჭრას და ყველაზე უფრო გარკვეულ კი დიდი უტოპისტების შემოქმედებაში ცენტრალურ საგანს შეადგენდა ზრუნვა იმის შესახებ, რომ კვლავ გაერთიანებიათ შრომა და მეცნიერება უფრო სრულყოფილ და ახალ საფუძველზე, არც ერთ დიდ უტოპიას არ აუვლია გვერდი ამ საკითხისათვის და ეს გასაგებიცაა.

წარმოუდგენელია რომელიმე სოციალური საკითხის გადაჭრა ინდივიდუალისტური საზოგადოების ამ საშინელი მემკვიდრეობის დაუძლევლად.

პროლეტარულ რევოლიუციას (ეს სავსებით ცხადჰყო ოქტომბრის რევოლიუციამ) პირველ ხანაში არ შეეძლია არ გამოიყენოს სპეციალისტებისა და მეცნიერების წარმომადგენელთა ძველი კადრი. მუშათა კლასი იძულებული ხდება აღადგინოს პირობები მათი ეკონომიური ცხოვრების დამოკიდებულებისა გაბატონებული კლასისაგან. კიდევ მეტი, მუშათა კლასი აუცილებლად იძულებულია, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში განაგრძოს კულტურის მატარებელთა „წარმოება", რამდენადაც გარდამავალი პერიოდი არის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ეპოქა, რომლის განმავლობაში მან (პროლეტარიატმა) უნდა ეძიოს ახალი გზები და მეთოდები მეცნიერებისა და შრომის დასაკავშირებლად. ეს გზები საწარმოო-ეკონომიური ხასიათისაა და ისინი საკმაოდ რთულია.

მემკვიდრეობით მიღებულ ეკონომიკის გარდაქმნა ახალ საფუძველზე, რევოლიუცია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (მაშინიზაცია, კოლექტივიზაცია), ელექტროფიკაცია, სამუშაო დღის შემცირება,—ყოველივე ეს მიმართულია შრომის კაპიტალისტური განაწილების წინააღმდეგ.

კულტურული რევოლიუციის ლენინური ლოზუნგის აზრიც სწორედ მეცნიერებისა და შრომის დაკავშირებაშია.

კულტურული რევოლიუცია არსებითად ნიშნავს მშრომელთა მთელი მასის, მთელი მუშურ-გლეხური მასის კულტურულ შემოქმედებაში ჩაბმას, ახალი საზოგადოების მშენებელთა მეცნიერულ შემოქმედებაში ჩაბმას. ძველი ხალხოსნური ლოზუნგი—„მეცნიერება მასებში" დაძველდა და ამჟამად ანაქრონიზმს წარმოადგენს. ინტელიგენციის ძველი წარმოდგენა ხალხზე, როგორც რაღაც პასიურ „გოლიათზე", რომელიც სწორედ მან—ინტელიგენციამ უნდა გააბედნიეროს,—ეხლა ასეთი წარმოდგენა დაცინვაა.

მასები აქტიურ მეცნიერულ შემოქმედებისაკენ—ასეთია კულტურული რევოლიუციის ამოცანა.

როგორ უნდა მოხდეს ეს? როგორია მეცნიერულ შემოქმედებაში მასების ჩაბმის გზები? ჩვენს დროში ეს საკითხი უდიდეს პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს.

ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული შეხედულება, რომლის მიხედვით მეცნიერული შემოქმედება და მეცნიერული კვლევა-ძიება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ხოლო მასებისათვის მხოლოდ პოპულიარული ცოდნაა საჭირო და მისაწვდომი,—ეს ბარბაროსული შეხედულება ძირ-ფესვიანად შეარყია რევოლიუციამ. მაგრამ ეს ბატონყმური შეხედულება ჯერ-ჯერობით სავსებით არ აღმოფხვრილა. აქა-იქ კიდევ დაცინვით უყურებენ მასიურ მეცნიერულ შემოქმედებას. ჩვენ საბოლოოდ უნდა აღმოფხვრათ ეს შეხედულება. მისი აღმოფხვრა კი შეიძლება მხოლოდ ემპირიული გზით, მხოლოდ მუშურ-გლეხური ფართო მასების პრაქტიკული და დაუყოვნებლივი ჩაბმით ბუნების შესწავლაში, მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდობის ენერგიული მეცნიერული მუშაობით, მხოლოდ ქალთა აქტივის მეცნიერულ შემოქმედებაში ჩაბმით.

საიდან უნდა დავიწყოთ? აი საკითხი, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს. რათა თავიდან ავიცილოთ განყენებული მსჯელობა, ჩვენ პირდაპირ კონკრეტულად დავასახელებთ იმ ფორმებსა და გზებს, რომლებითაც ჩვენ უნდა შევასრულოთ ეს მუშაობა.

I. მხარეთმცოდნეობა—მეცნიერულ შემოქმედებაში მასების ჩაბმის ყველაზე უფრო სწორი გზაა

მხარეთმცოდნეობა არაა ახალგაზრდა მოძრაობა (ჩვენ ვერ ვბედავთ ვიხმაროთ სიტყვა—მეცნიერება), მიუხედავათ ამისა უნდა ითქვას, რომ მხარეთმცოდნეობის საგანი არაა ზედმიწევნით განსაზღვრული.

ზოგიერთები მხარეთმცოდნეობის ფარგლებს განსაზღვრავენ ქვეყნის ბუნებრივი-საწარმოო ძალთა შესწავლით, ზოგი კიდევ მას სხვა ამოცანებსაც აკისრებს და ამრიგად მხარეთმცოდნეობას ნამდვილ მეცნიერულ ენციკლოპედიის ხასიათს აძლევენ (სამუზეუმო საქმე, ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის და ფენოლოგიის მცენარეულობის ცხოვრების შესწავლა და სხვ.) მაგრამ ეს დიდი უბედურება არაა, მხარეთმცოდნეობის ენციკლოპედიური ხასიათი უფრო მეტ ხალხს დააინტერესებს და დარაზმავს ადგილებზე. მხარეთმცოდნეობა თავისი მიმზიდველობით და სიმარტივით ნამდვილი მეცნიერებაა მაზრებისა და მიყრუებულ ადგილებისათვის, რადგან ამ საქმეს არ სჭირდება რაიმე სპეციალური ტეხნიკური მოწყობილობა, აპარატები, იარაღები და სხ. გარდა ამისა ის მეცნ. შემოქმედებაში ფართო მასების ჩაბმის ერთ-ერთი ისეთი საშუალებაა, რომელიც მხოლოდ ჩვენს დროში განვითარდება როგორც მძლავრი რევოლიუციონური მოძრაობა.

მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციათა ქსელი საბჭოთა კავშირში პირველი შეხედვით მნიშვნელოვანია. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირში მხარეთ-მცოდნეობის 1.600 ადგილობრივი ორგანიზაცია იყო. მაგრამ ეს ციფრი არაა დამაკმაყოფილებელი. თითქმის ყველა ეს ორგანიზაციები თავმოყრილია ცენტრალურ რუსეთში; ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციები ან სრულიად არაა, ანდა ცენტრებშია თავმოყრილი. კიდევ მეტი, განსაკუთრებით ნაციონალურ რესპუბლიკებში გამეფებულია არისტოკრატიული დამოკიდებულება გაუნათლებელ მასისადმი და მეცნიერულად განსწავლულ პირების თაყვანისცემა, რომლებიც მოწოდებული არიან „გაუნათონ გზა კაცობრიობას". რაც უფრო ახალგაზრდაა რესპუბლიკა, მით უფრო ადვილად ითვისებს ის კულტურულ მშენებლობაში დახავსებული წარსულის უარყოფით და მავნე გავლენას. ამაში, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მიგვიძღვის დანაშაული, რადგან არ ვმათრახებთ საჯაროთ ყოველივე ასეთ ნაბიჯს და საკმაოდ არ ვებრძვით ბარბაროსულ ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობის ბრმად გადმონერგვას ახალგაზრდა კულტურის ნიადაგზე.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა რუტინისა, ყოველისფერში მიმბაძველობისა და ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ; მხარეთმცოდნეობის შემოქმედების დარგში ჩვენ უნდა დავადგეთ მხარის შესწავლის ახალი ფორმებისა და ახალი მეთოდების ძიების გზას.

— მხარეთმცოდნეობის შემოქმედება! ორიგინალურია!—გაკვირვებით იტყვის ჩვენი მკითხველი.

დიახ, კეთილსინდისიერი და დაკვირვებული მხარეთმცოდნე ბევრ ისეთ ნაშრომს შესძენს მეცნიერებას, რომლის ინტერესიც არ ამოიწურება დღევანდელი დღით და რომელიც დიდხანს არ დაჰკარგავს თავის ღირებულებას.

მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციებს უმთავრესად ადგილობრივი და საგუბერნიო მუზეუმები შეადგენენ, რომლებზედაც დიდძალი დრო და ენერგია იხარჯება. აქედან წარმოსდგება ის დაბრკოლებანი, რომლებიც დაკავშირებულია სამუზეუმო საქმესთან.

საჭიროა სასტიკი ბრძოლა ამ ტენდენციის წინააღმდეგ. მუზეუმი—ეს მხოლოდ ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც თავს უყრის მხარეთმცოდნეობის წრეებისა და კორესპონდენტების მუშაობის შედეგებს. იქ, სადაც მუზეუმი მხარეთმცოდნეთა ყურადღებისა და მზრუნველობის ცენტრი ხდება, მხარეთმცოდნეობა ღებულობს რაღაც რჩეულთა აკადემიის ხასიათს, ასეთ შემთხვევაში მხარეთმცოდნეობის ორგანიზაცია ხდება რეაქციონურ ბუდეთ, რომელიც ხელს უშლის მასიურ მეცნიერულ შემოქმედებას.

მხარის რევოლიუციონურ-ეთნოგრაფიული, სოციალური, ეკონომიური და ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში უნდა ჩავაბათ ყველა აქტიური ძალები: **კომუნისტები, კომკავშირელები, ქალთა დელეგატები**, მუშკორები, გლეხკორები, უპარტიო აქტივი, მასწავლებლები, სოფლის ინტელიგენცია, სკოლა და მოწაფეები.

ყველა ამათ, თუ კულტურულ ხელმძღვანელობას გაუწევენ და შესაფერ ინსტრუქციებს მიაწოდებენ,—შეუძლიათ თავისუფალი დრო მოახმარონ დაკვირვებას, კოლექციების შეგროვებას და საუბრების მოწყობას ახსნა-განმარტებებით.

მხარეთმცოდნეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს ქვეყნის საწარმოო ძალებისა, მისი ბუნებრივი სიმდიდრისა და სამშენებლო მასალის შესწავლა.

მხარეთმცოდნეობა თავის უშუალო ამოცანად ისახავს ქვეყნის გეოგრაფიულად შესწავლას და გეოგრაფიულ, ფიზიკურ, დემოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ რუქების გამოცემას.

გარდა ამისა მხარეთმცოდნეობამ უნდა შეასრულოს ეთნოგრაფიული მუშაობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მატერიალური ყოფა-ცხოვრების ისტორიის შესასწავლად და ამ ყოფა-ცხოვრების ძეგლების შესაგროვებლად სხვა გზა არ არსებობს. არც ერთ ცენტრალურ ეთნოგრაფიულ მუზეუმს არ ძალუძს იმ საქმის მეასედი ნაწილის შესრულება, რომელსაც შეასრულებს მასიური მუშაობა მხარეთმცოდნეობის დარგში.

სოფლის კოლექციების შეგროვება და შენახვა უდიდეს მეცნ. ინტერესს წარმოადგენს. ისეთ ქვეყანაში, როგორიც კავკასიაა, სადაც თვითეულ ტომს თავისი კოსტიუმი, თავისი საოჯახო მოწყობილობა და თავისი იარაღები აქვს, რომლებიც თანდათან იდევნება ხმარებიდან თანამედროვე ქალაქის კულტურის გავრცელების გამო,—ასეთ ქვეყანაში უნდა შეგროვდეს ეს ძველებური ნივთები (სანათურები, ჭურჭლეულობა, იარაღები, და სხ.) და შენახულ იქნეს სოფლის სამკითხველოებში ან სკოლებში. შემდეგში ამ შეგროვილი ნივთებიდან ყველაზე უფრო საყურადღებოს გადაარჩევს და წაიღებს ცენტრალური მუზეუმი, რომელიც სამაგიეროდ სოფლის კუთხისათვის შეადგენს ახალ სადუბლეტო კოლექციას. კოლექცია კი სოფლისათვის აუცილებელია, თუნდაც სასწავლო მიზნებისათვის.

სოფლის ისტორია, ზნე-ჩვეულება, სოციალ-ეკონომიური ევოლიუცია, ყოფა-ცხოვრება, ადათი, ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ—რევოლიუციონური ბრძოლა—ყველა ეს მხარეები მეტად საინტერესოა და დიდძალ აქტივისტებს მიიზიდავს, რომლებიც დიდი სიხალისით მოჰკიდებენ ხელს მასალების შეგროვებასა და შესწავლას.

გადმოცემებისა, ანდაზების, მახვილსიტყვაობის, ლექსთქმის, ხალხური სიმღერების, ხალხური მკურნალობის, ექიმბაშობის და ცრუმორწმუნეობის წარმატების შესწავლასა და შეგროვებას ჩვენ ვერ შევსძლებთ, თუ ამ საქმეში არ ჩავაბამთ სოფლის კულტურულ აქტივს.

დაბოლოს, ენათმეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დიალექტების საკითხს. ყოველი ცოცხალი ენა, განსაკუთრებით ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც საბჭოთა კავშირია, ან მთებით დასერილი ამიერ-კავკასია,—შესდგება მრავალი დიალექტიკისაგან სპეციფიური გამოთქმით და თავისებურობით.

დიალექტოლოგია მაშინ დაემყარება ამომწურავ მასალას, თუ ის მასალების შეგროვების საქმეში მთელ კულტურულ აქტივს ჩააბამს. მარტოოდენ სამეცნიერო ძალებით, როგორი თავგანწირვითაც არ უნდა მუშაობდნენ ისინი, სრული სიტყვარის შედგენა შეუძლებელია. ცნობილია თითქმის ანეკდოტური ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ აგროვებდა დალი თავისი სიტყვარისათვის მასალებს რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ამ მიზნით მან მონაწილეობა მიიღო მრავალ ლაშქრობაში და სხვ.

დალის ეპოქაში ეს კოლოსალური კულტურული გმირობა იყო, მაგრამ ეხლა ეს ნამდვილი დონკიხოტობა იქნებოდა. კედლის გაზეთის შესწავლა გაცილებით მეტს მისცემს მეცნიერს, ვიდრე ახალი დალის ასეული რვეული და ჩვენც ასე მოვიქცეთ, როგორც ჩვენი დროის პრინციპი მოითხოვს.

ჩვენი დროის ძირითადი პრინციპია—კულტურული რევოლიუცია მასებში მომავალი საზოგადოების მშენებელთა მასების საშუალებით. მეცნიერება, დაბოლოს, გადაიქცევა ფართო მასების შემოქმედების ასპარეზად.

ჩვენი დროის კულტურული ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები გარდაქმნათ ისეთ ცენტრებად, რომლებიც მასებისათვის მიუწვდომელი „ტაძრები" კი არ იქნებიან, არამედ რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ მასების მეცნიერულ შემოქმედებას.

II. ალპინიზმი—ბუნების შესწავლაში მასების ჩაბმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადვილი საშუალებაა

მეცნიერებამ დიდი ხანია უარყო ყოვლად უსაფუძვლო აზრი იმის შესახებ, რომ მარტო მეცნიერებს შეუძლიათ შეისწავლონ ყოველდღიურად მთიან ადგილების პროცესები და მოვლენები. დიდი ხანია რაც ყველა ქვეყნებში წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ფართო ფენებია ჩაბმული ამ საქმეში, ბურჟუაზიულ დასავლეთ ევროპაში ეგრედწოდებული ალპინიზმი ერთგვარ სპორტად გადაიქცა ქალაქის ნერვიული ცხოვრებისაგან დაღლილ ბურჟუაზიულ ახალგაზრდობისათვის. ჩვენშიაც არ არსებობს სწორი შეხედულება ცოდნის ამ დარგზე. უკეთეს შემთხვევაში ალპინიზმს აკუთვნებენ ტურიზმს ან სპორტს და ამრიგად სდგებიან ბურჟუაზიული დასვენების მოყვარულთა თვალსაზრისზე.

სწორია თუ არა ასეთი შეხედულება?

რა თქმა უნდა, რომ არა.

ქალაქის აურ-ზაურით მოქანცულ ადამიანისათვის ჩვენი დაუსრულებელი ალპია, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლამაზ დასასვენებელ ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ იმ მრავალრიცხოვან ერებისათვის, რომლებიც აქ ალპიაში მოსახლეობენ და რომლებიც აქ თანამედროვე სამეურნეო მშენებლობაში არიან ჩაბმული, ყინულით დაფარული მთის მწვერვალები მრავალ მხრით სიმძიმ ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაუჭრელად არავითარი რაციონალური მეურნეობის წარმოება არ შეიძლება. ყოველწლიურად ასეული ათასი მწყემსი მიდის ვაკე ადგილებიდან მაღალი მთის მწვერვალებზე ალპიურ საძოვრებზე. ყოველწლიურად მომთაბარე მწყემსები დიდძალ საქონელს მირეკავენ ამ რაიონებში, ასეული ათასი ადამიანი ყოველწლიურად იძულებულია შეისწავლოს ალპიური რაიონები, იძულებულია თვითონ გაიკვლიოს გზა, თვითონ იცნობდეს ადგილ-მდებარეობას, ვაკეებს, მთის კალთებსა და საძოვრებს.

თვალუწვდენელია საბჭოთა კავშირი. თვალუწვდენელია მისი ალპიური რაიონები. მაგრამ განა ბევრია ჩვენში ისეთი საზოგადოება, რომელიც ამ რაიონებს იკვლევდეს? რუსეთის სამთო საზოგადოება და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. თუ ამათ კიდევ მივუმატებთ ორ კლუბს (პიატიგორსკი და ოდესა),—ჩვენ სავსებით ამოვწურავთ ყველა ორგანიზაციებს ამ დარგში. ნუ თუ ნორმალურია ასეთი მდგომარეობა? განა ბევრი რამ ვიცით ჩვენ პამირის შესახებ ან ალტაის შესახებ? განა ბევრი რამ ვიცით სომხეთის შესახებ? აზერბეიჯანისა და დაღესტანის შესახებ?

ჩვენ ვცხოვრობთ მთიან ქვეყანაში. არსად არაა ჰავის, ფლორისა და ფაუნის ისეთი გასაოცარი კონტრასტები, როგორიც ჩვენს პატარა ქვეყანაში. ისეთი ქვეყნები, როგორიც სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველოა, როგორიც სამხრეთ-ციმბირი, ალტაი, პამირი და აღმოსავლეთ თურქესტანია;—მაღალ მთიან ადგილების კვლევის მეტად მდიდარ ასპარეზს წარმოადგენენ. ამ რაიონების მოსახლეობას უდიდესი ემპირიული ცოდნა აქვს, რადგან მის თვალწინ ხდება გეოლოგიური პროცესები და ის ყოველდღე ხედავს მუდმივი თოვლით დაფარულ მთებს და კოლოსალურ ყინულებს.

ვინ აგროვებს ამ ცოდნას! ვის მოყავს ის სისტემაში? ვინაა დაინტერესებული მისი შესწავლით? არავინ.

ამავე დროს კი ალპიური მეურნეობის რაიონების ზედმიწევნით და სისტემატიურად შესწავლა უდიდეს პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს. საჭიროა ამ რაიონების მოსახლეობის ცოდნისა და გამოცდილების შეგროვება და აღნუსხვა. ჩვენ დღემდე არ მოგვეპოება ალპიური სომხეთის ფლორის ნათელი და ამომწურავი სურათი, ამავე დროს მერძეობა სომხეთის ალპიური რაიონებისათვის, რომლებსაც სომხეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარი უკავიათ, წარმოადგენს ერთად ერთ მეურნეობას, რომელსაც დიდი მომავალი აქვს.

მთიან საქართველოს, მთიან აზერბეიჯანს და დაღესტანს არ შეუძლიათ იმაყონ არამც თუ გამოკვლევებით, არამედ ცოტათ თუ ბევრად ხეირიანი რუკებითაც კი. და ასეთი მდგომარეობა გასტანს მანამ, სანამ ჩვენ არ შევქმნით ალპინისტების ფართო მასიური მოძრაობას, იმ ხალხის მოძრაობას, რომელიც სისტემატიურად და გეგმაშეწონილად შეისწავლის ჩვენი ქვეყნის მთიან რაიონებს, სანამ ჩვენი მთიანი რაიონების მნიშვნელოვან პუნქტებში არ შევქმნით ალპინისტთა საზოგადოებას და კლუბებს, რომლებიც ყველა მუშურ-გლეხური აქტივისტებს ჩააბამს მთიანი რაიონების შესწავლის საქმეში; სანამ ჩვენ არ შევიმუშავებთ კოლექტიური მუშაობის ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, როცა ყოველი კომკავშირელი, ყოველი გლეხი და მუშა-აქტივისტი მთელ თავის თავისუფალ დროს მოახმარს ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით მისი მთიანი რაიონების, მეცნიერულ შესწავლასა და დაკვირვებას.

აქ საჭიროა რაღაც ახალი, რევოლიუცია მოითხოვს ახალ ფორმებს. სამთო საზოგადოების მსგავსი ძველი საზოგადოებანი ამ მიზნისათვის არ გამოდგებიან, ყოველ შემთხვევაში, ძველი სახით მაინც.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვან მოღვაწეობას ამჟღავნებს. მაგრამ მისი მოღვაწეობა მიმდინარეობს ძველი გაგების ფარგლებში. მას არ სურს გამოიწვიოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ფართო მასიურ მოძრაობას.

მას სურს ჩაიკეტოს ძველი აკადემიზმის ფარგლებში. ამ საზოგადოებაში, ალბად, ბევრი კარგი მეცნიერი მუშაობს, მაგრამ მის გარშემო არაა დარაზმული არა თუ მრავალი ათასი, არამედ ასეული კომკავშირელი და კომუნისტი, მუშები და გლეხები, რომლებიც ასე კარგად და ზედმიწევნით იცნობენ ალპიურ რაიონებს, მის ყოველ კუთხეს, მის მცენარეულობას, ყოველ ბალახს და ყოველ პეპელას.

მე ვფიქრობ ზედმეტია იმის განმეორება, რომ გარდა ზემოაღნიშნული უშუალო სარგებლობისა, ალპინიზმს უდიდესი კულტურული მნიშვნელობაც აქვს.

შევძლებთ თუ არა ჩვენ მთიან რაიონების თუნდაც ბალახებისა და ბუჩქების ხალხურ სახელწოდებათა კატალოგის შედგენას სოფლის აქტივის დაუხმარებლად? ვერა, ვერ შევძლებთ.

საჭირო იქნებოდა მრავალი წელი იმისათვის, რომ სპეციალისტებს შემოევლოთ ყველა რაიონები, ადგილობრივ ჩაეწერათ ყოველივე და შეედგინათ კატალოგები. ამავე დროს კი მცენარეების სახელწოდებათა სიტყვარის საჭიროება, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც ამიერ-კავკასიაა,—გადაუდებელია. ჩვენ ეხლა ვქმნით ტერმინოლოგიას, ახლად მოგონილ სიტყვების საფუძველს ვეძებთ მე-16 საუკუნის ქრონიკებში, ყორანში, არაბეთისა და ოსმალეთის სიძველეებში, ამავე დროს კი ჩვენს გვერდით **ცოცხალი ხალხური ენის** ისეთი დაუშრეტელი ლინგვისტიური სიმდიდრეა, რომელსაც თავისი სილამაზით, სიცხოველით და სიმარტივით ვერ შეედრება ვერც ერთი ეროვნული კულტურის ასპარეზზე მომუშავე სპეციალისტის „ისტორიული" და „ნაციონალური" შემოქმედება.

ჩვენი მთები გაუვალია, მთის „უკულტურო" გზები გამოუკვლეველია, ჩვენ არა გვაქვს თავშესაფარი ქოხები მოგზაურებისათვის, ტურისტებისათვის, მკვლევართათვის და, ბოლოს, თვით გლეხებისათვის. ვინ უნდა მოახდინოს გამოკვლევა? ვინ უნდა დასახოს მთაში გასაყვან გზების მიმართულება, ვინ უნდა შეადგინოს ბილიკებისა და ადგილების სახელწოდებათა სია? ვინ ააშენებს ამ დასასვენებელ და თავშესაფარ ქოხებს, ვინ შეადგენს საინტერესო სეირნობის სვლაგეზს, ვინ გაუწევს დახმარებას ექსკურსანტებსა და ტურისტებს? ვის შეუძლია ყოველივე ამის შესრულება, თუ არა ალპინისტების კლუბების ფართო ქსელს!

ვერ წარმოიდგენთ როგორ სიძნელეს წარმოადგენს ფართო მასებისათვის ალაგიოზის (სომხეთი) შედარებით არც ისე მაღალ მწვერვალზე ასვლა, ამავე დროს თანამედროვე მასიურ ექსკურსანტს სრული უფლება აქვს მოითხოვოს კარგი გზა. ალაგიოზი სომხეთის ცენტრშია, მისი წყლის რესურსები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მოსახლეობისათვის. ამ მთაზე მეტად მდიდარი ტყეა. ამ მთის შესასწავლად მოსკოვიდან მოდიან, ალბად გერმანიაში ამ მთის შესახებ გაცილებით მეტი იციან, ვიდრე ამიერ-კავკასიაში.

ნუ თუ ნორმალურია ასეთი მდგომარეობა? განა შეიძლება კულტურული ვუწოდოთ იმ ქვეყანას, სადაც ასე ეკიდებიან თავისი წყლის რესურსების ცენტრალური რეზერვუარის შესწავლას და თავისი საელმშენებლო მასალის მთავარ წყაროს?

კავკასიის ქედი მცირე ნაწილის (ყაზბეგი და მყინვარი) გამოკლებით, სრულიად გაუვალია.

ალტაიში, სადაც მრავალი მომთაბარე ტომია, გაყვანილია ერთი თუ ორი გზა, ეს გზები გაიყვანეს ვაჭრებმა, რომლებიც მონგოლეთთან ვაჭრობდენ. მთელი ეს ქვეყანა თითქმის სრულიად შეუსწავლელია.

პამირი და მთიანი თურქესტანი ჩვენთვის რაღაც ზღაპრულ ქვეყნებს წარმოადგენენ, თითქოს ისინი საბჭოთა კავშირში არ შედიოდენ. მაგრამ რა საჭიროა ყველა ასეთი ქვეყნების ჩამოთვლა. ჩვენ უკეთეს შემთხვევაში შეგვიძლია ვიამაყოთ მხოლოდ... ვორობიოვის მთებზე და ყირიმის ბორცვებზე გაყვანილ კეთილმოწყობილი გზებით.

არა, მომავალში ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ მდგომარეობაში დავტოვოთ ჩვენი მთებისა და ჩვენი ალპიური რაიონების შესწავლის საქმე. რევოლიუციამ აქაც უნდა მოახდინოს გარდატეხა ძველ შეხედულებებში.

ჩვენში რომ ფართო მუშურ-გლეხურ მასებთან დაკავშირებული ალპინისტების საზოგადოება იყოს, მაშინ ჩვენ შევაგროვებდით მეტად მდიდარ მასალას, შევისწავლიდით ალპიის ფლორასა და ფაუნას, შევადგენდით სწორ რუქებს, ავაგებდით თავშესაფრებს და, ბოლოს, განვავითარებდით კოლოსალურად კულტურულ სპორტს—ტურიზმს.

მაგრამ ამ ამოცანების გადაჭრა ყოვლად შეუძლებელია, თუ არ მივიზიდავთ მუშათა და გლეხთა მასებს.

ჩვენ უნდა შევქმნათ ალპინისტთა საზოგადოებები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში, ყოველ ხევში და დაბლობში ეყოლებათ კორესპონდენტები.

ის ქვეყანა, სადაც არაა დასმული ქვეყნის შესწავლის საქმეში მასების ჩაბმის საკითხი,—შორსაა კულტურული რევოლიუციისაგან.

კულტურულმა რევოლიუციამ არა მარტო უნდა ჩააბას მასები სამეცნიერო მუშაობაში, არამედ ამასთანავე ერთად ხელი უნდა შეუწყოს მასების გამოცდილებისა და ცოდნის აღრიცხვას.

III. ზოგიერთი დამატებითი მაგალითები

„თქვენ ლაპარაკობთ მხარეთმცოდნეობასა და ალპინიზმზე. მაგრამ მეცნიერული დარგებია ესენი? ამბობენ ხშირად, რომ სრულიად უსწავლელ ადამიანის გამოცდილება და დაკვირვება გამოდგებაო ამ დარგებში. ნუ თუ მართალია?"...

რას ნიშნავს ეს „ნუ თუ?" განა არსებობს ისეთი მეცნიერება, რომელიც აუცილებლად განსაკუთრებულ რთულ ტვინს მოითხოვს?

ასეთი მეცნიერება არ არსებობს. ყველა მეცნიერება უკლებლივ ერთნაირი წესით მუშაობს: 1) აგროვებს ფაქტებს და დაკვირვებებითა და ექსპერიმენტების საშუალებით ამოწმებს ამ ფაქტებს; 2) მრავალჯერ შემოწმებული ფაქტების მიხედვით გამოჰყავს დასკვნები, რომლებიც თავისი მხრით ხდება გამოსავალი წერტილად ახალი კვლევა-ძიებისათვის.

ამ მუშაობის პირველ ნაწილს თამამად შეასრულებს ფართო მასა. დაკვირვებისა და ექსპერიმენტების პროცესში, მუშურ-გლეხური აქტივი გამოჰყოფს მეცნიერებისათვის მრავალ ათას თავდადებულ და ნიჭიერ მუშაკს და მეცნიერების მრავალ გენიოს თეორეტიკოსს.

მაგრამ ყოველი მეცნიერული დაკვირვება არის დაკვირვება აპარატით და ხელსაწყოთი.

მართალია.

ეს ის მიჯნაა, სადაც კულტურული რევოლიუცია უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხს.

სანამ ჩვენში არ მოეწყობა იაფი აპარატებისა და ხელსაწყოების (მიკროსკოპები, ფოტო-კინო აპარატი, მიკროფოტო; ფიზიკური ხელსაწყოები, ქრონომეტრები, თერმომეტრები, მეტეოროლოგიური ხელსაწყოები; ბარომეტრები და სხვ. და სხვ.) წარმოება, მანამ ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის კულტურული აქტივის ჩაბმა მეცნიერულ შემოქმედებაში, მეცნიერების ყველა დარგებში.

ჩვენმა ინდუსტრიამ ეს ამოცანა პირველ რიგში უნდა განახორციელოს. ჩვენს ქვეყანაში ფოტო-აპარატი ფუფუნებაა, კინოს მოყვარულის კინო-აპარატზე ხომ ოცნებაც არ შეუძლია ჩვენს კომკავშირელს. არ შეიძლება მოვსთხოვოთ კომკავშირელს გონივრული გართობა და ამავე დროს ის მხოლოდ სპორტისა და რადიოს ამარა დავტოვოთ.

უკვე მომწიფდა დრო, როცა ჩვენ უნდა დავისახოთ გადაუდებელი ამოცანა: **გავხადოთ კინო და ფოტოაპარატი ისეთივე მისაწვდომი, როგორიც რადიო აპარატია.** კინო და ფოტო უბრალო გასართობი როდია. ბურჟუაზიულ ტაკი-მასხრებისათვის ეს უბრალო გასართობია. კომკავშირლისათვის, ქალთა დელეგატისთვის და პიონერისთვის ის ბუნების მოვლენების შესწავლისა, დაკვირვებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ კვლევა-ძიების საუცხოვო საშუალებაა, აქტივისტისათვის კულტურის მუშაკისათვის და ბუნების მეტყველისათვის მეგობარი და თვითგანვითარების საუკეთესო იარაღი.

იაფი მიკროსკოპები, ბარომეტრები და თერმომეტრები ამჟამად ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მასთან ყველა ეს იარაღები უსათუოდ ჩვენს წარმოებაში უნდა დამზადდეს. ეს იარაღები გაცილებით უფრო უწყობს ხელს კულტურის ფართო მასებში გავრცელებას, ვიდრე ათასი ცირკულიარები და ინსტრუქციები. ეს იარაღები უფრო უკეთ და სწრაფად იწვევენ პროვინციის ფართო აქტივის სამეცნიერო ინიციატივასა და შემოქმედებას, ვიდრე რომელიმე ბიუროკრატის დაუსრულებელი სიტყვები.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ელექტროფიკაცია კულტურული რევოლიუციის მტკიცე ბაზაა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მასების კულტურული შემოქმედებითი პროცესის უშუალო მოთხოვნილებები, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასებში კულტურის შეტანასთან ერთად, საჭიროა მათი უზრუნველყოფა კულტურული შემოქმედების იარაღებითაც.

(დასასრული იხ. მე-4 გვერდზე)

ჩვენი ნაკლოვანებანი და საქ. კომპარტიის ამოცანები

ამხ. მ. კახიანის მოხსენება ცეკას პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, 11 ივნისს

ამხანაგებო! ჩემი საანგარიშო მოხსენება შეეხება საქართველოს კომპარტიის (ბ) მეხუთე ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდს. მაშასადამე, ეს მოხსენება შეიცავს ჩვენი მუშაობის 6 თვეზე მეტს. მე შევეცდები ჩემს მოხსენებაში შევეხო ყველა იმ საკითხებს, რომლებიც განიხილა ამ პერიოდის განმავლობაში ცეკას პრეზიდიუმმა, მაგრამ რიგ-რიგობით კი არ ჩამოვთვლი იმას, რომ პრეზიდიუმმა გაარჩია ესა და ეს საკითხი და გამოიტანა ესა და ეს დადგენილება, არამედ აღვნიშნავ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც აღმოვაჩინეთ ამ პერიოდის განმავლობაში და შევეცდები დავსახო ის ამოცანები, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე. ამიტომ ჩემი მოხსენება არ ატარებს ანგარიშის ხასიათს, ის შეეხება ჩვენს ნაკლოვანებებს და იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით.

ჩვენი დეფექტები მრეწველობაში

დავიწყებ მრეწველობის საკითხიდან, იქიდან, თუ რა გავაკეთეთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. და აქაც, როგორც უკვე ვსთქვი, შევეხები უპირველეს ყოვლისა ნაკლოვანებებს, დეფექტებს და შეცდომებს, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს ახალ მშენებლობაში.

უგეგმო მუშაობის ფაქტები

თუ ჩვენს მრეწველობას განვიხილავთ იმ ნაწილში, რომელშიაც ყველაზე უფრო მეტი ნაკლოვანებანი გვაქვს, მაშინ, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ ჩვენს სატყეო მრეწველობაზე. თქვენ, ალბად, ყურები გამოგიჭედათ მარელისის ფაბრიკის საკითხმა, იმ უწესრიგობამ, რომელსაც იქ აქვს ადგილი. ამას წინედ ჩვენს თათბირზე განვიხილეთ ის საკითხი, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ მარელისის ფაბრიკა ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძლევა დეფიციტს და ვერ აღწევს თავს ამ მდგომარეობიდან. როცა ფაბრიკა შენდებოდა, თითო სკამის თვითღირებულება ჩვენი სპეციალისტების გამოანგარიშებით განისაზღვრებოდა 3 მან. 10 კაპ. ეხლა კი ეს თვითღირებულება გამოიხატება 8 მან., ხოლო ვყიდით 6 მანეთად. მაშასადამე თითო სკამზე ვზარალობთ 2 მანეთს. წარსული წლის უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში ზარალი ფაბრიკაში შეადგენდა 60.000 მანეთზე მეტს, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში 150.000 მანეთამდე. ამგვარად ჩვენ გვაქვს 200.000 მან. მეტი ზარალი; ამასთანავე ფაბრიკის ადმინისტრაციას არავითარი პერსპექტივები არ აქვს იმისა, რომ საქმე გაუმჯობესდება.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად დამახასიათებელი მოვლენა: მიუხედავად იმისა, რომ ეხლა მეტ სკამებს ვამზადებთ მუშათა ნაკლები რაოდენობის მუშაობით, ე. ი. მიუხედავად შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, სკამი მაინც ძვირი ჯდება, ვიდრე რამოდენიმე თვის წინედ. როცა ჩვენ საკითხი ფაბრიკის შესახებ დავსვით თათბირზე, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდნენ სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი, ხე-ტყის ტრესტის სპეციალისტები, კომუნისტები, რომლებიც ამ საქმეს განაგებენ და პროფმუშაკები, ჩვენ ვერავინ ვერ მოგვცა ამომწურავი პასუხი. ერთ-ერთმა სპეციალისტმა, რომელიც ფაბრიკას განაგებს აქედან, თბილისიდან, განაცხადა, რომ სკამების თვითღირებულების შემცირებას არ შეიძლება მივაღწიოთ მანამ, სანამ არ გავიყვანთ მექანიკურ გზას ნედლეულის მოსატანად ფაბრიკაში. ეს გზა, მისი გამოანგარიშებით დაჯდება 400000 მანეთი; მაგრამ ის ამავე დროს შესაძლოდ სცნობს, რომ ეს თანხა ავიდეს მილიონამდე, ამასთანავე გზის გაყვანა დამთავრდება არა უადრეს ორი წლისა, ვინაიდან მთელი მოწყობილობა გზისათვის ჩამოტანილი უნდა იქნას საზღვარგარეთიდან. როცა მე შევეკითხე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს: ვინ არის ეს სპეციალისტი მეთქი, მან თვითონ მიპასუხა, რომ ის არის ინჟენერ-ტეხნოლოგი, მაშასადამე ტეხნოლოგი განაგებს სკამების დამზადების საქმეს. სწორედ ამის შედეგია წარმოების ასეთი მდგომარეობა. ამას წინედ ჩვენ ვესაუბრეთ ხე-ტყის ტრესტის ერთ-ერთ წარმომადგენელს და როცა უთხარით მას, რომ თქვენ საქმე ძალიან ცუდად გაქვთ დაყენებული და აუცილებელია, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, შეცვალოთ ხელმძღვანელობათქო, ამ ხელმძღვანელმა-კომუნისტმა სიტყვა-სიტყვით გვიპასუხა: „მე იქიდან წასვლა არ შემიძლია, მე მინდა ვისწავლო, მე ეს საქმე ძალიან მიყვარს"-ო. კარგი ამბავია! იმის გამო, რომ მას უყვარს საქმე, რომ მას სურს ისწავლოს, პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ და კიდევ უნდა დაკარგოს მრავალი ასი ათასი მანეთი. ეს მეტად უცნაური მსჯელობაა კომუნისტისათვის.

ამგვარად, მდგომარეობა მარელისის ფაბრიკაში თითქმის უიმედოა, გამოუსწორებელია, თუ ვიმსჯელებთ ადმინისტრაციისა და სპეციალისტების განცხადებათა მიხედვით. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს ერთი მეტად დამაიმედებელი დოკუმენტი. ეს არის ხეზე მომუშავეთა კავშირის ცნობა. ამხანაგები გვწერენ, რომ მარელისის ფაბრიკა შეიძლება და უნდა იქნას ჩაყენებული მუშაობის ნორმალურ პირობებში და მაშინ ერთი სკამის თვითღირებულება შეიძლება იქნას დაყვანილი 4 მან. 47 კაპეიკამდე. 8 მანეთისა და 4 მან 47 კაპ. შორის უდიდესი დისტანციაა და თუ მოვახერხებთ თვითღირებულების შემცირება თუნდაც 5 მანეთამდე, მაშინ წარმოება მოგებასაც კი მოგვცემს, ვინაიდან სკამები ამჟამად 6 მან. ფასდება თითო ცალი.

ხეზე მომუშავეთა მიერ გამოგზავნილი ცნობა ზედმეტჯერ ამტკიცებს იმას, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშების აზრს, რომ მათ საქმიან წინადადებებს წარმოების რაციონალიზაციის შესახებ არ ატარებენ ცხოვრებაში ამის გამო ვიღებთ ისეთ სავალალო შედეგებს, რომლებსაც ადგილი აქვს მარელისის ფაბრიკაში.

ავიღოთ მშენებლობის ნაკლოვანებათა მეორე მაგალითი. შევეხოთ აჭარის წყალის ჰიდროსადგურს. მე ეს მაგალითი მომყავს იმიტომ, რომ იგივე საკითხი ამას წინედ შეადგენდა მსჯელობის საგანს და არა ერთხელ ყოფილა განხილული კიდევ უფრო ადრეც. პირველად ჰიდროსადგურის ღირებულება ნავარაუდევი იყო 1.000.000 მან. მაგრამ შემდეგ ხარჯთაღრიცხვა იზრდებოდა არა დღეობით, არამედ საათობით, და ეხლა უკანასკნელი გამოანგარიშებით სადგური დაჯდება 8 მილიონი მანეთი. უნდა აღვნიშნო, რომ ამ საქმეზე ჩვენ უკვე დავხარჯეთ 4 მილიონი მანეთი და ეხლა კიდევ ან უნდა დავხარჯოთ 4 მილიონი, ან და როგორც ერთმა ამხანაგმა შემოიტანა წინადადება, შევაჩეროთ ეს მშენებლობა ე. ი. დღემდე გაწეული ხარჯები ფაქტიურად ცნობილ იქნას უნაყოფოდ გადაყრილად, აჭარის წყალში რომელიც ასე წყნარად მიმდინარეობს აჭარისტანში. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება არ ვარგა. ხელის აღება მშენებლობაზე იქნებოდა პოლიტიკური და ეკონომიური სკანდალი. მიღებულ უნდა იქნას ზომები მუშაობის გასაუმჯობესებლად ჰიდროსადგურზე და მშენებლობა უნდა განვაგრძოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

აი, ამხანაგებო, ჩვენი უთავრობის, უგეგმობის მაგალითები.

სპეციალისტების ახალი კადრების შესახებ

მაგრამ ჩვენ გვაქვს სხვაგვარი ხარისხის მაგალითები და ბოროტი, საზიანო მუშაობის მაგალითები. ასეთია, მაგალითად, ინჟენერ ელიაძის მუშაობა ტყიბულის მაღაროებში. ის ყოველთვის ეწეოდა საზიანო მუშაობას და ეხლა ბრალდებულად არის შახტის საქმეში. მუშები თავის დროზე ჩიოდნენ მასზე, მაგრამ ჩვენ ამას არ მივაქციეთ საკმაო ყურადღება.

ელიაძის საქმესთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე კვლავ სდგება საკითხი სპეციალისტების შესახებ. არავინ, რასაკვირველია, არ იტყვის, რომ სპეციალისტები უნდა განვდევნოთ იმიტომ, რომ მათ წრეში იმყოფება ელიაძის ტიპის ხალხი. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გვყავს საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ, და გვაძლევენ საშუალება ავაშენოთ ზაჰესი, რიონჰესი და მთელი რიგი სხვა წარმოებანი. ასეთ სპეციალისტებს ჩვენ ვაფასებდით და ვაფასებთ, ხოლო ელიაძის ტიპის სპეციალისტებს მოვიშორებთ თავიდან.

ამასთან ერთად მე ვფიქრობ, რომ სერიოზულად უნდა ვიზრუნოთ სპეციალისტების ახალი კადრებისა და ჩვენი სამეურნეო მუშაკების გადამზადებისათვის.

ჩვენ ხშირად გვესმის ჩვენი ტრესტების ხელმძღვანელებისაგან, მუშებისაგან საჩივარი იმაზე, რომ მათ არ აქვთ საშუალება სადმე ისწავლონ, რომ ჩვენში არ არსებობს ისეთი დაწესებულებებიც კი, როგორიც არის მოსკოვის საქმიანი კლუბი, სადაც სამეურნეო მუშკებს შეეძლებათ შეკრება და წარმოების საკითხების განხილვა. ეს უეჭველად დიდი ნაკლია, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ უნდა გამოასწოროს.

შემდეგ, შეუძლებელია ავიტანოთ ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენში ჩნდებიან ყოველი სპეციალობის „სპეციალისტები", როცა ტეხნიკოსი ამზადებს სკამებს, ხოლო ჰიდრავლიკოსი მუშაობს ტყავეულის მრეწველობაში. თქვენ წარმოიდგენთ რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის, კრილოვის არაკის მსგავსად, უბედურება, როცა სკამს აშალაშინებს ელექტრიკოსი, ხოლო ტყავს თრიმლავს ჰიდრავლიკოსი. ეს ყოვლად დაუშვებელია, ასეთი „სპეციალისტებისაგან" უნდა განვთავისუფლდეთ, რათა მივიზიდოთ საქმიანი სპეციალისტები, რომლებსაც შეიძლება მოვსთხოვოთ სრული პასუხისმგებლობა.

სამწუხაროდ, უპასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენში ძალიან არის განვითარებული, როგორც პარტიულებს, ისე უპარტიოებს შორის. ავიღოთ იგივე მარელისის ფაბრიკა. რამოდენიმე თვეა იქ სწარმოებს მუშაობა, რამოდენიმე თვეა ეს ფაბრიკა გვაძლევს ზარალს და არავინ არ ფიქრობს იმაზე, რომ საჭიროა ამის გამოსწორება. საკმაო არ არის ნაკლოვანებათა აღნიშვნა, საკმაო არ არის ლაპარაკი, რომ მარელისის ფაბრიკა იღუპება, რომ ცუდად მიდის მშენებლობის საქმე. თქვენ ხართ პარტია, თქვენ ხართ საბჭოთა ხელისუფლება, თქვენ აღმოაჩინეთ ნაკლოვანებანი, მაგრამ კეთილ ინებეთ და გამოასწორეთ ნაკლოვანებანი. ნეგატიური (უარყოფითი) კრიტიკა არ კმარა. ასეთი კრიტიკა სათანადო ზომების მიუღებლად არ ვარგა. აუცილებელია, რაც შეიძლება სასწრაფოდ გამოვასწოროთ აღმოჩენილი ნაკლოვანებანი, ვინაიდან, თუ ერთ ზარალს მეორეს დაურთავთ ზედიზედ, აქედან კარგი არაფერი გამოვა. გარკვეულად უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს მუშაობის მეტად ნელი ტემპი არა მარტო ჩვენს მშენებლობაში, არამედ ნაკლოვანებათა აღმოჩენაში და რაც უმთავრესია მათ გამოსწორებაში. აი, ამიტომ მშენებლობის დარგში ჩვენს წინაშე სდგას აღმოჩენილ ნაკლოვანებათა გამოსწორების, გარკვეული ანგარიშგების და მტკიცე პასუხისმგებლობის დამყარების ამოცანა, ახალი, საკუთარი სპეციალისტების კადრების შექმნის და კომუნისტ სამეურნეო მუშაკების მომზადების და გადამზადების ამოცანა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი საქმე უკეთესად წავა.

პროფმუშაობის ნაკლოვანებანი

ჩვენი წარმოების საკითხებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პროფკავშირთა მუშაობა, საკითხი იმის შესახებ თუ როგორ ასრულებენ პროფკავშირები იმ როლს, რომელიც მათ ეკისრება.

უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი საქმე ამ მხრივ ვერ არის კარგად. იმის თქმა, რომ ჩვენში სწარმოებს ნამდვილი მასიური მუშაობა, რომ ჩვენში მასები ჩაბმულია სოციალისტური მშენებლობის საქმეში, იქნებოდა ცარიელი ფრაზები. ჩვენი პროფკავშირები, რომლებიც მუშათა მასებს უნდა აკავშირებდეს პარტიასთან, თავის დროზე ვერ ამჩნევენ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებებს და ვერ გვითითებენ იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენ გველის ხოლმე.

მასიური მუშაობა მოიკოჭლებს

თუ ავიღებთ ჩვენი პროფკავშირების მდგომარეობას მასიური მუშაობის მხრივ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს მასიური მუშაობა ძალიან მოისუსტებს და ზოგჯერ სრულებით არ სწარმოებს.

პროფკავშირები ცუდად ასრულებენ თავის პირდაპირ დანიშნულებას — ისინი არ აბამენ მუშათა მასებს წარმოებაში და მუშებისათვის არ წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას. მოვიყვან ორ მაგალითს იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ სახეს იღებს ზოგჯერ ჩვენში „კომუნიზმის სკოლა". ერთი მაგალითი შეეხება ფოსტა-ტელეგრაფის კავშირს, მეორე — კომუნალურ მუშაკთა კავშირს. მოისმინეთ როგორ ხორციელდება იქ მასიური მუშაობა.

საქართველოს პროფსაბჭო და სათანადო სარევიზიო კომისია ამას წინედ დაინტერესდა იმ უწესრიგობით, რომელსაც ადგილი ქონდა კავშირში. და აი, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა მიითვისა პროფკავშირის ფული; ამასთანავე ამ ფაქტს რამოდენიმე თვის განმავლობაში ვერავინ ვერ ამჩნევდა. ეხლა ის, რასაკვირველია, მოხსნილია მუშაობიდან, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ეს მოვლენა არ არის სავსებით ჩვეულებრივი, როცა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ფლანგავს პროფკავშირის ფულს.

ავიღოთ მეორე კავშირი — კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირი. ამას წინედ გამოკვლეულ იქნა ამ კავშირის ერთი - ერთი ადგილკომი; გამოკვლევამ აღმოაჩინა რომ ადგილკომის თავმჯდომარემ ბოხმალოვმა გაფლანგა სახლებში მომუშავეთა ფული. გამოირკვა, აგრეთვე, რომ იგი მუშებისაგან შეგროვილი ფულით კომბინაციებს აწყობდა კერძო ვაჭრებთან, ყიდულობდა მათგან სახლებში მომუშავეთათვის საჭირო საგნებს მაღალ ფასებში. უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს ბოხმალოვი პარტიის კანდიდატია.

თქვენ შემეკითხებით: რა შუაშია აქ პროფკავშირი? ადგილკომის ერთ - ერთმა თავმჯდომარემ გაფლანგა ფული, მაგრამ რა შუაშია აქ კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირი? აი, რა შუაშია: სარევიზიო კომისიის აქტიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ „დაწყებული 1927 წლის ნოემბრიდან 1928 წლის აპრილამდე კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა არც ერთხელ არ დაინტერესებულა ამ საკითხით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სახლებში მომუშავენი გარკვეულად უცხადებდნენ კავშირს, რომ არანორმალური მდგომარეობაა ადგილკომში, და რამოდენიმეჯერ დასვეს საკითხი ადგილკომის თავმჯდომარის ბოხმალოვის მოხსნის შესახებ". აღმოჩნდა რომ ზოგიერთმა მუშებმა იცოდნენ „ადგილკომის თავმჯდომარის ყველა ოინები, მაგრამ ეშინოდათ გაეცათ იგი, ვინაიდან იყო შემთხვევები, როცა მათ მიმართეს საქართველოს კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობას, მაგრამ მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მით უფრო, რომ ადგილკომის თავმჯდომარე ბოხმალოვს (გაიგონეთ!) ცენტრ. გამგეობის მდივანის ბეჟანიშვილის სახით ჰყავდა კარგი დამცველი, რომელიც შემდეგში ასეთი საქმეებისათვის ხსნიდა სამუშაოდან და ემუქრებოდა სხვა ზომებით".

ამგვარად თქვენ ხედავთ, რომ ამ ბოხმალოვს იცავს კავშირის ცენტრ. გამგეობის მდივანი ბეჟანიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი თვეების განმავლობაში სძარცვავდნენ მუშებს, ვინაიდან მათ ართმევდნენ ხელწერილებს სპეცტანისამოსის სრული კომპლექტის მიღების შესახებ, ნამდვილად კი მუშები არაფერს არ იღებდნენ ხოლო კავშირის ცენტრ. გამგეობაში არავინ არ აქცევდა ყურადღებას მათ განცხადებებს. ამგვარად, ბოხმალოვი სისაძაგლეს სჩადიოდა, ფლანგავდა ფულს, ძარცვავდა მუშებს, ხოლო კავშირის ცენტრ. გამგეობა მისი მდივანის სახით იცავდა მას და ეს გრძელდებოდა რამოდენიმე თვის განმავლობაში.

მეტი თვითკრიტიკა

აი, ცოცხალი ნიმუში იმისა, თუ როგორ სწარმოებს ჩვენში პროფკავშირთა მუშაობა. რასაკვირველია, შეუძლებელია ამ შემთხვევათა განზოგადება, არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა კავშირებში ასეთი მდგომარეობაა, მაგრამ ასეთ მოვლენებს ყოველ შემთხვევაში უნდა მიექცეს მეტად სერიოზული, მეტად დიდი ყურადღება. ჩვენ სრულიადაც არ ვართ დაზღვეული იმისაგან, რომ ამგვარი შემთხვევები არ განმეორდება სხვა პროფკავშირებში. თუ ჩვენი მასიური მუშაობა ამგვარად ვაწარმოეთ, აქედან არაფერი კარგი არ გამოვა. როცა სვამ საკითხს იმის შესახებ, რომ პროფკავშირებში არ სწარმოებს მასიური მუშაობა, ხშირად გესმის ჩივილი იმაზე, რომ არ იძლევიან სათანადო თანხებს, რომ თანხები არ არის საკმარისი, რომ არ არის შენობები და სხვ. და ამიტომ შეუძლებელი ხდება მასიური მუშაობის გაფართოება. მაგრამ რა შუაშია აქ შენობები? ასე არ უნდა მივუდგეთ საქმეს. რომ შენობები არ არის, ეს რასაკვირველია ცუდია, მაგრამ ეს მაინც არ არის გასამართლებელი საბუთი. მე ვფიქრობ, რომ ბოროტების ფესვი მდგომარეობს არა ამაში, არამედ იმაში, რომ ჩვენს პროფკავშირთა ორგანიზაციებში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმის, მასებისაგან მოწყვეტის ტენდენციას. როცა ზოგიერთ პროფესიონალისტებს აკრიტიკებ, ისინი აღშფოთდებიან ხოლმე: „რა გინდათ ჩვენგან. ჩვენ ხომ ვაკეთებთ მოხსენებებს, ჩვენ ხომ ვადგენთ ანგარიშებს!". თითქოს ეს საკმარისი იყოს: ყრილობიდან ყრილობამდე ან კონფერენციიდან კონფერენციამდე გააკეთა საანგარიშო მოხსენება, სცნეს მუშაობა დამაკმაყოფილებლად და შეგიძლია დამშვიდებით იყო შემდეგ ყრილობამდე ან შემდეგ კონფერენციამდე. არა, ამხანაგებო, ამით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია.

პროფკავშირთა მუშაკების სიტყვებში ხშირად გვესმის, რომ პროფკავშირები მუშათა კლასის ორგანიზაცია არის; და ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ აქ ადგილი არ ექნება ბიუროკრატიზმს. აი, საბჭოთა აპარატს შეიძლება დავსდოთ ბრალი ბიუროკრატიზმში, სამეურნეო მუშაკებსაც შეიძლება დავდოთ ეს ბრალი — ეს ძალიან ადვილი საქმეა,—ხოლო პროფკავშირებს, რომლებიც არის მუშათა კლასის წარმომადგენელი, ასეთი ბრალი არ შეიძლება დავსდოთო. სცდებით, ძვირფასო ამხანაგებო! ის სისაძაგლე, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის წინაშე სვამს ჩვენი პროფკავშირების მუშაობის, მათი გაჯანსაღების საკითხს და საკითხს იმის შესახებ, რომ მათში შეტანილ იქნას რაც შეიძლება მეტი სიახლე და გამოცოცხლება. ხშირად აქვს ადგილი ასეთ ფაქტებს, რომ როცა კავშირის ცენტრ. გამგეობის მდივანი გამოდგა უვარგისი, ის გადაჰყავთ სხვა კავშირში; იქიდან კიდევ სხვა კავშირში და ასე ატარებენ; სანამ ის არ შემოივლის ყველა კავშირებს, ყველა ცენტრ. გამგეობებს. ჩვენთვის კი, საჭიროა რაც შეიძლება მეტად შევცვალოთ ცუდი მდივნები, რაც შეიძლება მეტად იქნან დაწინაურებული ახალი პირები. მე ვფიქრობ, რომ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, ყველა ჩვენმა პარტორგანიზაციებმა უფრო მეტად უნდა იფიქრონ პროფკავშირთა მუშაობაზე, ხოლო პროფკავშირები არ უნდა მოსწყდნენ პარტიას და მუშათა მასებს.

მეტი ყურადღება მუშათა მოთხოვნილებებს

საბინაო ფრონტი

ჩვენი მრეწველობის, ჩვენი მუშათა კლასის საკითხს ეხება საბინაო საკითხი. ეს საკითხი ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა მაშინ, როცა გვინდოდა საბინაო ქირის გადიდება. რასაკვირველია, სათანადო ორგანოებს — ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს, შრომის სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფსაბჭოს და სხ. ქონდათ ცნობები, რომლებიც ახასიათებს საბინაო საკითხის მდგომარეობას, მაგრამ ეს საკითხი ჩვენს წინაშე უფრო გარკვეულად დადგა იმ მომენტში, როცა იძულებული გავხდით მოგვემატებინა საბინაო ქირა. აქ გამოირკვა, რომ სავსებით კარგი მდგომარეობა არ გვაქვს საბინაო ფრონტზე, რომ ამ ფრონტზე მდგომარეობის ბატონ-პატრონნი არა მუშათა კლასი, არამედ სახლის პატრონნი, რომ აქ სავსებით ბატონობს კერძო კაპიტალი, კერძო სახლის პატრონი და ეს რასაკვირველია, აღრმავებს საბინაო კრიზისს. ციფრები რომლებიც ამჟამად გვაქვს, ამტკიცებს, რომ ყველა ბინებიდან თბილისში 88 პროც. ეკუთვნის კერძო მეპატრონეების და მხოლოდ 12 პროც. თბილისის აღმასკომს, საბინაო — კოოპერატიულ ამხანაგობებს და სახელმწიფო წარმოებებს. ამასთანავე, მშრომელთა მოსახლეობის 80 პროც. სცხოვრობს კერძო ბინებში და მხოლოდ 20 პროც. სცხოვრობს სახელმწიფო და კოოპერატიულ ბინებში. ცხადია, რომ საბინაო კრიზისმა ჩვენში შექმნა ნამდვილად სპეკულიაციური პირობები, რომლითაც სარგებლობდნენ სახლის პატრონები. როცა ჩვენ თბილისის ორგანიზაციაში დავსვით საკითხი იმის შესახებ რომ საჭიროა საბინაო ქირის გადიდება; პარტუჯრედები დათანხმდნენ ამაზე, მაგრამ ამასთანავე დასვეს ასეთი საკითხი: „კარგი, საბინაო ქირა უნდა გავადიდოთ, მაგრამ სად წავა ეს საბინაო ქირა — სახელმწიფოს ხელში, თუ კერძო პირის ჯიბეში?". აი აქ ჩვენ შეუდექით რევოლუციონური გზით გამოგვესწორებინა ის შეცდომა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ბინების 88 პროც. იმყოფება სახლის პატრონების ხელში. მით უფრო, რომ სახელმწიფოს კანონიერ საფუძველზე ეძლევა უფლება ჩამოართვას სახლები იმ პირებს, რომლებიც არ უვლიან თავის სახლებს. რასაკვირველია, სახლის პატრონები ეხლა ძალიან შეშინებული არიან. მაგრამ საეჭვოა, რომ ამან უშველოს მათ. საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცედ გადასწყვიტა ჩამორთმეულ იქნას მოუვლელი სახლები.

უნდა ვსთქვა რომ წინედ, როცა ამგვარ საკითხებს გადასაწყვეტად გადავცემდით ხოლმე სასამართლოებს, იქ ადგილი ქონდა საქმის წარმოუდგენელ გაჭიანურებას. საქმეებს დიდი ხნით აჭერებდნენ, ხანდახან კი სავსებით არ სწყვეტდნენ ან სწყვეტდნენ და არჩევდნენ ჩვენთვის მიუღებელი სახით, ვინაიდან არ არსებობდა კლასიური მიდგომა საკითხისადმი. ეს დიდი დანაშაულია იუსტიციის მუშაკთათვის.

მე ვფიქრობ, რომ სასამართლოებმა ამჟამად უნდა გაატარონ მტკიცე კლასიური ხაზი. ჩვენ ამით, პირველი, დავსცხებთ კერძო კაპიტალს, და მეორე, შევამსუბუქებთ მუშათა და მთელი მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობას. ასეთია ის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელსაც ამჟამად ატარებს თბილისის აღმასკომი.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს ახალი საბინაო მშენებლობის დარგში. ჩვენ ვაშენებთ ისეთ სახლებს, რომლებიც ძალიან ძვირი ჯდება და არა დამაკმაყოფილებელი ხარისხის გამოდის. რასაკვირველია, ჩვენ ხუროთმოძღვრების დიდი მცოდნენი არ ვართ, მაგრამ როცა გაივლი და ხედავ ტრამვაელების სახლებს თბილისში, შენთვის ცხადია, რომ აქ აღმაშფოთებელი სისაძაგლეა თბილისის აღმასკომის მხრივ. ააშენეს ასეთი დიდი სახლები, დახარჯეს ამდენი თანხები და ამავე დროს მუშებს მისცეს ბნელი, შეუფერებელი ოთახები, — განა წარმოსადგენია ამაზე უფრო მეტი სისაძაგლე, ამაზე მეტი დაცინვა?

მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი მოვლენები იშვიათი არ არის, რომ მსგავს რამეს ვხედავთ, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში. აშენებენ რომელიღაც ქართული სტილით, არაჩვეულებრივ კატაკომბებს თითქოს საჭირო იყოს თავის შეფარება თავდასხმისაგან, აშენებენ რაღაც ვიწრო ოთახებს, რომლებშიაც ცხოვრება შეუძლებელია. ასეთ მშენებლობას ბოლო უნდა მოეღოს, ასეთ მშენებლები პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული. ჩვენი ფული უნდა დაიხარჯოს მუშათა მშენებლობაზე და არა „მშვენიერი სტილის", არსებითად საეკლესიო სტილის მშენებლობაზე.

მე გავიგონე, რომ არის ასეთი დადგენილება რომ ყველა სახლები აშენებულ იქნას ქართული სტილით. არ ვიცი, არის თუ არა ასეთი დადგენილება, მაგრამ თუ არის, დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაუქმებული.

მათ კი, ვინც ასეთ „საქმეებს" სჩადის, მაგრად უნდა მოვცხოთ.

ამოვსწვათ ბიუროკრატიული დამოკიდებულება გამომგონებლებისადმი

მუშათა საკითხთან დაკავშირებით უნდა ვსთქვა, რომ ძლიერ მცირე ყურადღება ექცევა ჩვენს საწარმოო თათბირებს, ყველა იმ საქმიან წინადადებებს, რომლებიც გამომდინარეობს მუშათა კლასის მასებიდან. საჭიროა ყური ვუგდოთ მუშათა წინადადებებს, უნდა წავახალისოთ მუშათა გამომგონებლობა. ჩვენს გაზეთებში ხშირად არის მოყვანილი მაგალითები, რომ მუშების გამომგონებლობას არ ახალისებენ. მაგალითად ამხ. პეტროსიანმა, ტყავეულობის ქარხნის მუშამ, გამოიგონა ტყავის დამუშავების ახალი წესი, რომელსაც მთელი გადატრიალება შეაქვს ტყავეულობის დამუშავების საქმეში. მაგრამ უკანასკნელ დრომდე მან მაინც ვერ შესძლო, რომ მისი გამოგონება მიეღო ადმინისტრაციას. როდესაც მას ჰკითხეს, თუ რატომ გვიანდება ასე მისი გამოგონების მიღება, მან განაცხადა, რომ ეს მისი ბრალი არ არის. „მარტო ამხ. ბაბაიანი, ტყავტრესტის დირექტორის თანაშემწე, ექვსი კვირა მკვებავს დაპირებებით".

და რამდენი ასეთი დირექტორის თანაშემწეები და დირექტორები, რომლებიც დაპირებებით ჰკვებავენ მუშა გამომგონებლებს, ზოგჯერ კი, იმ მიზნით, რომ თავიდან მოიშორონ ისინი, აძლევენ მათ 100—200 მანეთს. რატომ მაინც და მაინც ამ საქმეში იცავენ ასე სასტიკად მომჭირნეობის რეჟიმს? ასეთ მომჭირნეობას ეწევიან, მაგალითად, თამბაქოს ტრესტში. მაგრამ ამხანაგებო ამ საქმეზე მომჭირნეობის გაწევა დაუშვებელია.

თბილისის ერთ ერთ გაზეთში მოთავსებულია ცნობა, რომ არის ერთი ასეთი დაწესებულება „დორიზულ"-ი—გამოგონებათა და გაუმჯობესებების ხელისშემწყობი საგზაო კომიტეტი, რომელსაც მიმართა გამომგონებელმა ამხ. გალუმოვმა. მან ბევრი რამე გამოიგონა, მაგრამ ვერაფერი ვერ მიიღო თავის გამოგონებებში და თავისი ოჯახით გროშებით გააქვს თავი სადგურ ალსტაფაში. აი კიდევ მეორე მუშა ამხ. დავიდოვი, რომელმაც გამოიგონა სადნობი ღუმელი. „დორიზულ"-ი წინადადებას აძლევს მას თავის ხარჯზე მოაწყოს ღუმელი და ამისათვის აძლევს მხოლოდ 100 მანეთს. აშკარაა, ეს ისეთი ნორმაა, რომელიც იმისთვისაც კი არ არის საკმაო, რომ გამომგონებლის ხარჯები აანაზღაუროს. ეს „დორიზულ"-ი კი არა, რაღაც „დორიზუხ"-ია იმიტომ, რომ ის კი არ აუმჯობესებს, არამედ აუარესებს წარმოებას.

რამდენი მუშა-გამომგონებელი გვეკარგება! ეს არის ჩვენი უყურადღებობის, საქმისადმი უმსგავსო ბიუროკრატიული მოპყრობის შედეგი. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ყველა ის საქმიანი წინადადებები, რომლებიც გამოაქვთ საწარმოო თათბირებზე, რომლებიც შემოაქვთ ცალკე მუშებს და რომლებიც ასწორებს ჩვენს დეფექტებს, ყურადღებით უნდა იქნას განხილული.

ტყიბულში ყოფნის დროს მე ველაპარაკე ერთ მუშას და ვკითხე მას, თუ რატომ ყურადღებას არ აქცევდა ხანძარს და ყოველგვარ უმსგავსოებას, რომლებსაც ჰქონდა იქ ადგილი. მან მიპასუხა: „ჩვენ ყველაფერს ვაქცევდით ყურადღებას, მაგრამ როდესაც ჩვენ ინჟენერებს წინადადებას ვაძლევთ, რომ ამა და ამ ფენზე საჭიროა ასეთი და არა ასეთი მიდგომა, ინჟენერი გვეუბნება—შენ რა იცი, როგორ ბედავ ჩემ სწავლებასო".

ამავე დროს აშკარაა, რომ ზოგიერთ მუშებს რომლებსაც აქვთ დიდი საწარმოო სტაჟი, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობდნენ განსაზღვრულ წარმოებაში, შეძენილი აქვთ უდიდესი გამოცდილება, და ეს გამოცდილება, როგორც სამართლიანად აღნიშნა ამხ. სტალინმა, არა ნაკლებ ძვირფასია, ვიდრე ხელმძღვანელთა გამოცდილება. მაშ, რატომ უნდა უკუვაგდოთ ეს გამოცდილება? რატომ არ უნდა მივიღოთ მხედველობაში ეს გამოცდილება თუნდაც მარელისში, სადაც საწარმოო თათბირები აყენებენ თავის წინადადებებს სკამის თვითღირებულების შემცირების შესახებ. რატომ ვერ მოიცალეს ჩვენმა პატივცემულმა დირექტორებმა, დირექტორის თანაშემწეებმა, ტეხნოლოგებმა, ინჟენერებმა და სხვებმა იმისათვის, რომ გაეგოთ, თუ როგორ მოაწყონ საქმე ისე, რომ სკამი 4 მანეთი და ათი შაური ღირდეს და არა 8 მანეთი? როდესაც მათ ეკითხები, ასე გიპასუხებენ—ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ხუთი წლის შემდეგო. პირდაპირ ასე გვიპასუხა ერთმა ინჟენერ ტეხნოლოგმა. ჩვენ კი მას ვუთხარით: „პატივცემულო ამხანაგო! თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ წელიწადში 300.000 მანეთს ვზარალობთ, ამ ხუთი წლის განმავლობაში 1 ნახ. მილიონი მანეთი უნდა გადავდოთ, მთელი ფაბრიკა კი 1.200.000 მანეთი ღირს. როგორ შეიძლება ასე მუშაობა?".

მეტი ყურადღება მუშათა რაიონებს

ამხანაგებო, მე მგონია ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება ჩვენი მუშათა რაიონების მდგომარეობისადმი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სამეურნეო მუშაობის სისტემაში ჩვენ უმთავრეს ყურადღებას არ ვაქცევთ ამ მუშურ რაიონებს.

ჩვენ ბევრი არა გვაქვს ასეთი საწარმოო რაიონები, მაგრამ რაც გვაქვს, მეტი ყურადღების მიქცევას მოითხოვს. ჩვენ გვაქვს ჭიათურა, ტყიბული, ხაშური, ფოთი, ბორჯომი. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენ საკმაო ყურადღებას ვაქცევთ ამ რაიონებს? სამწუხაროდ, არა. ამხანაგები, რომლებიც იქ ჩადიან, კმაყოფილდებიან მით, რომ სრულიად ზერელედ ეცნობიან საქმეს. ამის გამო გავრცელებული იყო ისეთი აზრი, თითქოს იქ თითქმის არ არიან მუშები, არამედ მხოლოდ ნახევრად გლეხური ელემენტები, ამიტომ განსაკუთრებული მუშაობაც არაა საჭირო. ეს არ არის სწორი შეხედულება, ამხანაგებო! მიუხედავად სოფელთან კავშირისა,—ასეთი კავშირი რომ ყველგან არის,—ამ რაიონებში არის ნამდვილი პროლეტარული ელემენტები.

ამ მდგომარეობას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება, ვინაიდან თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებაზე, მასიური მუშაობის წარმოებაზე. ძალები უფრო ამ სამრეწველო რაიონებიდან, მუშათა კლასის მასებიდან უნდა მოვიკრიფოთ. მეტი ამხანაგები უნდა დავაწინაუროთ იქიდან სამეურნეო და საბჭოთა პოსტებზე, უფრო ძლიერად უნდა მივიზიდოთ მუშები პარტიაში. ამის გაკეთებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც თვალწინ გვექნება ამ მუშათა რაიონების მდგომარეობის ნათელი სურათი.

თბილისის შემდეგ, რომელიც ჩვენს მუშურ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, ჩვენ უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს დანარჩენ მუშურ რაიონებს, და ყოველმხრივ შევუწყოთ მათ ხელი. ასეთი დირექტივა უნდა იქნას გაცემული სამეურნეო, საბჭოთა და ყველა სხვა ხაზებით, ვინაიდან ეს რაიონები ამჟამად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხები

გადავდივარ სოფლის მეურნეობის საკითხზე. აქაც მე არ შევეხები იმას, თუ როგორი გვაქვს ნათესების სივრცე, როგორ კულტურებს ვაშენებთ და სხვ.. ყველამ ვიცით, თუ რა მიღწევები გვაქვს. მე უმთავრესად დეფექტებს შევეხები.

ამჟამად პარტიის წინაშე მთელი თავისი სიმწვავით არის წამოჭრილი საკითხი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა, კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების, საბჭოთა მეურნეობის გაუმჯობესების და სხვ. საფუძველზე. რა გვაქვს გაკეთებული ამ მიმართულებით? თუ ავიღებთ ციფრებს, დავინახავთ, რომ ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ამჟამად ჩვენში ითვლება 7 კომუნა (გასულ წელში იყო 7), 74 სასოფლო სამეურნეო არტელი (გასულ წელში იყო—19), მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობა—131 (გასულ წელში იყო 59).

განვავითაროთ კოლმეურნეობათა მშენებლობა

ამრიგად თუ გასულ წელში გვქონდა კოლმეურნეობათა 85 ერთეული, ამჟამად გვაქვს 212 ერთეული, რომლებშიაც გაერთიანებულია 3.537 მეურნეობა. თუ ამას დაუმატებთ სამანქანო და სამელიორაციო ამხანაგობებს, მივიღებთ 325 ერთეულს. მიუხედავად ამისა კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში ჩვენ ბევრი დეფექტები გვაქვს.

უწინარეს ყოვლისა საკმაოდ არ არის ჩატარებული მიწათმოწყობის სამუშაოები, შესწავლილი არ არის საკითხი განსაზღვრულ რაიონში ამა თუ იმ კულტურის განვითარების რენტაბელობის შესახებ, შესწავლილი არ არის მანქანების მოწოდების საკითხი,—თუ სად, რომელ რაიონში როგორი მანქანა შეიძლება იქნას გამოყენებული. კოლმეურნეობები სუსტად არიან უზრუნველყოფილი აგრონომიული ძალებით, ასევე სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ მათ ჩვენი პარტორგანიზაციები.

იმის თქმა, რომ ჩვენში მეტის მეტად სტიქიურად განვითარდა კოლმეურნეობათა მშენებლობა, რომ საჭიროა მისი შეჩერება,—მე ვფიქრობ არ შეიძლება. კოლმეურნეობათა მშენებლობის ნაკლი მისი მეტის მეტი განვითარებით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ არსებულ კოლმეურნეობებს მიცემული არა აქვს სწორი გეზი, რომ მათ არ ეძლევა სათანადო დირექტივები, რომ არ არის ჯეროვანი ხელმძღვანელობა.

კოლმეურნეობანი „გაწერით"

ჩვენ უნდა განვავითაროთ და დავაჩქაროთ კოლმეურნეობათა მშენებლობა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლმეურნეობათა შექმნა ჩვენ შეგვიძლია გაწერით, როგორც ფიქრობენ და როგორც იქცევიან ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც ასეთ ბრძანებებს იძლევიან: „ესა და ეს სოფელი გადავიდეს კოლმეურნეობათა მშენებლობაზეო".

პარტიის დირექტივა გვეუბნება, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობაში საჭიროა ჩაბმულ იქნას ღარიბი და საშუალო გლეხობა, რომ საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ არა მარტო გლეხობის ცალკე მოწინავე ელემენტები გადადიოდნენ მეურნეობის წარმოების კოლექტიურ ფორმებზე, არამედ ასეთი გადასვლა უნდა შეეხოს გლეხთა მასების ღრმა ფენებსაც, თვით მთელი სოფლების ორგანიზაციულად გადასვლამდე მიწის საერთო დამუშავებაზე.

მაგრამ აქედან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ შეიძლება ვუბრძანოთ რომელიმე სოფელს ერთბაშად გადავიდეს მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე. მოსკოვის გუბერნიაში არის ასეთი მაგალითი. მოვიყვან ამონაწერს „დერევენსკი კომუნისტ"-იდან, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

„ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა თითქმის აღფრთოვანებული წერილები იმის შესახებ, რომ მოსკოვის საადგილ-მამულო განყოფილება გეგმიანად მიუდგა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს. მაშ როგორ გგონიათ! „დღის წესრიგში დასმულია ამოცანა მთელი სოფლების გადაყვანის შესახებ მეურნეობის წარმოების კოლექტიურ ფორმებზე". მოსკოვის საადგილ-მამულო განყოფილებამ გამოსცა ბრძანება ყველა სამაზრო განყოფილებისადმი: „დაუყოვნებლივ შეუდექით ამ საკითხის დაწვრილებით დამუშავებას ადგილებზე და თვითეულ მაზრაში გამოჰყავით რამოდენიმე სოფელი, რომლებშიაც ყველაზე უფრო ადვილი იქნება კოლექტივიზაციის ამ ახალი სახის გამოყენება".

თუ ეს მოსკოვის საადგილ-მამულო განყოფილებაში ხდება, არაფერი არ არის საკვირველი, რომ ზუგდიდის ან რომელიმე სხვა მაზრის საადგილ-მამულო განყოფილება საქართველოში ასევე მოიქცეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს გლეხობისათვის განსაკუთრებით ძნელია კოლექტიურ ფორმებზე გადასვლა, ვინაიდან ჩვენში მეტის მეტად წვრილი მეურნეობებია, მეტის მეტად ცოტაა მიწა და არ სჩანს ის უპირატესობები, რომლებიც აქვს მსხვილ მეურნეობას.

მაგალითად ამხანაგი შორაპნის მაზრიდან მეუბნებოდა, რომ მათ კოლმეურნეობა მოწყობილი აქვთ რაღაც ხუთ ქცევა მიწაზე. ეს რა კოლმეურნეობაა? ვიმეორებ—ეს ძლიერ ძნელი ამოცანაა და ბევრი მუშაობაც დაგვჭირდება მის გადასაჭრელად. ყოველ შემთხვევაში გეზი ასეთი უნდა გვქონდეს,—უნდა დავაჩქაროთ გადასვლა მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე, რაც შეიძლება ჩქარა უნდა ჩავატაროთ ის მუშაობა, რომელიც საჭიროა ამ გადასვლის გასაადვილებლად.

საბჭოთა მეურნეობის კომერციული განხრა

რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს მუშაობას, ამ მხრივ საქმე კარგად ვერა გვაქვს დაყენებული. თქვენ იცით—მე-15 ყრილობამ დაადგინა, რომ საბჭოთა მეურნეობები უნდა წარმოადგენდნენ სოციალისტური ტიპის სანიმუშო მეურნეობებს და დახმარებას უნდა უწევდნენ გლეხურ მეურნეობებს. სინამდვილეში ეს სრულებითაც არ არის ასე. მე მაქვს დასკვნა, რომელიც ეს ეს არის მივიღე ერთი ამხანაგისაგან, რომელმაც დაათვალიერა წინანდალის და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობები. ის აღნიშნავს, რომ „გლეხურ მეურნეობის განვითარების, მისი კოლექტივიზაციის საქმეში საბჭოთა მეურნეობები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ; აგრეთვე არავითარ დახმარებას არ უწევენ ისინი ღარიბ მოსახლეობასო" მაგალითად, როდესაც ვაზს ანაწილებენ, არავითარი შეღავათი არ ეძლევა ფასის დაკლების ან გადახდის ვადის გაგრძელების მხრივ არც ღარიბ გლეხებს და არც კოლექტიურ მეურნეობებს.

შემდეგ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მეურნეობებს თავის მუშაობაში ახასიათებს კომერციული განხრა, ისინი ამაში უფრო დაინტერესებული არიან, ვიდრე იმაში, რომ გაავრცელონ და პოპულარული გახადონ გლეხობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაუმჯობესების იდეები და ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლექტიურ მეურნეობებს.

ამას გარდა თვით მუშაკთა შერჩევა ამ საბჭოთა მეურნეობებში უნდა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად, არ შეიძლება ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ის ხალხი, რომელიც იქ ზის, შესძლებს გაატაროს ჩვენი ხაზი სოფლის მეურნეობის დარგში. ძველი კადრები ახალი ძალებით უნდა შეიცვალოს. სხვანაირად არაფერი არ გამოვა და საქმე წინ არ წაიწევს.

დაუშვებელი უყურადღებობა

რაც შეეხება საერთოდ ჩვენს მუშაობას სოფლად, უნდა ვთქვა, რომ ჩვენ დღემდე ვერ ავიღეთ გარკვეული ხაზი, ყოველთვის პლენუმებზედაც, ყრილობაზედაც ჩვენ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ ჩვენს პარტორგანიზაციებში არის ერთგვარი გადახრა, რომ ზოგიერთ ამხანაგებს საჭიროდ არ მიაჩნდათ მუშაობა ღარიბ გლეხობის შორის. ამასთანავე ხშირად იმოწმებდნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას. ეს ამხანაგები ამბობენ, რომ თითქმის ყველა განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, მაშასადამე ყველა ღარიბი ყოფილა და რაღა საჭიროა დარაზმვა კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველადო. ეს გადახრა მეტად საზიანოა. რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში ასეთ გადახრას არ ჰქონოდა ადგილი, რომ დაუყოვნებლივ მოგვეკიდა საქმისათვის ხელი, ბევრად უფრო დიდი მიღწევები გვექნებოდა ღარიბ გლეხობის შორის მუშაობის დარგში. ჩვენში ძლიერ უყვართ ბრძნული მსჯელობის გამართვა თვითეული ჩვენი დირექტივის გარშემო, რომელსაც ვაძლევთ ადგილებს.

მთელი რიგი ჩვენი ორგანიზაციები, მაგალითად ოზურგეთის და ქუთაისის, დაჟინებით უწევდნენ წინააღმდეგობას იმას, რომ სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო დაყენებული მუშაობა ღარიბ გლეხობის შორის. ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გარკვეული სურათი. დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვაში ჩვენ ბევრი დეფექტები გვაქვს. ყველაფერი არ არის აღრიცხული. ამავე დროს ასეთი სისტემით სარგებლობას ნახულობს გლეხობის შეძლებული ნაწილი, რომელსაც სწორედ ისეთი შემოსავლის წყაროები აქვს, რომლებიც არ იბეგრება.

ვინ არ იცის მაგალითად, რომ ჩვენში ძლიერ არის განვითარებული ფულის გასესხება სარგებლით—მევახშეობა. ეს შემოსავლის უდიდესი წყაროა შეძლებულ გლეხებისათვის, მაგრამ ეს წყარო არსად არ არის აღრიცხული. შემდეგში, როდესაც ჩვენ ჩავატარებთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიას, სათანადო დამატებები უნდა შევიტანოთ კანონში.

როგორც არ უნდა იყოს, არ არის კარგი იმის ძახილი, თითქოს ჩვენში არ არიან არც კულაკები და არც საშუალო გლეხები, არამედ არის მხოლოდ ღარიბი გლეხობა.

უნდა ვებრძოლოთ ამ გადახრას, კულაკური საშიშროების სათანადოდ შეუფასებლობას. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის პროლეტარულ ფენების დარაზმვას, ღარიბ გლეხობის დარაზმვას, სასოფლო-სამეურნეო მუშების დარაზმვას, მოჯამაგირეთა დარაზმვას.

ამასთან ერთად, როდესაც ჩვენ ვაყენებთ საკითხს კულაკის შესახებ, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს ბრძოლის გაძლიერება თავადაზნაურულ ელემენტებთანაც, თუმცა ზოგიერთ მეტის მეტად ოპტიმისტურად განწყობილ ამხანაგების აზრით თითქოს ასეთი ელემენტების ნაშთებიც არ არის ჩვენში.

ჭიათურაში, როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ არის თავადაზნაურული ელემენტები, რომლებიც კიდევ ახდენენ გავლენას გლეხებზე, და რომლებსაც გლეხები „ბატონო"-თი მიმართავენ, კრებაზე გამოვიდა ერთი კომუნისტი და გვეუბნება: „სად აღმოაჩინეთ თქვენ, ცენტრში ჯდომის დროს, ასეთი აზნაურებიო?" ამაზე ჩვენ ვუთხარით მას: „ცუდია, თუ თქვენ ვერ ამჩნევთ იმას, რაც თქვენს ცხვირწინ ხდება"-თქო. კულაკურ საშიშროებას და თავად-აზნაურულ ელემენტების გავლენის სათანადოდ შეუფასებლობას ჩვენ გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ მეტ გარკვეულობას ჰქონდეს ადგილი ჩვენი კლასობრივი ხაზის გატარების დროს სოფლად.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა მიჩქმალულია

ამას წინად შესდგა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ყრილობა და ამ ყრილობაზე ჩვენ მოვისმინეთ სატყეო მუშათა და მოჯამაგირეთა წარმომადგენლებისაგან, რომ მოჯამაგირეთა შორის მუშაობა უყურადღებოდ არის მიტოვებული. საქართველოში ბევრია ისეთი მოჯამაგირეები, რომლებიც ბავშვობიდანვე მსახურობენ კულაკებთან, ან ნახევრად კულაკებთან. მაგრამ რატომ ასე ცოტა არიან მოჯამაგირეები პარტიაში? იმიტომ, რომ მათ შორის მუშაობა თითქმის სრულებით არ სწარმოებს, იმიტომ, რომ პარტიული ორგანიზაციები, მიუხედავად იმ დირექტივებისა, რომლებიც ეძლეოდა მათ 1925 წლიდან მოჯამაგირეთა დარაზმვის შესახებ, მცირე ყურადღებას აქცევდნენ ამ საკითხს. ავიღოთ მაგალითად ისეთი რაიონები, როგორიც თელავის და სიღნაღის მაზრები, აფხაზეთი. განა ცოტა არიან იქ მოჯამაგირეები და მოჯამაგირე ქალები მათ შორის მუშაობის მხრივ კი უმსგავსოდ ცოტა რამეა გაკეთებული. ამავე დროს მოჯამაგირეობა ისეთი ელემენტია, რომელიც საჭიროა პარტიისთვისაც და საბჭოთა ხელისუფლებისათვისაც, განსაკუთრებით იქ, სადაც ფრიად საჭიროა ჩვენი ხაზის გატარება სოფლად. ამიტომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა იმ ამოცანას, რომ დარაზმული იქნან სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშები, დარაზმულ იქნან მოჯამაგირეები და მეტი ყურადღება მიექცეს ამ მუშაობას.

სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაცია, საბჭოთა აპარატი

შემდეგი კითხვა, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე, ეს არის—ჩვენი კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის საკითხი.

კოოპერაციის შესახებ საერთოდ და მთლიანად უნდა ითქვას, რომ ჩვენი კოოპერაცია, როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო, ფეხზე წამოდგა, მან თავი დააღწია იმ დიდი კრიზისს, რომელსაც იგი რამოდენიმე ხნის წინად განიცდიდა და ახლა თითქო ფართო კოოპერატიულ გზაზეა დამდგარი. სამომხმარებლო კოოპერაციაში კოოპერატიულად გაერთიანებულთა პროცენტი 1928 წლ აპრილისათვის აღწევს 56-დე; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ეს გაერთიანება რამდენიმეთ უფრო სუსტია—მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს. ასე რომ, ახლა უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სას.-სამეურნეო კოოპერაციაში მაგრამ ნაკლი კოოპერაციას მაინც აქვს პირველ ყოვლისა, როცა მუშაობა გსურს, უნდა იცოდე, თუ როგორ შემადგენლობასთან მუშაობ. დღემდე კი ჩვენ ვერ მოგვიხერხებია ცნობების მიღება კოოპერაციისაგან მისი წევრების შემადგენლობის შესახებ —ვინ არიან ისინი: საშუალო გლეხობა, მოჯამაგირეები თუ კულაკები. ეს ძლიერ მნიშვნელოვანი ნაკლია. მე უკვე არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება სოფლის ფენებათ დაყოფის სრული სურათი. ეს საკითხი შეუსწავლელია. ასეთი სურათი კი მეტად საჭიროა სოფლად მუშაობისათვის. ყოველ შემთხვევაში, ამხანაგმა— კოოპერატორებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ გაიგონ თავის წევრთა შემადგენლობა.

შემდეგ—კოოპერაცია ცუდად იყენებს ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების ფონდს, სუსტია ანარიცხების მიზიდვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. ეს ნაკლი არის, ის უნდა მოისპოს.

მეტი მეთვალყურეობა პურის საქმეზე

საანგარიშო პერიოდში ჩვენ მოგვიხდა ყურადღების მიქცევა მეტად ცოცხალ, მეტად აქტუალურ—პურის საკითხზე. და აქაც, რამდენადაც ჩვენ უმთავრესად ვაწარმოებდით ამ საკითხის შესწავლას თბილისის ფარგლებში, გამოირკვა, რომ თბილისის კოოპერაცია სავსებით სწორ ხაზს ვერ ატარებს. მაგალითად ავიღოთ თუგინდ მუშკოოპი, რომელმაც ვერ შექმნა ისეთი მოქნილი აპარატი, რომ არ ყოფილიყო რიგები, რომელთაც ძლიერ ხშირად სუბიექტიური მიზეზები იწვევს, რომელმაც სათანადოდ ვერ მოაწყო პურის ცხობის საქმე. გამოირკვა ისეთი დაუშვებელი რამ, რომ მუშკოოპი ცოტა არ იყოს მოგებას იღებს „პურზე ჩვენი არსებისა".

როცა რამოდენიმე ხნის წინად ჩვენ დავსვით საკითხი, რომ საჭიროა პურზე ფასების დაკლება, კოოპერატორებმა, ჩვენ განგვიცხადეს, რომ ეს მოუხერხებელიაო. ერთმა კოოპერატორმა, ალბად გულახდილობით გატაცების გამო, წამოაყრანტალა, რომ მათ წინად დიდი მოგება ჰქონდა პურზე, ახლა კი მაინცდამაინც ბევრს არაფერს, მაგრამ მაინც, ვიღებთ არა თეთრ, არამედ შავ პურზეო; შავი პური ახლა ხომ დიდ მოდაშია. გარდა ამისა, მათ აქვთ შემოსავალი ტომრებიდან და სხვ. თუ ყველაფერ ამას შევაერთებთ, გამოვა, რომ ჩვენი კოოპერაციის მოგების ყველაზე დიდი ნაწილი მოდის პურზე. განა ნორმალურია ეს იმ დროს, როცა პურის მხრივ ასეთი დაბრკოლებებს აქვს ადგილი, რომ სწორედ ამ დროს კოოპერაცია არ გაისარჯოს, არ დაუკლოს ფასებს პურზე, როცა ამის შესაძლებლობა მას აქვს!?

საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა ამ საქმისადმი, საჭიროა მეტი კონტროლის შექმნა პურის საქმეზე და მაშინ ადგილი არ ექნება იმას, რასაც ადგილი აქვს ამჟამად. მართალია, მდგომარეობა პურის ფრონტზე არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მაგრამ აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული თვითონ ჩვენზე, ზოგჯერ ჩვენ თვითონ ვართულებთ საქმეს ჩვენი პანიკით და უხეშობით.

ვაჭრობის ფრონტი

გადავდივარ რა ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობის საკითხზე, უნდა ვსთქვა, რომ სამწუხაროდ საქართველოში შესაფერად ვერ არის შესწავლილი კერძო კაპიტალის როლის საკითხი. თუ როგორია კერძო კაპიტალის ბრუნვა ვაჭრობაში, რა პოზიციებს იკავებს კერძო კაპიტალი, როგორ მანევრებს აკეთებს იგი,—სამწუხაროდ ყველაფერი ამის შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით.

რუსეთში ამის შესახებ არის ლარინის მშვენიერი წიგნი. ამხანაგები აქაც აგროვებენ შესაფერ მასალებს ასეთი წიგნისათვის და ჩვენ ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ მათ და ვუსურვოთ წარმატება.

როგორადაც არ უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ვაჭრობის ზოგიერთ ფრონტზე, ჩვენ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. მართალია, ახლა კერძო კაპიტალი დიდ დაბრკოლებებს განიცდის, განსაკუთრებით მანუფაქტურის მხრივ. მდგომარეობა ისეთია, რომ იხურება მრავალი კერძო მანუფაქტურის მაღაზიები, თითქმის 40—50 პროც. ისეთი სოვდაგარი—ვაჭარიც კი, როგორც ბეზრუკოა, ხურავს თავის მაღაზიას და მართლა უბედური რჩება (სიცილი). ასეთივე მდგომარეობას ვამჩნევთ საგალანტერეო და საბაკალეო ბაზარზე, იქაც კერძო ვაჭრებისათვის კატასტროფიული მდგომარეობა იქმნება—ისინი ხურავენ თავის მაღაზიებს, ვერ უძლებენ საგადასახადო პრესს.

ჩვენმა სახელმწიფო ვაჭრობამ და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმაც გააუმჯობესეს მუშაობა, არ აძლევენ საქონელს კერძო ვაჭრებს, რაზედაც ისინი სჩივიან. ასე მაგალითად, ამის შესახებ მეწვრილმანეთა კომიტეტმა პარტიის ცეკაში იჩივლა, რომ მას ძლიერ ცოტა მანუფაქტურას აძლევენ.

რომელ დარგში მოვისუსტებთ

მაგრამ ქვემოთ სხვა ფრონტებზე, მაგ. ღვინისა და ხორცის ბაზარზე, კერძო ვაჭარს დიდი წარმატებები აქვს. აშკარაა, ჩვენ იქ სუსტი ვართ. ჩვენ სუსტნი ვართ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეშიც. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უფრო მტკიცედ და გეგმაშეწონილად უნდა შევუტიოთ კერძო ვაჭრობას, ვიდრე ეს ხდება ეხლა, არ უნდა გვეშინოდეს იმის, რომ ჩვენ ვერ დავსძლევთ ამ საქმეს, რომ ჩვენ შესაფერი სპეციალისტები არ გვყავს. ასეთი ლაპარაკი გვქონდა ჩვენ ბორჯომის წყალისა და ცნობილი—ქებაძის გამო. შემდეგში კი გამოირკვა, რომ წყალი მაშინაც კარგად იყიდება და კარგ მოგებას იძლევა, როცა სახელმწიფოს ხელშია და არა ქებაძის. საჭიროა უფრო მაგრად შევუტიოთ, უფრო ენერგიულად ვებრძოლოთ კერძო ვაჭრობას, ვებრძოლოთ ქებაძეშვილებთან და ყოველგვარ სხვა „ვეშინსკებთან", რომელიც თავს იჩენს ღვინის ფრონტზე იქნება ეს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ხორცისა თუ სხვა ფრონტებზე. უახლოესი დროის განმავლობაში საჭირო იქნება ყველა ჩვენი პარტორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ამ ამოცანაზე.

შემდეგი საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე, ეს არის—ჩვენი საბჭოთა მშენებლობის და ჩვენი საბჭოთა აპარატის მდგომარეობის საკითხი. მე აქაც ნაკლოვანებაზე ვილაპარაკებ.

ვიხელმძღვანელოთ საბჭოთა დემოკრატიის შემოწმების გაკვეთილებით

ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩატარებულ იქნა საბჭოთა დემოკრატიის შემოწმება ზოგიერთ ჩვენს მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში. მართალია, ჩვენ ავღნიშნეთ მთელი რიგი მიღწევები, მაგრამ მაინც აღმოჩნდა საკმაო ნაკლოვანებებიც ქვედა საფეხურის მუშაობაში. რომ ავიღოთ ჩვენი თემაღმასკომები, დავინახავთ, რომ მათ დღემდე არ აქვთ მუშაობის მტკიცე გეგმა, კომფრაქციები არ იკრიბება რეგულიარულად, არც პლენუმებს იწვევენ რეგულიარულად. ამავე დროს პლენუმები ჩვეულებრივ არჩევენ უმაღლეს ორგანოებში უკვე გადაჭრილ საკითხებს და ამით კარგავენ თავის მნიშვნელობას. მასები არ იღებენ მონაწილეობას ადგილობრივი ბიუჯეტის შემუშავებაში. სექციები ცუდად მუშაობენ. ეს აიხსნება იმით, რომ ადგილებზე ცოტაა მომზადებული მუშაკები. ჩვენს პრაქტიკაში იშვიათია კარგი მუშაკების გადაყვანა ქვედა საფეხურის მუშაობაზე. ჩვენ ახლა შეუდექით სამაზრო ცენტრების გამაგრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო შორს ვერ წავედით, ხოლო მარტო სამაზრო ცენტრების მუშაობის განმტკიცება როდია საკმაო. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ქვედა საფეხურის მუშაობა, ჩვენ შესაფერ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ ჩვენი ქვედა საფეხურის ორგანოების, ჩვენი თემაღმასკომების მუშაობა. ეს ამოცანა დაკავშირებულია ადამიანთა მასალის საკითხთან. საჭიროა მეტი და კარგად მომზადებული ხალხი გაიგზავნოს აქედან სოფლად, რომ მათ შესძლონ თავიანთი ამოცანების შესრულება.

რაც შეეხება ჩვენი სახელმწიფო აპარატის პირად შემადგენლობას, აქ, ამხანაგებო, შარშანდელთან შედარებით, ადგილი აქვს ერთგვარ გაუმჯობესებას. თუ ავიღებთ კომუნისტებისა და კომკავშირელების პროცენტს, 1928 წ. სახელმწიფო აპარატში კომუნისტები შეადგენენ 14,3 პროც., კომკავშირელები კი—4,4 პროც., წინად კი კომუნისტები შეადგენდნენ 8 პროც., კომკავშირელები კი—2 პროცენტზე ცოტა მეტს.

მეორე მხრივ შემცირდა უცხო ელემენტების—მემამულეთა, თავად-აზნაურთა და სამღვდელოების წრიდან გამოსულთა რაოდენობა. წინად მათი პროცენტი უდრიდა 27, შემდეგ—23, ახლა კი—20-ს. ეს პროცენტამდე მაინც დარჩა დღემდე. საერთოდ ჩვენ ვატარებთ სწორ ხაზს აპარატის გამუშურების მხრივ, მისი კომუნიზაციის მხრივ, მაგრამ ვატარებთ არა საკმაოთ, უგეგმოთ. საჭიროა გავაძლიეროთ, უფრო სისტემატიური გავხადოთ კომუნისტების წამოყენება, მაგრამ საკმაო არ არის მარტო კომუნისტების წამოყენება—საჭიროა უპარტიო მუშების წამოყენებაც. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სუსტია მუშა-ქალების წამოყენება და აგრეთვე მუშაკების წამოყენება ეროვნულ უმცირესობათაგან.

ცალკე უნდა შევეხოთ სასამართლოს აპარატს და მასთან დაკავშირებით რევოლუციონური კანონიერების განხორციელების საკითხს. წინანდელთან შედარებით, ჩვენ ვამჩნევთ რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებას, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ჩვენი კანონების მრავალ დარღვევას ქვედა საფეხურის ორგანოების მხრივ. არის შემთხვევები, როცა ძალა-უფლების გადამეტებისათვის პასუხისგებაში მიცემული თანამდებობის პირები არ ისჯება, როცა ადგილობრივი ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონებს და განუხორციელებელია ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური და ყოფა-ცხოვრებრივი პირობების გამო. აიხსნება ეს ნაწილობრივ იმით, რომ ჩვენს ამხანაგებს ადგილებზე მაინცდამაინც არ უყვართ კანონები, ნაწილობრივ კი იმით, რომ ისინი არ იცნობენ ამ კანონებს.

რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებაში უდიდესი როლი ეკუთვნის პროკურატურას, მაგრამ, რატომღაც, იგი ადგილებზე ყოველთვის ვერ ხვდება კეთილგანწყობილებას თავისადმი.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა ლენინის ნაწერებიდან მოვიყვანო ერთი ციტატა, რომელიც შეეხება პროკურატურის საკითხს. ლენინი შემდეგს სწერს: „განა ქედმაღლობა გამოიხატება იმ შეხედულებაში, რომ კანონიერება არ შეიძლება იყოს კალუგის და ყაზანის, არამედ უნდა იყოს მთლიანი, სრულიად რუსეთის და ერთიანი თვით საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვის"?..

და შემდეგ... „კანონიერება უნდა იყოს ერთი, და მთელი ჩვენი ცხოვრებისა და მთელი ჩვენი უკულტურობის მთავარ ბოროტებას წარმოადგენს დამორჩილება ძველი რუსული შეხედულებისათვის და იმ ნახევრად ველურების ჩვეულებებისათვის, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ კალუგის კანონიერება, ყაზანის კანონიერებისაგან განსხვავებულად". „პროკურორს აქვს უფლება და ვალდებულია აკეთოს მხოლოდ ერთი რამ: თვალყური ადევნოს კანონიერების ნამდვილად ერთგვარ გაგებას მთელს რესპუბლიკაში, მიუხედავად ყოველგვარი ადგილობრივი განსხვავებისა და წინააღმდეგ ყოველგვარ ადგილობრივ გავლენათა".

„გურულ" და „გორულ" კანონიერების შესახებ

ეს ამხანაგებო, პირდაპირ ზედგამოჭრილია ჩვენზე, რადგან ჩვენში ძლიერ უყვართ ადგილობრივი გავლენები, და თუ ვინმე ამ გავლენებს არ დაემორჩილა, მას იმ წამსვე მოაცილებენ თავიდან. ეს, ამხანაგებო, მარტო ჭეშმარიტად რუსული შეხედულება როდია, არამედ ჭეშმარიტად ქართულიც. თუ იქ ყაზანის კანონიერება განირჩევა კალუგისაგან, ჩვენში გურიის კანონიერება განსხვავდება გორის კანონიერებისგან. ეს კი ასე არ უნდა იყოს.

არავითარი გორისა და გურული კანონიერება არ უნდა არსებობდეს, არამედ უნდა იყოს ერთი კანონიერება მთელ საქართველოსათვის მის შემავალ ერთეულებთან ერთად. მე ვსთქვი—„ყველა შემავალ ერთეულებთან"-თქო, რადგან, მაგალითად, რევოლუციონური კანონიერების მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის აფხაზეთში. ახლა, რამდენადაც სიტყვა ჩამოვარდა კანონიერებაზე, მე ნებას მივსცემ ჩემს თავს მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა ხდება ჩვენს მეზობელ აფხაზეთში. აფხაზეთი არის, როგორც ჩვეულებრივი რესპუბლიკა—არის იქ უზენაესი სასამართლო, მასთან კი—ეგრედ წოდებული უზენაესი კოლეგია.

უმგზავსოებათა ფაქტები

როგორც თქვენ დაინახავთ, ამ კოლეგიის დანიშნულება, როგორც სჩანს, მდგომარეობს სასამართლოს დადგენილებათა შერბილებაში და ისიც უსაფუძვლოდ შერბილებაში.

მოვიყვან მაგალითს: „საქმეში № 117, რომელიც შეეხება მუშკოოპის ფეხსაცმელების სახელოსნოს გამგის ბენიამენ ჩაკირიანის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებას—კოოპერატიული ქონების მითვისებაში, სისტემატიურ ბოროტმოქმედებაში, სახელოსნოში საჭირო მასალად კონტრაბანდული საქონლის გამოყენებაში და მის ჩაბარებაში სახელოსნოსათვის, როგორც არაკონტრაბანდული საქონლის,—აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ მოქ. ჩაკირიანი დამნაშავედ სცნო აფხაზეთის სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნაწილის მე-116-ე მუხლის მიხედვით და მიუსაჯა დაპატიმრება 5 წლის ვადით, სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აყრა ორი წლის ვადით და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით".

სასამართლოს უზენაესი კოლეგია კი ამავე საქმეზე ადგენს:

„იღებს რა მხედველობაში, რომ მსჯავრდადებულ ჩაკირიანის ბოროტმოქმედებაში არ არის დანაშაულობის ნამდვილი ნიშნები, რომ მსჯავრდადებული ჩაკირიანი არ იყო თანამდებობის პირი, აღჭურვილი განსაკუთრებული რწმუნებებით და არ გაუფლანგავს დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება, მის მიმართ გამოყენებულ იქნეს აფხაზეთის სისხლის სამართლის კოდექსის პირველი ნაწილის 116-ე მუხლი და პატიმრობის ვადა განესაზღვროს 3 წლის ვადით და ასეთი ჩაითვალოს 1926 წ. 19 იანვრიდან".

შემდეგ ადგილი აქვს კიდევ უფრო საძაგელ ამბავს. საქმე შეეხება ყოფა-ცხოვრებრივ დანაშაულს, რომლისთვისაც სასჯელი, თითქოს, უფრო მკაცრი უნდა იყოს. ჩვენ კი ამას ვკითხულობთ:

„საქმეში № 185, რომელიც შეეხება ივანე ლობუსის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებას ორი ქალის გაუპატიურების ცდაში, უზენაესი სასამართლო უფარდებს რა ლობუსის დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსის მე-173 მუხლს, ადგენს: „მიესაჯოს მას დაპატიმრება სამი წლის ვადით, მაგრამ იღებს რა მხედველობაში მის პროლეტარულ წარმოშობას, შეუგნებლობას, აგრეთვე იმას, რომ იგი პირველად არის მიცემული პასუხისგებაში და არ წარმოადგენს სოციალურად საშიშ ელემენტს, უზენაესი სასამართლო შესაძლებლად სთვლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-28-ე მუხლის ძალით პატიმრობის ვადა შეუმციროს ერთი წლით, ალკვეთის ზომა შეუცვალოს და დააპატიმროს".

ვთქოთ, და ნუ იფიქრებენ, რომ ჩვენ მკაცრი ვართო, მაგრამ, როცა სცენაზე ჩნდება უზენაესი კოლეგია, ის უფრო რბილად იქცევა და ამბობს:

„დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო (მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა ქალმა მოახწრო გასხლტომა და მეზობლების დაძახება), კოლეგია ადგენს საქმე შეწყდეს და ლობუსი დაუყოვნებლივ იქნას განთავისუფლებული".

შემდეგ საქმე № 155, რომელიც შეეხება ძმებ ოველიანოვების წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებას—ქალიშვილის გაუპატიურების ცდაში. ამ საქმის გამო უზენაესი სასამართლო ადგენს: „დაპატიმრებულ იქნან სამი წლის ვადით". უზენაეს სასამართლოს კოლეგიას კი ამავე საქმეზე გამოაქვს შემდეგი დადგენილება: „დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო საქმე მოისპოს და ბრალდებულები არსენ და არაქელ ოველიანოვები დაუყოვნებლივ იქნან განთავისუფლებული პატიმრობიდან".

მე ხელთ მაქვს მთელი რიგი ასეთი წმინდა სისხლის სამართლის ხასიათის აღმაშფოთებელი საქმეები, მაგრამ ახლა არ შევუდგები მათ ჩამოთვლას.

არ ვიცი ვისგან შესდგება ეს უზენაესი კოლეგია, შეიძლება მეტად „უზენაეს", ქრისტიანულად განწყობილ, რბილ ადამიანებიდან, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იქ სისაძაგლეები ხდება და ასეთი უზენაესი კოლეგია უნდა გამოვაფხიზლოთ. შეუძლებელია ასეთი „რევოლუციონური კანონიერების" დაშვება. ასეთი „რევოლუციონური კანონიერებით" ჩვენ ვერ მოუღებთ ბოლოს იმ ყოფა-ცხოვრებრივ სისაძაგლეებს, რომელთაც მრავლად აქვს ადგილი აფხაზეთის სინამდვილეში.

იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტი

ახლა გადავალ ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის საკითხებზე.

პირველ ყოვლისა საჭიროა შევეხოთ ქართველი ინტელიგენციის განწყობილებას. ახალის თქმა ამ დარგში, თითქმის არაფრის შეიძლება, იმის გამოკლებით, რომ ახლა ემჩნევა შოვინიზმის ერთგვარი ზრდა ქალაქის ინტელიგენციაში და სოფლის კულაკობაში, რაც გამოხატულებას პოულობს მხატვრულ და ეკონომიური ხასიათის ლიტერატურაში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ შეგვიმჩნევია ნაციონალისტურ ტენდენციების მქონე სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა გამოსვლა. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ლიტერატურულმა დაჯგუფებამ—„არიფიონმა". ეს არის ქართველ მწერალთა განსაზღვრული ნაწილი, რომელიც თავის დროზე, თითქო ძლიერ უახლოვდება საბჭოთა ხელისუფლებას, მათ თანამგზავრებსაც კი უწოდებდნენ, მაგრამ სულ რამდენიმე ხნის წინად მათ საკუთარი კრებულის—„არიფიონი"-ს გამოშვებით გვიჩვენეს თავისი ნამდვილი ფიზიონომია. იმათ, ვინც ეს იცის, შემიძლია, აუხსნა, თუ რა არის „არიფიონი" არიფი—ქართულად ნიშნავს „თანამებოთლეს". მაშასადამე, „არიფიონი" ყოფილა კავშირი, „თანამებოთლეების", შეზარხოშებული ხალხის. მაგრამ ხელოვნების ეს პატივცემული წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი თვრებიან არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებით და შემოქმედებით (სიცილი). აი ამ „თანამებოთლეებმა"—არიფიონელებმა—განიზრახეს საკუთარი კრებულის გამოცემა და როგორც წესი და რიგია მოათავსეს მასში დეკლარაცია, რომელშიც საერთო ფრაზებით აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ოქტომბრის რევოლუციამ ძლიერ ბევრი გააკეთა (ახლა ოქტომბერი მოდაშია ასეთი ხალხისათვისაც კი). შემდეგ ისინი გადადიან უფრო ინტიმური აზრების გამოთქმაზე. იქ გამოდის გერონტი ქიქოძე, რომელმაც დასწერა „არიფიონი ჭერეთში". ჭერეთი ეს არის ადგილი კახეთში. იქ გერონტი ქიქოძე შეზარხოშდა ალბათ, უკვე ნამდვილი ღვინით (სიცილი). მისი წერილი ნათელყოფს, თუ როგორია არიფიონელების იდეოლოგია და საით მიდიან ისინი. გერონტი ქიქოძე აცხადებს.

„არც ოქტომბრის რევოლუცია, არც კომუნიზმი არ არის მწიგნობრული სიბრძნის ნაყოფი, ერთიც და მეორეც იმ კულტურის საფუძველზე შენდება, **რომელსაც ევროპაში დღეს ევრაზიულ კულტურას უწოდებენ.** ევრაზია არც ევროპაა და არც აზია, ერთიც არის და მეორეც... გადაჭარბებული პატრიოტობაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ როგორც ევრაზიას ძველი მატერიკის შუაგული უჭირავს ისე საქართველოს ევრაზიის შუაგული უჭირავს და **მუდამ მაღალა, მუდამ**

„ახალგაზრდა, თბილისის ქედლებს ძველი და ახალი ქვეყნის ტალღები ეხეთქებიან როგორც ოკეანეს მიქცევა და მიმოქცევა“.

საერთოდ ეს გერონტი ქიქოძე დაუღალავად იმეორებს, რომ საქართველო ეს განსაკუთრებული, რჩეული ქვეყანაა და ბოლოს და ბოლოს ასეთ კურიოზებამდე მიდის:

„და დიდათ ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ დღეს ჩვენი თანამემამულეები თანდათან ხელმძღვანელ ადგილებს იჭერენ. ეს როდია გასაკვირალი. საბჭოთა ქვეყნებათ ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციებით“ (სიცილი).

აი ხედავთ, თუ როგორ იტეხება ამ ქართველ ნაციონალისტ-ინტელიგენტის აზროვნებაში მთელი ჩვენი პოლიტიკა, მუშაობა და სხვ. მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ ხელმძღვანელ ადგილებზე ჩვენი თანამემამულეები არ იჯდნენ, არავითარ მშენებლობას ადგილი არ ექნებოდა.

შემდეგ დამახასიათებელია, თუ როგორ უყურებს ის ჩვენს ინდუსტრიალიზაციას, ელექტროფიკაციას და სხვ. პოლიტიკას. შეხედეთ რას სწერს ის:

„ჩვენ ველოდით კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა ორგანიული პერიოდი დაწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყვებოდა. მოლოდინი არ გამართლდა, ან უკეთ ვთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა: ერთი რომ აღთქმული მსოფლიო კატაკლიზმი არ მოხდა, რევოლიუციამ ვერ გადალახა ევროპის საზღვრები, დედა მიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა. და შემდეგ რა დაუპირდაპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია. ამ გზით არ შეიძლება ევროპისა და ამერიკის დამარცხება და გადალახვა, ეს ყველაფერი იქ უკეთ არის მოწყობილი. ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოხსნა ძველი ილუზიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნეობისაკენ. მაგრამ სული დაცარიელდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება“.

ნამდვილი შოვინიზმის ფსიქოლოგია

აი ხედავთ,—ამ ცარიელ ქართველ ნაციონალისტს, რომელიც, როგორც სჩანს, ჩვენს საბჭოთა დაწესებულებაში მუშაობს, არ სჭირია არც ელექტროფიკაცია, არც ინდუსტრიალიზაცია იმიტომ, რომ ევროპაში ყველაფერი ეს უკეთესად არის გაკეთებული, რომ იქ ელექტრონი უკეთესად ანათებს. ის ვერ ხედავს განსხვავებას, ხარისხობრივ განსხვავებას იმას შორის, რაც საბჭოთა კავშირში ხდება და იმას შორის, რაც ევროპაში არის. ყველაფერი ეს მის გარეშე მიმდინარეობს და ის ფაქტიურად გამოხატავს ნამდვილი მეშჩანური შოვინიზმის ფსიქოლოგიას. მაგრამ ყველაფერ ამას იგი მოხერხებულად ფარავს მხატვრული პროდუქციის ფორმაში, ალბათ იმ იმედით, რომ ბოლშევიკები ვერაფერს მიხვდებიან წაკითხულში, მაგრამ ეს არ მოხდება. ახლა თვითეული მუშა დაინტერესებულია მხატვრული პროდუქციით, დაინტერესებულია იმით, თუ რა იდგმება თეატრში, იმით, თუ რა არის დაბეჭდილი წიგნში და ვერავითარი გერონტი ქიქოძე,—რამდენი უნივერსიტეტი არ უნდა ჰქონდეს დამთავრებული მას,—ვერც ერთ მუშას ვერ მოატყუებს. ასეთ კონტრ-რევოლიუციონურ ლიტერატურას ჩვენ ყოველთვის აღმოვაჩენთ და ვისაც საჭიროა მოვსცხებთ.

ქიქოძე გამოდის პუბლიცისტიკის ასპარეზზე. მაგრამ არიერიონელებს ბელეტრისტიკაც აქვს. არის ასეთი ბელეტრისტი, როგორიც ჯავახიშვილი. მან დასწერა მოთხრობა „დამპატიჟე“, რომელშიც დამპატიჟეს სახით გამოჰყავს ზარმაცი გლეხი, რომელიც არაფერს აკეთებს და ცხოვრობს სხვა გლეხების კისერზე, მაგრამ ამავე დროს კავშირი აქვს კომუნისტებთან და, ალბათ, თვითონაც კომუნისტია ან, ყოველ შემთხვევაში, თანამგრძნობი. ჯავახიშვილის მოთხრობაში ეს არაფრის მაქნისი კაცი „კოლექტივის“ მოწყობას აპირებს. ავტორი განზრახ სწერს „კოლახტივი“ და არა „კოლექტივი“. რა არის ეს, თუ არ აბუჩად აგდება ჩვენი ხაზის, სოფლის კოლექტივიზაციის? თუ არ სრული არ ცოდნა ზოგიერთი ქართველი მწერლების მხრივ ნამდვილი, ახალი, საბჭოთა სოფლის? რატომ, იმის ნაცვლად, რომ იცინოს აქ, რუსთაველის პროსპექტზე, ამ ჯავახიშვილმა არ მოიცალა გამოზეპირებულიყო სადმე სოფელში, შეეხედა თუ ვინ დგას სათავეში კომუნაში. იქ ის დაინახავდა არა თავის დამპატიჟეს, არამედ ახალი საბჭოთა ცხოვრების ნამდვილ შემოქმედთ (ხმები: „მართალია“).

ჩვენ არ გვინდა ძველის მოტრფიალე ხალხი

გატაცებული არიან რა „არქეოზით“, მათ არ სურთ ახალი ცხოვრების გაგება და შესწავლა, ასეთი ლიტერატურა ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენ არ გვჭირდება ის ხალხი, რომელიც ხოტბას ასხამს ძველ დროს, ყოველივე დაჩაგრებულს და იყურება წარსულისაკენ, საშუალო საუკუნეებისაკენ. ყოველივე ეს უნდა აღმოვფხვრათ საქართველოს სინამდვილიდან. ჩვენ ნებას არ მივსცემთ არც გერონტი ქიქოძეს და არც ჯავახიშვილს დაჰცინონ ჩვენს აღმშენებლობას.

ამჟამად, კულაკების ერთგვარ ზრდასა და ქალაქებში კერძო კაპიტალის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში ხანდახან იჩენს თავს შოვინისტური, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული განწყობილება. ასეთ განწყობილებას ჩვენ ყოველთვის გადაჭრით ვებრძოდით და მომავალშიაც შევებრძოლებით.

ამას წინად ქართველ მწერალთა ყრილობაზე გამოვიდა რაჟდენ კალაძე, რომელიც თითქოს უკიდურეს მემარცხენეთ ითვლება და რომელიც თითქოს ებრძვის ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ ზეგავლენას. ის გამოვიდა ყრილობაზე და წარმოსთქვა ნამდვილი უხამსი ნაციონალისტური სიტყვა. ის ლაპარაკობდა, რომ ნაციონალური იდეის გარეშე არ არსებობს პროლეტარული ლიტერატურაო. ასე მღერის რაჟდენ კალაძე, მაგრამ საეჭვოა, რომ მისმა სიმღერამ ჩვენ დაგვაკმაყოფილოს.

„ნაგავი“ ეკონომიურ ლიტერატურაში

გადავდივარ რა ეკონომიურ ლიტერატურაზე, უნდა ითქვას, რომ ეს ლიტერატურა ძალიან მოიკოჭლებს. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში დიდი დანაშაული მიუძღვით კომუნისტებს, რომლებიც ეკონომიური ჟურნალების რედაქტორებათ ითვლებიან, მაგრამ არ სთვლიან თავს პასუხისმგებლად ამ ჟურნალების შინაარსისათვის. ამ ჟურნალებში ყოველგვარ ნაგავ მასალას ათავსებენ, ხოლო რედაქტორები კი იცინიან, თითქოს ეს მათ არ ეხებოდეს. რას გავს ასეთი უპასუხისმგებლობა? თვითეული რედაქტორი პასუხს უნდა აგებდეს თავის ჟურნალისათვის, თვალყურს უნდა ადევნებდეს, თუ რას სწერს ჩვენი შინაური „ემიგრაცია“—ხეთ დევდარიანი, ჭუმბურიძე და სხ.

აი, მაგალითად, როგორ ესმის დევდარიანს ჩვენი ინდუსტრიალიზაცია:

„მსოფლიო ბაზრის და ჩვენი წარმოების წესის დღევანდელ პირობებში საქართველოს მთავარ ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ექნება მიმზიდველი ძალა უცხოეთის კაპიტალისთვის, ვერ მიეცემა ამ სიმდიდრის ისეთი საექსპორტო მნიშვნელობა, რომ თავის მხრივ საფუძვლად დაედოს ჩვენში კაპიტალის დაგროვებას და ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარებას“.

მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენ არავითარი ინდუსტრიალიზაცია არ გვჭირდება, არაა საჭირო მრეწველობის განვითარება. ჩვენ ყველამ ყურადღება უნდა მივაქციოთ ნედლეულის რაიონებს და მეტი არაფერი უნდა ვაკეთოთ. რა თქმა უნდა, ასეთ ლიტერატურაზე ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი სამეურნეო მუშაკების აღზრდას.

საქართველოში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი ეკონომიური ჟურნალი ქართულ ენაზე—„საქართველოს ეკონომისტი“. ნუ თუ ჩვენ იმდენად ღარიბნი ვართ, რომ არ შეგვიძლია მოვნახოთ ხალხი და სათანადო ნიადაგზე დავაყენოთ ეკონომიური ჟურნალი ქართულ ენაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ სამეურნეო მუშაკებისათვის?

სამხატვრო და ეკონომიურ ლიტერატურიდან გადავალ ჩვენი იდეოლოგიის ისეთ ცენტრზე, როგორიც სახელმწიფო უნივერსიტეტია.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და მათი რაციონალიზაციის ამოცანა

უმაღლეს სასწავლებლების საკითხიც საინტერესო საკითხია. ეს საკითხი წამოიჭრა ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების (სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი) რაციონალიზაციისა და იმ პარალელიზმის აღმოფხვრასთან დაკავშირებით რომელიც მათ შორის არსებობს. აგრონომიული და საინჟინრო ფაკულტეტები არსებობენ როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიაც. განათლების სახალხო კომისარიატი ფიქრობს, რომ არავითარი ცოდვა არ იქნება, თუ ორივე ეს ფაკულტეტი გაერთიანდება და ამ ფაკულტეტებზე მეცადინეობა იწარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე. არავითარი ცოდვა და ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის შებღალვა აქ არაა და ეს უაღრესად მიზანშეწონილია. მაგრამ, რა თქმა უნდა, გამოინახნენ „მოწინააღმდეგენი“. მე არ ვიტყვი, რომ ამ მხრით პირველ ადგილზე სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ იქ არის ხალხი, რომლებიც დიდმპყრობელური შეხედულებებითაა გაჟღენთილი და რომელმაც გამოსთქვა აზრი, რომ თუ რომელიმე ფაკულტეტი გადატანილ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტში,—იქ აღებული იქნება კურსი გაქართულებაზე და რუსული ენის მოსპობაზე. ასეთ შეხედულებას ჩვენი პოლიტიკისადმი გარკვევით გამოხატავდნენ სახელმწ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ზოგიერთი მუშაკები, რომლებიც დაემუქრნენ კიდეც, რომ დასტოვებენ საქართველოს.

მაგრამ კიდევ მეტ წინააღმდეგობას ხვდება განათლების სახალხო კომისარიატი სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში. მოიძებნენ ისეთი ხალხი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ მიერ განზრახული რაციონალიზაცია შეუძლებელია „განსაკუთრებული პირობების“ გამო. პირდაპირ გასაოცარია, რომ ჩვენ ასე ბევრი ლაპარაკი გვიყვარს ამ „განსაკუთრებულ პირობებზე“. აჭარისტანში კომუნისტებს არ სურთ ახადონ ჩადრი თავის ცოლებს—ესეც განსაკუთრებული პირობების აბრალება; ხდება კითხვა სასულიერო სკოლების დახურვის შესახებ, ისევ განსაკუთრებული პირობები წამოჰყოფს თავს; საქართველოში საჭიროა ბრძოლა შოვინიზმის წინააღმდეგ, მაგრამ აქაც „განსაკუთრებული პირობებია“; აფხაზეთში საჭიროა აპარატის გაწმენდა,—აქაც განსაკუთრებული პირობებია! ეს არაფრად არ ვარგა. პირობების გადალახვა შეიძლება და უნდა გადავლახოთ კიდეც.

ტეხნიკური ინტელიგენცია და უმაღლეს სასწავლებელთა რაციონალიზაცია

მე ხელთა მაქვს ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს ტეხნიკური ინტელიგენციის ერთი ნაწილის დამოკიდებულებას ჩვენ მიერ დასახულ ღონისძიებებისადმი უმაღლეს სასწავლებლების რაციონალიზაციის დარგში. ეს დოკუმენტი მოწმობს, თუ რამდენად ძლიერია კიდევ ნაციონალიზმი ტეხნიკური ინტელიგენციის ზოგიერთ ფენებში. ბარათში, რომელსაც ხელს აწერს საპასუხისმგებლო პოსტებზე მყოფი რამდენიმე სპეციალისტი, ნათქვამია,—რა საჭიროა ამ რაციონალიზაციის გატარება: ეხლა ხომ საყოველთაოდ დამტკიცებულია ქართულ ენაზე უმაღლეს განათლების მიღების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობაო. თითქოს ამის შესახებ ვინმე დაობდეს. რატომ აწყდებიან ისინი ღია კარებს? განა მოიძებნება ისეთი სულელი, რომელიც იტყვის, რომ არაა საჭირო ქართულ ენაზე უმაღლეს განათლების მიღება? ეს არ ყოფილა და არც იქნება, მაგრამ როცა ასე ლაპარაკობენ, მათ სულ სხვა აზრები შემოპარეთ სურთ. აი რას სწერენ ისინი, აღნიშნავენ რა, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი საქართველოს ხარჯზე ინახება: „ამ ინსტიტუტის დანიშნულება ასეთ პირობებში წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობათა ნაწილის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებიც რუსულ ენაზე ლაპარაკობენ და დაინტერესებული არიან მიიღონ განათლება ამ ენაზე. ცხადია, რომ ამ საკითხში გამონახული უნდა იქნეს სწავლების მოწყობის ისეთი ფორმა, რომელიც ერთი მხრით უზრუნველჰყოფს აღნიშნულ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს და, მეორე მხრით, ასატანი იქნება რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის და, შეძლების და გვარად, სავსებით არ დააწვება მხოლოდ რესპუბლიკის ძირითადი ეროვნების საშუალებებს“.

როგორ მოგწონთ ასეთი მსჯელობა საბჭოთა საშუალებებზე?

უნდა დავსცხოთ ნაციონალისტურ მიდრეკილებებს

შემდეგ ისინი ისეთ დასკვნამდე მიდიან, რომ უმაღლეს განათლების მთელი საქმე გადატანილი უნდა იქნეს სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირდაპირ ასეა ნათქვამი.

„ამრიგად, ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოში, კონსერვატორიის გარდა, უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი—სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრონომიული, პოლიტექნიკური და, შეიძლება კიდევ, სამხატვრო ფაკულტეტებით პარალელური ჯგუფების რუსულ ენაზე კითხვით“.

ჯერ ერთი, აქ უცნაურად გვეჩვენება, რომ ისინი ასეთ რადიკალურ გზას დაადგნენ. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს სურს მხოლოდ ორი ფაკულტეტი ორ ენაზე, ისინი კი უფრო შორს მიდიან,—მათ სურთ, რომ მთელ უნივერსიტეტში ორ ენაზე იკითხებოდეს საგნები.

რას ნიშნავს ერთი უმაღლესი სასწავლებელი? მეცნიერული თვალსაზრისით ეს აბსურდია. არ შეიძლება არსებობდეს რაღაც უნივერსალური მაღაზიის მსგავსი უმაღლესი სასწავლებელი, რომ იქ ყველაფერი ჰქონდეს—აგრონომიული ფაკულტეტიც, პოლიტექნიკურიც და სამხატვროც. ჩვენ ამჟამად მივდივართ სპეციალიზაციის გზით. ჩვენ გვსურს, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა მოგვცენ ნამდვილი სპეციალისტები, ამ ხალხს კი არ სურს ამის გაგება. მათი ძირითადი მოტივია—ნაციონალიზმი, ნაციონალისტური ტენდენციები, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა მეტად სერიოზული ბრძოლა.

ამ შემთხვევაში—უმაღლეს სასწავლებლების საკითხში, მიუხედავად წინააღმდეგობისა, საჭიროა ბრძოლა დიდმპყრობელურ ტენდენციებისა, და კიდევ უფრო მეტად,—ქართული ნაციონალიზმის ტენდენციების წინააღმდეგ და მთელი რეჟიმის წესზე გატარება, ხოლო კომუნისტებს უნდა მიეცეს დავალება—არ მიეცნენ პროფესურის გავლენის ქვეშ და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში თვითონ მოახდინონ გავლენა პროფესურაზე და სტუდენტობაზე.

ნაციონალისტური გადახრები

ჩვენთვის საჭიროა, რომ არა მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტის სათავეში იდგეს კომუნისტი, არამედ სტუდენტებიც და პროფესორებიც იყვნენ საბჭოთა ადამიანები. უმისოდ ჩვენ არ გვექნება ნამდვილი საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი. ამ მიმართულებით ზოგიერთი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, მაგრამ მაინც აქამდის უმაღლეს სასწავლებლებში არიან ისეთი პროფესორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კედლის გაზეთი სრულიად ზედმეტია და კარგს ვიზამთ თუ დავხუჭავთ მას. რა შეიძლება ასეთ პროფესორს უწოდოთ, თუ არა უმეცრებისა და უვიცობის წარმომადგენელი. როგორ აღზრდის ის ჩვენს ახალგაზრდობას, თუ ის ფიქრობს, რომ კედლის გაზეთი უნდა დავწვათ? ასეთი განწყობილება უნდა ამოვსწვათ გახურებული შანთით.

ნაციონალიზმი ჩვენში იჩენს არა მარტო ლიტერატურაში, არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში. მას ჩვენ ვხედავთ აგრეთვე სხვა დარგებშიაც. მაგალითად, აპარატის რაციონალიზაციის განხორციელების დროს, თუ შემცირებაში მოხვდა ქართველი, ხშირად მთელ აურ-ზაურს ასტეხენ. როგორ თუ ქართველი შეამცირეს და ამდენი და ამდენი არა ქართველი დარჩაო? ასეთი შეხედულება ხშირათ მიდის ჩვენი პარტიის რიგებამდე, ხოლო პარტიაში კი, უნდა ითქვას, არის მერყევი ელემენტები, რომლებიც იწყებენ ისეთ ლაყბობას, რომ თითქოს საჭიროა ჩვენი ეროვნული პოლიტიკის გადათვალიერება, რომ საჭიროა რაიმე რეჟიმის ჩატარება ამიერ-კავკასიის დაწესებულებებში, რათა ისინი ასე არ ავიწროებდენ ქართველებს, რომ ჩვენ მივატოვეთ ქართული ენა და სხვ. ასეთ განწყობილებებს აქვს ადგილი და მე არ მიმაჩნია შესაძლოთ დავფარო ისინი ამ პლენუმზე. თუ ასეთი ლაპარაკი ჩვენ გვესმის, თუ ზოგჯერ სწერენ კიდეც ამაზე, საჭიროა სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიოთ მას, ვინაიდან სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშობა გადახრები ნაციონალურ საკითხში.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ნაციონალურ პოლიტიკის გატარებაში ჩვენ არ გვქონია ნაკლოვანებანი, მაგრამ იმის მტკიცება, თითქოს ქართველებს ავიწროებენ, არ იქნებოდა მართალი. ჩვენს დაწესებულებებში ნაციონალურ შემადგენლობის საკითხი სწორადაა გადაჭრილი, საქმის წარმოება არის ქართულ ენაზე და სხვ. მე დღეს არ მინდა ვილაპარაკო ჩვენს მიღწევებზე. მაგრამ თუ საჭირო იქნება, უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა საქართველოში ნაციონალური პოლიტიკა ტარდება სწორად, ლენინურად. ხოლო ყოველგვარი ისეთი ლაყბობა, რომელიც მე ზემოდ მოვიხსენიე, წარმოადგენს კულაკების და ინტელიგენციის შოვინისტურ ელემენტების ზეგავლენას იმ მერყევ კომუნისტებზე, რომლებიც ლაყბობენ და, ამავე დროს, თვითონაც არ იციან რა უნდათ (ხმები: მართალია!). რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევებში ხდება გაუგებრობა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს დაწესებულებებს შორის, ისევე, როგორც, ალბად, ხდება მოსკოვში საბჭოთა რუსეთის და საკავშირო ორგანოებს შორის, მაგრამ ამას აქ თან ერთვის ნაციონალური მომენტი, ზოგჯერ ამიერ-კავკასიის და ზოგჯერაც საქართველოს დაწესებულებების მიზეზით. მაგრამ ასეთ გაუგებრობათა მოგვარება ჩვენთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს და აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ საჭიროა რაღაც შესწორებების შეტანა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთი მოლაყბენი, იქნებოდა ნამდვილი ნეო-უკლონიზმი. მაშინ, როცა განვითარების ეხლანდელ საფეხურზე ჩვენი მიზანი უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის კიდევ უფრო განმტკიცება, მისი გაძლიერება პოლიტიკურად და ეკონომიურად, და არა მისი შესუსტება (ტაში). ვფიქრობ, რომ ამაზე დამეთანხმება თვითეული შეგნებული კომუნისტი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, ვინაიდან წარსულში აქ წინააღმდეგობას უწევდენ ამიერ-კავკასიის ფედერაციას. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია იმდენად გაიზარდა და გაიწმინდა ნაციონალურ ელემენტებისაგან, რომ შესძლებს ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის ხელის შეწყობას და მის განმტკიცებას. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ სწორი ურთიერთობა გვქონდეს ამიერ-კავკასიის სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებთან. განსაკუთრებით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ბაქოს პროლეტარიატის როლი, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ამიერ-კავკასიაში ყველაზე უფრო საპატიო რევოლიუციონური როლი ეკუთვნის ბაქოს პროლეტარიატს. ვინც ვერ გაიგო ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზაციასა და მთელს მის სისტემაში, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს საერთოდ ამიერ-კავკასიის პირობებზე. გადაჭრით ვებრძვით რა დიდმპყრობელურ განწყობილებებს, ჩვენ ამავე დროს საკადრის პასუხს გავსცემთ ყველა იმათ, ვინც ამა თუ იმ სახით შეეცდება წაიყვანოს პარტია ნაციონალისტური განწყობილების გზით.

ერთი სერიოზული ნაკლთაგანი

იმისათვის, რომ ამოვსწყვიტოთ იდეოლოგიური ფრონტის საკითხები, მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე საკითხზე ანტირელიგიოზურ პროპაგანდის შესახებ. ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ დარგში საკმაოდ მოვისუსტებთ. ერთ დროს ჩვენ ძლიერ გატაცებული ვიყავით რელიგიასთან ბრძოლის საკითხებით, იერიშები მივიტანეთ ზეცაზე, დავხურეთ ეკლესიები, მაგრამ შემდეგ დაიწყო რეაქცია. ჩვენ ვფიქრობდით—დავხურავთ ეკლესიებს და ეს საკმარისი იქნება. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ არიან ისეთი გლეხებიც, რომლებსაც სწამთ ღმერთი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენ ვამჩნევთ მუსულმანურ და მართლმადიდებელ ეკლესიების გავლენის ზრდას. ზოგჯერ თვით კომუნისტები და კომკავშირელებიც კი ექცევიან სასულიერო წოდების გავლენის ქვეშ. ზოგიერთ ადგილებში მოლებს თავისი ავტორიტეტის ასაწევად არხებიც კი გაჰყავთ მოსახლეობისათვის, ხოლო ჩვენი პარტორგანიზაციები კი ინტერესით უყურებენ, თუ როგორ გაჰყავს მოლას არხი. მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობენ აგრეთვე სექტანტები: ბაპტისტები, ანაბაპტისტები და კიდევ რაღაც ბაპტისტები. ერთი სიტყვით ადგილი აქვს ყოველგვარ რელიგიოზურ მიმდინარეობებს, მაგრამ აქამდის საქართველოში არ არის ურწმუნოთა ორგანიზაცია, რომელმაც უნდა გასწიოს სისტემატიური ანტირელიგიოზური პროპაგანდა. ეს სერიოზული ნაკლი და ამას ყურადღება უნდა მიექცეს. ეს განსაკუთრებით ეხება აჭარისტანს, სადაც აქამდის არსებობს სასულიერო სკოლები და, სადაც ამგვარად ჩვენი ახალგაზრდობა სასულიერო პირების ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება. კურიოზული ფაქტი—თურქეთიდან, სადაც ტარდება სხვადასხვა რეფორმები, მოლები და ხოჯები გამორბიან და თავშესაფარს პოულობენ საბჭოთა აჭარისტანის ტერიტორიაზე. როგორც სჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს ეკლესიას მათზე უკეთ.

თქვენ იცით, რომ სასულიერო წოდება ყველაზე უფრო კონტრ-რევოლიუციონური ელემენტია და ამიტომ ჩვენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გამოვგლიჯოთ მისი გავლენიდან მოსახლეობა და პირველ ყოვლისა ახალგაზრდობა და ქალები. ხოლო ამას ჩვენ გავაკეთებთ მაშინ, როცა ჩვენ გვექნება გარკვეული ხაზი და სათანადო მუშაობა ანტირელიგიოზურ პროპაგანდის დარგში.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა

ეხლა გადავალ ნაციონალურ საკითხებზე. აქ უწინარეს ყოვლისა შევეხები მუშაობას ნაციონალურ უმცირესობათა შორის. იძულებული ვარ ვთქვა, რომ ეს მუშაობა ძლიერ ცუდად არის დაყენებული. ვერც პარტიული და ვერც საბჭოთა ხაზით ჩვენ ვერ დავიკვეხნით, რომ ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ნაციონალურ უმცირესობებს. თუ, მაგალითად, არც ისე ცუდად არის დაყენებული სომხეთ და რუს მოსახლეობის სასკოლო ქსელის საქმე, ისეთ ეროვნებებს შორის, როგორიც ქურთი — ეზიდები, ასურელები და განსაკუთრებით ქართველი ებრაელები, ამ მხრივ თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ დროს ავმოძრავდით ამ დარგში. თურქულ სკოლის საქმეც ძლიერ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მაზრებში მცხოვრებ თურქების თითქმის 40 პროცენტს მიღებული აქვს დაბალი განათლება, თურქული სახელმძღვანელოები საკმაო არ არის, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც სხვა ნაციონალურ უმცირესობათა ენებზეა საკმაო სახელმძღვანელოები. რატომღაც განმტკიცდა ისეთი შეხედულება, რომ თურქული სახელმძღვანელოები აუცილებლად უნდა იქნას მიღებული აზერბეიჯანიდან, სომხური — სომხეთიდან, გერმანული — ვოლგის ნაპირიდან და სხვ. როდესაც ჩვენი სახელგამის მუშაკებს ეკითხები, თუ რატომ არ ბეჭდავენ ასეთ სახელმძღვანელოებს, ისინი ამბობენ, რომ ეს დეფიციტიანი საქმეა, მოგება არ იძლევაო. ამ საკითხისადმი ასეთ მიდგომას ბოლო უნდა მოეღოს. ზედმეტი არ იქნება, რომ განათლების სახალხო კომისარიატმაც გაანძრიოს ხელი. განათლების სახალხო კომისარიატის ანგარიშებში ყოველთვის ყველაფერი ძლიერ კარგადაა. მაგრამ ანგარიშებსა და საქმეს შორის დიდი განსხვავებაა.

განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ქართველ ებრაელების მდგომარეობას, ქუთაისის ხანძრის შემდეგ ჩვენ როგორც მოულოდნელად დავინახეთ, თუ რამდენად ძლიერ განიცდის ტრადიციების გავლენას ხანძრით დაზარალებული ლატაკი ებრაელობა—ისინი იმაზედაც კი ამბობდნენ უარს, რომ ესახლნათ საერთო საცხოვრებლებში. თურმე არავინ არ შეცდილა, რომ ახალ გზაზე დაეყენებინა ისინი. ქართველი ებრაელები წარმოადგენენ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ, ყველაზე უფრო უკულტურო ელემენტებს, მათ შორის საჭიროა დიდი მუშაობის დაწყება და ამ საქმეს სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენს ბიუჯეტში.

ბიუჯეტში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებს. როდესაც ჩვენ განვიხილეთ ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე საქართველოს და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების ბიუჯეტების კოეფიციენტები, დავინახეთ, რომ ციფრები ზერელედ და წინდაუხედავადაა აღებული. მაგალითად სამხრეთ-ოსეთში სულზე გადადებულია 9 მან. 20 კაპ., საქართველოში კი უთბილისოდ—15 მან. ვინ არ იცის, რომ სამხრეთ-ოსეთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ოლქია საქართველოში, ასე რომ თანხები იქ ნაკლები კი არა, მეტი უნდა გადაიდოს. აქ არ შეიძლება სწორი არითმეტიკული გამონაგარიშება,—მოსახლეობის ამდენ და ამდენ სულზე უნდა გადაიდოს ამდენი და ამდენი ფული—არა, მეტი იმ ეროვნებებს უნდა მიეცეს, რომლებიც ყველაზე უფრო ჩამორჩენილნი არიან. აი როგორ უნდა იდგეს საკითხი.

საქართველოს ძირითად ეროვნებასთან შედარებით ნაციონალური უმცირესობები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან კულტურულადაც და ეკონომიურადაც. რომ ამ უთანასწორობას ადგილი აღარ ექნეს, ნაციონალურ უმცირესობებს შორის უნდა ჩატარებულ იქნას დიდი მუშაობა, უნდა მივაღწიოთ ძირითად გარდატეხას ჩვენს დამოკიდებულებაში ნაციონალურ უმცირესობებთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში ნაციონალური უმცირესობები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტს.

მკაფიო, კლასიური ხაზით

შემდეგ მე მინდა ხაზი გაუსვა გარკვეული კლასობრივი ხაზის გატარებას საქართველოს ნაციონალურ ოლქებში და რესპუბლიკებში, რათა ადგილი არ ექნეს ამ ხაზის არავითარ გამოწოდებას, რასაც ამჟამად აქვს ადგილი. პრეზიდიუმის სხდომაზე იდგა საკითხი აფხაზეთის სახელმწიფო აპარატის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იქ ყველა მბრძანებელი სიმაღლეები არ არის კომუნისტების ხელში. ამას ჩვენ ვხედავთ კოოპერაციის ხაზით, სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით, მრეწველობის ხაზით. ასეთ პირობებში არ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ საბჭოთა პოლიტიკა მკაფიოდ იქნება გატარებული. როდესაც ჩვენ ეს საკითხი სავსებით კატეგორიულად დავსვით, ერთგვარ წინააღმდეგობას შევხვდით აფხაზეთში მომუშავე ამხანაგების მხრივ.

ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი გადაწყვეტილების გატარება 50 პროცენტით, მაგრამ ეს ცოტაა, უფრო გადაჭრით უნდა ავიღოთ კურსი იმაზე, რომ ავტონომიურ რესპუბლიკების ხელმძღვანელ ორგანოებში გაიზარდოს კომუნისტებისა და მუშების რიცხვი.

ყოველივე ეს ეხება აჭარისტანს და სამხრეთ-ოსეთს. იქაც საბჭოთა აპარატის მდგომარეობაში ადგილი აქვს ბევრ დეფექტებს. იქაც საბჭოთა აპარატში ძლიერ ბევრია ჩვენთვის კლასობრივად უცხო ხალხი.

თუ ჩვენ ამ პლენუმზე პირობას მივცემთ ერთმანეთს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკების მუშაობაში შეტანილ იქნას მეტი კლასობრივი გარკვეულობა, აქედან ცუდი არაფერი გამოვა, პირიქით—გამოვა დიდი პლიუსი ამ რესპუბლიკების განვითარებისათვის.

კომკავშირი, ქალთა შორის მუშაობა, არმია

ეხლა გადავდივარ საკითხების უკანასკნელ ჯგუფზე—კომკავშირის მუშაობის, არმიის, ქალთა შორის მუშაობის და დასასრულ პარტ მუშაობის საკითხებზე. ეს ჯგუფი უკანასკნელია რიგის მიხედვით, მაგრამ სრულებითაც არ არის უკანასკნელი თავისი მნიშვნელობით.

ვებრძოლოთ ავადმყოფურ მოვლენებს კომკავშირში

კომკავშირზე უნდა ითქვას, რომ ის საერთოდ გვარიანად მუშაობს, თუმცა მას აქვს ისეთი დეფექტები, როგორიც შემადგენლობის ცვალებადობა, ხელმძღვანელობის ჩამორჩენა მასების მოთხოვნილებებიდან, აქტივის არასაკმაოდ აღზრდა და სხვ. ამასთან ერთად კომკავშირელების შორის ადგილი აქვს ისეთ ავადმყოფურ მოვლენებს, როგორიც ლოთობა, მუშაკების არანორმალური დამოკიდებულება ერთმანეთთან, კინკლაობა, ხულიგნობა. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა, რომ რაც შეიძლება მეტი ყურადღება მოვაქციოთ კომკავშირს. თუ საქართველოში პარტიაში ითვლება 30.000 კაცი, კომკავშირი აერთიანებს 70 ათასს. ეს არის ახალ, ნამდვილ მშენებელთა უდიდესი არმია. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ავადმყოფურ მოვლენებს კომკავშირში. ჩვენ არა მარტო უნდა ვებრძოლოთ ამ მოვლენებს, არამედ უნდა მოვსპოთ მათი წარმოშობის წინასწარი პირობებიც. ჩვენ ყურადღება უნდა მოვაქციოთ კომკავშირის სოციალურ შემადგენლობას, მასში მუშების რიცხვის ზრდას. სწორი არ არის ის შეხედულება, თითქოს მთელი მუშური ახალგაზრდობა ჩაბმულია კომკავშირში. სწორი არ არის შეხედულება, თითქოს კომკავშირს სოფლად ყველაფერი თავის რიგზე აქვს. პირიქით, უნდა ითქვას, რომ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ელემენტები საკმაოდ არ არიან ჩაბმული კომკავშირში, თუმცა საერთოდ რიცხვობრივად კომკავშირი ძლიერ იზრდება.

ოპოზიციასთან ბრძოლაში კომკავშირი თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა ოპოზიციონური მუშაობის ერთგვარ გამოცოცხლებას. მენშევიკებისა და „ახალგაზრდა მარქსისტების“ მსგავსად ოპოზიციონერები გზავნიან თავის ემისარებს კომკავშირის ორგანიზაციებში, განსაკუთრებით ზაფხულში, მაგრამ მათ ყველგან ჯეროვან წინააღმდეგობას უწევენ.

მენშევიკურ ფრონტზე ასეთი გამოცოცხლება არ სჩანს, თუმცა, სხვათა შორის, დღეს ცეკამ მიიღო მენშევიკებისაგან პროკლამაცია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პროკლამაცია ძლიერ დაგვიანებულია. ის დაბეჭდილია შაპიროგრაფზე (როგორც სჩანს სტამბა მათ არა აქვთ) და ეხება 26 მაისს. რამდენად გაჩანაგდა მენშევიკური პარტია, რომ 26 მაისის ათი წლის თავიც კი მან ასე დაგვიანებით აღნიშნა—თავისი პროკლამაცია მხოლოდ 11 ივნისს გამოუშვა! ბოლოს ისინი ბოდიშს იხდიან, რომ პროკლამაცია ასე გვიან გამოვიდა.

ჩვენ სიამოვნებით ვპატიებთ ამას მენშევიკებს, სიამოვნებით ვპატიებთ მათ ჩაფლავებასა და გაკოტრებას.

უნდა დავსძინო, რომ ამ მხრივ კომკავშირმა კარგი მუშაობა ჩაატარა. ამჟამად კომკავშირის ორგანიზაციებში სრულებით არა აქვს ადგილი ახალგაზრდა-მარქსისტულ და მენშევიკურ განწყობილებებს.

გეგმიანობა ქალთა შორის მუშაობაში

ქალთა შორის მუშაობის შესახებ უნდა ვთქვა, რომ დღემდე ჩვენ არ გვაქვს სათანადოთ შეხედულება ამ მუშაობაზე. პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მას. მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილება ცენტრში სუსტად მუშაობს, საკმაოდ ცოცხალ ხელმძღვანელობას ვერ ანხორციელებს. ეს შეიძლება ითქვას თვითკრიტიკის წესით, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს პარტორგანიზაციებს ქალთა შორის მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაწევის მოვალეობიდან. ზოგჯერ ისე ხდება, რომ მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილების მოხსენებებს სამაზრო კომიტეტები სრულებით არ ისმენენ და არავითარ ხელმძღვანელ მითითებებს არ იძლევიან. ამიტომ ქალები ძლიერ სუსტად არიან ჩაბმული საბჭოთა აღმშენებლობაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩამორჩენილ მაზრებსა და რესპუბლიკებზე, სადაც ქალები განიცდიან სხვადასხვა რელიგიურ და ყოფაცხოვრებითი ცრუმორწმუნეობის გავლენას.

მაგალითად, დღემდე, აჭარისტანში ქალების უმრავლესობა ჩადრს ატარებს. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ამის ატანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამჟამად ეს დაუშვებელია. საკმაო არ არის იმის თქმა, რომ ამ და ამ ყრილობაზე გამოვიდა ნამდვილი აჭარელი ქალი, ან ნამდვილი აფხაზი ქალი. საჭიროა, რომ ქალი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს საბჭოთა აღმშენებლობაში. აჭარისტანში კი ზოგიერთ კომუნისტების, პასუხისმგებელ მუშაკების ცოლებიც კი ატარებენ ჩადრს. ამას ბოლო უნდა მოეღოს: ისეთი კაცი, რომელმაც ვერ შესძლო იმის მიღწევა, რომ მისი ცოლი ან და ჩადრს არ ატარებდეს, არა მარტო პარტიიდან უნდა იქნეს გამორიცხული, არამედ საბჭოთა თანამდებობიდანაც იქნას მოხსნილი (ტაში).

იგივე უნდა ითქვას აფხაზეთის შესახებაც. აქ ქალები ჩადრს არ ატარებენ, მაგრამ იქ ამდენადვე სუსტად არის დაყენებული მუშაობა ქალების ჩასაბმელად საბჭოთა აღმშენებლობაში. ამას წინად ამხ. ვარო ჯაფარიძე იყო იქ და ადგილობრივმა მუშაკებმა ვერ შესძლეს იმის უარყოფა, რომ ეს მუშაობა იქ ძლიერ სუსტად არის დაყენებული. ამხ. ლადო რომ, სახალხო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ, დაადასტურა, რომ იქ მართლაც არ სწარმოებს მუშაობა ქალთა შორის, რომ ისინი შეკავშირებული არ არიან ქალთა განყოფილების გარეშეთ. ამ ფაქტების მიფუჩეჩება არ შეიძლება.

მე მგონია,—აფხაზეთის სახალხო კომიტეტს რომ სათანადო ხელმძღვანელობა გაეწია ამ საქმისათვის, ასეთ მდგომარეობას ადგილი აღარ ექნებოდა.

მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების მუშაობაში უნდა შევეცადოთ, რომ ადგილი ჰქონდეს მეტ გარკვეულობას, მეტ გეგმიანობას, მუშა ქალების მეტად მიზიდვას. ქალთა განყოფილებები არ უნდა გაიტაცოს მუშაობამ ისეთ ელემენტების შორის, რომელთაგან მაინც არაფერი არ გამოვა, ხოლო მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანონ პროლეტარ და გლეხ ქალთა წრეებში. მაგრამ მე ამით იმას არ ვამბობ, რომ საჭირო არ არის მუშაობა დიასახლისების შორის—ქალთა ამ უდიდეს მასაში, რომელზედაც აუცილებლად უნდა გავავრცელოთ ბოლშევიკური გავლენა. ამასთან ერთად ჩვენ გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ბურჟუაზიული კულტურის ელემენტებს, ფოქსტროტის მოყვარულ და პრანჭია ქალიშვილებს, ისინი ჩვენ არ გვესაჭიროებიან. ჩვენ გვესაჭიროება ნამდვილი საბჭოთა ქალები, როგორც ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელნი.

მეტი მუშები მეთაურთა შემადგენლობაში

ეხლა, ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა ქართული დივიზიის ნაწილების შესახებ. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ამ საკითხს დიდ ყურადღებას ვაქცევდით და მუშაობამ თვალსაჩინოდ წაიწია წინ. მებრძოლთა პოლიტიკური და სამხედრო მომზადების მხრივ საქმე საკმაოდ კარგად არის დაყენებული. მხოლოდ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მეთაურთა შემადგენლობაში მეტი მუშები იყვნენ. საჭიროა აგრეთვე მეტი დაკავშირება რუსულ და ქართულ ნაწილებს შორის, რამდენადაც ისინი ორივე იცავენ სოციალისტურ სამშობლოს, და არიან ერთი ოჯახის წევრები.

უკანასკნელი საკითხი—შინაპარტიულ მდგომარეობისა და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე ამ დარგში.

შინაპარტიული მდგომარეობა

ჩვენი ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგებაზე მე არ ვილაპარაკებ, ვინაიდან ამ საკითხზე გაკეთებული იქნება სპეციალური მოხსენება. ვიტყვი მხოლოდ, რომ მუშების პარტიაში მიზიდვის მხრივ ჩვენ სავსებით კარგად ვერ გვაქვს დაყენებული საქმე. ამჟამად ჩვენს ორგანიზაციაში მუშები შეადგენენ—42,9 პროცენტს, გლეხები—35 პროცენტს, მოსამსახურეები და სხვები—21 პროცენტს. 1924—25 წელთან შედარებით ერთგვარ გაუარესებას აქვს ადგილი. მაშინ მუშები მეტი იყვნენ—44,5 პროცენტი. უახლოეს დროში ჩვენ არა თუ უნდა დავეწიოთ ამ ციფრს, არამედ კიდევაც უნდა გავუსწროთ მას. ეს უნდა შევძლოთ ჩვენი მასიური მუშაობის განვითარებით, ტყუილა ამბობენ, რომ ჩვენში მუშები არ არიან. საქმის სათანადოდ დაყენებით ტყიბულში, ქუთაისში, ხაშურში, ბორჯომში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში და ბათომში შეიძლება ბევრი მუშები მივიზიდოთ პარტიაში.

რაც შეეხება ჩვენს ბრძოლას ოპოზიციასთან, ყველას მოგეხსენებათ, რომ ოპოზიცია საქართველოში საბოლოოდაა განადგურებული. ჩვენი პარტიიდან გაცხრილულია დაახლოებით 300 კაცი. აქედან ორი-სამი ათეულის გარდა, ისეთი ელემენტებია, რომ სასურველი არ არის მათი უკან დაბრუნება. მოხდა პარტიის ბუნებრივი გაწმენდა და ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობა ამით მხოლოდ გაუმჯობესდა.

ბევრი მუშები, რომლებიც გზაკვალის აბნევის გამო ოპოზიციას ემხრობოდნენ, დაუბრუნდნენ ჩვენს თვალსაზრისს. ოპოზიცია სრულებით გაკოტრდა და ეხლა საქართველოს პირობებში იმის ლაპარაკი, რომ პარტია გადაგვარებას განიცდის, სასაცილო იქნებოდა. არავინ არ დაუჯერებს ვირაპას და სხვების გოდებას, რომ პარტია გადაგვარებას განიცდის. კურსი, რომელიც აიღეს ჩვენ საბინაო პოლიტიკაში, ბრძოლა კულაკებთან, ბრძოლა თავად-აზნაურულ გავლენის ნაშთებთან, მთელი ჩვენი გეზი ღარიბ გლეხობასა და მოჯამაგირეებს შორის მუშაობის დარგში—განა ყოველივე ეს კლასობრივი პროლეტარული ხაზი არ არის?

ჩვენი ამოცანაა—განვამტკიცოთ პარტორგანიზაცია მიღწეულ პოზიციებზე და გავსწიოთ წინ. ამ წინსვლაში ჩვენს წინაშე იჭრება თვითკრიტიკის განვითარების, შინაპარტიულ დემოკრატიის გაფართოების ამოცანა. უამისოდ—შინაპარტიულ დემოკრატიის და თვითკრიტიკის განუხორციელებლად ჩვენ ვერ შევძლებთ წინსვლას. ეს არის ჩვენი ორგანიზაციის ზრდისა და შემდგომ წარმატებათა აუცილებელი პირობა.

მტკიცედ გავატაროთ თვითკრიტიკა

როდესაც ამ საკითხს ვაყენებთ, ზოგიერთი ამხანაგები შიშს გამოსთქვამენ, ზედმეტი ხომ არ მოგვივიდა, ზომაზე მეტად ხომ არ აჭარბებენ კრიტიკას? ხდება ხოლმე, რომ ამ პირებს, რომლებიც აკრიტიკებენ მუშაობას, კინკლაობის მოყვარულებს უწოდებენ, სდევნიან მათ და კიდევაც აძევებენ დაწესებულებიდან—შენ სხვა დაწესებულებაში გამოდგები, ჩემს დაწესებულებაში კი კრიტიკოსები შტატით არ არის გათვალისწინებულიო. ზოგიერთი ფიქრობს, რომ კრიტიკა სწორი უნდა იყოს მთელი 100 პროცენტით. მაგრამ ეს არასოდეს არ ხდება. სამართლიანად სთქვა ამხ. სტალინმა, რომ თუ მუშის კრიტიკაში არის 5-10 პროცენტი სიმართლე, ეს სიმართლე მიიღე და გამოიყენე, დანარჩენი კი უყურადღებოდ დასტოვე, მაგრამ კინკლაობის მოყვარულად ნუ აცხადებ იმას, ვინც აკრიტიკებს შენს მუშაობას, და ნუ სდევნი მას.

აი, როგორი მდგომარეობაა თვითკრიტიკის დარგში. ნახევრად მენშევიკური, ნახევრად ნაციონალისტური ოპოზიცია სცდილობდა თვითკრიტიკა გამოეყენებინა ჩვენი პარტიის დასამხობად. ასეთი „თვითკრიტიკა“ ჩვენ არ გვესაჭიროება. მაგრამ ცუდი არ იქნება, თუ ჩვენ ეხლა პარტიის ინტერესების სასარგებლოდ გავაძლიერებთ ყურადღებას თვითკრიტიკისა და დემოკრატიის გაფართოებისადმი. ამ დარგში აურებელი სამუშაო გვაქვს. საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელი მიმართვა პარტიის ყველა წევრებისა და მუშებისადმი ამ მხრივ შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ძველი ბიუროკრატიზმის გვერდით იზრდება ახალი ბიუროკრატიზმი.

„თავის ყველა უფრო მახლობელ ორგანიზაციებშიაც—პროფკავშირებში და პარტიაში, ის (მუშათა კლასი) ზოგჯერ ხვდება ვაჭრებს, ჩინოვნიკურ გადაგვარებას, თავაშვებულობას, ლოთობას, ღვარძლიან უყურადღებობას მასების საჭიროებისადმი, უდიერ, ყოყოჩურ მოპყრობას „ქვედა ფენებისადმი“, პირმოთნეობასა და ლაქუცობას „ზედა ფენებისადმი“, უვიცობას, ჩამორჩენილობას, კონსერვატიზმსა და რუტინას. ასეთი აპარატით, რომელსაც მისი უეჭველი დამსახურების მიუხედავად ამდენი დეფექტები აქვს, შეუძლებელია საკმაო სისწრაფით და წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა შინაური მტრის წინააღმდეგ, ფარული დამაზიანებელი მუშაობის წინააღმდეგ, თვით ჩვენი კლასის დეფექტების წინააღმდეგ, მუშაობის მოძუნძულე ტემპის წინააღმდეგ, ჩვენი სამეურნეო და კულტურული ფრონტის ბევრ ნაწილებში“.

„პიროვნებათა მიუხედავად“

რა არის საჭირო ყოველივე ამის დასაძლევად? ამისათვის საჭიროა დაუნდობელი თვითკრიტიკა, „მიუხედავად პიროვნებათა“, მიუხედავად თანამდებობათა, იქნება ის თავმჯდომარე, მდივანი ან არქი-მდივანი, სულ ერთია. თუ არასწორ ხაზს ატარებ, დაუნდობლად უნდა დაგცხონ. მოწოდებაში ნათქვამია:

„ამიტომ მხოლოდ თანამიმდევრობით ჩატარებული შინაპარტიული და პროფკავშირული დემოკრატია, არჩეულობის პრინციპის სავსებით გატარება ყველა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებში, სრული შესაძლებლობა ყოველი მდივნის, ყოველი კომიტეტის ბიუროს გადაყენებისა, შექმნის მუდმივ კონტროლს მასების მხრივ და შესძლებს მოაშოროს ბიუროკრატიული ხორცმეტები ჩვენს აპარატს. მოსპოს ბიუროკრატიული გადამახინჯების, ძმა-ბიჭური საქმიანობის, ჩინოვნიკური ლაქუცობისა და თავხედობის, მასების ინტერესების დავიწყების და მეშჩანური გულდამშვიდების შესაძლებელი შემთხვევები.

აქ ყველაფერი სავსებით ნათლად და გარკვეუ თვითკრიტიკის ლოზუნგი გადაიქცევა უბრალო ფორმალურ ცნებად, რომელიც მხოლოდ სახელს გაუტეხს მასების თვალში ამ ლოზუნგს, პარტიის ხელმძღვანელობას და თვით პარტიას“.

აქ ყველაფერი სავსებით ნათლად და გარკვეულად არის ნათქვამი, მაგრამ სამწუხაროდ, როცა ჩვენ პრაქტიკულად მოვდებით საქმეს, ვამჩნევთ, რომ ეს დირექტივა ყოველთვის ნათლად და გარკვეულად არ ტარდება ცხოვრებაში ჩვენი პარტიული და ხშირად საკონტროლო ორგანოების მიერ. ამას ჩვენ ვამჩნევთ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

კონტრაბანდისტული იარა

მე მინდა შევჩერდე გარკვეულ რამოდენიმე მაგალითზე ჩვენს ქართულ სინამდვილეში. დავიწყებ ბათომიდან. იქ ამას წინად თავი იჩინა იარამ ყველაზე უფრო სათუთ ფრონტზე, კონტრაბანდის ფრონტზე. კონტრაბანდის მხრივ ბათომს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს კავშირში. ამას აღნიშნავს თავის წიგნში ამხ. ლენინიც. კონტრაბანდა — ეს საყოველთაოდ გავრცელებული ავადმყოფობაა ბათომში; ამ ავადმყოფობით არის დაავადებული ყველა, თვით ჩვენი კომუნისტებიც. როცა წამოიჭრა ბათომის საბაჟოს საკითხი, აღმოჩნდა, რომ საბაჟოს უფროსი უკეთდებოდა სხვა კომუნისტებთან ერთად, რომელთაგან ერთი დაიმალა, მთელი რიგი წლების განმავლობაში ეწეოდა ქურდობას, სახელმწიფო ქონების დატაცებას და გაფლანგვას და ყოველივე ეს დაუსჯელად რჩებოდა. იქ იყო ადგილკომი და უჯრედიც, მაგრამ ისინი არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ იმისათვის, რომ დროზე გამოეაშკარავებინათ ეს იარა. პირიქით, მაშინაც კი, როცა გამოაშკარავდა ზოგიერთი ამ ბოროტმოქმედთაგანი, საოლქო კომიტეტში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ყველაფერი რიგზეაო, იმიტომ, რომ ასე განაცხადა თბილისელმა რევიზორმა. როგორც ხედავთ იქ არ იყო საქმისადმი კრიტიკულად მიდგომა — მოისმინეს რევიზორის მოხსენება და საბაჟოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნეს.

ეხლა, როცა გამოაშკარავდა ბოროტმოქმედებანი საბაჟოში, აღმოჩნდა, რომ უჯრედიც და ადგილკომიც არ იდგა თავის სიმაღლეზე.

ეხლა ჩვენ რეალურად მივუახლოვდით იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოვსპოთ კონტრაბანდა. ბათომის აქტივზე ჩვენ განვაცხადეთ, რომ სანამ ბრძოლას დავიწყებდეთ კონტრაბანდისტებთან, საჭიროა ამ კონტრაბანდის მოხმარების აღმოფხვრა კომუნისტებს შორის. ზოგჯერ ცენტრიდან ჩადიან ბათომში, ვითომც დიდი მუშაობის ჩასატარებლად, ნამდვილად კი მათი ჩასვლის მიზანია კონტრაბანდა საქონლის შეძენა. ჩვენ წამოვაყენეთ ასეთი ლოზუნგი—არც ერთმა კომუნისტმა არ უნდა ატაროს კონტრაბანდა საქონელი არა მარტო ბათომის რაიონში, არამედ მთელ საქართველოში. შეიძლება ამის შესრულება ძნელი იყოს, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაბანდის სენის საყოველთაო გავრცელებას ბოლო არ მოეღება.

მავნებელი „კავშირი“

მეორე მაგალითი: აფხაზეთში ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტების წარმომადგენელმა გაფლანგა 48 ათასი. ამ თანხის გაფლანგვა მოხდა 1-ნახევ. წლის განმავლობაში. არანორმალურ მოვლენებს კანტორაში აქცევდნენ ყურადღებას, სჩიოდნენ ამის შესახებ, მაგრამ არავინ მიიღო არავითარი ზომები. როცა ამ წარმომადგენელს შეეკითხნენ, თუ სად გაფლანგა ფული, მან უპასუხა, რომ მართავდა ქეიფს, სადილებს და ვახშმებს ზოგიერთი კომუნისტების მონაწილეობით. ზოგჯერ ჩვენში ადგილი აქვს ასეთ მოვლენებს, როცა კომუნისტები პირად ცხოვრებაში უკავშირდებიან ანტისაბჭოთა ელემენტებს, სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა მოსამსახურეებს, რომლებიც ფლანგავენ სახელმწიფო ფულს. სამაგალითოდ უნდა იქნან დასჯილი კომუნისტები, რომლებიც ამას სჩადიან (ტაში. ხმები ადგილებიდან: მართალია!), რომლებიც მონაწილეობას იღებენ ქეიფებში და სხვაგვარ სისაძაგლეში. ასეთი კომუნისტები სამაგალითოდ უნდა იქნან დასჯილი (ტაში), თვით პარტიიდან გამორიცხვამდე.

ჩვენში ხშირად აქვს ადგილი სხვადასხვა საჩუქრებს, ძღვენს, ბანკეტებს, იუბილეებს. ზოგჯერ მოხუცდება რომელიმე ძველ კომუნისტს და ამბობს: „25 წელი ვემსახურე პარტიას, და იუბილე უნდა გამიმართოთ“-ო. და უმართავენ იუბილეს. აქ ლაპარაკია არა დამსახურებულ კომუნისტებზე, რომელთათვის იუბილეს გამართვა არ იქნებოდა ცუდი საქმე. აქ ლაპარაკია ისეთ კომუნისტებზე, რომლებიც თვითონ უმართავენ თავის თავს იუბილეს, რასაკვირველია, არა დამსახურების გამო. ამ იუბილეებზე ხშირად მიდიან არა მარტო კომუნისტები, არამედ კერძო ვაჭრებიც, რომლებიც იუბილიარს ეუბნებიან: „შენ პარტიას ამსახურე 25 წელი“-ო (სიცილი). როგორ არ უნდა დალიოს ვაჭარმა მისი სადღეგრძელო?

ზოგჯერ ბანკეტებს უმართავენ და საჩუქრებს უძღვნიან კომუნისტებს ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე გადასვლის დროს, თუნდაც თვით თბილისშივე. როგორ არ უნდა აღინიშნოს ასეთი მოვლენა, რომ იგი ერთი ქუჩიდან გადავიდა მეორე ქუჩაზე. ყოველივე ამაზე იხარჯება სახელმწიფო ფული, ყოველივე ეს იწვევს გამეშჩანებას, გახრწნას, გაფლანგვას.

ჩვენ მართალია, ცოტა დაგვიანებით შევუდექით ჩვენი კაზინოების და სხვა აზარტული სათამაშო დაწესებულებების საკითხს და დავადგინეთ მათი დახურვა (ტაში). ზოგიერთი ამხანაგები, განსაკუთრებით ფინსახკომიდან, ფიქრობენ, რომ ამით სახელმწიფო ჰკარგავს შემოსავალს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ სახელმწიფო საბჭოთა ფული გაცილებით უფრო მეტი იკარგება ასეთი კაზინოების არსებობით (ტაში), და რაც უფრო მალე დავხურავთ ამ დაწესებულებებს, მით უკეთესი იქნება ფინსახკომისათვისაც. ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ კაზინოებს მოსკოვში და ბაქოში უკვე ხურავენ დიდი ხანია. თბილისი კი ჩამორჩა, ალბად აქ „განსაკუთრებული პირობებია“ (სიცილი). მიუხედავად იმისა, რომ საერთო-საკავშირო მასშტაბით არის გამოცემული დეკრეტი ამ საკითხზე, კაზინოები ჩვენში მაინც არსებობს. ეს დეკრეტი უნდა გავატაროთ ცხოვრებაში (ტაში).

„ბლანკები, ბარათები, ტელეფონი“

ჩვენში არსებობს ასეთი მოვლენები, როგორიცაა პროტექციონიზმი და ნათლიმამობა. საქართველოში ძალიან არის მოდაში დაწესებულების ბლანკის, საკუთარი მდგომარეობის და ტელეფონის და კიდევ უფრო ავტომატიურ ტელეფონის გამოყენება იმისათვის, რომ მოაწყონ თავისი „ნათესავი კაცი“.

ამას წინად „კომუნისტ“-ში „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელ“-ში გამოქვეყნებულია ასეთი პროტექციონიზმის ფაქტები, როცა შრომის ბირჟაში დაარსეს შრომის ახალი ბირჟა. ეს ხალხი ნებაყოფლობით შეუდგა შრომის ბირჟის მოწყობას. რატომღაც არ უნდა მოაწყონ ასეთი ბირჟა, თუ ამით შეიძლება საკუთარი ნაცნობის ან ნათესავის მოწყობა. და აი, შრომის ბირჟებში გზავნიან აუარებელ საპროტექციო წერილებს.

ჩვენი პრესის შესახებ უნდა ითქვას, რომ როცა ის აქვეყნებს ამგვარ ფაქტებს, იგი ილაშქრებს მეეზოვეების წინააღმდეგ, რომელიმე პატარა კაცის წინააღმდეგ, მაგრამ უფრო მაღალი თანამდებობის პირზე ლაპარაკის ეშინია. ლოზუნგი „მიუხედავად პიროვნებათა“, ჯერ კიდევ არ არის გატარებული ცხოვრებაში. ჩვენს პრესას ჯერ კიდევ აქვს ერთგვარი შიში, ერთგვარი კონსერვატიულობა, არ სჩანს ჯანსაღი რისხიანობის გამოხატულება.

კომკავშირის ადგილობრივი გაზეთების საქმე ამ მხრივ კარგად არის დაყენებული. იქ უფრო მეტად ილაშქრებენ „მაღალი თანამდებობის პირთა“ წინააღმდეგ, იქ უფრო დაუნდობლად ააშკარავებენ სხვადასხვა ავადმყოფურ მოვლენებს.

სხვათა შორის გაზეთში გამოქვეყნებულია საგულისხმო ფაქტი პროტექციონიზმის შესახებ. რომელიღაც „მაღალი თანამდებობის პირმა“ იმისათვის, რომ სამსახურში მოეწყო ერთი კაცი, ერთ-ერთ თავის საპროტექციო ბარათში გაიხსენა ნიჭიერი პროლეტარული მწერალი ეგნატე ნინოშვილი. „შენ გახსოვს, როგორ აღწერდა ეგნატე ნინოშვილი თავის თხზულებებში ასეთ ღარიბი, საცოდავი გლეხების ცხოვრებას. ეს ისეთივე ტიპია და შენ ის უნდა მოაწყო სამსახურში“-ო (ტაში). თურმე ნიჭიერი მწერალის ავტორიტეტსაც კი იყენებენ პროტექციონიზმის მიზნით.

ალბად, ეგნატე ნინოშვილი სამჯერ გადაბრუნდებოდა სამარეში [illegible].

პროტექციონიზმს ჩვენში ადგილი აქვს არა მარტო სამსახურში მიღების დროს, არამედ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დროსაც. უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დაწყებასთან ერთად დაიწყება ბარათების გზავნაც: ესა და ეს არის პროლეტარული შთამომავლობისაა, მიიღეთ ისიო. შემდეგ გამოირკვევა, რომ ის ბურჟუას შვილია, გამოაგდებენ მას უნივერსიტეტიდან, მაგრამ შემდეგ ის მაინც ახერხებს უნივერსიტეტში შეძრომას. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ გვჭირდება საბჭოთა უნივერსიტეტის შექმნა; კომუნისტები — პასუხისმგებელი მუშაკები ერთი ხელით ხელს აწერენ ამას, ხოლო მეორეთი ბარათებს სწერენ.

ლოთობაც საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს ორგანიზაციაში. ალბად, ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ჩვენში ბევრი ღვინოა. ამას შედეგად მოსდევს ის, რომ ლოთი კომუნისტები თანდათან გადაგვარების გზას ადგებიან, ლოთობის დროს კომუნისტები უკავშირდებიან ანტისაბჭოთა ელემენტებს და მართავენ ქეიფს და ბანკეტებს. აქედან წარმოსდგება სქესობრივი აღვირახსნილობაც.

ჩვენს წრეში ადგილი აქვს აგრეთვე ბიუროკრატიზმს, „დიდი კაცების“ წინაშე ლაქუცობას და „ქვედა ფენებისადმი“ მედიდურ დამოკიდებულებას. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი მოვლენები პარტიაში აღმოვფხვრათ.

გავამაგროთ ბოლშევიკური პოზიციები

მე ვამთავრებ ჩემს მოხსენებას, ამხანაგებო, ორნახევარი საათის განმავლობაში მე ვლაპარაკობდი მხოლოდ ნაკლზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არაფერი გვაქვს კარგი, არა გვაქვს რაიმე მიღწევები. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს მივეცეთ პანიკას. იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც ჩვენ მოგვიპოვია, ვერავინ წაგვართმევს. მუშათა კლასი, საბჭოთა ხელისუფლება და პარტია გიგანტური ნაბიჯით მიიწევს წინ როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოშიაც. თუ ეხლანდელ მდგომარეობას შევადარებთ თუნდაც 1924 წელს, დავინახავთ, რომ ჩვენი მრეწველობა გაიზარდა, მოხდა მუშათა კლასის კონსოლიდაცია, ჩვენი სოფელი სავსებით საბჭოთა სოფელი გახდა და რომ ჩვენ მთელი რიგი მიღწევები გვაქვს. მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ მოგვეპოვება უდიდესი ნაკლოვანებანი, რომელნიც, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, უნდა გამოვააშკარაოთ და რაც შეიძლება დაჩქარებით აღმოვფხვრათ. საჭიროა გამოაშკარავება, საჭიროა აღმოფხვრა.

მაგრამ კრიტიკა იმას როდი ნიშნავს, რომ დამნაშავე აუცილებლად უნდა გავანადგუროთ. ის დამნაშავე, რომლის გამოსწორებაც შეიძლება, უნდა გამოვასწოროთ და არა საბოლოოდ მოვსპოთ. ყოველგვარი კრიტიკისა და თვითკრიტიკის დროს საჭიროა ბოლშევიკური ხაზის, ბოლშევიკური ობიექტივობის შენარჩუნება. ზოგიერთი ამხანაგები ვერ იჩენენ საკმაო ობიექტივობას. იმ დაბრკოლებების დროს, რომლებიც ჩვენს წინაშეა აღმართული, როცა ჩვენ არა გვყავს საკმაო ძალები, არ შეიძლება ისეთი მუშაკების ადვილად ჩამოშორება, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ.

მართალია მაქსიმ გორკი, როცა მან, დაინახა რა ჩვენი უდიდესი მიღწევები, ერთ-ერთ კრებაზე სთქვა:

„რატომაა, ამხანაგებო, რომ თქვენ გაზეთებში და ურთიერთობაში მეტად მკაცრად ეპყრობით ერთმანეთს, მეტად სასტიკად ილაშქრებთ ერთმანეთის წინააღმდეგ? ამხანაგებო, ნუ მოიქცევით ასე. საჭიროა უფრო კეთილგანწყობილება და ფაქტზე დამოკიდებულება ერთმანეთში.

ყოველივე თქვენთაგანი ღირსეული ადამიანია ყოველივე თქვენთაგანი კარგი მუშაკია და საჭიროა უფრო უკეთ მოეპყრათ ერთმანეთს. თქვენ ხომ შეგიძლიათ კარგად მოეპყრათ მე...“

ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ეს მოწოდება ჩვენი დიდი პროლეტარული მწერლისა, რომელიც ყოველივე ჩვენგანს უყვარს.

მაშ ასე, ამხანაგებო, ჩვენ უამრავი სამუშაო გვაქვს, ამ მუშაობის სხვადასხვა დარგში ჯერ კიდევ ბევრი დეფექტებია, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ფართო თვითკრიტიკით. თუ ჩვენ ამ თვითკრიტიკას გავატარებთ სათანადო ენერგიით, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენს მუშაობას დავაყენებთ თუ სანიმუშოდ არა, იმდენად დამაკმაყოფილებლად მაინც, რომ თვითეული მუშა, თვითეული მშრომელი გლეხი და თვითეული პატიოსანი მშრომელი კმაყოფილი იქნება ამ მუშაობით. და ჩვენ ამას, ამხანაგებო, მივაღწევთ რაც არ უნდა დაგვიჯდეს! (მქუხარე ტაში).

მასების მეცნიერული შემოქმედებისათვის

(დასაწყისი იხ. მე-2 გვერდზე)

და ჩვენი ინდუსტრია, რომელიც სწრაფად ვითარდება, ამ ამოცანას გადაჭრის.

მაგრამ სამეცნიერო მუშაკებმა უნდა მოიცადონ, სანამ ინდუსტრია არ გადაჭრის ამ ამოცანას?

საკითხის ასეთი გადაწყვეტა უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

ჩვენ მოგვეპოვება აპარატების ერთგვარი მარაგი, მეცნიერების მთელ რიგ დარგებს ჩვენ ეხლავე შეგვიძლია მივაწოდოთ ტეხნიკური მოწყობილობა, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები და გავაჩაღოთ მეცნიერული მუშაობა აღნიშნულ პრინციპის მიხედვით.

მთელ რიგ სამეცნიერო დარგებში ცალკე პრობლემები, ცალკე დავალებანი და დაკვირვებანი დაუყოვნებლივ უნდა გახდეს მასიური ორგანიზაციის საგნად.

ისეთი განყენებული და რთული მეცნიერებაც კი, როგორიც ასტრონომიაა, რომელიც დიდძალ ტეხნიკურ მოწყობილობას მოითხოვს,—აყენებს მრავალ საკითხს, რომელიც შეიძლება გახდეს მასიური დაკვირვების ობიექტი.

ასე, მაგალითად, ცდომილ ვარსკვლავთა რეგისტრაციას ასტრონომიის მოყვარულნი აწარმოებენ. ასტრონომიის მოყვარულნი ახდენენ აგრეთვე ცვალებად ვარსკვლავთა დაკვირვებას (1926 წ. დაკვირვებათა რიცხვი ჩვენში 30.000 აღწევდა).

ჩვენ საბჭოთა კავშირში საკმაო დიდი ენერგიასა და თანხებს ვხარჯავთ რელიგიასთან საბრძოლველად. მაგრამ ჩვენ რატომღაც გაურბივართ ერთ საშუალებას — ასტრონომიული ცოდნის ფართოდ გავრცელებას და ასტრონომიის მოყვარულთა საზოგადოებების შექმნას მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში.

ასტრონომიის მოყვარულთა საზოგადოებებში, რომლებიც ჩვენში საკმაოდაა გავრცელებული, მხოლოდ დილეტანტი ინტელიგენტებია; ამ საზოგადოებებში მუშურ-გლეხური კულტურული აქტივი მინიმალურ მონაწილეობას ღებულობს. ამის მიზეზი ბევრია.

ჩვენ არ მოგვეპოვება პოპულიარული კალენდრები მოყვარულთათვის.

ჩვენ არ მოგვეპოვება ასტრონომიის მოყვარულთა კარგად მოწყობილი წრეები ქვედა საფეხურის კულტურულ დაწესებულებებში; ასტრონომიის მოყვარულთა მთელ რიგ ავტორიტეტულ საზოგადოებებში მუშაობას დილეტანტები წარმართავენ და საერთოდ ეს საზოგადოებები არ იჩენენ განსაკუთრებულ სურვილს — ჩააბან თავის მუშაობაში მუშურ-გლეხური აქტივი.

კიდევ მეტი. მე მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც აშკარავებს, თუ როგორ ვიყენებთ ასტრონომიას რელიგიასთან ბრძოლაში.

არსებობს სომხეთში ხუცებისა და რელიგიური ობსკურანტიზმის ცენტრი — ეჩმიაძინი. ჯერ კიდევ რევოლიუციამდე ხუცები და სომხის ბურჟუაზია ფიქრობდნენ აქ ობსერვატორიის მოწყობას და დაიწყეს შენობის აგება. ისინი მიზნად ისახავდნენ ობსერვატორიის გამოყენებას მეცნიერების წინააღმდეგ. იფეთქა ომმა, შემდეგ რევოლიუციამ და მათ ვერ შესძლეს ამ შენობის დამთავრება.

დღეს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 7 წლის შემდეგ, სომხეთის ობსერვატორიის შენობა, რომელიც ტაძრის პირდაპირაა, ისევ დაუმთავრებელია, ხოლო ტაძარში მხურვალე წირვა-ლოცვაა. ნუ თუ ეს რაციონალურია? იქნებ ეს მომჭირნეობაა! საჭიროა ამ ობსერვატორიის სასწრაფოდ დამთავრება, რათა მისმა რეფლექტორმა და მბრუნავმა კოშკმა დაჩრდილონ ეჩმიაძინის ტაძრების ჯვრები.

ეს ობსერვატორია უნდა გახდეს ნამდვილი ცოდნის ახალ კერად, მასიური მეცნიერული შემოქმედების ახალ ცენტრად, ახალ ჩირაღდნად, რომელიც გაანათებს ხუცების მიერ გამოფენილ წყვდიადს. ყოველგვარი მომჭირნეობა ამ შემთხვევაში საზიანოა მასების კულტურული განათლებისათვის და ამიტომ დანაშაულია.

ასტრონომიული დაწესებულებებისა და ცოდნის გავრცელება ჩვენში მოიკოჭლებს. საჭიროა ასტრონომიულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება და ისეთი სამეცნიერო კერების შექმნა, რომლებიც მთელი საბჭოთა კავშირის კულტურულ აქტივს მიიზიდავენ.

კიდევ უფრო დიდია ინტერესი მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიისადმი. მეტეოროლოგიურ დაწესებულებათა ქსელი ჩვენში სუსტადაა განვითარებული, სამაგიეროდ იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ახდენენ დაკვირვებას, კოლოსალურად გაიზარდა და მომავალში კიდევ უფრო მეტად უნდა გაიზარდოს ჩვენი აქტივის ხარჯზე.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც ამიერ-კავკასია და თურქესტანია, სადაც მდინარეებს იყენებენ სარწყავად, როგორიც ველიკოროსია და ციმბირია, სადაც მდინარეები მიმოსვლის გზებია, — ასეთ ქვეყნებში მდინარეებისა და მათი შენაკადების რეჟიმის შესწავლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი კულტურული აქტივის დახმარებით. ჰიდროლოგია სრულიად უმწეო მეცნიერება იქნება, თუ მას არ ეყოლება კორესპონდენტები, რომლებიც წყალდიდობისა და მდინარეებში წყლის დონის აწევის რეგისტრაციას აწარმოებენ.

ფენოლოგია!—ის წარმოიშვა, როგორც მასიური შემოქმედების პროდუქტი და ეხლა ის ამ მხრით ყველაზე უფრო მოწინავე მეცნიერებაა. და ეს გასაგებიცაა. ეს მეცნიერება ახალგაზრდა მეცნიერებაა. მაგრამ აქაც ადგილი აქვს ერთგვარ კარჩაკეტილობას. საჭიროა კორესპონდენტების ქსელის გაფართოება და კულტურული აქტივის მასებში უფრო ღრმად შეჭრა,—აი ლოზუნგი, რომელიც ფენოლოგიის ლოზუნგად უნდა იქცეს.

მე მეტს აღარ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას იმ ახალი მაგალითების ჩამოთვლით, რომლებიც ჩემ მიერ წამოყენებულ დებულებებს ადასტურებენ.

ეხლა [illegible] ძველი ინდივიდუალისტური მეცნიერება, რომელიც მოწყვეტილი იყო შრომას, ძირეულად უნდა გარდაიქმნას. მოვიდა მეცნიერების [illegible] და ის თავის ადგილს მოითხოვს მეცნიერულ შემოქმედებაში.

ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ არის ისეთი სამეცნიერო დარგები, რომლებიც მასიური შემოქმედების ობიექტი ვერ გახდებიან,—მხოლოდ იშვიათ შეუგნებლობასა და ბარბაროსულ სიბრმავეს ააშკარავებენ.

ჩვენ მივდივართ ისეთ საზოგადოებრივ წყობილებისაკენ, სადაც ყველანი ზედმიწევნით განსაზღვრულ მცირე დროით იქნებიან ჩაბმული წარმოებაში, ხოლო დანარჩენ თავისუფალ დროს მეცნიერულ შემოქმედებას მოახმარენ.

მეცნიერებამ გარდამავალ პერიოდში ასეთ მომავლისაკენ უნდა აიღოს გეზი და არა ბარბაროსულ წარსულს ჩაებღაუჭოს.

მატერიალისტი.

მკითხველთა წერილებიდან

საზარტო სათამაშოების წინააღმდეგ

საკავშირო მთავრობამ გამოსცა დადგენილება საზარტო სათამაშოების აკრძალვის შესახებ. თბილისში ეს დადგენილება ჯერაც არ არის გატარებული ცხოვრებაში. ამ საკითხს ეხებიან თავიანთ წერილებში ამხანაგები: გრ. სიხარულიძე და ყ—ხა.

პირველი მათგანი სწერს:

„საზარტო სათამაშოებში უკანასკნელ ხანებში შემოღებულია მსხვილი „მოგებანი“, 300—500 მანეთამდე. ამან მეტად გაიტაცა მუშა-მოსამსახურენი. ბევრი მათგანი მთელ ღამეებს ათენებს სათამაშოებში. ისინი აქ სტოვებენ უკანასკნელ კაპეიკებს და ცოლშვილი ულუკმაპუროდ რჩებათ. ამნაირად საზარტო სათამაშოები წარმოადგენენ არა იმდენად ვაჭარ-სპეკულიანტების, რამდენადაც მუშა-მოსამსახურეთა მახეს.

ბევრჯერ შეხვედრივართ მუშა-მოსამსახურეს, რომელიც ამბობს: „ფული წავაგე, ღამე გავატეხე და ხვალ კი სამუშაოთ ვარ წასასვლელიო“. თამაშით მოქანცული მუშა-მოსამსახურე დილის 5 საათზე ბრუნდება სახლში, 8 საათზე კი ის უკვე სამსახურში უნდა წავიდეს. რა უნდა გააკეთოს ასეთმა მუშა-მოსამსახურემ დაწესებულებაში ან წარმოებაში?

გარდა ამისა კლუბი-სათამაშოები გადაიქცა პროსტიტუციისა და ყოველი ჯურის ნაძირალა ელემენტის თავშესაფრად. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა თამაშის დროს ატყდება ჩხუბი და თავპირ დამტვრეული მოქალაქეები მიჰყავთ მილიციაში.

ნუ თუ არ არის დრო, რომ ასეთ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს? სანამდი დარჩება განუხორციელებელი მთავრობის დადგენილება საზარტო სათამაშოების აკრძალვის შესახებ“?

ამხ. ყ—რა ამავე საკითხის შესახებ სწერს შემდეგს:

„საზარტო სათამაშოებს, უმეტესად ეტანებიან მუშა-მოსამსახურეები. არის მაგალითები, როცა ზოგიერთი მუშა ან მოსამსახურე ჯამაგირის აღებისთანავე მოგების იმედით მიიჩქარის [illegible], ლოტოში და სხვაგან. მოგების ნაცვლად ის მთელ ხელფასს სტოვებს აქ. ვინ მოსთვლის რამდენი უბედურება მოსდევს ამას? ხშირად არ კმაყოფილდებიან ხელფასის წაგებით, სახლიდან გამოაქვთ უკანასკნელი ნივთები და ჰყიდიან ბაზარზე, რომ აღებული ფულით იქვე სცადონ „ბედი“.

მრავალი პროტესტი იწერება აზარტიულ სათამაშოების წინააღმდეგ, მთავრობამაც გამოიტანა შესაფერი დადგენილება, მაგრამ მათი რიცხვი უფრო ვრცელდება. ამ უკანასკნელ დროს საქართველოს დაბა-ქალაქებშიც მოიფინა საზარტო სათამაშოებით.

საქართველოში ასეთი სათამაშოების გახსნის უფლება აქვს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას, წითელი ჯვრის საზოგადოებას, ბავშვთა დამხმარე კომისიას და კერძო პირებსაც კი. ეს დაწესებულებები და კერძო პირები მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს ახალი სათამაშოების გამოგონებების მხრივ. ხალხის მოსაზიდავად სათამაშოები გაჩირაღდნებულია ელექტრონის ფერადი სანათურებით, უკრავს სასულე და სიმებიანი ორკესტრი, ფულთან ერთად ხდება ნაირ-ნაირი ძვირფასი ნივთების გათამაშება და სხვა.

საზარტო სათამაშოების მწარმოებლები სულ იმას ამტკიცებენ, რომ ამ სათამაშოებში დადიან სპეკულიანტური ელემენტები. გასამართლებელ საბუთად სათამაშოებში დიდი ასოებით გაკრულია განცხადებები, რომ პროფკავშირის წევრებს, კომკავშირლებს, წითელარმიელებს და მოსწავლე ახალგაზრდობას სათამაშოებში შესვლა ეკრძალებათ. სინამდვილეში კი, როგორც ამას დაკვირვება გვიჩვენებს, სათამაშოებში შედის სწორედ მოსახლეობის ეს ელემენტი, რომელთა რიცხვი უდრის 99 პროცენტს.

საბჭოების საანგარიშო კამპანიის დროს ამომრჩევლები ერთსულოვნად მოითხოვდნენ საზარტო სათამაშოების მოსპობას. დროა ეს მოთხოვნა გატარებული იქნას ცხოვრებაში.

საზაფხულო ექსკურსიების შესახებ

დადგა ზაფხული. პროფესიონალურ ორგანიზაციათა კულტურულ განყოფილების წინაშე მთელი თავისი სიმწვავით სდგას საკითხი საზაფხულო მუშაობის გაცხოველების შესახებ. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ამ მუშაობაში ექსკურსიების მოწყობის საქმეს.

ამხ. ის. გოგიბერიძე ეხება ამ საკითხს და სწერს:

„ექსკურსიების სათანადოთ ჩასატარებლად საჭიროა გავითვალისწინოთ წარსული წლის გამოცდილება და თავიდან ავიცილოთ შემჩნეული დეფექტები.

წარსულ ზაფხულში ექსკურსიებს ჰქონდა ორი მთავარი ნაკლი: პირველი მდგომარეობდა იმაში, რომ ექსკურსიები ყოველი გეგმის გარეშე ეწყობოდა. გარდა ამისა ექსკურსიების მეორე ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ ექსკურსიები ბევრ შემთხვევაში არ ეწყობოდა ცოდნის შეძენის მიზნით. აქ ყველაფერი შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. რომელიმე ექსკურსანტი აირჩევდა თავის გემოვნების მიხედვით ამა თუ იმ პუნქტს და დანარჩენებიც მასთან მიდიოდნენ.

ექსკურსიებს უნდა მიეცეს აღმზრდელობითი ხასიათი. არ კმარა მარტო ბორჯომისა და ბათომის მშვენიერი სილამაზის გაცნობა, რაიც შაბლონად გადაიქცა. არის სხვა საყურადღებო ადგილებიც. პროფკავშირებმა ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. საჭიროა მეტი გეგმიანობა ექსკურსიების მოწყობის დარგში“.

სამუშაოები სამთო მრეწველობაში

სამთო მრეწველობის ტრესტი ამჟამად მუშაობას აწარმოებს შემდეგი ბუნებრივი სიმდიდრეების დასამუშავებლად:

ლითოგრაფიული ქვის მრეწველობა. ლითოგრაფიული ქვის დამუშავება სწარმოებს ალგეთის რაიონში, სადაც გახსნილია რამოდენიმე ქვის სატეხი რაიონი. იქვე მოწყობილია ქვების სათლელი სახელოსნო, ხოლო თბილისში გახსნილია გათლილი ქვის საჭრელი ქარხანა. ზამთრის განმავლობაში კარიერებზე მუშაობა შეწყვეტილი იყო 1-ლ მაისამდე. ამჟამად ქვების დასამუშავებლად მუშაობს 60 კაცი.

ინფუზორიტზე სამუშაოები განახლებულ იქნა აპრილის მეორე ნახევარში. მადნის ამოღების მთავარი სამუშაოები კონცენტრირებულია სოფ. ქისათიბში მახლობელ ბუდობებთან (ახალც. მაზრა). მადნის ამოსაღებად ყოველდღიურად მუშაობს 31 მუშა.

სამთო მრეწველობის ტრესტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ბარიტის სამუშაოებს. ქუთაისის ბარიტის ქარხნის ამუშავებასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ბარიტის მდიდარი ბუდობების დამუშავება. ამ მოსაზრებით სამთო მრეწველობის ტრესტმა დაიწყო ახალი დიდი გვირაბების გაყვანა, რითაც აღმოჩენილი იქნება ბარიტის მადნის დიდი მარაგი. ახალი გვირაბების გაყვანა და მათში ახალი მაღაროების ამოღება დამთავრდება ქუთაისის ბარიტის ქარხნის ამუშავებამდისათვის. მომავალი საანგარიშო წლიდან ბარიტის ქარხნის მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ყოველწლიურად შესაძლებელი გახდეს 400.000 ფუთი ბარიტის ფქვილის გამოშვება ბაზარზე.

ტრესტი აგრეთვე გამოკვლევებს აწარმოებს გლაუბერის მარილისა და სულფატების მისაღებად. სულფატებს, ხმარობენ შუშეულობის მრეწველობაში; ვინაიდან ბორჯომში გადაწყვეტილია შუშეულობის ახალი ქარხნის აგება, ამიტომ სულფატების წარმოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

მუშათა ცხოვრება

საწარმოო კონფერენცია

მთ. სახელოსნოს საწარმოო კონფერენციამ, რომელიც შესდგა პირველ ივნისს, ფრიად საყურადღებო საკითხები განიხილა. კონფერენციამ ძთავარი ყურადღება მიაქცია საერთოდ მთავარ სახელოსნოებში და კერძოდ თითეულ საამქროში მთავარ სამასალო საწყობებიდან ნედლი მასალის მიწოდების საკითხს. ამ საკითხის შესასწავლად გამოყოფილი იყო მუშათა კომისია, რომელმაც დაამუშავა საკითხი და გააცნო კონფერენციას.

ამხ. თოფურიძეს მოხსენებამ და ამ მოხსენების ირგვლივ კამათში გამოსულმა მუშებმა, ბევრი ნაკლი აღნიშნეს, რაზედაც კონფერენციამ შეიმუშავა სათანადო პრაქტიკული წინადადებები.

მთავარი ნაკლი მასალის მიწოდებაში იმაში გამოიხატება, რომ მთ. სახელოსნოს, მასალის შესაძენი თანხა ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული. ამიტომ სახელოსნოების საამქროებს ხან სულ არა აქვთ მასალა, და ხან დაგვიანებით მოდის. ხშირად ეს მასალა უვარგისიცაა.

კომისიამ საჭიროდ სცნო აგრეთვე საწყობების გამოკვლევაც, უკანასკნელის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ საწყობის განყოფილებებს, მთ. სახელოსნოსთან არავითარი კავშირი არა აქვთ, რაც მასალის მომარაგებას ძალზე აბრკოლებს. სამასალო განყოფილებაში ანგარიში არა აქვს კარგად დაყენებული: სამმართველოში რაციონალიზაცია არ არის ჩატარებული, საწყობის ცალკე თანამშრომელთა შორის დამოკიდებულება მტრულია, მიმღები კომისია ვერ სდგას თავის სიმაღლეზე და სხვა. რაიმე მასალის მისაღებად საჭიროა 12 ხელის მოწერა. ასევე გაჭიანურებულია ანგარიშის წარმოება, რაც მეტის მეტად დიდ დროს თხოულობს. საპნისა და ნახშირის დროზე მიღებაც კი შეუძლებელი ხდება. ხარისხზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არც წევის დარგს და არც მთავარ სახელოსნოს აქვს მოწესრიგებული მოთხოვნილების საქმე. საერთოდ საქმეებს უგეგმოთ აწარმოებენ. ეს გარემოება ხელს უშლის მასალის წესიერად მომარაგებას.

კამათში გამოსული ამხანაგები გაკვირვებას გამოსთქვამენ იმის შესახებ, რომ ქალაქში ყველაფერი არის ბევრი და კარგი ხარისხისაც. მთ. სამასალო განყოფილების საწყობში კი, გარდა იმისა, რომ დროზე ვერ მიიღებ მასალას, ღირსებითაც ცუდია. ხშირად საღებავების მაგივრად პირდაპირ წყალს იძლევიან. წვრილმან მოთხოვნილებებზე ხშირად ბაზარში გვიხდება სირბილი და ფულის ხარჯვა. საწყობების თანამშრომლებს ეზარებათ მასალის მონახვა.

კონფერენციამ შეიმუშავა პრაქტიკული წინადადებანი და მათი ცხოვრებაში გატარება დაავალა, როგორც აღნიშნულ დაწესებულებას, აგრეთვე პროფკავშირებსაც. საწარმოო კონფერენციის ეს დადგენილება უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

ფ. მესხიძე.

ზარმაცი ადგილკომი

სახ. კვების კავშირის ც. გამგეობამ ამას წინად ჩაატარა თბილისის ადგილკომებს და რაიადგილკომების გამოკვლევა. გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ № 5 რაიადგილკომს დღიდან მისი არჩევისა, თითქმის არავითარი პროფესიონალური მუშაობა არ უწარმოებია მისი მუშაობა განისაზღვრებოდა მხოლოდ საწევრო ანარიცხების აკრეფით და მომუშავეთა კავშირში მიღებით, ამ მიზნით ისინი ხშირად იწვევდნენ საერთო და სადელეგატო კრებებს, ადგილკომს, კავშირის წევრთა ყოფა-ცხოვრების და საერთოდ პროფ. მოძრაობის არც ერთი ძირითადი საკითხი არ გაურჩევია ადგილკომთან არსებულ სხვადასხვა კომისიების მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კომისიების გამოყოფა და არსებობა, მხოლოდ ქაღალდზე არის აღნიშნული. ფაქტიურად მათ არაფერი არ გაუკეთებიათ მუშებში. ტეხნიკური ხასიათის საკითხები და კანცელარიის საქმის წარმოებაც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. შემოსავალ გასავლის წიგნები არ არსებობს და არც ერთ შემოსულ თუ გასულ ქაღალდს არ ჰქონდა ნომერი:

ც. გამგეობის სადირექტივო წერილები და ცირკულიარები ინახება საქმეში. მათი დამუშავება არ ხდება არც ადკომის სხდომაზე და არც საერთო ან სადელეგატო კრებაზე. მოუწესრიგებელი იყო აგრეთვე ქ. წ. საალრიცხვო ბარათებიც.

ასეთივე მდგომარეობაშია ოქმები და ყველა საფინანსო დოკუმენტებიც. არავითარი წესი უბრალო სალაროს წიგნის წარმოებაშიც კი არ არის დაცული. არ არსებობს საკონტროლო წიგნი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა დამქირავებლების დავალიანების გამორკვევა. ყოფილა შემთხვევები, როცა დამქირავებელს, თავისი ფულადი ვალდებულებანი არ გადაუხდია 8—9 თვის განმავლობაში და ადკომი არავითარ ზომებს არ იღებდა ამის წინააღმდეგ. ხშირად, დამქირავებელი შინამოსამსახურეს აყვანის 5—6 თვის შემდეგ ითხოვდა სამუშაოდან და ამგვარად ადკომს ანარიცხები ეკარგებოდა სრულებით. რასაკვირველია ანარიცხების ასეთი შემთხვევითი და არა სრული შეგროვება იწვევდა ადკომის დეფიციტიანობას და სხვა ფონდების (კავშირში შესატან საწევრო ანარიცხების) დახარჯვას.

აღნიშნულ დეფექტების გარდა, საქმეს ართულებდა აგრეთვე პასუხისმგებელ და ტეხნიკურ მომუშავეების შორის უთანხმოება. ხშირად ეს უთანხმოება მჟღავნდებოდა დამქირავებელთან სატარიფო ხელშეკრულების დადების დროს, როდესაც ერთი—ადკომის შესანახ და კულტფონდის გასაძლიერებელ ანარიცხებს,—უსაზღვრავდა 8 პროცენტით, ხოლო მეორე კი მოითხოვდა 6 პროც. ასეთ მდგომარეობაში რაიმეს გაკეთების მოლოდინიც ზედმეტი იყო. ამიტომ გამგეობა იძულებული შეიქნა მოეხდინა ადკომის შემადგენლობის განახლება.

ყველა დეფექტების გამოსასწორებლად ც. გამგეობამ შეიმუშავა პრაქტიკული წინადადებანი და მისცა ადკომის ახალ შემადგენლობას სახელმძღვანელოდ.

ვალიკო გურული.

მუშა გამომგონი

(„საქართველოს ღვინო“)

ამას წინად, „საქართველოს ღვინო“-ს მუშამ გრიგოლ ჰოჭუამ გამოიგონა ბოთლების გადასაზიდი მოძრავი დაზგა, რომელიც აკეთებს ოთხი კაცის საქმეს და ამავე დროს ამცირებს ბოთლების მტვრევას. ამ გამოგონებამ წარმოებას ყოველწლიურად მისცა 6.151 მან. 76 კ. მომგებიანობა.

ამხ. გრიგოლ ჰოჭუა არ შეჩერდა მარტო ამ გამოგონებაზე. იგი უკვე კარგა ხანია მუშაობს წყლით სარგებლობის და გამოყენების საქმეზე. „საქართველოს ღვინო“-ს წარმოებაში, წყლის დიდი რაოდენობაა საჭირო. რესპუბლიკის მე-2 ქარხანას ყოველთვიურად უჯდება 120—130 მანეთის წყალი. ამხ. ჰოჭუას ახალი გამოგონებით კი წყალსადენის წყალი მხოლოდ 2—3 თვე იქნება საჭირო მთელს წელიწადში. დანარჩენ თვეებში ქარხანა წვიმის წყლით ისარგებლებს.

ამხ. გ. ჰოჭუას ახალი გეგმით, არც ერთი წვეთი წვიმის წყლისა არ იკარგება. იგი გროვდება საერთო აუზში საიდანაც ქარხანა საჭიროებისამებრ დახარჯავს. აღსანიშნავია, რომ გამომგონებელს არ გაუშვია მხედველობიდან უბრალო წვრილმანიც კი. აუზში ჩადის ორთქლის მილები, რის გამოც წყალი უზრუნველყოფილია გაყინვისაგან. წვიმის წყალი თავისახურულ ჭურჭელში დიდხანს სძლებს. გარდა ამისა, წვიმის წყალს ერთგვარი უპირატესობაც აქვს ჭისა და მდინარის წყალზე. უკანასკნელი ჭურჭლებში სტოვებს ნალექს, რაც გავლენას ახდენს სასმელებზე, უკარგავს მას ღირსებას, უცვლის ფერს და სხვ.

დაწვრილებითი მოხსენება და სქემა—მოდელი ამ გამოგონების შესახებ გამომგონებლის მიერ წარმოდგენილია „საქართველოს ღვინო“-ს გამგეობაში. დარწმუნებული ვართ ჰოჭუას მეორე გამოგონებას სათანადო ყურადღებას მიაქცევს გამგეობა და მისცემს საშუალებას ამხ. ჰოჭუას მოაწყოს წარმოებისათვის სასარგებლო მოწყობილობა წვიმის წყალის გამოსაყენებლად. ეს აცდენს წარმოებას რამოდენიმე ათასი მანეთის ხარჯს.

ლ. ძ—რი.

რა უწოდოთ ასეთ რაციონალიზაციას

(თბილისის საყუდი)

ორი თვის წინად თბ. საყუდის კანტორიდან, რაციონალიზაციის მიზნით მოხსნილი იქნა კანტორის 12 მოხელე, რომლებსაც თანახმად ხელშეკრულებისა, მიეცათ თითო თვის ხელფასი. ადმინისტრაციის მიერ ასე უგეგმოდ ჩატარებულმა რაციონალიზაციამ, გამოიწვია საქმეების შეფერხება, რის გამო ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა პატაკით მიემართა სამმართველოსთვის, რათა უკანასკნელს დაერთო ნება დათხოვნილების უკანვე მიღებაზე. სამმართველომ დართო ამის ნება და ამგვარად ყველა დათხოვნილები მიღებული იქნენ უკანვე ვითომდა დროებით.

რისთვის დასჭირდა თბ. საყუდის ადმინისტრაციას კანტორის მოხელეების შემცირება და ზედმეტი თანხების გაღება თუ ისინი უკანვე იქნებოდნენ მიღებული? რა უწოდოთ ასეთ რაციონალიზაციას? მუშათა და გლეხთა ინსპექციავ, გამოარკვიე.

კოლხიდელი.

მუშკორთა წერილებიდან

ქმრიანი ქვრივი პენსიას იღებს. აგურის ჩიხი № 2 სახლში სცხოვრობს ცნობილი მდიდარი, ოქრომჭედლის, ტულმანის ქვრივი, რომელმაც მიუხედავათ მისი სოციალური მდგომარეობისა, მოახერხა პენსიის დანიშვნა. მაგრამ ეს არაფერი. საქმე ის არის, რომ უკვე მეორე წელიწადია ტულმანის ქვრივი გათხოვილაა ვინმე ალ. კოვალიოვზე, რომელიც თვეში 121 მანეთ ჯამაგირს ღებულობს.

ხტუმარი.

საწარმოო ქვეკომისია კარგად მუშაობს. რკინის გზის მთავარ სახელოსნო სამჭედლო საამქროს საწარმოო ქვე-კომისია კარგად მუშაობს. კომისიის დადგენილებით ახლო მომავალში საამქროში დადგმული იქნება ახალი დაზგები და ძველი ხელსაწყო იარაღებიც შეიცვლება ახლით. საჭიროა ამ მუშაობას უფრო გაცხოველება.

გოგია მეჩონგურე.

საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს მუშაობის გასაცხოველებლად

ამ დღეებში საქ. ცაკში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობის ახალი შემადგენლობის სხდომა. ახალი გამგეობის შემადგენლობაში შედიან როგორც მუშების, ისე იმ ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლები, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებული განათლების საკითხებთან. ამას გარდა, ქალაქის რაისაბჭოებთან მტკიცე და ცოცხალი კავშირის გასაბმელად, გამგეობაში გამოყოფილია ორი სამი წარმომადგენელი თითეული რაისაბჭოდან.

როგორც გამგეობის პ. მგ. მდივნის ამხ. ზოკერიას მოხსენებიდან გამოირკვა, ამჟამად რესპუბლიკის ყველა მაზრებში, გარდა სვანეთისა და ბორჩალოსი, არსებობს „წერა-კითხვა“-ს სამაზრო გამგეობები, რაისაბჭოები და სათემო უჯრედები. მიღებულია ზომები გამგეობების ჩამოსაყალიბებლად ბორჩალოსა და სვანეთში. საორგანიზაციო მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, სწარმოებს ადგილებზე უჯრედების მოწყობა და წევრთა რეგისტრაცია ჯერ ჯერობით საზ-ის რიგებში ჩაბმულია 15—20 ათას წევრამდე. მიმდინარე სასწავლო წელს საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა 340 სალიკვიდაციო და მცირე მცოდნეთა სკოლა, ამ სკოლებში საშუალოდ მეცადინეობდა 9000 სული.

მოხსენების გამო გამგეობამ ყურადღება მიაქცია საწევრო გადასახადის სიმცირეს (25 კაპ.) და საჭიროდ სცნო მისი გადიდება სამ აბაზამდე წლიურად. გარდა ამისა იმ მიზნით, რომ საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში დაკავშირებულ იქნენ ერთმანეთთან და ცენტრალურ გამგეობასთან და საზოგადოების აქტიური მუშაკებიც უზრუნველყოფილი იქნენ სახელმძღვანელო მასალებით, გამგეობამ მიზანშეწონილად სცნო საკუთარ ორგანოს გამოცემა პირველ ხანებში ორ სამ თვეში ერთხელ მაინც.

საზოგადოების მატერიალური ფონდის გასაძლიერებლად დასახულ იქნა შემდეგი საშემოსავლო წყაროების გამოყენება: კინოების („ოდეონი“, „პროლეტარი“) ექსპლოატაციის გაფართოება, არა წამგებიანი თამაშის მოწყობა შემოწირულებათა აკრეფა. საღამო-კონცერტების მოწყობა და სხვა. აღნიშნული საკითხების დასამუშავებლად და სხვა საშემოსავლო წყაროების გამოსანახავად გამგეობის შემადგენლობიდან გამოყოფილ იქნა საფინანსო კომისია 7 წევრის შემადგენლობით.

ცენტრალური გამგეობის ყოველდღიური მუშაობის წარმოება დაევალა ცხრა წევრიდან და ოთხი კანდიდატიდან გამოყოფილ პრეზიდიუმს, რომელშიდაც არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **ფ. მახარაძე** (თავმჯდომარე), **ქ. ხომერიკი, იმედაძე, დუმბაძე, ნუცუბიძე, ვ. მესხი, ბოკერია** (მდივანი). **ჩიხლაძე** და **სიხარულიძე**; კანდიდატები: **ისრაელიანი, სირაძე, ნუბაროვი, კარიაგინი.**

ბაქო-ბათომის და გროზნო-ტუაფსეს ნავთსადენების გაყვანა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ რუსეთ-ამერიკის შერეული სააქციო საზოგადოების—„რაგაზ“-ის გამგეობის თავმჯდომარე **ფუტურიანი** და იმავე საზოგადოების ტეხნიკური დირექტორი **ინჟ. პ. ზასსა.** ჩამოსვლის მიზნის შესახებ მათ ჩვენს თანამშრომელს გადასცეს:

— როგორც გეცოდინებათ, წელს იწყება დიდი სამუშაოები ბაქო-ბათომისა და გროზნო-ტუაფსეს ახალი ნავთსადენების გასაყვანად. 1-ლი ნავთსადენის გასაყვანი სამუშაოები უკვე დაიწყო „აზნავტმა“, რომელიც მუშაობას შეუდგა ბათომიდან. პირველ რიგში, თანახმად გამომუშავებული გეგმისა, ნავთსადენი გაყვანილი იქნება ბათომიდან ხაშურამდე. გროზნოდან ტუაფსემდე კი სამუშაოებს აწარმოებს „გროზნევტი“. როგორც პირველი, ისე მეორე ნავთსადენის გაყვანა ხდება ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად. ახალი ნავთსადენის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ აქ მილები ხრახნილებით კი არ იქნება შეერთებული, არამედ შედუღებული იქნება ერთად.

ამ მუშაობის შესრულება მინდობილი აქვს რუსეთ-ამერიკის სააქციო საზოგადოება „რაგაზს“, ჩვენი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს დავათვალიეროთ ბაქო-ბათომის ნავთსადენის გასაყვანად დაწყებული სამუშაოები და შევუდგეთ მუშაობას. ჩვენ თან ჩამოვიყვანეთ უცხოელ სპეციალისტთა საექსპერტო კომისია, რომელიც განიხილავს ყველა ტეხნიკური ხასიათის საკითხებს.

დეფექტები აღმშენებლობაში

როგორ შენდებოდა რძის პროდუქტების გადამმუშავებელი ქარხანა სოფ. სიონში

ს.მ.უ.ს სარევიზიო-საინსპექციო განყოფილებამ მოახდინა სოფ. სიონში (ყაზბეგის რაიონი) დაწყებულ რძის პროდუქტების გადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობის გამოკვლევა, რამაც დაადასტურა, რომ ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობდა უყაირათოდ, არ იყო ახალშენებათა კომიტეტის მხრივ სათანადო მეთვალყურეობა და ადგილი ჰქონდა ზოგიერთ სპეციალისტთა მხრიდან დავალებული მუშაობისადმი გულგრილ მოპყრობას. ახალშენებათა კომიტეტმა ქარხნის აღმშენებლობის საქმე მთლიანად სამუშაოთა მწარმოებელ ინჟ. ჯორჯაძეს დააკისრა, რამაც გამოიწვია მთელი რიგი გამოუსწორებელი შეცდომების დაშვება და ქარხნის მშენებლობის შეფერხება.

აღმოჩენილია უყაირათობის შემდეგი ფაქტები: ქვის სამუშაოებში გაცემულია 2.911 მანეთი ზედმეტი თანხა, მიწის სამუშაოებში —190 მანეთი 50 კაპ., სააღმშენებლო მასალებიდან მიუხედავათ შესაფერი თანხების თავის დროზე გაცემისა, მშენებლობას დააკლდა — ქვის მასალა 2.008 მ 50 კაპ. ღირებულების, ქვიშა — 464 მან და ცემენტი 1.264 მან. 90 კაპ.

უთავდარიგობასა და უყაირათობაში ბრალი ედებათ—სამუშაოთა მწარმოებელს, უკვე გარდაცვლილ ინჟ. ჯორჯაძეს, რომელიც გარდაცვალების გამო ამოშლილია ბრალდებულთა სიიდან. შემდეგ პასუხისმგებლობა ეკისრება ახალშენებათა კომიტეტის ყოფილ მთავარ ინჟინერ გ. ზ. ანდრონიკაშვილს, რომელსაც არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ თავის დროზე შეეშალა ხელი ქარხნის აღმშენებლობის დაბრკოლებისათვის და გაეფრთხილებია ამის შესახებ სათანადო ორგანო. გარდა ამისა, ინჟ. ანდრონიკაშვილის დანაშაული, გამოკვლევით შეგროვილი მასალების თანახმად იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავათ ქარხნის სააღმშენებლო სამუშაოთა ხშირი დათვალიერებისა, მას იქ არასოდეს შეუმჩნევია დაშვებული ტეხნიკური ხასიათის შეცდომები, ხელს უწყობდა მშენებლობის გეგმა-შეუწონლად წარმოებას და ფარავდა ადგილობრივი სპეციალისტის და სამუშაოთა მწარმოებლის ინჟ. ჯორჯაძის დანაშაულებრივ საქმიანობას.

სააღმშენებლო ნადი „სტროიიზისკატელი“, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქარხნის აგება — ბოროტათ იყენებდა ნდობას და სამუშაოები იმდენათ არასინდისიერათ შეასრულა, რომ ეხლა საჭირო ხდება უკვე აყვანილი ქვის კედლების დანგრევა და მათი ხელახალი აშენება.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე ახალშენებათა კომიტეტის მხრივ ქარხნის პროექტების შესადგენათ ზედმეტი ხარჯების გაწევას. სამ ინჟინერს, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ქარხნის პროექტის დამუშავება, მიეცათ 800 მანეთი, ხოლო ყველა წარმოდგენილი პროექტები დაწუნებულ იქნა და ახალი პროექტის შესადგენათ გაწეულ იქნა სხვა ხარჯი. ახალშენებათა კომიტეტმა, მიუხედავათ პროექტების აშკარა გამოუსადეგარობისა, აღნიშნულ ინჟინერებს მაინც დაურიგა ავანსები. იმავე კომიტეტმა ჯილდოს სახით ქარხნის საქმეთა ექსპერტიზაში მონაწილეობის მიღებისათვის 500 მან. მისცა პროფ. ჯანდიერს, რომელიც ამასთანავე ითვლებოდა ახალშენებათა კომიტეტის სამსახურში და თვიურათ დანიშნული ჰქონდა ხელფასი 100 მან. რაოდენობით.

გამოკვლევით დადასტურდა აგრეთვე, რომ ცუდათ იყო დაყენებული საქმე ახალშენებათა კომიტეტის ბუხჰალტერიაშიც. არ სწარმოებდა სიონის ქარხნის გარშემო გაწეული ხარჯების სწორი აღრიცხვა და ადგილი ჰქონდა თანხების გაცემას, სათანადოთ დაუსაბუთებლათ. ასე, მაგალითად, ბუხგალტერმა მაისურაძემ, რომელიც ფაქტიურად განაგებდა ანგარიშ-წარმოებას, ინჟ. ჯორჯაძეს ჩამოუწერა 200 მან. გასავალი და მიაწერა იგი ქარხნის სააღმშენებლო სამუშაოთა გასავალს, ხოლო ფაქტიურათ ეს თანხა ინჟ. ჯორჯაძემ დახარჯა სპეციალურათ სადილის გამართვაზე.

ქარხნის სააღმშენებლო სამუშაოებში დაშვებული დეფექტებისათვის ყველა დამნაშავენი მიცემული არიან პასუხისგებაში.

საქ. სახკომსაბჭოში

ბუნებრივ საწარმოო ძალთა შემსწავლელი ბიუროს დაარსება

საქართველოს სსრ-ის ბუნებრივ საწარმოო ძალთა და ეკონომიკისა და სოც. კულტურული აღმშენებლობის საკითხების შესწავლის გეგმიანი ხელმძღვანელობისათვის და აგრეთვე სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით. სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო დაარსებულ იქნეს, სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, საქართველოს ბუნებრივ-საწარმოო ძალთა შემსწავლელი ბიურო შემდეგი შემადგენლობით: მ. ტოროშელიძე, (თავმჯდომარე), ა. კვირიკაძე, (მოადგილე). კონიუშევსკი, თვალჭრელიძე, ზ. ჭიჭინაძე, ნ. ამირაღოვი, ნათიშვილი, გ. ახვლედიანი, კანდელაკი, მიქაძე, გეხტმანი, სეფი, გულოიანი და კასიაზი.

ზემოხსენებულ ბიუროს დაევალა შეიმუშაოს წესდების პროექტი სახკომსაბჭოში წარსადგენად.

„სევკავტორგის“ წარმომადგენლობის საქართველოს „სახელმწიფო ვაჭრობისათვის“ გადაცემა

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო „სევკავტორგ“-ის წარმომადგენლობის გადაცემა „საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობისათვის“.

დუშეთის მაზრის, როგორც ცალკე ადმინისტრატიული ერთეულის, გაუქმება

დუშეთის მაზრის, როგორც ცალკე ტერიტორიალური-ადმინისტრატიული ერთეულის საკითხის დასამუშავებლად დაარსებულ იქნა კომისია ამხ. **ვანო ბოლქვაძის** (თავმჯდომარე) **სუხიშვილის, ბაქრაძის, მგალობლიშვილის** და **ქურდაძის** შემადგენლობით.

საგლეხო სესხი

დღეს ქუთაისში დაიწყება პირველი ტირაჟი

დღეს ქუთაისში დაიწყება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა პირველი გათამაშება. ტირაჟი გასტანს ოთხ დღეს. გათამაშებული იქნება სულ 1386 მოგება 87. 500 მანეთის რაოდენობით.

ვინ აწარმოებს მოგებათა განაღდებას

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა განაღდება დავალებული აქვს ფინანსთა სახ. კომისარიატის სალაროებს, სახ. ბანკის დაწესებულებებს, შემნახველ სალაროებს, ფოსტა-ტელეგრაფის და ყველა საკრედიტო დაწესებულებებს. თვით ტირაჟის ადგილზე ქუთაისში სახ. ბანკის ადგილობრივი განყოფილების მიერ მოწყობილია სპეციალური კიოსკი, რომელშიაც იწარმოებს მოგებათა განაღდება

სას.სამ. იარაღ-მანქანები მომგებთათვის

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატმა ყველა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებს და იმ დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ სას. სამ. იარაღ-მანქანების რეალიზაციას, დაუგზავნა საგლეხო სესხის მომგებთათვის სას. სამ. იარაღ-მანქანების შეღავათიან პირობებში მიწოდების წესი. ამ წესის თანახმად, ყველა მომგებ გლეხს შეუძლია რიგს გარეშე და შეღავათიან პირობებში (ნისიათ) შეიძინოს სას. სამ. იარაღ-მანქანები, რომელთა ღირებულების პირველი გადასახადი არ აღემატება მოგებულ თანხას ობლიგაციის ღირებულების და კუთვნილი სარგებლის დამატებით.

სას. სამ. იარაღ მანქანები მიეცემათ მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც პირადათ არიან ჩაბმული სასოფლო მეურნეობაში.

რეალიზაციის დამთავრება

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა მაზრებში გაგზავნეს თანამშრომლები, რომელთაც დავალებული აქვთ სასწრაფოთ გამოარკვიონ, თუ რამდენი ობლიგაცია დარჩა თითოეული მაზრაში გაუსაღებელი და ეს ობლიგაციები გადმოგზავნონ თბილისის შემოსავალ-გასავლის სალაროში.

პროფ. პ. ლანჟევენის გამგზავრება

13 ივნისს თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა ცნობილი ფრანგი-მეცნიერი ფიზიკოსი **პოლ ლანჟევენი.** იგი ჩამოვიდა ამ ოთხი დღის წინად და გაეცნო სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას თბილისში. ლანჟევენმა სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ორი ლექცია. ერთი ფიზიკის ახალი მიღწევების შესახებ და მეორე ე. წ. „ზეაკუსტიკის“ ახალ მიღწევებზე.

თბილისიდან გამგზავრების წინ პროფ. ლანჟევენმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა მის მიერ მიღებული შთაბეჭდილებები და განაცხადა:

— უნდა გამოვტყდე, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე მე არ ვფიქრობდი, თუ აქ ასე ფართოდ და ასე საფუძვლიანად იქნებოდა დაყენებული საერთოდ სხვადასხვა სამეცნიერო საკითხების დამუშავება, რის მოწმეც მე გავხდი. საქართველოში უნივერსიტეტი, მაგალითად, არსებობს მხოლოდ ათი წელიწადია და ამ ხნის განმავლობაში მის ისეთი მიღწევები აქვს, რომ თავისუფლად შეუძლია იამაყოს დიდ და ძველ უნივერსიტეტებს შორისაც. მე ვიცი, რომ მეფის რეჟიმის დროს, საქართველოში, როგორც განაპირა ქვეყანაში, არავითარ მეცნიერულ მუშაობას და ისიც ეროვნულ ენაზე, არ ჰქონია ადგილი. რევოლუციის შემდეგ გავლილ შედარებით მცირე დროის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ მოპოვებული ასეთი დიდი მიღწევები უნდა მიეწეროს თქვენი ქვეყნის სამეცნიერო ძალთა დიდ ენერგიას და საბჭოთა ხელისუფლების სურვილს ფართო გასაქანი მისცეს ყოველგვარ სამეცნიერო მოღვაწეობას. მე ღრმად კმაყოფილი მივდივარ საქართველოდან ყველა მიღებული შთაბეჭდილებებით და მოხარული ვარ გავუზიარო ჩემს თანამემამულეებს ცნობები იმ კულტურული აღორძინების შესახებ, რომელსაც საერთოდ ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში. აშკარად შემიძლია განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერებამ ბევრ დარგში წინ გაასწრო თავიანთ ევროპიულ კოლეგებს, ის თითქმის განსაკუთრებით მეცნიერების იმ დარგზე, რომელსაც ოპტიკურ აკუსტიკას უწოდებენ.

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა შეკითხვაზე, რომ თანახმა იქნება თუ არა პროფ. ლანჟევენი სისტემატიურად იკითხოს თბილისის უნივერსიტეტში ლექციები, მან თავისი თანხმობა განაცხადა.

პროფ. ლანჟევენი თბილისიდან გააცილეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურის და განათლების კომისარიატის წარმომადგენლებმა.

მიღების დრო თბ. აღმასკომის დაწესებულებებში

მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო საკითხებზე პასუხის გაცემის გასაადვილებლად, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა შეიმუშავა აღმასკომის განყოფილებებში მთხოვნელთა მიღების ახალი წესი, რომლის მიხედვით ამიერიდან (ზაფხულის განმავლობაში) მთხოვნელებს მიიღებს — თბ. საბჭოს და აღმასკომის თავმჯდომარე კვირაში სამჯერ: სამშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 8—9 ს. და შაბათობით—დღის 1—3 საათამდე.

თავმჯდომარის მოადგილე მთხოვნელებს მიიღებს პარასკეობით—9—11 საათამდე.

საბჭოს და აღმასკომის მდივანი — სამშაბათობით და ხუთშაბათობით, დილის 12—2 საათამდე.

გარდა ამისა აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში სამშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 6—8 საათამდე იწარმოებს პრეზიდიუმის წევრების მორიგეობა სადეპუტატო მაგიდის წარმომადგენლებისა და კერძო მოქალაქეთა განცხადებების მისაღებათ. ამავე მიზნით თავმჯდომარის კაბინეტში კვირა-უქმე დღეებში დილის 10—12 საათამდე იწარმოებს აღმასკომის პრეზიდიუმის წევრთა მორიგეობა.

სოფლიდან ჩამოსულ გლეხების მისაღებათ **სადგილ-მამულო განყოფილებაში** გამგის ოთახში კვირა-უქმე დღეებში დაწესებულია მორიგეობა დილის 10—1 საათამდე, ხოლო საქმიან დღეებში მთხოვნელთა მიღება იწარმოებს ყოველ დღე.

განათლების განყოფილებაში სკოლების, ბაღების და სხვა ქვემდებარე დაწესებულებათა წარმომადგენლებს გამგე მიიღებს სამშაბათობით და ხუთშაბათობით დღის 1—2 საათამდე, ხოლო მაზრიდან ჩამოსულ პირებს მიიღებს ყოველდღე რიგს გარეშე, კერძო მოქალაქეებს კი სამშაბათობით და პარასკეობით—12—2 საათამდე.

გამგის მოადგილე მთხოვნელებს მიიღებს ორშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს დღის 11—2 საათამდე.

პოლიტგანის გამგე — ყოველ დღე 12—2 ნახევარ საათამდე.

კომუნალურ განყოფილებაში: კომ. მეურნეობის განყ. გამგის მოადგილე—სამშაბათობით და ხუთშაბათობით დღის 12—2 ნახევ. საათამდე, კეთილმოწყობის ქ.-განყოფილების გამგე—ყოველდღე 1-დან 2 ნახევარ საათამდე.

უძრავ ქონებათა სამმართველოში: მთხოვნელებს მიიღებს გამგე ყოველ დღე გარდა, ხუთშაბათისა, 12—2 საათამდე, გამგის მოადგილე—გარდა ოთხშაბათისა — ყოველდღე 12—2 ს., კვირა-უქმე დღეებში მთხოვნელებს მიიღებენ 10—12 საათამდე.

ჯანმრთელობის განყოფილებაში: გამგე და მისი მოადგილე გარდა ორშაბათისა და ოთხშაბათისა 12—2 საათამდე. აგრეთვე გამგე და მისი მოადგილე მთხოვნელებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8—11 საათამდე.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

„კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

ოთარი შარაშენიძის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: თბილისიდან — ციალა ციცნაძეს, ეთერი მუჯირს, ზურაბ ბერიშვილს; სამტრედიიდან ზურიკო კონტრიძეს და ბათომიდან—ევგენი მუჯირს.

რეზიკო მუჯირი.

დ. კლდიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან გენო წულაძეს, ზურაბ წილოსანს და ოთარი შოთაძეს; ფოთიდან: ა. მეუნარგიას, კლარა ქორქიას, თორნიკე საზახტარაშვილს, ხათუნა ჰოჭუას, კიმა ბახუშვილს, ნორა ჟვანიას და დიუდო სვანიძეს.

ფუთური ქადიეიშვილი.

ოთარ კოხრეიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ დიდუ გოცირიძეს, ნელი ჩაჩავას, არჩილ ჯაკობიას, გოგონიკა გაგუას, თინიკო ცინცაძეს და ბიჭიკო გაბრიჩიძეს.

ჯემალ ციციშვილი.

შოთიკო როსტიაშვილის გამოწვევით ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კოკო ხარაბაძეს, გივი შენგელიას, ვანო, საშა, შოთა შენგელიებს, კიტა ცაგარეიშვილს და ედიკო ცაგარეიშვილს.

ვახტანგ შანიძე.

თამარა გამყრელიძის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მერი მუხაძეს, გივი მუხაძეს, ელენე დიდიას, მამიკა მგალობლიშვილს, არჩილ ლუკაშვილს, ზოია ამერიძეს, დარეჯან აბულაძეს, ეთერი ქავთარაძეს, ირა ქავთარაძეს და ქეთო გელოვანს.

ლინა მგალობლიშვილი.

მე-30 შრომის სკოლის თანამშრომლებს შემოაქვთ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი სულ 78 მან. 50 კაპ.

მე-30 შრ. სკ. გამგე—**გ. დოლიძე.**

გურანა ლალიძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვების სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: მიშიკო შალიკაშვილს, კოტიკო ელენტს, ზურაბ ჩაჩუას, რუსუდანა მესხს, ეთერი ტუსიშვილს, უჩიკო სულიაშვილს. აფროდიტა და ფეფუცა იორდანიშვილებს (მცხეთიდან).

ლეილა ქეშიშოვი.

ტატანე ქადიეიშვილის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ფოთიდან შემდეგ ამხანაგებს: სერგო ზოკუჩავას, გრიშა ჰანტურაიას, ალექსანდრე ბასილაიას და ცხურუ ჯიქიას.

ლილი გორგალაძე.

ქუთაისის ცეცხლით დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ.: ქუთაისიდან—მალიკო, დათიკო იოსელიანებს, ვანიჩკა დოლიძეს, ზინა იმედაშვილს, ფუცუ ლორთქიფანიძეს, ევა ქუთათელაძეს. რკ. გზის დაცვის მე-2 რაიონიდან—ვასო გაწერელიას, ნიკოლოზ ჯავახიას და ნიკოლოზ გვათუას.

ლევან იოსელიანი.

ბორჯომის ქართულ - დრამატიულ წრეს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოაქვს 10 მან. 75 კაპ.

ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ ზემო-სვანეთის მაზრიდან შემდეგ ამხ. ამხ. ს. ნავერიანს, გრ. გუჯეჯიანს, გ. ნავერიანს, ე. ბრეგვაძეს, შ. თოდრიას, გრ. გარდაფხაძეს, გრ. გურგენიძეს, გ. შავდიას, ქ. ჩიქოვანს, გ. ნიჟარაძეს.

ნ. ოდიშარია.

საუწყებო მილიციის თანამშრომლებს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვთ ერთი დღის ხელფასი —392 მან. 66 კაპ.

სახ. უნივერსიტეტის სტიპენდიატთა საერთო კრების დადგენილების თანახმად, დამატებით შემოგვაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ 25 მანეთი.

სახ. უნ. სტიპ. გამგეობა.

ნელი გამყრელიძის გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: გული გველესიანს, ქეთო დევდარიანს და ოთარ თაყაიშვილს.

კუკლა მგალობლიშვილი.

პლატონ გოცირიძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ორი მანეთი.

ვასილ კობახიძე.

პლატონ გოცირიძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ორი მანეთი.

ანტონ დავლიანიძე.

პლატონ გოცირიძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი.

სილო გიორგობიანი.

ზურიკო ქვარიანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: მარგალიტა გაჩეჩილაძეს, თინა გაჩეჩილაძეს, სუზი კალანდარაშვილს, გოჩია ლორთქიფანიძეს, ირა ბერაშვილს.

ნათელა თოდრია.

ოთარ ნოზაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: სიო ზარქაიას, საშა ოყრეშიძეს, ნოდარ ჭარხალაშვილს, შალვა ჟორჟოლაძეს და გიგუშა ხოხიაშვილს.

დათუნი მესხი.

შემომაქვს ხანძრისაგან აწიოკებულ ბავშვთა სასარგებლოთ ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან—კუკური კალანდაძეს, კეკუსა კომახიძეს; ქუთაისიდან—ქეთო და ნოდარ ვახანიებს, ჟუჟუნა ჯანელიძეს, ეთერი ლეკიშვილს, ნელი მონიავას, ნელი ვაშაყმაძეს, ნარგიზა მესხს და ოთარი გიორგის ძე ლორთქიფანიძეს.

ლეილა გიორგობიანი.

შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აბასთუმანიდან—ბიჭიკო უგრელიძეს, ნელი ხუციშვილს, თინა და მზია ჯავახიშვილებს, სერგეი რამასკევიჩ-დონდუას, ბადრიკო ახვლედიანს, ოთარი დარახველიძეს; თბილისიდან — ზონდო და ბიძინა ცქიტიშვილებს და თამრიკო და გოგი ფულარიანებს.

ოთარი ფულარიანი.

მარტვილის რაიონის საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრებს შემოაქვთ ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 54 მანეთი.

ადგილკომი.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გუშინ „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 585 მ. 91 კ. სულ წინად შემოსულთან ერთად 17.124 მ. 47 კ.

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა

აბრეშუმის საქსოვი ქარხანა თბილისში ამჟამად მუშაობს სრული დატვირთვით. ქარხანა ამზადებს აბრეშუმის საუკეთესო ქსოვილებს, მათ შორის კრეპ-დე-შინს, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა მთელ საბჭოთა კავშირში.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ქარხნის ნაყოფიერება გაიზარდა 40 პროცენტით. რამაც თავის მხრივ გამოიწვია ზედმეტი ხარჯების შემცირება და პროდუქციის გაიაფება.

მაგალითად ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული იყო კრეპ-დე-შინის ერთ მეტრის დასამზადებლად 2 მან. 51 კაპ. დახარჯვა, ფაქტიურად კი დაიხარჯა 1 მ. 95 კ.

გეგმის მიხედვით პირველ კვარტალში ქარხანას უნდა დაემზადებია სულ 8.813 მეტ. ქსოვილი, ნამდვილად კი დაამზადა 13.506 მეტრი. ქარხნის ნაყოფიერების ასეთი ზრდა აიხსნება კარგი ნედლეულით, რომლითაც მომარაგებულია ქარხანა და აგრეთვე ისეთი ქსოვილების გამომუშავებით, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა.

ქარხნის მოგება პირველ კვარტალში უდრის 16.795 მ.; გამომუშავებულ და გასაღებულ პროდუქციის ღირებულება კი 80.769 მანეთს.

უკანასკნელ ხანებში ქარხანამ შეკვეთები მიიღო მოსკოვიდან, ხარკოვიდან, კიევიდან და სხ. ადგილებიდან, მაგრამ დღევანდელ პირობებში ქარხანას შეუძლია დააკმაყოფილოს ამ მოთხოვნილების მხოლოდ 10 პროცენტი.

ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილების გამო გადაწყვეტილია ქარხნის გაფართოება და ახალი დაზგების შეძენა უცხოეთში.

მეცნიერება და ტეხნიკა

სულით ავადმყოფობა თელავ-ოზურგეთის მაზრებში

ადამიანს უწოდებენ გონიერ ცხოველს, ამით სურთ ხაზგასმით აღნიშნონ ის მოვლენა, რომ ადამიანი თავისი სხეულნაგებობით და სასიცოცხლო თვისებებით ძლიერ ახლო სდგას ცხოველებთან. მეორეს მხრივ, მოყვანილი სახელწოდება—„გონიერი“—ადამიანს აქცევს განსაკუთრებულ ჩარჩოებში. ნერვების და უმთავრესად თავის ტვინის ქერქის უაღრესად განვითარებისა გამო, ადამიანი იძრობს ცხოველის ქურქს: მას უკვე შეუძლია ყველაფერის აწონ-დაწონა, მას აქვს კულტურული შემოქმედების უნარი. ბოღმა-სიმხიარულე ანუ გრძნობითი განცდები, მსჯელობა-აზროვნება, სურვილები, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რასაც ვეძახით ადამიანის სულიერ ცხოვრებას, დამოკიდებულია ნერვების სისტემის მოქმედებაზე, ე. ი. საფუძვლად აქვს განსაკუთრებული ნივთობრივი მომენტი. მეორეს მხრივ თვით სულიერი ცხოვრება დიდ გავლენას ახდენს როგორც ნერვების სისტემაზე, ისე მთლიანად ადამიანის ორგანიზაციაზედ.

დღეს ნერვების და სულით ავადმყოფობას დიდ ყურადღებას აქცევენ და მათ სთვლიან სოციალურ ბოროტებად, საზოგადოებრივ სენად, ჭლექთან, ათაშანგთან და ლოთობასთან ერთად. ჩვენ მიერ მოყვანილ საკითხს ფრიად დიდი ევგენიური მნიშვნელობა აქვს (ევგენიკა არის მეცნიერება, რომელიც ემსახურება ადამიანის ჯიშის გაუმჯობესებას).

სულით ავადმყოფობანი შეიძლება დავყოთ ორ მთავარ ჯგუფად. ავადმყოფობანი მწვავე ანუ მოსარჩენი და ავადმყოფობანი ქრონიკული ანუ მოურჩენელი. პირველ რიგის ავადმყოფებს დროზედ უნდათ დახმარება, რომ გამოჯანსაღდნენ. მეორე გვარი ავადმყოფები ოჯახში ძნელი მოსავლელი არიან, მათ ესაჭიროება ცალკე კოლონიაში მოთავსება და შრომის რეჟიმში ჩაბმა.

სულით ავადმყოფთა რიცხვობრივი განსაზღვრა მძიმე საქმეა, არის მხოლოდ დაახლოვებითი ცნობები. მაგ. ეპშტეინის რწმუნებით, ყოველ ათას მცხოვრებზე ინგლისში მოდის 3,36 ავადმყოფი, შოტლანდიაში—3,84; ირლანდიაში—5,51; საფრანგეთში—2,6; გერმანიაში—2,27, ავსტრიაში—2,17; შვეციაში—3,41; ნორვეგიაში—3,9 და სხვა.

საშუალოდ ყველა სახელმწიფოსათვის მიღებულია, რომ ათას მოქალაქეზე უნდა არსებობდეს 3 სულით ავადმყოფი. საქართველოში ფსიქიატრიულ საქმეს აქვს სულ მოკლე ისტორია, ჯერ-ჯერობით ცოტაა გაკეთებული ამ მხრივ და რაც არის მიღწეული, ისიც რამოდენიმე წლის ამბავია.

ამ მხრივ დაახლოვებით მეცნიერული ცნობებიც კი არ მოგვეპოვება. მოვიყვანთ მხოლოდ პროფესორ ასათიანის ცნობებს სვანეთის შესახებ, რომლის რწმუნებითაც სვანეთში სულით ავადმყოფთა რიცხვი ძლიერ მცირეა, სამაგიეროდ ჭარბად გვხდებიან გონებრივად ჩამორჩენილი და განუვითარებელნი, ე. წ. კრეტინები.

1927 წელს ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილების თაოსნობით თელავ-ოზურგეთის მაზრებში მივლინებული იყო ფსიქო-ნევროლოგიური რაზმი სპეციალური მუშაობის ჩასატარებლად. რაზმს პროფ. ასათიანის მიერ დავალებული ჰქონდა მეცნიერული ამოცანები და სხვათა შორის სულით ავადმყოფთა რიცხობრივი გამოთვლაც.

სოფლად სულით ავადმყოფთა მოვლა-მკურნალობა-პატრონობის შესახებ არავითარი ტრადიცია არ არსებობს, ყველაფერი „ძველებურად, მამაპაპურად არის“. რაზმი დადიოდა თემიდან-თემში და ღებულობდა ყოველგვარ ზომებს დავალებულ ამოცანის მეცნიერულად შესრულებისათვის.

ცხადია, რაზმს ბევრი ავადმყოფები გამორჩებოდა, ამიტომ რაზმის მიერ მოწოდებული რიცხვი არის მხოლოდ დაახლოვებითი და ყოველ შემთხვევაში ნამდვილ რიცხვზე ნაკლები.

საზოგადოებისათვის არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული რაზმის მიერ დაგროვილ მასალასთან ზოგადი გაცნობა. რაზმმა ორივე მაზრაში აღმოაჩინა და სათანადოდ აღწერა 438 ავადმყოფი, რაიც მოსახლეობასთან შეფარდებისას იძლევა, რომ ათას მცხოვრებზედ მოდის 2,11 სულით ავადმყოფი.

ორივე მაზრებში და აგრეთვე მაზრებს ყველა რაიონებში სულით ავადმყოფობანი გვხდება ერთნაირად და რაიმე ძირეული განსხვავება არ სჩანს.

თელავის მაზრაში ავადმყოფთა 71,2 პროც. მიდის მამაკაცებზე, 28,98 პროც., დედაკაცებზე, გურიაში—62,57 პროც. მამაკაცებზედ და 37,43 პროც. დედაკაცებზე, სულით ავადმყოფთა შორის ყველაზე ხშირია ბნედითი ჭკუა-სუსტობა, შემდეგ—ნაადრევი ჭკუა-სუსტობა, მხოლოდ მათ მოსდევს ხანგამოშვებითი სულიერი აშლილობანი (ციკლოფრენია), სწრაფლმავალი დამბლა, აშლილობანი ძილის ავადმყოფობის ნიადაგზე, მოხუცებულობითი ჭკუასუსტობა, თანდაყოლილ ჩამორჩენილობა და ჭკუასუსტობა ლოთობის ნიადაგზე

რაც შეეხება მიზეზებს აქ უნდა აღინიშნოს ის ზოგადი ხელშემწყო პირობები, რომელიც საერთოდ იწვევს სულით დაავადებას, სახელდობრ: ლოთობა, მალარია, ათაშანგი, ჭლექი, დაავადმყოფებული მემკვიდრეობა, ქონებრივი უსახსრობა და სხვ.

საქართველოს ორი მაზრისათვის მიღებული რიცხვი მაინც და მაინც ძლიერ დიდი არ არის, იგი მანუგეშებელია და ყოველ შემთხვევაში არ სცილდება ზოგადად მიღებულ რიცხვს ათას მცხოვრებზე სამი სულით ავადმყოფის არსებობის შესახებ. ფართო მოსახლეობა გაცნობილ უნდა იყოს სულით ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის საკითხთან. უნდა გვახსოვდეს: ფსიქიატრიული საქმის ჯეროვანად განვითარება საწინდარია ხალხის გაჯანსაღების და სულიერი გაკაჟების.

ორდინატორი **ა. ზურაბიშვილი.**

პაულსონის სხივები

გერმანელმა ფიზიკოსმა პაულსონმა აღმოაჩინა ახალი სხივები, რომელთაც მან უწოდა „ქიმიური“ ანუ „პი-სხივები“, თავისი ბუნებით ახალი სხივები წარმოადგენენ კატოდურ (ანუ ბეტა) სხივების ერთ-ერთ სახეს. პირველად კატოდური სხივები მიიღო ფიზიკოსმა ლენარმა, რომელიც მაღალი ჭიმის დენს ატარებდა უჰაერო მილში. ასეთ პირობებში მილში წარმოიშობა სხივები, რომელთაც მთელი რიგი შესანიშნავი თვისებები ახასიათებს. ეს სხივები იწვევენ ნათებას დაიშვიათებულ (разреженном) არეში და ზოგ პირობებში წარმოადგენენ წყაროს რენტგენის სხივებისას, რომლებმაც ფართე გავრცელება ჰპოვეს მედიცინაში, ტეხნოლოგიაში და სხვ. ლენარდმა მოახერხა კატოდურ სხივების „გამოყვანა“ მილიდან. ამ მიზნით მან შუშის მილის კედელში გააკეთა „ფანჯარა“ დამზადებული თხელ კილიტადან (ფოლგა), რომელიც ატარებს კატოდურ სხივებს.

შემდეგში ამერიკელმა ფიზიკოსმა კულიჯმა დაამზადა უზარმაზარი კატოდური მილი, რომელსაც მან „ელექტრონული ზარბაზანი“ უწოდა. კატოდური სხივები, რომლებსაც გამოჰყოფს კულიჯის მილი, მოქმედების ძალით ბევრათ სჯობნის ლენარის მილის სხივების ძალას. თანამედროვე შეხედულებით, კატოდური სხივები წარმოადგენენ ელექტრობის უმცირეს ნაწილაკების (ელექტრონების) ნაკადს.

პაულსონმა განაგრძო ლენარისა და კულიჯის ცდები. ალუმინის კილიტას ნაცვლად, რომლითაც ლენარი სარგებლობდა, პაულსონმა გამოიყენა კილიტა, დამზადებული ლითონ ბერილიუმიდან, რომელიც გაცილებით უკეთ ატარებს კატოდურ სხივებს, ვიდრე ალუმინი, შემდეგ პაულსონმა მბრუნავ მაგნიტურ არეს გამოყენებით მიაღწია ელექტრონაკადის გრიგალისებურ მოძრაობას. თუ ჩვეულებრივი კატოდური სხივები სწორ ხაზოვანი მიმართულებით მოძრაობენ, პაულსონის მილიდან ელექტრონები გამოდიან ხვიისებური მოძრაობით. ამ თავისებურობის გამო, პაულსონის სხივებს მძლავრი ქიმიური მოქმედება აქვს. მათი მოქმედება ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებაზე პირდაპირ განსაცვიფრებელია. ზოგიერთი წყლონახშირმანები (იზოპრენი და სხვ.) მათი ზეგავლენით თითქმის თვალის დახამხამებაში იქცევა რეზინათ—ამაზე ოცნებობდენ ქიმიკოსთა მთელი რიგი თაობები. ქვანახშირი, მოქცეული ამ სხივების მოქმედების სფეროში, იქცევა თხელ წყლონახშირმანებათ,—ასეთს შედეგს ქიმიკოსებმა მიაღწიეს მხოლოდ უკანასკნელ ხანებში და ისიც რთულ ქიმიურ პროცესების საშუალებით. პაულსონის ზეგავლენით ჰაერის აზოტი იქცევა აზოტის სიმჟავეთ.

ქიმიურმა სხივებმა, შეიძლება, დიდი სამრეწველო მნიშვნელობა მოიპოვონ. ამ მხრივ მართლა ზღაპრული პერსპექტივები იშლება. მეცნიერთა აზრით, „ქიმიური სხივების“ ზეგავლენა ძლიერ წაავგავს მოქმედებას მზის სინათლის ზოგიერთ, ჯერ შეუსწავლელ ელემენტებისა და აგრეთვე უცნაური გამოსხივებისას. რომელიც სამყაროს სიღრმიდან აღწევს ჩვენამდე და ცნობილია მილლიკენის სხივების სახელით (ამ სხივების აღმომჩენ ამერიკელ ფიზიკოს მილლიკენის გვარის მიხედვით). მეცნიერთა აზრით, ეს სხივები წარმოადგენენ წყაროს ორგანიული ცხოვრებისას დედამიწაზე, მაგრამ ძლიერ ნელა მოქმედებენ.

ორგანიულ ნივთიერებათა გადაქცევის პროცესებს დედამიწის ქერქში ათასი წლები უნდა. ქიმიურ სხივების ზეგავლენით კი, ეს პროცესები რამდენიმე წამში ხდება.

ხელოვნური ციება

რადიო - ტეხნიკის ერთ-ერთ უკანასკნელ მიღწევას წარმოადგენს ახალი კატოდური 15 კილოვატიანი ლამპა, რომელიც შეერთებულ შტატებში დაამზადეს. ეს ლამპა, რომელიც წარმოშობს 6 მეტრის სიგრძის მქონე ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს, წარმოადგენს ყველაზე მძლავრ ლამპას დღემდე არსებულ მოკლე - ტალღოვან ლამპებს შორის და მას მთელი რიგი შესანიშნავი თვისებები ახასიათებს.

როცა ლამპა ანთებულია და მის ანტენას მიაკარებენ ჩვეულებრივ ელექტრონის ლამპას, უკანასკნელი იმ წამსვე ენთება. რომ ამ ლამპის ახლო ხელში ავიღოთ მიწაზე დადებული სპილენძის საგანი, ხელი იმ წამსვე სივდება.

როცა ადამიანი უახლოვდება ლამპას, იგი ჯერ გრძნობს სასიამოვნო სითბოს, შემდეგ კი მწვავე ტკივილს სახსრებში და ხელთებში. 15 წუთის შემდეგ მას იპყრობს ციებ-ცხელება და სიცხე 40 გრადუსამდე ადის.

ლამპის ამ თვისებაში —ტემპერატურის ხელოვნურად აწევაში—იმალება მისი საექიმო მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობა. ზოგიერთ ავადმყოფობათა, მაგალითად—სიდამბლის სამკურნალოდ, საჭირო ხდება ციების ხელოვნურად გამოწვევა. ამის მიღწევა ადვილია ზემოხსენებული ლამპის გამოგონების შემდეგ.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ამ ლამპის საშუალებით შესაძლებელია საჭმელის შეწვა-მოხარშვა უცეცხლოდ. მავთულზე ლამპის ახლო დაჰკიდეს შუშის ჭურჭელი, რომელშიც ძეხვი ჩასდევს. რამდენიმე წუთის შემდეგ ძეხვი მოიხარშა, იმავე მავთულზე ჩამოკიდებული ვაშლი კი შეიწვა.

ლამპის გამოცდის დროს შენიშნულ მოვლენათაგან ყველაზე საინტერესოა წარმოშობა ბურთისებური ელვის, რომელიც ტროპიკულ ქარიშხალის დროს იცის ხოლმე. როცა ლამპის ანტენას შეეხნენ ჯოხით, რომელსაც თავი ლითონის ჰქონდა, ლამპიდან გამოიყო მწვანე-მოთეთრო რკალი, რომელიც ჰაერში აცურდა 30 სანტიმეტრის სიმაღლეზე, ეს რკალი არ გაქრა მას შემდეგაც კი, როცა ანტენას ჯოხი მოაცილეს და დარჩა ჰაერში, სანამ იგი ხელოვნურად არ „განდევნეს“.

უდიდესი რეფლექტორი

ამ რამოდენიმე ხნის წინად ნიუ-იორკში დაასრულეს დამზადება უდიდესი რეფლექტორისა ოგაიოს შტატის ობსერვატორიისათვის. რეფლექტორის დიამეტრი თითქმის ორ მეტრს უდრის და უდიდესია არსებულ რეფლექტორებში. თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ამგვარი რეფლექტორების დამზადება, ამას ამტკიცებს თუ გინდ ის ფაქტი, რომ ეს რეფლექტორი მეოთხეა იმ სამის შემდეგ, რომლებიც გაფუჭდა. დამზადების პროცესში. რეფლექტორების დამზადების დროს ყველაზე ძნელი საქმეა ჩამოსხმა, გამდნარ მინის 2400 გრ. ტემპერატურის დროს ასხამენ განსაკუთრებულ ფორმაში. ამ ფორმაში მინა რჩება ოთხ თვეს და მისი ტემპერატურა თანდათანობით დაჰყავთ ატმოსფერის ტემპერატურამდე. ამის შემდეგ იწყება რეფლექტორის ხეხვა—პროცესი, რომელიც ისეთ სიფრთხილეს მოითხოვს, რომ რამდენიმე თვეს გრძელდება. ოდნავი გაფხაჭნა, გეომეტრიული ფორმის ოდნავ შეცვლა—და მთელ რიგ თვეების შრომა და ხარჯი იღუპება.

პროფ. ჯერარდის გამოკვლევა ნერვიული სისტემის შესახებ

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჯერარდმა ამ რამდენიმე ხნის წინად გამოაქვეყნა შესანიშნავი გამოკვლევა ნერვიული სისტემის მოქმედების შესახებ. ეს გამოკვლევა სრულიად ახალ შუქს ფენს იმ პროცესების ბუნებას, რომელთაც ადგილი აქვს ადამიანისა და ცხოველის ნერვიულ სისტემაში. პირველყოვლისა ჯერარდი კატეგორიულად უარჰყოფს ძველ თეორიას, რომლის თანახმად ნერვის გაღიზიანების გადაცემა ნერვით ხდება განსაზღვრული და შედარებით უმნიშვნელო სისწრაფით, რომელიც გაცილებით ჩამორჩება ელექტრო-დენის გავრცელების სისწრაფეს და თვით გაღიზიანება წარმოადგენს ქიმიურ პროცესს. უფრო მეტი, ჯერარდმა შესძლო გაზომვა მჟავბადის იმ რაოდენობის, რომელსაც ნთქავს მომუშავე ნერვი და ნახშირის მჟავას იმ რაოდენობის, რომელსაც ის ამ დროს გამოჰყოფს. ამრიგად გამორკვეულია, რომ არ არსებობს პრინციპიალური განსხვავება ნერვისა და ორგანიზმის სხვა უჯრედების მოქმედებას შორის. თუ დღემდე ვერ მოახერხეს ნერვიული უჯრედის მუშაობის გაზომვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ენერგია, რომელსაც იგი ხარჯავს ძლიერ მცირეა. მაგრამ ჯერარდმა უაღრესად ზუსტ ხელსაწყოების საშუალებით შესძლო ამ მუშაობის ოდენობის გამორკვევაც. პროფ. ჯერარდმა მოახდინა ცდები ბაყაყის მოკვეთილ თათზე, რომლის ნერვებს ის აღიზიანებდა ელექტრონის საშუალებით. აღმოჩნდა, რომ გაღიზიანების გადაცემაზე კუნთისათვის ნერვი ხარჯავდა ერთი მემილიონედი კალორიის (კალორია—სითბოს ის ერთეულია, რომელიც საჭიროა ერთი ლიტრი წყალის გასათბობათ ცელსიუსის ერთ გრადუსზე) ერთ მემილიონედ ნაწილს. კუნთის ისეთივე სიდიდის ქსოვილი, როგორიც ნერვია, გაღიზიანების დროს ხარჯავს 5.000-ჯერ მეტ ენერგიას, ვიდრე ნერვი. ბაყაყის თათის ყველა კუნთები, რომელთაც ერთი ნერვი ამოძრავებს, ხარჯავენ 1.000.000-ჯერ მეტ ენერგიას, ვიდრე ნერვი. აი სწორედ, ნერვიული სისტემის ამ განსაცვიფრებელ ეკონომიურობაშია მიზეზი იმის, რომ ნერვების ენერგია დაუშრეტელია: მომუშავე ნერვი მჟავბადისა და საკვებ ნივთიერებათა ისეთ მცირე რაოდენობას ხარჯავს, რომ დანაკლისის შევსება უზრუნველყოფილია სისხლის ნორმალური მიმოქცევით, რომლის დროს ნერვი ღებულობს მჟავბადისა და საკვებ ნივთიერებათა ახალ-ახალ მარაგს.

ვირთხის კბენა—სიფილისის წინააღმდეგ

სიფილისის შედეგების — პროგრესიული სიდამბლისა და ზურგის ტვინის ავადმყოფობის წინააღმდეგ უკვე რამდენიმე წელია სარგებლობენ სიფილისიანის დაავადმყოფებით მალარიით ან შებრუნებული ტიფით. სიფილისიანი ავადმყოფდება ახალი სნეულებით, რომლიდანაც ჩქარა იკურნება, მაგრამ ახალი ავადმყოფობის მიკრობები და მათ მიერ წარმოშობილი შხამები საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ ძველი ავადმყოფობის წინააღმდეგ. ტვინის პროგრესიული სიდამბლის დროს მალარიით ან შებრუნებული ტიფით დაავადება — თითქმის ყველა ექიმების მიერ საუკეთესო საშუალებათ არის მიჩნეული.

ამერიკელმა ექიმებმა **სოლომონმა, ვირკმა,** ტეილერმა და კლეიმ გამოარკვიეს, რომ პროგრესიული სიდამბლის წინააღმდეგ გაცილებით უკეთესი საშუალებაა ახალი ინფექციური ავადმყოფობა, ისინი წინადადებას იძლევიან პროგრესიული სიდამბლით შეპყრობილ აცრას „სოდოკუს ავადმყოფობა“ ანუ „ვირთხის კბენით გამოწვეული ავადმყოფობა“. „სოდოკუს ავადმყოფობა“ წარმოადგენს ციებ-ცხელების მაგვარ ავადმყოფობას, რომელიც ადამიანს გადაედება ავადმყოფი ვირთხის კბენის საშუალებით. ამ ავადმყოფობიდან ადამიანი ჩქარა იკურნება და უკანასკნელი უფრო იოლი ასატანია, ვიდრე მალარია ან შებრუნებული ტიფი, რაშიც მდგომარეობს მისი უპირატესობა.

ხელით და მანქანით

მეცნიერმა რ. ბებსონმა გამოიანგარიშა, თუ რამდენი დროა საჭირო სხვადასხვა საგნების დამზადებისათვის ხელით და მანქანით.

გამოირკვა, რომ მამაკაცის ფეხსაცმელის დამზადება მანქანით შეიძლება 9-ჯერ უფრო ჩქარა ვიდრე ხელით, ფოცხის—15-ჯერ, დანის—29-ჯერ, გუთნის—32-ჯერ, პერანგის—76-ჯერ, მარმარილოს დაფის გათლა—539-ჯერ უფრო ჩქარა.

ადამიანის ღონის გამოყენება 10-ჯერ უფრო ძვირი ჯდება (ფულად), ვიდრე ცხენის ძალის გამოყენება და 30-ჯერ უფრო ძვირი, ვიდრე მანქანის ენერგიის გამოყენება.

მანქანის გამოყენებამ მრეწველობის სხვადასხვა დარგში გამოიწვია პროდუქციის ღირებულების არაჩვეულებრივად გაიაფება. ასე მაგალითად, ალუმინის ფასი მანქანების გამოყენების შემდეგ 450 მანეთიდან კილოგრამში დაეცა 55 კაპეიკამდე. ტონა ფერო-მარგანეცის ფასი—1.200 მანეთიდან 60 მანეთამდე, ვანდალიუმის—50.000 მანეთიდან (კილოგრამი) 20 მანეთამდე, გოგირდის მჟავასი—80.000 მარკიდან ნახევარ მარკამდე (კილოგრამი), ვანილის—7.000 მარკიდან 30 მარკამდე (ტონა) და სხ.

თავისთავად ცხადია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობაში უფრო ფართედაა გატარებული მექანიზაცია, თითეულ მუშაზე მოდის უფრო მეტი გამომუშავება (პროდუქცია), ვიდრე მექანიზაციის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნებში.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ქარხნებში ამერიკაში თითეულ მუშაზე წლიურად მოდის 11.200 მანეთის პროდუქცია, ჩვენში კი —ორი ათას მანეთამდე.

ამიტომ არის, რომ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას აღებული აქვს მტკიცე კურსი ინდუსტრიალიზაციისაკენ, რომლის გარეშე შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის ღირებულების შემცირება.

ყრილობა კიბოს შესახებ

მიმდინარე წლის ივლისში ლონდონში შესდგება საერთაშორისო ყრილობა კიბოს შესასწავლად. ყრილობის მუშაობა ჩატარდება: პათოლოგიის, დიაგნოსტიკის, თერაპიის, რადიოლოგიის, სოციალური ჰიგიენის და კიბოს სტატისტიკის სექციებში.

მსოფლიოში უდიდესი ამწევი მანქანა

რკინისგზებზე მომხდარ კატასტროფების დროს ხშირად საჭირო ხდება გზის სასწრაფოდ განთავისუფლება ვაგონებისა და ორთქლმავლის დამტვრეულ ნაწილებიდან. ამ მიზნით, ჩვეულებრივ სარგებლობენ ამწევ მანქანებით, რომლებიც რელსზე მოძრაობენ.



ამ რამდენიმე ხნის წინად გერმანიაში დაამზადეს ორი ასეთი უზარმაზარი მანქანა, რომელთაც შეუძლია ასწიონ და გვერდზე გადადვან მთელი ორთქლმავალი. თითეულ მანქანას შეუძლია 60 ტონას (3600 ფუთი) აწევა და ამ სიმძიმის გადატანა (ადგილიდან დაუძრავად) 7-ნახ. მეტრის მანძილზე. მანქანა მოთავსებულია ორ გამძლე ღია პლატფორმაზე.

სურათზე — ამწევი მანქანა, გადაღებული იმ დროს, როცა ის სწევს ორთქლმავალს.

ულტრა-იისფერ სხივების გამტარი მინები

უკანასკნელ ხანებში უცხოეთის პრესა სავსეა ცნობებით სამკურნალო თვისებების მქონე ულტრა-იისფერ სხივების გამტარ მინების (ჩვეულებრივი მინები არ ატარებენ ამ სხივებს, რის გამო ოთახში მყოფნი ცხოვრობენ „ბიოლოგიურ სიბნელეში“) გამოშვების შესახებ გასასყიდათ. გასასყიდათ გამოშვებულ „ულტრა-იისფერ ლამპების“ ფართე გამოცდამ ცხადყო, რომ ულტრა-იისფერ სხივების გამტარ ლამპების დამზადების ამოცანა ჯერ კიდევ შორსაა განხორციელებიდან. ცდებს ახდენდნენ ნათელ, მზიან დარში, როცა ულტრა-იისფერი გამოსხივება ყველაზე ძლიერია, ცდებმა დაამტკიცა, რომ წმინდა კვარციდან დამზადებული მინა ატარებს ულტრა-იისფერ სხივების 22 პროცენტს, მაგრამ ეს მინა ძლიერ ძვირია და ფართო გავრცელებას ვერ ჰპოვებს. გასასყიდათ გამოშვებული საუკეთესო მარკის „ულტრა-იისფერი ლამპები“ ატარებენ მხოლოდ 47 პროცენტს ულტრა-იისფერი სხივებისას. ზოგიერთი მარკის მინები მართალია ამ სხივების 85 პროცენტსაც ატარებენ, მაგრამ სხივით გამტარობა ჩქარა სუსტდება და რამდენიმე თვეში 40—50 პროცენტამდე დადის. ზოგიერთ მინებს ის ნაკლი აქვთ, რომ 10—15 სანტიმეტრზე შორს არ უშვებენ სხივებს (ოთახში).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცდებმა ფართე საზოგადოებას ძლიერ გაუცრუა იმედები ჰიგიენურ მინებში, უკანასკნელები მაინც ფართედ ვრცელდება. ამჟამად ყველა სახლებში, რომლებიც შენდება შეერთებულ შტატებში და დასავლეთ ევროპაში. ფანჯრებში „ულტრა-იისფერ მინებს“ ადგამენ.

ყველაზე პატარა რკინისგზა

ინგლისში რვა მილის მანძილზე პატარა რკინის გზაა, რომელიც სამხრეთ-ნაპირზე გადის. ამ რკ.-გზამ,რომელიც გაკეთებულია ნამდვილ რკ. გზ. მსგავსად და რომელზედაც მოძრაობენ პატარა ორთქლმავლები და ვაგონები, ათი კვირის განმავლობაში გადაიყვანა 178.000 მგზავრი.



ამ რკინის გზის ორთქლმავალი, რომელიც დამზადებულია თანამედროვე ორთქლმავლების სისტემის მიხედვით, იწონის მხოლოდ 480 ფუთს.

სურათზე—ამ უპატარავეს მატარებლიდან გადმოსული მგზავრი პაპიროსს უკიდებს ორთქლმავლის საკვამლე მილიდან ამომავალ ნაპერწკლებზე.

ქრონიკა

სამძიმრის დეპეშა

ამხ. ს. გეგეჭკორის ტრაგიკულად დაღუპვის გამო ლენინგრადის საგუბ. პარტიულ კომიტეტის მდივნის ამხ. კიროვისგან მიღებულია შემდეგი შინაარსის სამძიმარის დეპეშა: „თქვენთან ერთად ვსწუხვარ საბჭოთა საქართველოს მიერ ერთ-ერთი საუკეთესო შვილის და მისი სოციალისტური მომავლის ურთგულესი მშენებლის დაკარგვის გამო. დე ამ ძველ მებრძოლ ამხანაგის დაკარგვამ გამოიწვიოს ლენინის საქმის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის მებრძოლთა რიგების კიდევ უფრო შემჭიდროება“.

ამერიკელი ამხანაგები თბილისში

ამ დღეებში, თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკის კომპარტიის წევრები ალბერტ გუდიანო, ევა და ბესი ვაისმენდი, რომლებიც თბილისში დარჩებიან სამი-ოთხი დღე. გუშინ სტუმრებმა დაათვალიერეს ზაჰესი და სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებანი.

დღეს, ამერიკელი ამხანაგები დაათვალიერებენ გამასწორებელ სახლებს, სახ. უნივერსიტეტს, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს, ამ.-კავ. კომუნისტურ უნივერსიტეტს და თბილისის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებს.

ქეჩის ქარხანა

15 მაისიდან დაიწყო თბილისის ქეჩის ქარხნის კაპიტალური შეკეთება. ამავე ხნიდან ქარხნის მუშაობა შეჩერებულია ერთი თვით. 10 ივნისისათვის ქარხნის შეკეთება [illegible] დამთავრდა: გაფართოებულია ზოგიერთი განყოფილებები, ახალ ადგილას მოეწყო მატყლის საჩეჩი სახელოსნო და გადახალისებულ იქნა სამანქანო განყოფილება.

მიმდინარე საანგარიშო წლის 1-ლ ნახევარში ქარხანამ ბაზარზე გამოუშვა 228131 მანეთის პროდუქცია. ქარხანა ამზადებს ქეჩას და ნაბადს, რაც გასასაღებლათ გააქვთ უმთავრესად ციმბირში. ქარხნის პროდუქციაზე მოთხოვნილება თანდათან მატულობს.

მშენებელ მუშათა დაზღვევა

სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ ცნობით, ახალ მშენებლობაზე და კაპიტალურ შეკეთებისათვის დაქირავებული მუშები დაზღვეული უნდა იქნენ 7 პროცენტიან ნორმის მიხედვით. მათ შორის 6 პროცენტი გადაირიცხება სოცდაზღვევის ორგანოების ფონდში, 1 პროცენტი კი დაზღვეულთა სამკურნალო ფონდში.

მუშათა საბინაო მშენებლობის ამხ.-ბათა კანტორების მოსამსახურეებზე სოცდაზღვევის ანარიცხები დამქირავებელთ გადახდებათ 10 პროცენტის რაოდენობით, მუშის ხელფასთან შეფარდებით.

ნაგებობათა მიმდინარე შეკეთებაზე დაბანდებულ მუშების დასაზღვევი ანარიცხები დამქირავებელთ გადახდებათ ნორმალური ტარიფის მიხედვით, მხოლოდ იმ პირობით თუ მხედველობაში იქნება მიღებული სამუშაოს მავნებლობის და საშიშროების ხარისხი.

5.000 მან. მოგება

13 ივნისს სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში წარმოადგინეს 1926 წლის მომგებიანი სესხის ობლიგაცია № 01 სერია 4082, რომელსაც უკანასკნელ ტირაჟში ხვდა 5.000 მან. მოგება. მომგები არის ელექტროტრესტის ინჟინერი.

სავაჭროების გამოკვლევა

თბილისის აღმასკომთან არსებული ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება ამჟამად აწარმოებს ქალაქის რაიონებში სავაჭროების ფართე გამოკვლევას, რომლის მიზანია გამოარკვიოს თუ რამდენად აკმაყოფილებს არსებული სავაჭროები რაიონის მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

გამოკვლევის შემდეგ იმ რაიონებში, სადაც გახსნილი სავაჭროები ვერ აკმაყოფილებენ მცხოვრებლებს, გაიხსნება ახალი კოოპერატიული სავაჭროები. აგრეთვე მოხდება რაიონების ზედმეტი სავაჭროებისაგან განტვირთვა და ცენტრში არსებული ზოგიერთი მთავარი სავაჭროები გადატანილი იქნება შესაფერ რაიონებში.

მასიური ექსკურსია მცხეთაში

კვირას, 17 ივნისს, საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების საექსკურსიო ბიურო აწყობს მასიურ ექსკურსიას მცხეთაში. ექსკურსიის პროგრამაში შეტანილია ფიზკულტურული თამაშობანი და გარმონისტების კონკურსი.

შესაკრები პუნქტი სადგურის მოედანზე— დილის 8 ნახ. საათზე.

პროფ. მელიქიშვილის ძეგლზე გამოცხადებულ კონკურსის შედეგები

სამშაბათს 12 ივნისს, განათლების კომისარის ამხ. დავ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგა ჟიურის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა პროფ. მელიქიშვილის ძეგლის პროექტები. სულ წარმოდგენილი იყო 16 პროექტი. წარმოდგენილ პროექტებს შორის ჟიურიმ მოიწონა და პირველი ჯილდო 800 მანეთის რაოდენობით მიუსაჯა ერთ პროექტს დევიზით: „თბილისი“. ამ პროექტის ავტორი აღმოჩნდა ლენინგრადში მცხოვრები მხატვარი-ტეხნიკოსი მიხეილ როდიონისძე ივანოვი.

დანარჩენი პროექტები ჟიურიმ ვერ იცნო მე-2 და მესამე პრემიების ღირსად, რადგანაც ისინი არ შეეფერებიან კონკურსში გამოცხადებულ პირობებს.

ყველა პროექტები, როგორც მიღებული, ისე მიუღებელი, ამჟამად გამოფენილია სახელმწიფო ოპერის თეატრის ფოიეში და მათი დათვალიერება მსურველთ შეუძლიათ დღეიდან 17 ივნისამდე, საღამოს 6-დან 9 საათამდე.

ჟიურის შემადგენლობა: განათლების კომისარი დ. კანდელაკი. სახ. უნივერსიტეტის რექტორი—მ. ტოროშელიძე, ხუროთმოძღვრები—კალგინი და სევეროვი, მხატვრები—შევარდნაძე და კაკაბაძე.

საანგარიშო საქმის მუშაკთა შეჯიბრი

17 ივნისს თბილისში გაიხსნება საანგარიშო საქმის მუშაკთა პირველი საქალაქო ტურნირი. ტურნირს აწყობს საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირთან არსებულ აღრიცხვის მუშაკთა გაერთიანება.

შეჯიბრება მოხდება საანგარიშო ხელსაწყობისა და აპარატების რაციონალურად გამოყენებისა და საანგარიშო ამოცანების სწრაფად გამოყვანაში. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა 50 კაცი. გამარჯვებულთ დაურიგდებათ ჯილდოები.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ვაგონები.** ამ დღეებში მოსკოვიდან მიღებული იქნება ტრამვაის ვაგონების ახალი პარტია.

◆ **ლენინის მუშათა რაიონში** აბანოს ასაგებად გადაიდო 143.000 მანეთი.

◆ **ახალი ქუჩები.** კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა გარე-უბნებში ახალი ქუჩების დაგეგმვა-გაყვანას.

◆ **წყალსადენი.** დამთავრდა წყალსადენების გაყვანა გულუბანში, დიდ-თითხეთში, ვაკეში, შინდისში და ავჭალაში.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **დემობილიზაციაქმნილ** წითელარმიელთათვის დახმარებისათვის გასაწევად შრომის სახ. კომისარიატმა გადასდო 1500 მანეთი.

◆ **უმუშევართა კვალიფიკაციის** ასამაღლებელ კურსების გასახსნელად შრომის სახ. კომისარიატმა გადასდო 1500 მანეთი.

◆ **შრომის ბირჟის გარეშე** უმუშევართა სამუშაოზე მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად შრომის სახ. კომისარიატმა დანიშნა 2 ინსპექტორი.

პროფკავშირებში

◆ **პროფკავშირების გაერთიანება.** პროფსაბჭომ დაადგინა სიღნაღის, თელავის და ლეჩხუმ-რაჭის მაზრების გაერთიანების გამო გაერთიანებულ იქნეს აღნიშნულ მაზრებში პროფესიონალური ორგანიზაციები.

◆ **მემაღაროეთა კავშირის** ცენტრალური გამგეობა ჭიათურიდან გადმოტანილი იქნა თბილისში.

◆ **ფიზკულტურის საქმის** გასაძლიერებლად პროფსაბჭომ ცალკე კავშირებისათვის შეიძინა 100 ველოსიპედი და 20 მოტოციკლეტი.

სხვადასხვა

◆ **სოცჰიგიენის აუდიტორიაში** დღეს, 14 ივნისს, საღამოს 8 ს. შესდგება თბ. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა და კავკასიის სამკურნალო საზ-ბის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს პროფ. გ. მუხაძე: „გულის ჭრილობები და მათი მკურნალობა.“

◆ **სიმფონიური კონცერტი.** სერგო ორჯონიკიძის სახ. კლუბში დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი, პროგრამაში: ჩაიკოვსკი, რუბინშტეინი, გლაზუნოვი და პროკოფიევი.

◆ **„წითელი სარკე“.** ხვალ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში გაიმართება „წითელი სარკის“ წარმოდგენა.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქუთაისიდან—მაღლაკელიძეს, ხაშურიდან—შოშიაშვილს, სამტრედიიდან—აზიზს, [illegible]—ლევიერის.

საექსკურსიო სეზონი აჭარისტანში

აჭარისტანის პოლიტგანის მთავარ მმართველობის საექსკურსიო-ტურისტულმა ბიურომ დიდი მუშაობა ჩაატარა საექსკურსიო ჯგუფების მისაღებად. ამჟამად უკვე გახსნილია და მუშაობს ორი საექსკურსიო ბაზა. ამას გარდა ბათომში იქნება გამოყენებული ბათომის ყველა სასკოლო შენობები, სადაც დაიდგმება 500 საწოლი. საწოლით სარგებლობისათვის (საპირო თეთრეულით) დაწესებულია 20—40 კაპ. დღეში.

ექსკურსიებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ბათომის რაიონში გამოყოფილია 8 სპეციალისტი-ხელმძღვანელი სუბტროპიკების, ეკონომიკის, ნავთის მრეწველობის და სხვ. დარგებში. ექსკურსანტებს შორის კულტურული მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილია სპეციალური კულტგანყოფილება.

ბაზებში იხსნება ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომლებისთვისაც გამოწერილია საბჭოთა კავშირის ყველა გაზეთები და პერიოდული გამოცემები. განზრახულია მთელ რიგ ლექციების ჩატარება, რომლებიც გაუადვილებენ ექსკურსანტებს აჭარისტანის ყოფა-ცხოვრების გაცნობას.

ბაზებში გამოყოფილია სპეციალური ექიმები. სათანადო ორგანიზაციებთან დადებულია ხელშეკრულებები ექსკურსანტებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდების შესახებ მინიმალურ ფასებში, სამრეცხაოებში, საპარიკმახეროებში და შრომის კომისარიატის სხვა კოლექტივებში ექსკურსანტებს მიეცემათ 50 პროც. შეღავათი. ყველა ბაზებს ერთდროულად შეუძლიათ მიიღონ 800 ექსკურსანტი.

ამას გარდა განზრახულია საექსკურსიო ბაზების გახსნა ქობულეთში და მწვანე კონცხზე. ექსკურსანტების ჩამოსვლა უკვე დაიწყო; 1-ლ ივნისამდე რეგისტრაციაში გატარებულია 700 ექსკურსანტი. წელს საექსკურსიო ბიურო თავის ბაზებში გაატარებს სულ 35.000 ექსკურსანტს, რაც შარშანდელ ციფრს აღემატება თითქმის სამჯერ. ექსკურსანტების რამოდენიმე პარტია ჩამოვა აგრეთვე საზღვარგარეთიდან.

მოჯამაგირეთა კურსების მოწყობა

მიმდინარე წლის ივლისში ქართულ მუშფაკთან იხსნება მოსამზადებელი კურსები მოჯამაგირეებისათვის.

ამ კურსების მიზანი ფრიად საინტერესოა. ჯერ კიდევ ბევრი გვყავს ისეთი ჩამორჩენილი მოჯამაგირეები და მწყემსები, რომელნიც სავსებით მოკლებული არიან საერთო ან პროფესიონალურ განათლებას. არაა საკმარისი მარტო წ. კ. ცოდნა. დღეს ქვეყანას მართავს მუშა, გლეხი და მოჯამაგირე, რომლებიც მუდამ იჩაგრებოდენ და სიბნელეში იმყოფებოდენ. ცხადია, ის ვინც მოწოდებულია და ცდილობს საზოგადოების მომავალი ცხოვრების წინ გაუძღვეს, უნდა იყოს ყოველმხრივ შეიარაღებული, მას წინ უნდა უძღვოდეს ცოდნის ჩირაღდანი. სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის, ვინაიდან სოციალისტური მშენებლობაში მონაწილეობას ღებულობენ მთელი მასები.

უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით თითო ოროლა მოჯამაგირეები თუ იღებენ საშუალო და უმაღლეს განათლებას, დანარჩენები კი მოკლებულია ამას. ამის მიზეზი ის არის, რომ მოჯამაგირეები მომზადების უქონლობის გამო რჩებიან მუშფაკის გარეშე და თუ რომელიმე მუშფაკში მიიღეს, იმავე მიზეზის გამო ვერ იჩენს სათანადო წარმატებას.

კურსებიც სწორედ იმისათვის იქნება, რომ ამგვარ მოჯამაგირეებს მისცეს საკმაო მომზადება. ამით ყოველ მუშფაკელ-მოჯამაგირეს შემდეგი მეცადინეობა გაუადვილდება.

მიმდინარე წელს ეს კურსები ცოტათი ნაჩქარევად იწყება. პირველად კურსებზე მიიღებენ 20 კაცს, რომელნიც ოქტომბრის თვეში უკვე მუშფაკის პირველ კურსზე გადაირიცხებიან.

კურსანტები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, საჭმელ-სასმელით, სახელმძღვანელოებით და სხვა საჭირო საგნებით.

მომავალი წლიდან კურსები ექვსთვიანი გახდება და ყოველ წელს იქნება გახსნილი.

ი. კოდუა.

სასამართლო

არც გაეყარა, არც გაახარა

— მე ვიცი, რა ფასიც დავსდო შენს სიტყვებს, რომ გიყვარს კაცმა, ვითომ ჩემზე ამოგდის მზე! თავს მოვკლავ, თუ ცოლად არ გამომყვები, არა?

— გეფიცები, ნადია, თუ შენსავით ვინმე მიყვარდეს, ხვალინდელი დღე არ გამითენდეს.

— მერე რა გინდა ახლა? რას მოითხოვ ჩემგან?

— ვიცხოვროთ ერთად. გახდი ჩემი ცოლი, სიკვდილამდე მეყვარები.

— კარგი, მოიცადე! ერთ შეკითხვას მოგცემ და როცა შენს პასუხს მოვისმენ, მერე გადაგიწყვეტ, როგორ მოვიქცე. ვთქვათ, რომ მე ქალწულობა დიდი ხანია დაკარგული მაქვს. როგორ შეხედავდი ამას, იქონიებდა თუ არა გავლენას შენს სიყვარულზე?

— არასოდეს! მე შენ მიყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ!

— მაშ, გამოგიტყდები, რომ ეს ასეა. თუ გეყვარები ამის შემდეგ, თანახმა ვარ გამოგყვე ცოლად.

შალვა მამამთავრიშვილს ბევრი აღარ უფიქრია და მეორე დღიდანვე აისრულა გულის წადილი—შეირთო ცოლად ნადია ჩიტაძის ასული. მოხდა ეს 1925 წელს.

გავიდა 7 თვე. მამამთავრიშვილს მოსდის წერილები, რომ მისი ცოლი ცუდი ყოფა-ქცევის არის.

გაშორდა მამამთავრიშვილი ცოლს. ნადია გაემგზავრა ბორჯომში და იქ მოეწყო სამსახურში. მაინც და მაინც დიდი დარდი არ გაჰყოლია თბილისიდან.

— უშენოდ ცხოვრება მიძნელს. მაპატიე, თუ გაწყენინე. ძალიან გაგახარებ, თუ გულზე ხელს არ მკრავ და კვლავ დამიბრუნდები.—კითხულობს წერილს ნადია.

ბორჯომიდან ისევ თბილისისაკენ დაიჭირა პირი ქალმა. თბილისის სადგურზე დილიდანვე იდგა მამამთავრიშვილი და მოუთმენლად მოელოდა ცოლის დაბრუნებას.

შერიგდენ. განაგრძეს ერთად ცხოვრება, იცხოვრეს 26 წ. დეკემბრამდე და შემდეგ მამამთავრიშვილმა ისევ ბარგი აუკრა ნადიას.

ეს მოხდა მშობლების და ნაცნობ-მეგობრების ზეგავლენით.

— ქურდის ქალთან რომ არ იცხოვრო, საშველი არ არის, თუ როგორიაა შენი საქმე! ქალები გაწყდენ ქვეყანაზე?!—ეუბნებოდენ მამამთავრიშვილს.

მანაც მიიღო რჩევა და განშორდა. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი. შალვას დაეტყო მოწყენა. ნადიას სახე აჩრდილივით თვალწინ უდგას. მეტის მოთმენა აღარ ძალუძს.

დაიწყო მიწერ-მოწერა და გასული წლის ზაფხულში ისევ ტკბილად დაიწყეს ცხოვრება ერთად, რომ მეტი სიმტკიცე ჰქონოდა მათ კავშირს „მმაჩ“-ში ერთხელ კიდევ გატარდნენ.

რაკი მშობლებმა თავის სახლში არ გააჩერეს ქალი, შალვა ქალის ბინაზე გადავიდა საცხოვრებლად.

დაიწყო ხელახალი კამპანია ცოლ-ქმარის გასათიშავად.

მამამთავრიშვილი წავიდა რამდენიმე თვით თბილისიდან. მიატოვა ქალი, იხეტიალა ბათომში, ქუთაისში, მაგრამ ისევ მალე მოაშურა თბილისს და ჩამოხტა ნადიას ბინაზე.

გასულ აპრილში კიდევ ერთად ცხოვრობდენ ნადია და შალვა, მაგრამ მალე ჯვარი დაესვა მათ კეთილ-განწყობილებას.

შალვას დაეტყო ვენერიული დაავადების ნიშნები. ამან უკვე შურის ძიების გრძნობა გააღვიძა მასში.

11 აპრილს მამამთავრიშვილი მთვრალი დაბრუნდა სახლში და წინადადება მისცა ცოლს:

— წავიდეთ შენ ნათესავთან, მოვილაპარაკოთ განშორებაზე.

— რას გააჭირვე საქმე! ვინ გეხვეწება ჩემთან ცხოვრებას? მე ჩემთვის ვიყავი, თუ განშორება გინდოდა, რას მოდიოდი?

— არა, ისე მოვილაპარაკოთ, შინაურ საქმეებზე..

შალვამ გაიყვანა ქალი სახლიდან და ჭიშკართან რომ მივიდენ, იძრო ბებუთი და გულში ჩასცა ცოლს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

მამამთავრიშვილი დაპატიმრებულია.

საქმე გადაეცა თბილისის მაზრის სასამართლოს.

ყალბმა დეპეშებმა დაღუპა

კონსტანტინე ხვიჩიას საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. ა. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

მკითხველები უკვე იცნობენ ხვიჩიას, უკანასკნელი საქ. უზენაეს სასამართლოს მდივნის თანაშემწე იყო. ხშირად ავალებდენ ხვიჩიას დეპეშების გაგზავნას მაზრებში უზენაეს სასამართლოში გასარჩევ საქმეებთან დაკავშირებით.

და სწორედ ამ დეპეშებს გადაჰყვა მისი კარიერა. ფულის სიყვარულმა ისე გააწუწკა ხვიჩია, რომ თვითონ თხზავდა დეპეშებს და გზავნიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. დეპეშების ტექსტს ხვიჩია ადგენდა ძალიან მოკლეთ. მაგალითად: **ნინა გარდაიცვალა.. ვასაფლავებთ სამშაბათს... ალიომა“. „ელენე გარდაიცვალა... ლიდა“** და სხვ.

ამ დეპეშებს ხვიჩია იგონებდა იმისთვის, რომ ხელში ჩაეგდო საფოსტო ბლანკები და ქვითარები. ქვითარებში აღნიშნულ თანხას ხვიჩია ასწორებდა ამ ნაირად: თუ ქვითარში ეწერა 50 კაპ., ხვიჩია წინ მიუწერდა ხუთ მანეთს, რომელსაც „სახარჯოთ“ იტოვებდა.

გასამართლებელ „საბუთად“ ხვიჩია ადგენდა დეპეშის ასლს. სამგლოვიარო დეპეშა (!) ნინას, თუ ელენეს გარდაცვალების შესახებ, საქმიან ხასიათის დეპეშათ იცვლებოდა სალაროში წარადგენდენ ასლში და იქამდე იყო გაჭიმული, სანამ დასაცანცლავ ხუთ თუ ექვს მანეთს გაუთანასწორდებოდა.

ასე ჩადიოდა ხვიჩია სისტემატიურად. როცა დასჭირდებოდა უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეობასაც ეწეოდა, რასაკვირველია, ყალბი ხელის მოწერით.

როგორც სასამართლოს გამოძიებით დადასტურდა ხვიჩიას ამ გვარი აფერისტობით გაუფლანგავს 1400 მანეთამდე.

არ შეერგო ხვიჩიას ნინას და ელენეს „უდროვოდ ჩაქვესკნელება“ ხელის მოსათბობად.

კონსტანტინე ხვიჩიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.

ზერ.

შემთხვევები

სარკემ გასცა

თბილისის მუშკოოპის პასაჟი სადგურთან ჩვეულებრივად სავსეა ხალხით. გაცხარებული ვაჭრობაა. ნოქრებიც გართული არიან მუშაობაში. სწორედ ასეთი გაცხარებული ვაჭრობა იყო პასაჟში გუშინწინ, როცა იქ შევიდა რომან მიხეილის ძე ვორობიოვი და პირდაპირ მზა ტანსაცმელების განყოფილებას მიაშურა, შეათვალიერ-შემოათვალიერა მრავლად დაწყობილი და ჩამოკიდებული ტანსაცმელი, შემდეგ დრო იხელთა, ერთი ხალათი გადიგდო მკლავზე და გაემართა კარებისაკენ. როგორ იფიქრებდა რომან ვორობიოვი, რომ მას „საგმირო საქმეს“ იქვე პირდაპირ დადგმული სარკე ასახავდა და დაანახვებდა მუშტრებთან გართულ ნოქარს. როდესაც ვორობიოვი არხეინად მიუახლოვდა გასავალ კარებს, მას ხელი სტაცეს. ქურდი სისხლის სამართლის მილიციაში მიაბრძანეს.

„გასტროლიორები“

უკანასკნელ ხანებში ტრამვაის ვაგონებში და ქუჩებში გახშირდა ჯიბიდან ფულის ამოცლის შემთხვევები. გამოირკვა, რომ თბილისს ერთი ხანია ესტუმრა ტრამვაიზე ქურდობის „სპეციალისტ“ ჯიბგირების ერთი ჯგუფი, რომლის წევრები დახელოვნებული ქურდი-რეციდივისტებია. სულ მცირე დროის განმავლობაში მათი მსხვერპლი შეიქნა მრავალი მოქალაქე. გუშინ, დილით არუთინ ოგანეზოვს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 400 მანეთი. ილორ ზელი-ოღლის ამოაცალეს 370 მანეთი.—ივანე თიკანაძეს (მცხ. ერისთავის ქ. № 18) ვიღაც უცნობმა პირმა რუსთაველის პროსპექტზე ჯიბიდან ამოაცალა 700 მანეთის ოქროს ნივთები.

დაჭრა

გუშინ, დილით ვიღაც უცნობმა პირმა დანით მსუბუქად დასჭრა ლევან მიხეილის ძე სარქისოვი (მცხ. კალოუბნის ქ. № 26). სარქისოვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და მოათავსეს თავის ბინაზე.

— ამ რამოდენიმე ხნის წინად ვიღაც ბოროტმოქმედმა ვინტოვკით დასჭრა პეტრე ტაკოშვილი (მცხოვრები მარტყოფში). ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ყაზარა შაქროს ძე მარტიაშვილი.

ქურდობა

სამხედრო კოოპერატივის მაღაზიის (მდებარე ბესიკის ქ.) გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს ი. ტრუდკოვი.

— დაპატიმრებულია გიორგი გიორგის ძე მალაძე, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

საბჭოთა ქუჩაზე მომხდარ უბედური შემთხვევის გარშემო

გუშინ გამომძიებელმა დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეები აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის შენობაში (საბჭოთა ქუჩა № 22) გაჩენილ ხანძრის მიზეზების გამოსარკვევად. საბოლოოდ დადასტურდა, რომ ხანძარი გამოიწვია „კეროსინკის“ აფეთქებამ.

ხანძრით გამოწვეული ზარალი უდრის დაახლოვებით 1500 მანეთს.

ცეცხლისაგან დასახიჩრებულ ოლღა მაჭარაშვილის ჯანმრთელობა უმჯობესდება.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა არაქსი ოგანესის ასული სტეფანიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი საოჯახო ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, პ. სანიშვილთან.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

დადასტურებულია, რომ უბედური შემთხვევები ქალაქში უმთავრესად გამოწვეულია შოფერების და ვატმანების დაუდევრობით.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო საზოგადოებამ („ზაკომეს“) გაითვალისწინა რა ეს გარემოება— გადასწყვიტა აწარმოოს სასტიკი ბრძოლა დაუდევრობის წინააღმდეგ. შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც დაუყოვნებლივ გატარდება ცხოვრებაში.

მოგვარდება პერიოდულად ავტო-მანქანების ტეხნიკურად შემოწმების საკითხი.

ამ დღეებში ტეხნიკური ინსპექცია დაათვალიერებს ამიერ-კავკასიის ყველა ავტო-მანქანებს და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საჭეს სისტემის, მუხრუჭების და მოწყობილობის მდგომარეობას.

ამ მოკლე ხანში თბილისში გაიხსნება შოფერების მოსამზადებელი კურსები. ყოველწლიურად განზრახულია 320 კაცის გამოშვება.

გარდა ამისა, ტრამვაიზე უბედურ შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, განზრახულია უახლოეს ხანში გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები.

ტრამვაის პერსონალს ნაბრძანები აქვს არ აუშვას ვაგონზე მთვრალი მოქალაქე.

ყველა ვატმანები შემოწმებული იქნებიან ფსიქო-ტეხნიკურად.

ყურადღება ექნება მიქცეული იმ გარემოებას, რომ ვაგონის გასაჩერებელი ადგილები საკმაოდ იყოს განათებული.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 14 ივნისი

რადიო გადაცემა ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სტუდიიდან—მოხსენებები და კონცერტი.

პარასკევი, 15 ივნისი

პარასკევს, 15 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი — განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

როგორი დასვენება საჭიროა ბავშვს—რუსულ ენაზე.

გლეხთა საადგილ-მამულო საქმეების შესახებ—რუსულ ენაზე.

ახალგაზრდობის კლასიურ აღზრდისათვის—თურქულ ენაზე.

მოხსენება მალარიაზე—თურქულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა — თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ახლო მასებთან—მეტი თვითკრიტიკა—მოხსენება ოსურ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

ფეხბურთი

როსტოვი—თბილისი

გუშინდელი მატჩი როსტოვის „დინამო“-სა და თბილისის „დინამო“-ს პირველ გუნდს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალზე საინტერესო გამოდგა. შეჯიბრმა აუარებელი ხალხი მიიზიდა.

პირველ ტაიმში თამაში თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა. როსტოველები გრძნობდენ, რომ ძლიერ „მოწინააღმდეგესთან“ ჰქონდათ საქმე და ამიტომ ფრთხილად თამაშობდენ. ჩქარა თამაში გაცხოველდა. თბილისელებმა გააძლიერეს იერიშები. გახშირდა კრიტიკული მომენტები სტუმრების კარებთან. ერთ-ერთი ასეთი მომენტის დროს ქ. ფაჩულიამ მძლავრი დარტყმით პირველი ბურთი მოაქცია როსტოვის ბადეში.

როსტოვის ფეხბურთელთა გუნდი

პირველი მარცხის შემდეგ სტუმრებმა ფართო შეტევა განავითარეს და ჩქარა შესძლეს კიდეც წაგებულის გაქვითება. რამოდენიმე წუთის შემდეგ თბილისის კარებში მეორე ბურთმა გაიარა. თბილისელებმაც თავის მხრივ მოიკრიბეს ძალღონე და ტაიმის ბოლომდე გააქვითეს ანგარიში. ამრიგად, თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 2:2.

მეორე ტაიმის პირველ ნახევარში არც ერთ გუნდს არ ეტყობოდა უპირატესობა. ბურთი ხშირად უახლოვდებოდა როგორც თბილისის, ისე როსტოვის ჭიშკარს, მაგრამ გოლკიპერების მოხდენილი თამაშის წყალობით ისევ ცენტრისკენ ბრუნდებოდა.

ძალთა წონასწორობა დაირღვა, როდესაც თბილისელმა ფაჩულიამ მესამე ბურთი მოაქცია როსტოვის ბადეში „პენალტი“-დან. სტუმრებში ამ გარემოებამ ერთგვარი არევ-დარევა შეიტანა. ამის შემდეგ თბილისის მხრიდან კიდევ უფრო გახშირდა იერიშები. ერთ-ერთი მძლავრი შეტევის დროს ა. ჟორდანიამ ძლიერი დარტყმით მეოთხე ბურთი გაიტანა.

როსტოველებმაც სცადეს კონტრ-შეტევაზე გადასვლა. ლამაზი ხაზებით ისინი რამოდენიმეჯერ მიუახლოვდენ თბილისის ჭიშკარს, მძლავრადაც დაარტყეს გოლში, მაგრამ გ. ბაღდოევის გაბედული და ლამაზი თამაშის წყალობით იძულებული იყვნენ უკანვე დაბრუნებულიყვნენ.

შემდეგში როსტოვის კარებში გაიარა კიდევ ორმა ბურთმა და შეჯიბრი დამთავრდა 6:2 თბილისის გამარჯვებით.

გუშინ საღამოს როსტოვის „დინამო“ გაემგზავრა ფოთში, სადაც ჩაატარებს ორ შეჯიბრს.

რკინისგზეზე

ვაგონების აღწერა

15 ივნისს დღის 12 საათიდან მთელს საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე დაიწყება სამგზავრო ვაგონების აღწერა.

დანიშვნა

ა.-კ. რკინის გზათა გამგეობის დადგენილებით, საქონლის სადგურთა სამუშაოების მთავარ რევიზორ-ინსტრუქტორად დაინიშნა აბელიშვილი.

საყვედური

კოოპერატიულ ორგანიზაციებისადმი უხეში მოპყრობისათვის ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ საყვედური გამოუცხადა სად. აქსტაფის საბარგო მოლარეს—ალიევს.

დაჯახება

გუშინ სად. ლიხში შემოსვლისას გაჩერებულ იქნა შემოსასვლელ ისართან სამგზავრო მატარებელი № 13. გაჩერების დროს მას დაეჯახა ორთქლმავალი, რომლის დროსაც ლიანდაგიდან გადავარდა და საგრძნობლად დაზიანდა სამოსამსახურო ვაგონი № 134.

დაკავებულ ლიანდაგზე

12 ივნისს სად. ავჭალაში დაკავებულ ისარზე მიღებულ იქნა მატარებელი № 2041. მატარებელი ჩავარდა ლიანდაგიდან. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

დაჯახება

12 ივნისს, სად. ხაშურში მატარებელს № 12 დაეჯახა სამანევრო ორთქლმავალი № 461. დაჯახებას ზარალი არ მოჰყოლია. მიზეზი—მეისრე სტარცევის გულგრილობაა.

აცდენილი მარცხი

12 ივნისს სად. სუფსაში სამგზავრო მატარებელი № 10 მიღებული იქნა სამანევრო შემადგენლობით დაკავებულ ლიანდაგზე. მემანქანე ადეიშვილმა დროზე შეამჩნია მოსალოდნელი მარცხი და შესძლო მატარებლის გაჩერება.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 14 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: არშაკ მილოევი, ავეტიქ დარიბოვი, ალექ. ბუსარაშვილი, ივანე ძიძიგური, არმენაკ არაქელოვი. მასარ გასპარიანი, შაგენ ეგიზარი, ნიკო ტყეშელაშვილი, ლეონ აბრამიანი, თამარ მეტრაშვილი, ხეჩო სტეპანიანი, ნიკო ვანილიანი, გიორგი ლელუაშვილი, გიორგი ბულიშვილი.

კონტორის მუშაკთა მეორე სექციიდან. სამსონ წვერავა, მარიამ მიქაბერიძე, იზრაილ ბერგი, ელისაბედ ჩიქოვანი, გარაი მადათიანი, პავლე პეტროსიანი, ივანე ჩქარეული. მახელ დარჩიაშვილი, ნიკოლოზ კანკელეთი, ა. ვისკანიანი, გერასიმე ბერიტაშვილი, ავაქ ავაქოვი, ვაჩე ბარბარიანი, გრიგოლ გრიგორიანი, გ. კანდელაკი, ლეონ [illegible], გიორგი ქუთათელაძე, ქეთევან კერესელიძე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ანნა ნათაძე, სოფიო მაკაროვა, ერიკა სარუხანოვა, ესტერ ხაჩატუროვა.

მედიკურ სექციიდან: აშხენ ბერუმოვა, ნინო ჩიქოვანი, ეკატერინე მამულოვა, გრიგოლ იაბაშვილი, ვერა ჭაბუკიანი, ნინო მელივინეთუხუცესი, ნადია როსტომაშვილი, ვლადიმერ იმნაშვილი, ანნა არჩვაძე, ბარბარე ვანიაძე, მარიამ ჟვანია, პავლე ჭუმბურიძე, ნადია შალტაშვილი, კონსტ. კეკელიძე, გიორგი კაციაშვილი, გრიგ. წამალაშვილი, ნიკო პალუჩკოვი.

რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან. დიმიტრი სულაძე, მ. ნალბანდოვი, ი. ენდიმიანი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვლადიმერ გვარამაძეს

კითხვა

1921 წ. 17 აგვისტოდან ვმუშაობდი თბილისის სასაკლაოში. 1927 წ. 22 ოქტომბერს მე დამაპატიმრა საქ. პოლიტსამმართვ. არავითარი დანაშაულობა არ დამიმტკიცდა, რის გამო პოლიტსამმართ. მომეცა გამართლების საბუთი. 1928 წ. 11 აპრილს გამანთავისუფლეს პატიმრობიდან. 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ვითვლებოდი შრომის შვებულებაში. 22 ოქტომბერს დამატუსაღეს და სასაკლაოს ადმინისტრაციამ დამითხოვა 1927 წ. დეკემბრის 27-ს.

გთხოვთ მომცეთ დაწმარტება მერგება თუ არა ორი თვის ჯამაგირი და აღდგენა ადგილზე. აგრეთვე უმუშევრობის გამო დღიდან შრომის ბირჟაში ჩაწერისა მერგება დახმარება, თუ დღიდან ჩემი მოხსნისა ადგილიდან?

პასუხი

რაკი თქვენ ორ თვეზე მეტი იყავით დატუსაღებული, ადმინისტრაციას ჰქონდა უფლება თქვენი სამსახურიდან დათხოვნისა. თქვენი გამართლება ასეთ პირობებში, არ ავალებს ადმინისტრაციას დაგაბრუნოთ თქვენ ძველ თანამდებობაზე. თქვენ გამართლების გამო გერგებათ ორი თვის ხელფასი დღიდან თქვენი დატუსაღებისა, თუ იმ საქმეს, რომლისთვისაც თქვენ იყავით დატუსაღებული, აქვს კავშირი თქვენს სამსახურთან, ხოლო თუ ამ საქმეს თქვენს სამსახურთან კავშირი არა აქვს, ადმინისტრაციას შეუძლია შ. ს. კ.-ის თანხმობით არც ამ ორი თვის ხელფასი მოგცეს. შვებულების გამო მიღებული ავანსი არ უნდა იქნეს გამორიცხული ორი თვის ხელფასიდან. უმუშევრობის გამო დახმარება გერგებათ თქვენ იმ დღიდან, როცა განაცხადეთ შუამდგომლობა დახმარების მიცემის შესახებ, მაგრამ თუ თქვენი რეგისტრაცია ბირჟაზე მოხდა ამ განცხადების შემდეგ, თქვენ მიიღებთ დახმარებას მხოლოდ რეგისტრაციის დღიდან.

ზახაროვს

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, დათხოვნილი ყოფილხართ იმიტომ, რომ ის საწყობი, რომელსაც თქვენ დარაჯობდით, გადავიდა „სოფლის კავშირზე“ და თქვენ გაფრთხილებული იყავით ორი კვირით ადრე. აქედან სჩანს, რომ თქვენ ყოფილხართ დათხოვნილი შტატების შემცირების გამო და ამიტომ, რაკი გაფრთხილებული იყავით, შრომის კოდ. 88 მუხ. ძალით სალიკვიდაციო აღარ გერგებათ.

მართა, ივანე და არსენ ნიტაიშვილებს

კითხვა

ვცხოვრობთ ასკანის თემში. ვართ გლეხები თითოეულს გვაქვს ცალ-ცალკე ეზო, რომელიც მდებარეობს მთიან ადგილზე. ჩვენს ზევით, აღმოსავლეთის მხრივ მოსახლეობს კირილე ანდღულაძე, რომელსაც თავის ეზოზე აქვს საკუთარი გზა უხსოვარი დროიდან; კირილე ანდღულაძემ ისარგებლა საბჭოს წევრობით და ნათესავების დახმარებით ჩვენი სახლში არ ყოფნის დროს, ჩვენს და წითაიშვილის ეზოებზე გაიყვანა საურმე გზა ოთხი არშინის სიგანით და 70 საჟენის სიგრძით. ჩვენი ადგილები აავსო მიწით და ქვებით, მოჭრა მრავალი ხეხილი, ვენახი და ხეები. ამრიგად ჩვენ დიდათ დავზარალდით. გთხოვთ მოგვცეთ ახსნა-განმარტება. კანონიერია თუ არა საბჭოს წევრის ანდღულაძის მოქმედება, ოთხი მოსახლის ეზოზე გზის გაჭრაში იმ დროს, როცა მას აქვს საკუთარი საურმე გზა? თუ არ არის კანონიერი მისი მოქმედება ვის უნდა მივმართოთ ზარალის ასანაზღაურებლად?

პასუხი

გზის გაყვანა შეადგენს მიწადმოწყობას, რომელიც ტარდება სამაზრო საად.-მამულო კოლეგიის მიერ დამტკიცებული პროექტით. ამ პროექტის გარეშე გზის გაყვანა არ არის კანონიერი. გარდა ამისა ასეთ მიწადმოწყობის საქმეში თქვენ, როგორც დაინტერესებული პირი უნდა ყოფილიყავით გამოწვეული, რათა გქონოდათ საშუალება გაგეცხადებიათ დავა და წინადადება საქმის მოგვარების შესახებ. ამ მხრივაც გზის გაყვანა უკანონოდ უნდა ჩაითვალოს. თუ გარეშე აღნიშნულ პირობებისა და დაინტერესებული თანამდებობის პირის მიერ იქნა გატარებული მიწადმოწყობა—გზის გაყვანა, ასეთი მოქმედება უნდა იქნეს გაუქმებული და დამნაშავე პირი მიცემული პასუხისგებაში. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას თხოვნით, რათა შეჩერებულ იქნეს გზის გაყვანა. მიყენებული ზარალი უნდა აგინაზღაუროთ დამნაშავემ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

№ 19.

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ადგილობრივი საბჭოთა ორგანოე-ბის მოვალეობის შესახებ ტერიტორიალური ჯარების საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ცვალებადი შედგენილობის ტერიტორიალური ჯარების მთელი მუშაობა, რაც კი ყველა იმ განსაზღვრულ რაიონის სამხედრო-ვალდებულ მოსახლეობაზე ვრცელდება, სადაც ჯარის ნაწილების შევსება სწარმოებს, განხორციელებულ უნდა იქნეს ამ რაიონის ყველა საბჭოთა ორგანოს უშუალო და შეთანხმებული მონაწილეობით.

2. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა მიიღოს ყოველი ღონისძიება ტერიტორიალური ჯარის ნაწილის განმტკიცებისა და საომარი და პოლიტიკური აღზრდისათვის, კერძოდ:

ა) ხელი შეუწყოს ტერიტორიალური ჯარის მაზრის ფარგალში რაიონებზე დაყოფის საქმეს;

ბ) ხელი შეუწყოს მაზრის ტერიტორიაზე ადამიანთა და ცხენთა რესურსების რაც შეიძლება სრულ და რაციონალურ გამოყენებას ტერიტორიალური ჯარის შევსებისათვის;

გ) მონაწილეობა მიიღოს ტერიტორიალური ჯარის ცვალებადი შედგენილობის მომზადებისათვის მუშაობის ვადების დაწესებაში;

დ) მოამზადოს აგიტაციის მეშვეობით მოსახლეობა სწავლებისა და სასწავლო შეკრების დაწყების წინ;

ე) გასცეს განკარგულება, რათა ცვალებად შედგენილობის პირთ ეცნობოს სწავლების შეკრებისა და სასწავლო შეკრების დრო;

ვ) გასცეს სახელმძღვანელო განკარგულება, რაც უზრუნველჰყოფს ცვალებადი შედგენილობის პირთა თავის დროზე გამოცხადებას როგორც სწავლებისათვის და სასწავლო შეკრებაზე, ისე მობილიზაციის დროს, აგრეთვე გამოაცხადოს სასწავლო შეკრებაზე გამოცხადებისაგან, ცხენების მოყვანისა და საზიდავ საშუალებათა და შესაბამლობის ჩაბარებისაგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი;

ზ) მონაწილეობა მიიღოს საშეკრებათაშორისო მუშაობაში ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის;

შენიშვნა. ადგილობრივი სახსარიდან ტერიტორიალური ჯარის საჭიროებისათვის გამოსაყოფი ხარჯების ნუსხა განისაზღვრება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ადგილობრივი ფინანსების დებულებით.

3. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოს დაეკისრება შემდეგი მოვალეობა:

ა) მოახდინოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საწვევამდელო ასაკის ახალგაზრდობის შორის და წერა-კითხვის მცირე ცოდნის ლიკვიდაცია ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა შორის;

ბ) აწარმოოს პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა წვევამდელთა შორის შეკრებიდან შეკრებამდე მიმდინარე პერიოდში, ხოლო ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურთა შორის—მათი შვებულებაში ყოფნის დროს;

გ) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს და საჭირო მატერიალური სალარი გაიღოს სამხედრო-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის წვევამდელთა შორის შეკრებიდან შეკრებამდე მიმდინარე პერიოდში, ხოლო ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახურთა შორის—მათი შვებულებაში ყოფნის დროს;

დ) მოაწყოს სამხედრო კუთხეები ყველა საგანმანათლებლო ორგანიზაციაში და ქოხ-სამკითხველოში.

4. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოს დაეკისრება:

ა) სამკურნალო-სასანიტარო დახმარება გაუწიოს წვევამდელთ საწვევამდელო მომზადების პერიოდში სამხედრო-სასწავლო ან შეკრების პუნქტზე, ხოლო ტერიტორიალური ჯარის ცვალებადი შედგენილობის პირთ—მოკლე-ვადიანი შეკრების დროს, აგრეთვე ახლად-წვეულთ—ტერიტორიალურ ჯარში დასანიშნად ყოველწლიური სამორიგეო გაწვევის დროს;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობაში სათანადო ცოდნის გასავრცელებლად, განსაკუთრებით ქიმიური თავდაცვის სფეროში;

გ) აწარმოოს სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობა წვევამდელთა და და ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის.

5. ადგილობრივ საადგილ-მამულო ორგანოს დაეკისრება:

ა) ხელი შეუწყოს ტერიტორიალურ ჯარს, ჯარის შევსების რაიონის სავეტერინარო გაჯანსაღებისათვის და მომსახურეობა გაუწიოს მას და აგრეთვე სამხედრო-სასწავლო პუნქტებს სავეტერინარო საქმეში;

ბ) გაუწიოს უპირატესი და უფასო სამკურნალო დახმარება ტერიტორიალურ ჯარზე მიწერილ ცხენთა შედგენილობასა და აგრეთვე ჯარის ნაწილიდან სამხედრო-სასწავლო პუნქტებისათვის გამოყოფილ ცხენთა შედგენილობას;

გ) მონაწილეობა მიიღოს ცხენთა შედგენილობის ტერიტორიალურ ჯარზე მიმწერი და მოსახლეობისაგან სასწავლო შეკრებისათვის მიმღები კომისიის მუშაობაში;

დ) აწარმოოს სავეტერინარო-საგანმანათლებლო მუშაობა წვევამდელთა და ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის.

6. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) აღნუსხოს თემის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა სამხედრო-ვალდებული და ცვალებადი შედგენილობის სამხედრო მსახური, მოქმედი საღნუსხვო დებულების თანახმად;

ბ) თავის დროზე აცნობოს არსებული წესებისამებრ, ჯარის ნაწილის მეთაურს ყველა ის შემთხვევა, როდესაც ცვალებადი შედგენილობის პირი, შვებულებაში ყოფნის დროს, წავა სადმე ან სხვა ადგილას გადავა.

გ) თვალყური ადევნოს და შეამოწმოს ცვალებადი შედგენილობის საღნუსხვო ცნობების მდგომარეობა;

დ) თავის დროზე შეატყობინოს ცვალებად შემადგენლობის პირთ და სამხედრო ვალდებულთ როგორც სწავლებისა, სასწავლო და მოკლევადიანი შეკრებისა, ისე სამხედრო მომზადების მეცადინეობის ვადები;

ე) თვალყური ადევნოს, რათა ცვალებადი შედგენილობის პირნი და სამხედრო-ვალდებულნი თავის დროზე გამოცხადდენ სწავლებისათვის და სასწავლო შეკრებაზე, აგრეთვე სამხედრო მომზადების მეცადინეობაზე;

ვ) მიიღოს ღონისძიება მათ მოსაძებნად, ვინც არ გამოცხადდა და თავი აარიდა გამოცხადებას;

ზ) მიუჩინოს დაწესებული სასყიდელი სადგომი უფროსთა შედგენილობას, რომელიც მივა თემის ტერიტორიაზე სამხედრო მუშაობისათვის, აგრეთვე ცვალებად შედგენილობასთან მეცადინეობისათვის და სამხედრო-ვალდებულებთან მეცადინეობისათვის;

თ) თვალყური ადევნოს და შეამოწმოს მიწერილი ცხენთა შედგენილობის აღნუსხვის მდგომარეობა;

ი) დაიცვას სამხედრო-სასწავლო პუნქტები შეკრებიდან შეკრებამდე მიმდინარე პერიოდში;

კ) მონაწილეობა მიიღოს ტერიტორიალური ჯარის მთელს მუშაობაში, როგორც ცვალებადი შედგენილობის პირთა შორის შეკრებიდან შეკრებამდე მიმდინარე პერიოდში, ისე მოსახლეობის სამხედრო მომზადების დროს.

შენიშვნა. ამა მუხლის „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ „ზ“, „ი“, და „კ“ პუნქტებში აღნიშნული ფუნქციების ასრულება საქართველოს სსრ იმ ადგილას, სადაც სოფლის საბჭოა მოწყობილი, დაეკისრება აგრეთვე ამ საბჭოსაც.

7. მუშაობის წარმატებით განხორციელებისათვის ყველა საბჭოთა ორგანო მოვალეა თავის მუშაობის გეგმაში გაითვალისწინოს ყოველგვარი სამუშაო, რაც-კი დაკავშირებულია ტერიტორიალური ჯარის მუშაობასთან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1928 წ.. აპრილის 18.
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პარტკოლექტივის უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 14 ივნისს, დღის 2 საათზე შესდგება პარტკოლექტივის და კომკავშირის უჯრედების ბიუროების გაერთიანებული სხდომა.

წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის პლენუმი შესდგება ოთხს 14 ივნისს. საღამოს 5 საათზე ახ. ლ. კ. კ. რაიკომის შენობაში.

პლენუმის ყველა წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 14 ივნისს, დღის 1-ლ საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა. პროფკომის ფრაქციის წევრების და კომკავშირის ორივე უჯრედის მდივნების დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლად.

ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის მაღალი ტიპის სასწავლებელი აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ ა.-წ. 12 ივნისს, ტრაგიკულად გარდაიცვალა, მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ამხანაგი—მე-2-ე კურსის მოწაფე

ქეთევან (ქეთუშა) ალექსანდრეს ასული
გულუაშვილი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან—საბჭოთა ქუჩა № 22 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ხუთშაბათს, 14 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე. (ვ)

თავზარდაცემულნი მეუღლე აგრაფინა ერისტოს ასული, შვილები საშა, შალვა და კოკოშა ლომაიები, რძალი ბაბუცა ბერიძის ასული, შვილიშვილები: ბიძინა და დოდო გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 11 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. ახალ სენაკში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

იაკობ პეტრეს-ძე ლომაია

დაკრძალვა ქ. ახალ-სენაკში. 2714

თავზარდაცემულნი დედა სალომე, დები: მარო, კატო და თამარი, ძმა ნიკოლოზი თავის მეუღლით გულუაშვილები, სიძე აპოლონ ერმილეს ძე მგელაძე და ქრისტესია თხინვალელი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა. წ. 12 ივნისს ტრაგიკულად გარდაიცვალა, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მაღალი ტიპის მე-II კურსის მოწაფე

ქეთევან (ქეთუშა) ალექსანდრეს ასული
გულუაშვილი.

სამოქალაქო პანაშვიდი 13 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ხოლო გამოსვენება საკუთარ ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილი) ქ. № 22 ხუთშაბათს 14 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ნ. 1262

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი (ყოფ. მუშტაიდი)
დღეს, 14 ივნისს,
დიდი სიმფონიური კონცერტი
სახ. მსახ. მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით
დასაწყისი საღამოს 9 ს.
ბაღში კინო: წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის
ხვალ, კონცერტი მედსანშრომის ბაღში (ყოფ. სტელა) ნ. 1261

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 17 ივნისს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1264

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო ეთერი	მხატვრული სურათი **კენიგსმარკ** პიერ ბენუას რომანის მიხედვით პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
მინიონი	პირველად თბილისში **პანზუროლის საფლავი** ბორონიხინის და დეიეკოს მონაწ. პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
საზაფხულო დარბაზი	კარმენ ბონი და ვალტერ სლეზაკ სურათში **მშვიდობით ახალგაზრდობავ** პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
საზაფხულო პალასი	მხატვრული სურათი **ბედნიერების ძიებაში** პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
აპოლო	ჟენი პორტენ მხატვრულ მელოდრამაში **დედა და შვილი** პროგრამის გარდა ამანულა ხანის ჩამოსვლა
სოლეი	**საიდუმლოებათა კუნძული** 3 და 4 სერია
ოდეონი	ორი სურათი **„სისხლი და ქვიშა“ და „ივეტა“** თვითეულ სეანსში—ვალენტინოს და პ. ნეგრის მონაწ.
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული კინო-რომანი 6 სერიათ **საიდუმლოებათა კუნძული** 1 და 2 სერია გ. დესმონდის მონაწილეობით 0—12

ანონსი: — მალე გაიხსნება კინო-თეატრი „განთიადი“.

ქ. თბილისის მე-3 უბნის სასამართლოს აღმასრულებ.
ი. დ. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 17 ივნისს 1928 წ. დღის 12 საათ. სახლში № 1 ფიგნერის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე შიხიანცის მოძრავ ქონებას: 1) ერთი კედლის საათი მოსიარულე, 2) ერთი სარკიანი შკაფი, 3) ერთი ეტაჟერკა, 4) ერთი კაკლის კომოდი, 5) ერთი ბუფეტის შკაფი, 6) ერთი მაგიდა და სხვ. შეფასებულს 307 მანეთად, მოქ. მოქ. კარაპეტ აგაიანის და ოვაკიმ სარქისოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის № 4 სახ. სანოტარო კანტორის 15 მაისის 1928 წ. თარიღით, № 1720, 4703 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2713

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 16 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 65 პლეხანოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. კოკილაშვილის მოძრავ ქონებას: 300 ვედრო ღვინოს, საწერ მაგიდას, სხვადასხვა ზომის ღვინის ბოჭკებს და სხვა ნივთებს შეფასებულს 976 მანეთად, სურსათგემოვნების კავშირის, მოქ. გლადკოვას და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 8 და 31 მაისის 1928 წ. თარიღით, № 2029—2169 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1265

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 16 ივნისს 1928 წ. დღის 3 ნახ. საათ. სახლში № 2—3 სასტუმრო „ლონდონ“-ში და „ფრანცია“-ში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის სოფიო და ნესტორ აბაიშვილების მოძრავ ქონებას: კედლის სარკეებს, საწოლებს, ბუფეტის შკაფს, ხალიჩებს, მაგიდებს და სხვა მოქ. ბაქრაძის ვალისდასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 2 ივნისს 1928 წ. თარიღით, № 2078 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1265

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 20 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 11 ალაზნის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ლეონ არუთინოვის 3 სართულიან სახლს, რომელიც შესდგება 8 საცხ. ოთახისაგან, ორი კუხნისაგან, ნაშენია აგურით, დახურული თუნუქით და აგებულია 25 კვ. საჟ. და 5 არშ. მიწაზე. შეფასებულს 1500 მანეთად, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 28 სექტემბრის 1927 წ. თარიღით, № 3404 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან და ჩატარდება ს. ს. კოდექსის 311, 312—313 მუხლების დაცვით. ნ. 1265

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
დარეჯან ე.
თაყაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ვარცხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორად მორგება
უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ
„სახმედვაჭრობა“
პლეხანოვის პროსპ. № 106
აქვე ხელოვნურ თვალების არჩევა. 25—1

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კონტოროვიჩ სა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 16960 ვალენტინა დავითის ასული დევიძეს სახელზე, ჩ. გ. 2715

დაიკარგა: ინვალიდობის მოწმობა № 1772, სამსახურის მოწმობა წყალთა სამმართველოსი და სამსახურის ცნობა № 65 ნიკოლოზ ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 2711

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 71464 ანა როსტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2712

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 10467 მიხეილ მირიანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2719

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 125 და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა № 163 ლისმა ალხაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2717

დაიკარგა: პირადობის მოწმობა ტ. ს. უ. № 1056 ბესირე ხარაზის სახელზე, ჩ. გ. 2718

დაიკარგა: პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 428 დავითი ისლამისძე გაბუჩიას სახელზე, ჩ. გ. 2716

დაიკარგა: პირადობის მოწმობა შიმშონ ისხაკისძე დაგარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2720

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 039.864, ჩ. გ. 2721

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 34960 პორფილე კობერიძეს სახელზე ჩ. გ. 2722

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 62